ივანე ლიქოკელი

# ხევსურები და ქაქუცა

ხევსურეთის ამბოხება
1922 წლის ზაფხულში
ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის მონაწილეობით

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2006

ცოტა ვინმეს თუ გაუგონია და ახსოვს 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხევსურთა ბრძოლის ამბავი. შორეულ ლეგენდასავით აღწევს ჩვენამდე იმ ამაღელვებელ დღეთა ექო, თუმცა მის მომსწრეთა და მონაწილე გმირთაგან ჯერ კიდევ ცოცხლობენ ცალკეული პირები.

ხევსურები და ქაქუცა, მათი ურთიერთობა და ღვაწლი მშობელი ქვეყნის სვემწარე ბედში, სიცოცხლედაუზოგავი სამსახური მისი თავისუფლების გადასარჩენად – აი, ამ მართლაც განსაცვიფრებელი მოვლენის მთავარი შინაარსი და ისტორიული ფონი.

საქართველოს ხელახალი ანექსიის ჟამს (1922 წელს) ბოლშევიკური იმპერიალიზმის ძალებს წინ აღუდგა პატარა საქართველოს ერთი ნამცეცა კუთხე – ხევსურეთი. ხევსურთა უდრეკ შვილებს გვერდში ედგა და აფოლადებდა ლეგენდარული ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი მრისხანე რაზმით. ეს ბრძოლები იყო ამაღელვებელი გმირობის უწყვეტი კალეიდოსკოპი.

ამ ბრძოლების, მათში ბობოქარი ბუნების ხევსურთა და ტრაგიკული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ურთიერთობისა და ქმედების რთული მოვლენები დღემდე შეუსწავლელი და გამოუმზეურებელია, რაც ისტორიულ უსამართლობად უნდა ჩაითვალოს.

ამ ადამიანურ გმირობათა სინამდვილით აღნუსხვაა წიგნის მიზანი. მასში მოცემულია აგრეთვე ხევსურეთის ომის და მასთან დაკავშირებული ეროვნული პრობლემების ობიექტური შეფასება.


რედაქტორი † დავით გოგოჭური
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი ალექსი ჭინჭარაული
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



© ი. ლიქოკელი, 2006
© გამომცემლობა არტანუჯი, 2006



ISBN 99940-55-23-2






ხევსურის საჭურველი:

1. ქართული თოფი
2. საპირისწამლე
3. წვრილთვალა (ჯაჭვის პერანგი)
4. მუზარადი (ჩაჩქანი)
5. სამკლავე-საფუხარი
6. ხანჯარი
7. ხმალი (მარჯვენივ)
8. ფარი
9. დაშნა
10. უბის ფარი
11, 12. ლაჯიანი (სათითენი)
13. შუბი.

*ვუძღვნი მამა-ბიძათა ნათელ ხსოვნას!*

# შესავალი

1922 წლის ივლისის მიწურულს მთელ საქართველოს მოეფინა სენსაციური ამბავი – ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი მრისხანე რაზმით ხევსურეთს შეეხიზნაო! არ დააყოვნა უფრო ამაღელვებელმა ცნობამაც – საბჭოთა ხელისუფლებას ხევსურებმა ომი გამოუცხადესო. შემდეგ კი რამდენიმე თვით გადაიკეტა ყველა საინფორმაციო არხი და არავინ უწყოდა, რა ხდებოდა საქართველოს ამ ეგზოტიკური მხარის პატრიარქალურ სამყაროში.

ხდებოდა კი ადამიანის სულის შემძვრელი, ქართველი ერისათვის ისტორიული მნიშვნელობის ამბები, ხევსურეთის ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტი მოვლენები. შემდეგ მთლიანად აიკრძალა ამ საკითხის ხსენებაც კი.

მართლაც რა იყო, როგორ იყო, რატომ იყო?

ეს წიგნი ამ კითხვებზე პასუხის პირველ ცდას წარმოადგენს.

ხევსურეთის თავდაცვითი ომი 1922 წლის ზაფხულში, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოს ისტორიის ერთი, ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია. ამის მიზეზია საბჭოური ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური ნორმები; ითვლებოდა რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან ცალკეული ხალხების ეროვნული მოძრაობანი ნაციონალიზმად, საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი მაგისტრალიდან – კლასობრივი ხაზიდან გადახვევად, ისინი ან საერთოდ იგნორირებული იყო, ან ანტიხალხურ, რეაქციულ მოძრაობად ინათლებოდა და მათი არათუ კვლევა-შესწავლა, ხსენებაც კი იზღუდებოდა. ეს საქმე განსაკუთრებული მონდომებით და უბოდიშოდ სწორედ საბჭოთა საქართველოში კეთდებოდა. არა და ამ რიგის საკითხები, ობიექტური, მეცნიერული პოზიციებიდან შესასწავლი და განსაზოგადებელია უპირველესად, როგორც საზოგადოებრივი შეგნების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სწორი მსოფლმხედველობრივი

ფორმირების, დემოკრატიზმის განმტკიცების ყველაზე ეფექტური საშუალება.

საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გზაზე დადგომის, დემოკრატიზმის დამკვიდრების, მეცნიერების ობიექტურ ჭეშმარიტებათა პრინციპებზე დაფუძნების გამოისობით შესაძლებელი ხდება ტაბუდადებული თემების გამომზეურება-დამუშავება და ისტორიული ხარვეზების შევსება. ვთვლით, რომ ამ საქმეში დროის შემდგომი დაკარგვა და დაყოვნება დანაშაულის ტოლფასია, რამდენადაც მოვლენათა ჯერ კიდევ შემორჩენილი ცოცხალი მონაწილენი და მომსწრენი ყოველდღიურად გვაკლდებიან, რაც ჭეშმარიტებისადმი წვდომისაგან თანდათან დაშორებას ნიშნავს, მით უფრო მაშინ, როცა განვიცდით წერილობითი ობიექტური დოკუმენტური მასალის დიდ ნაკლებობას, ხოლო რაც არსებობს, ბევრი მათგანი, ჯერ კიდევ ხელმისაწვდომი არ არის.

საქართველო დამოუკიდებლობის გზაზე, თავისუფალი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე გამოდის. მის წინ მატერიალური და სულიერი აღმავლობის ასპარეზი იშლება. ამ ასპარეზის დაუფლების ერთ-ერთი მთავარი საშუალება ერის მართალი, გმირული ისტორიის გამოვლენა-შესწავლაა, მის სახელოვან შვილთა ღვაწლის აღნიშვნა-დაფასებაა, მით უმეტეს, როცა ეს ღვაწლი სრული შეგნებით მსხვერპლად შეწირულ სიცოცხლეს წარმოადგენს.

ბოლშევიკური ანექსიისა და ოკუპაციის საწყის ეტაპზე – 1921-1924 წლებში საქართველოს მოსახლეობა დაუცხრომელ თავდაცვით და განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდა რუსული არმიებისა და ბოლშევიკური აგენტურის წინააღმდეგ. ამ უთანასწორო ბრძოლას მრავალი პატრიოტი შეეწირა. ჩვენი ვალია ვთქვათ მართალი სიტყვა ამ წამებულ გმირებზე, აღვადგინოთ ერის ნამდვილი ისტორია.

1922 წლის აგვისტო-სექტემბერში ხევსურებს ცხარე ომი ჰქონდათ რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ძლიერი პარტიზანული რაზმი ცნობილი პატრიოტის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის მეთაურობით. ამ ბრძოლით

უნდა დაწყებულიყო საქართველოს საერთო აჯანყება ოკუპანტების გასანადგურებლად, რაც, საუბედუროდ, ვერ განხორციელდა.

საბჭოთა მმართველობის ათეული წლების მანძილზე კომუნისტური იდეოლოგიის მიერ ეს ომი სახელდებული იყო, მეტი რომ არ ვთქვათ, ჩოლოყაშვილის ავანტიურად და მთელი ძალით მიმდინარეობდა მისთვის ამის შესაბამისი პოლიტიკური შეფასების მიცემის მცდელობა. ამან თავისებური ზეგავლენა მოახდინა არა მარტო ხევსურეთის შემდგომ ბედზე, არამედ საზოგადოებრივ შეგნებაზეც და გავრცელდა ამ მოვლენათა არაერთგვაროვანი გაგება. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში ხელმისაწვდომი არ იყო, რაიმე დოკუმენტური მასალა მისი პერიპეტიების, მრავალი საკითხის სწორი ობიექტური ახსნისათვის. იყო მხოლოდ ბრძოლის მონაწილე ხევსურთა ზეპირი მოგონებები, ისიც მხოლოდ განსაკუთრებით სანდო გარემოში საიდუმლოდ ნათქვამი და ფოლკლორის უკვდავი ხატოვანი სიტყვა, რომელიც ამ შემთხვევაში, და საერთოდ ხევსურულში, უტყუარი დოკუმენტური მნიშვნელობისაა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ამ ომის მონაწილეთა და მომსწრეთა რიცხვი დღეისათვის ერთეულებით განისაზღვრება. ბევრი რამ უკვე დავიწყებულიც არის და რაც ყველაზე სავალალოა, აკრძალული იყო იმ ეპოქის სახელოვან მამულიშვილთა სახელების ხსენება.

დღეს შედარებით ხელისშემწყობი გარემოება შეიქმნა ამ ომის ნამდვილი ისტორიის აღდგენისათვის. ყადაღა მოეხსნა მის მეცნიერულ კვლევას. გამოქვეყნდა რამდენიმე მონაწილის – ალ. სულხანიშვილის, ს. ზალდასტანიშვილის, ალ. ბადურაშვილის, შ. ამირეჯიბის, ალ. ასათიანის, დ. ვაჩნაძის, გენერლების გ. მაზნიაშვილის, გ. კვინიტაძის და სხვათა მოგონებები, რომლებიც იძლევიან ბრძოლების ბევრი დეტალის დაზუსტების საშუალებას. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ კი არ გაგვემეორებინა გამოქვეყნებულ მემუარებში მოცემული მასალები, არამედ ახალი ფაქტებით გაგვემდიდრებინა შესაბამისი მოვლენები და საერთოდ მთელი მოძრაობის ისტორია. და ბოლოს, შესაძლებელი გახდა ჭეშმარიტი გადმოცემების შეუბღალავი მოპოვება, გაანალიზება-გამოყენება და მეცნიერული შესწავლა.

ჩვენი ასაკის ხევსურთა თაობის ცხოვრება დაიწყო ამ მოვლენათა ზღურბლიდან. თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარ ოჯახსა და თვით სოფლის საფეხვნოშიც ათასჯერ მოუსმენია ამ ეპოპეის უწვრილესი დეტალებიც კი; ვყოფილვართ უმთავრესი პრობლემების ირგვლივ კამათისა და თვით ჩვენებური შუღლის მოწმენიც.

მიუხედავად კომკავშირლობისა, რომელიც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ამდენად, ჩვენი მამა-ბიძები მას რაიმე ანგარიშგასაწევ მოვლენად არ თვლიდნენ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო ყველა ზეპირი გადმოცემა. რომელ ხევსურს არ მოუსმენია ის უამრავი საგმირო (და თვით იუმორისტულიც) ლექსი ქაქუცაზე ან იმ ომის დეტალებზე, რომლებსაც ყოველი ლხინის დროს მღეროდა აქ ქალი თუ კაცი. მხოლოდ ეს არის, რომ წერილობით ჩანაწერებს, მოგონებების შეკრებას ვერავინ ბედავდა. ეს საშიში იყო. ამასთან დიდი დაუდევრობაც გვაქვს გამოჩენილი. მაგალითად, ჩვენ, ძმებმა სრულად ველარ აღვადგინეთ მამაჩვენის ცნობილი ლექსი ამ ომზე. ხევსურეთში დარჩა და დღემდე წარუშლელია ქაქუცას კვალი, მისი სახელის ქება-დაფასება.

ეს გამოკვლევა მოხსენიებული მასალების საფუძველზე იწერებოდა. მათი მრავალფეროვნების მიუხედავად მუშაობის პროცესში სერიოზული სიძნელეების გადალახვა მოგვიხდა ზოგიერთ მათეული მონაცემი არ ემთხვეოდა ერთიმეორეს, დადგინდა ზოგიერთის აშკარა მცდარობა. ხანდაზმულობის, ადგილობრივი სპეციფიკის უცოდინარობის გამო ზოგიერთი არასრული ან განგებ (პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო) ბოლომდე გაუხსნელია და ა. შ. სათანადო არქივებზე ჯერ კიდევ ხელმიუწვდომობის გამო შრომას აკლია დოკუმენტური მასალა წითელი არმიის, ჩეკისტური ნაწილების შესახებ.

მუშაობისას დიდად დაგვეხმარა ადგილობრივი გარემოს – როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიულის, ისე ადამიანთა წეს-ჩვეულებების, სულიერი საწყისების სათანადო ცოდნა და სპეციფიკურ ნიუანსებში წვდომის შესაძლებლობა.

გამოკვლევაში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად დაგვეცვა ადგილობრივი კოლორიტი, იქნებოდა ეს მასალის ტოპონიმური აღნიშვნა, პიროვნებათა სახელდება თუ ზეპირსიტყვიერი მოგონება, რადგან ეს მეთოდი იძლევა მოვლენათა არსის, რაც შეიძლება სრული გახსნის და მათი ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყველაზე გასაგები ფორმით მიწოდების შესაძლებლობას.

მადლობას ვუხდით იმ გმირული ამბების ყველა მონაწილესა და მომსწრეს, მათ ახლობლებს და შთამომავლებს, რომლებმაც დაუზარებლად გაგვიზიარეს თავიანთი ნამოქმედარისა და ნაზრევის, დანახულისა და გაგონილის შესახებ მოგონებები და შეხედულებანი, რითაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ მეტად რთული და ხანდაზმული მოვლენების ირგვლივ ობიექტური ისტორიის აღდგენასა და სწორად შეფასებაში.

ნაშრომის მიზანია, დადგინდეს ხევსურეთის 1922 წლის ომის, მისი ცალკეული ბრძოლების სრული, მიუკერძოებელი ისტორია, მიზეზებითა და შედეგებით, მათ საფუძველზე სწორად განისაზღვროს და შესაბამისად ობიექტურად შეფასდეს მოვლენის არსი, გამომზეურდნენ სახელწართმეული გმირები და დამსახურებულად დაფასდეს მათი ღვაწლი.

მადლიერებითა და გულისხმიერებით იქნება მიღებული ყოველი საქმიანი შენიშვნა, რჩევა და ა. შ. მისი შემდგომი შევსებისა და სრულყოფისათვის.

ავტორის განსაკუთრებული მადლობა გამომცემლობა „არტანუჯის" ხელმძღვანელობას, ბ-ნ ბუბა კუდავას, ქ-ნ ეთერ ბაიდოშვილს, ეროვნული პოზიციებისა და გულისხმიერებისათვის.

## განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში

ჰეი, საით მიდის მდუმარე ლაშქარი,
სისხლიან აბჯარში მჯდარი,
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
მამულო, ეგების სიკვდილშიც ფხიზლობენ
ლაშარის, ლომისის, გუდანის ყმები,
შეგუებულნი მარადისობას,
როგორც ქარქაშებს ხმლები.

შოთა ნიშნიანიძე

რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდანვე ქართველი ხალხის, მისი მთავრობის უმთავრესი ამოცანა იყო ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა. ქვეყანას უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების მხრივ. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მსოფლიო ომითა და სოციალური რევოლუციებით დასუსტებულ-დანგრეული რუსეთის იმპერია, მისი ბოლშევიკი მემკვიდრენი ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ დაკარგული ტერიტორიებისა და ხალხების დამოუკიდებლობას. რუსეთში შეიცვალა პოლიტიკური წყობილება, მაგრამ მისი დიდმპყრობელური სული, იმპერიული მისწრაფებანი არ შეცვლილა. ახალი, კომუნისტური ხელისუფლება სხვა ფორმებითა და მეთოდებით, ეგრეთწოდებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის" პრინციპით, აპირებდა ახალი, ზემძლავრი კომუნისტური იმპერიის შექმნა-შეკოწიწებას. იგი ამ მიზნით იყენებდა ყველა საშუალებას, მათ შორის სამხედრო ძალასაც. საჭირო იყო ამ ძალების მოგერიება.

არანაკლები საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს სუსტ დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი სამხრეთელი მეზობლების — ამ ისტორიული ჯალათების, მაჰმადიანური თურქეთისა და ირა-

ნის მხრიდან. ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში მოსალოდნელი იყო მათი თავდასხმა. სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა I მსოფლიო ომიდან ბოლშევიკური რუსეთის გამოსვლით. 1918 წლის ბრესტის ზავით რუსეთმა თურქეთის სასარგებლოდ უარი თქვა საქართველოს სამხრეთის პროვინციებზე – ტაო-კლარჯეთზე (ართვინი, არტაანი, ოლთისი და სხვ.). კავკასიის ფრონტის დაშლის, აქედან რუსეთის არმიის მოხსნისა და შინ წასვლისთანავე თურქეთის არმიებმა მყის დაიკავეს ეს ადგილები და შემოიჭრნენ მესხეთსა და აჭარაში. საჭირო იყო მათი შეჩერება და განდევნა.

სერიოზულ სიძნელეებს ქმნიდა ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ანარქიაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკონომიკურ ნგრევაზე. დიდ ძალასა და სიბრძნეს მოითხოვდა როგორც ეროვნულ უმცირესობათა დაპირისპირება-შუღლის, ისე პოლიტიკურ მიმდინარეობათა, პარტიების ურთიერთშორის ქიშპობისადმი თავის გართმევა, ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ყველაზე დიდი კი ბოლშევიკური საფრთხე იყო.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა (ასე უწოდებდა თავს მენშევიკური მთავრობა) 1917 წლის შემოდგომაზევე შეუდგა ეროვნული თავდაცვის საქმის მოგვარებას. უპირველეს ყოვლისა, დაიწყო ფრონტებიდან დაბრუნებული კადრის სამხედროთა, როგორც ჯარისკაცთა, ისე ოფიცრობის ბაზაზე ეროვნული სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბება, ქართული კორპუსის შედგენა. ამისთვის კადრები საკმაოზე მეტიც იყო. როგორც ცნობილი ქართველი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იგონებს „ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა იმოდენა იყო, ის ეყოფოდა ერთს კი არა, სამ კორპუსს"[1]. ეს ეხებოდა საკუთრივ გენერალიტეტსაც როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის თვალსაზრისით. იმავე ავტორის თქმით, ამ დროს საქართველოში თავმოყრილი იყვნენ რუსეთის ფრონტებიდან ჩამოსული სახელმოხვეჭილი გენერლები: როგორიც იყვნენ ოდიშელიძე, გაბაშვილი, ანდრონიკაშვილი, იმნაძე, გედევანიშვილი და მრავალი სხვა, რომელთაც მაღალი წოდების მხედართმთავართა რანგს მიაღწიეს მხოლოდ საკ-

---

[1] გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი, „საბჭ. აჭარა", 1990, გვ. 5.

უთარი ნიჭიერებით, საბრძოლო გამოცდილებითა და შრომით. ამასვე ადასტურებს გენერალი გიორგი კვინიტაძე (ქართული არმიის მთავარსარდალი მენშევიკების დროს): „რუსულ ჯარში რუსეთის არც ერთ ერს არ ჰყავდა ისეთი ოფიცრობა, როგორც ქართველებს, – მუდამ სახელმოხვეჭილი და წარჩინებული. მე შევადგინე ახალციხის ამბების დროს გენერლების სია; 25 გენერლიდან 23-ს ჰქონდა მიღებული წმინდა გიორგის ჯვარი"[2].

ქართული რეგულარული სამხედრო ერთეულების – ჯერ კორპუსის, ხოლო შემდეგ მეორე ქართული ქვეითი დივიზიის შექმნა-ჩამოყალიბება დიდი დაბრკოლებებით მიმდინარეობდა, მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისში იმჟამად იმყოფებოდა კავკასიის არმიის მეტად მძლავრი სამხედრო-ტექნიკური და საინტენდანტო ბაზა, რომელიც, სპეციალისტების აზრით, თავისუფლად შეძლებდა თუნდაც 50 ათასიანი არმიის აღჭურვა-გამოკვებას ათი წლით. სიძნელეებს ქმნიდა ჯარისკაცთა დეზორგანიზებულობა და მთავრობის მცდარი პოლიტიკაც.

სოციალ-დემოკრატიული მმართველობა კადრის სამხედრო ნაწილებთან ერთად პოლიტიკური, პარტიული ნიშნით ქმნიდა სპეციალურ ლაშქარსაც, რომელსაც მომდევნო პერიოდში მენშევიკურმა მთავრობამ სახალხო გვარდია უწოდა. ამასთან, ამ უკანასკნელს პირველთან შედარებით ენიჭებოდა გარკვეული პრივილეგიები, თუმცა მისი წმინდა სამხედრო-ტაქტიკური ღირსებანი ჩამორჩებოდა არმიისას. გვარდიის მთავარი ხარისხობრივი ნიშანი იყო პატრიოტიზმი და მუშურ-გლეხური საქმისადმი ერთგულება. არმია, ძირითადად ოფიცერთა შემადგენლობა, მთავრობას კლასობრივი თვალსაზრისით ნაკლებ საიმედოდ მიაჩნდა.

მენშევიკების გარდა თავიანთი გასამხედროებული რაზმების შედგენა დაიწყეს საქართველოს სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც (ეროვნულ-დემოკრატები, ფედერალისტები და სხვ.), ცხადია, უფრო თავიანთი პარტიული ინტერესების დაცვის მიზნით, ვიდრე საერთო ეროვნული საქმისადმი სამსახურად. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ასუსტებდა რეგულარული, ერთიანი ეროვნული

[2] გენერალი გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, თბ., 1990, გვ. 9.

სამხედრო ერთეულის შექმნას და ამდენად, ქვეყნის თავდაცვის მყარ ნიადაგზე დაფუძნებას. ასეთი არაორგანიზებულობა და დაქსაქსულობა ბოლომდე გაჰყვა მენშევიკური ხელისუფლების სამხედრო საქმიანობას და, შეიძლება ითქვას, გახდა მისი დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

მაშინ, 1917 წლის დასასრულს მთელი ამ სამხედრო ძალების მთავარი ამოცანა იყო საქართველოსა და კერძოდ თბილისის გადარჩენა თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებული, შინ მიმავალი რუსული არმიის ეშელონების თავდასხმისა და აოხრებისაგან. ამის საშიშროება კი დიდი იყო. რუსი ჯარისკაცების ბოლშევიკურად განწყობილთა ძირითად მასას გზაზე დაყოვნების, შიმშილისა და სხვა სიდუხჭირეთა მთავარ მიზეზად მიაჩნდა „კონტრრევოლუციური" კავკასია და კერძოდ, მენშევიკური საქართველო.

როგორც დოკუმენტური მასალებითა და იმდროინდელი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა მოგონებებითაა ცნობილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მაშინ შეძლო ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა. მთავრობის საიმედო დასაყრდენი იყო ქართველი ხალხის სიმტკიცე და თავისუფლების წყურვილი, მთელი ძალების – პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის თუ უბრალო მშრომელი ადამიანების პატრიოტული დარაზმულობა.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლაში ღირსეული ადგილი ეკავა ხევსურ მოსახლეობას.

სწორად რომ იქნას გაგებული ხევსურეთის ეროვნული და საერთოდ პოლიტიკური პოზიციები 20-იანი წლების დასაწყისის ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში, საჭიროა მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსი.

მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების ისტორიულმა პირობებმა ხევსური კაცის უპირველეს მოვალეობად აქცია მამულ-წყლის დაცვა და მტერთაგან ხელშეუხებლობა. დაუწერელი, მაგრამ შეუვალი მორალური კანონით, მისთვის თვით სიცოცხლის გაწირვა აქ რაიმე ვალდებულებად კი არა, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ნორმად ითვლებოდა. ამისთვის ჩნდებოდა, იზრდებოდა და ყა-

ლიბდებოდა ყოველი მამაკაცი. ამას განაპირობებდა ხევსურეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული პირობები. საქართველოს მთიანეთის ამ კუთხეს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდნენ მეტად აგრესიული და მოუსვენარი მეზობელი ტომები, რომლებსაც მუდამ იტაცებდათ სამხრეთის ნაყოფიერი ველები და იოლი ნადავლის სურვილი. თვით ისტორიულმა გარდუვალობამ დააკისრა ხევსურეთს უზრუნველეყო სამშობლო ქვეყნის მშვიდობა და ხელშეუხებლობა ჩრდილოეთის მხრიდან. მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ბარს არ ახსოვს ხევსურეთზე გავლით მტრის დაცემის არც ერთი შემთხვევა. ამავე გარდუვალობამ აქცია ყოველი ხვსური მოვალეობის ღირსეულ გამძღოლად. იგი მუდამჟამს მზად უნდა ყოფილიყო მტერთან შესაბმელად. შემთხვევით არ მოუღწევია უძველესი დროიდან დღემდე ხევსურთა მორალურ-მხედრულ დოგმატს, რომლის მიხედვით მოყმე გორის ფხაზე მთვარის პირველი რკალის გამოჩენისთანავე უნდა წამომხტარიყო ლოგინიდან და მის სრულ ამონვერვამდე მოესწრო ჩაცმა-დახურვა და საომარი საჭურვლით სრული აღკაზმვა (ეს კი სულ ორიოდე წუთია). ამ რიგისა იყო მამა-პაპათა სალაშქრო წვრთნის ნორმები და მოთხოვნები.

მამულისათვის თავს სწირავდნენ დაუფიქრებლად არა მარტო აქ – მთაში, არამედ ბარშიც, მოძმეთა დასახმარებლად. ამის დამადასტურებელი დოკუმენტური ფაქტები მრავლად შემოგვინახა ქართველთა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ.

ისტორიული მისიის გამძღოლად ხევსური მოყმე, როგორც ბიო-სოციალური ფენომენი, ჩამოაყალიბა თვით ობიექტურმა პირობებმა. ბუნების სტიქიისა და სოციალური უსამართლობის კოლოსალურ ძალთა წინააღმდეგ მუდმივმა ტიტანურმა ჭიდილმა იგი შეუდრეკელ მებრძოლად აქცია. ცხადია, ყველა ვერ უძლებდა ბედისმიერ გამოცდას და ბევრი გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე ეცემოდა. მაგრამ კაცობა სწორედ გაძლებას ნიშნავდა და უმრავლესობა უძლებდა კიდეც – „ვინცა მკვდების დავღმარხათ, სხვა კიდევ გაიზრდებისა!" – პრინციპით.

ძველ დროში, ტრადიციულად, ხევსური მამაკაცის მთავარი

სოციალური ფუნქცია იყო მოლაშქრეობა, კაცური ღირსების მთავარი საზომი კი – მამაცობა. იგი საკუთარი მორალური მოვალეობის სრული შეგნებით პირველი დაძახებისთანავე მიდიოდა საქართველოს ომებში ან სათემო-სატომო ლაშქარში საკუთარი აღჭურვილობით, საფერხეთი, საგზლით და ყველა საჭირო ატრიბუტით, რაც მუდამ მომარაგებული უნდა ჰქონოდა. „მთიელებს... სამამაცო საქმეებსა და ომიანობაზე ეჭირათ თვალი ... ოღონდ კი ომიანობის ხმისთვის ყური მოეკრათ და ფიცხლავ მინას თავს მიანებებდნენ და იარაღს აიღებდნენ ხელში"[3].

საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდეგ ცარიზმმა ხევსურეთის თავისთავადობის მოსპობის მიზნით თანდათანობით აქაც შემოიღო „სალდათობა", მეფის არმიაში ჩვეულებრივი სამხედრო გაწვევა და სამსახური. ეს მოვლენა დამკვიდრდა განსაკუთრებით XIX ს-ის ბოლოდან. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურები მუდამ სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ რუსეთისადმი მორჩილებისა და მის არმიაში სამსახურისა (ამის თაობაზე მათ რამდენიმე მასობრივი გამოსვლაც მოაწყეს რევოლუციური აღმავლობის პერიოდში – 1900-1917 წწ.), რომ აღარაფერი ვთქვათ ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ხევსურეთში შემოჭრილ რუსეთის ლაშქართან ცხარე ბრძოლებზე XIX საუკუნეში, საერთოდ არმიაში ნამდვილი სამხედრო სამსახური თავისებური პრესტიჟის საქმედ მიაჩნდათ. ყოფილ ჯარისკაცებს ყოველთვის, ყველგან გამორჩეული ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. აქ გადამწყვეტ როლს ასრულებდა მხედრული თვითსრულყოფის, იარაღის ყოველმხრივი დაუფლების ინტერესები. მათთვის ხომ უზენაესი იარაღის კულტი იყო, სულიერ ღირებულებათაგან კი – ოფიცრის ჩინი. მათთვის ეს გაიგივებული იყო მამაცობის, კაი ყმის, თვით განსწავლულის („ნასწავლის") სახელოვან მდგომარეობასთან. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ამ რუსული ენისა და წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის წრიდან გამოვიდნენ ისეთი ცნობილი ოფიცრები, როგორიც იყვნენ კობა ცის-

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 32.

კარაული (პორუჩიკი), თომა ბალიაური, აბა გიგაური, ხვთისო გოგოჭური, დათვია არაბული და სხვანი.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ გარემოებათა მეშვეობით ლაშქრად ყოფნისას მათ სიკვდილის შიშის ფსიქოლოგიური ბარიერიც კი გადალახული ჰქონდათ. ასეთი სახელოვანი სიკვდილი არა მარტო დიდების საგნად ითვლებოდა, არამედ სულიერი აღმაფრენის უზენაეს წერტილად, მორალური კმაყოფილების ნორმად და თვით ლტოლვის საგნადაც კი. 300 არაგველი განა ამ ნათქვამის დასტური არ არის?

რევოლუციური მოძრაობის დასაწყისიდანვე ხევსურები აქტიურად ჩაებნენ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლამ მკვეთრი, კონკრეტული სახე მიიღო 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შედეგად საქართველოს მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობის დაცვის წლებში.

პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ხევსურების მამაცობას კარგად იცნობდენ იქ მოღვაწე ქართველი ოფიცრები. ამიტომ იყო, რომ მეფის ხელისუფლების დამხობისთანავე და შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის საქმის ორგანიზების პროცესში საქართველოს ეროვნული ჯარისა და გვარდიის ფორმირებისას თვალსაჩინო ადგილი ეკავა ხევსურთა კონტინგენტს. აი, რას იგონებს გენერალი გ. მაზნიაშვილი:

„... ახალი ჯარების მოგროვება კი ვერ ხერხდებოდა (საქმე ეხება საქართველოს ამბებს 1917 წლის ბოლოს – ი. ლ.). ... მეტი ჯანი არ იყო, მივმართეთ ისევ საზოგადო მოღვაწეებს: ჩემი თხოვნით გაიგზავნა ხევსურეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შალვა ქარუმიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხევსურეთში. მოკლე ხანში ჩამოიყვანეს ტფილისში ოთხასამდე ხევსური. ისინი მაშინვე დავაბინავეთ სამხედრო სკოლის შენობაში. დავანაწილეთ გუნდებად, დავუნიშნეთ საკმაო რიცხვი ოფიცრებისა, შევმოსეთ, შევაიარაღეთ და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე შეძლება მოგვეცა გამოგვეყენებინა ისინი სამხედრო ქონების საწყობების სადარაჯოდ"[4].

---

[4] გიორგი მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 16.

ხევსურების გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს თურქეთის ფრონტიდან მომავალი 16 ეშელონისგან თბილისის დასაცავად ორგანიზებულ საარტილერიო ბატარეათა დაცვაში. ეს ბატარეიები განლაგებული იქნენ მახათასა და სოღანლუღის ქედებზე. მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აოხრებისაგან თბილისის გადარჩენაში. რუსულმა ეშელონებმა ველარ გაბედეს ქალაქზე შეტევა და ბაქოსკენ გაემართნენ.

სხვადასხვა რაზმებში გაერთიანებული ხევსურები აქტიურად მონაწილეობდნენ დემოკრატიული საქართველოს ყველა თავდაცვით ბრძოლაში 1917-1921 წლებში. ისინი ძირითადად განაწილებული იყვნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხენოსანთა რაზმში და შალვა ქარუმიძის ფეხოსან ნაწილში. ამ მეთაურებთან მათ აკავშირებდათ საკმაოდ ხანგრძლივი ნაცნობობა და ურთიერთნდობა. უფროსი თაობის ხევსურთა მოგონებებში უხვად ისმოდა ფიცხელ შეტაკებათა დრამატული ეპიზოდები: ოსმალებთან აჭარაში, სომხებთან შულავერში, რუსებთან აფხაზეთში, ოსებთან შიდა ქართლში და ა. შ. ამ ბრძოლებში მათ ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართული იარაღის სადიდებლად. მათი ჯავრიანი მოგონების მუდმივი საგანი იყო დედაქალაქის დაცვისათვის გადახდილი ბრძოლები 1921 წლის თებერვალში. იქნებ კრწანისის ძველი ჭრილობებიდან მოწვეთავდა ეს სისხლი, ახლაც რომ არ აცალეს ბოლომდე ეყარათ ჯავრი ქალაქზე შემოსეულ გადამთიელთა ურდოებზე. „ჩვენ კოჯორზე ვიყვენით გამაგრებულები. რუსის ლაშქარ რო დაგვეც, ისე მაგრად ვიდეგით, რო იქით ჩვენ დამძრავ ძალა არა იყვ. პირველ დღესავ ამავსწყვიტეთა, გადავლალეთ აი გორების მილმ დუნია ლაშქარ-ი, ყვებოდა ხოლმე ჩაჩაურ ლიქოკელი (აძიათ ჩაჩაური) – მეორეს დღეს მაგვაბრუნეს რაადამ, რუსების ჭაჭანება ქვე აღარცა იყვ, გამოგვავლიეს მთელ ქალაქ-ი, მარტო აი დილმის ძირ შაგვაბრუნნ შალვამ, მტერ არ უნდა ჩამაუშვათავ აქავ, მარტო ჩვენ ხევსურნ ვიყვნიდით მამჩალნ-ი, ორმოცდა ათიოდ კაც-ი. გავხენეთ-ა, რო ცხვრის ფარა აისრ კი მაქანევდ ი დილმის მინდორთით „პროშოლების" ჯარი. აბა იმას რას გაუხდებოდით, მავბრუნდით-ა ცხეთისკენ დავიძრენით ჩვენაც. ეესრ, თოფის გაუსრევად ჩააბარეს მთელ ქალა-

ქი. მართლა მელალატეებ იყვნეს ი მენშევიკებ-ი". ახლა მოვუსმინოთ გენ. გ. კვინიტაძეს: „დილმის მინდვრიდან (ნახშირგორასთან) გამოჩნდა ჯერ კიდევ დილით 24 თებერვალს მანგლისიდან ჩამოსული მტერი. მოხევეების პატარა რაზმი შალვა ქარუმიძის მეთაურობით იძულებული იყო დაეხია"[5]. აქ პატივცემულ გენერალს, ჩანს მთიელთა ეთნოგენეზისში ნაკლებად გარკვეულ „ბარელთა" დამახასიათებელი შეცდომა მოსვლია – ხევსურებს მოხევეებს რო უწოდებს. შალვა ქარუმიძისა და ხევსურთა მჭიდრო ურთიერთკავშირი ცნობილია ჯერ კიდევ 900-იანი წლების დასაწყისიდან, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეების განმამტკიცებლად ხევსურთა შორის თვეობით და წლობით ტრიალებდა და მოღვაწეობდა ბატონი შალვა და ბევრი ახლო მეგობარიც ჰყავდა მათ შორის. მენშევიკების მმართველობის წლებში შ. ქარუმიძე და ქ. ჩოლოყაშვილი იყვნენ სამშობლოს დასაცავად ხევსურთა რაზმების დამკომპლექტებლები და ბრძოლებში წარმმართველნიც. ამ აზრსა და განწყობილებას ეხმაურება ყოფილი იუნკრების ნ. მათიკაშვილის და მ. კვალიაშვილის მოგონებაც: „... ჩვენ, უბრალო მხედრებმა, საერთო მდგომარეობისა და შექმნილი საფრთხის შესახებ არაფერი ვიცოდით და სატახტო ქალაქის დატოვებას ვერ ვეგუებოდით. გავცდით რუსთაველის გამზირს, ბოზარჯიანცის ქარხანას, დიდუბეს და წამოვეწიეთ მცხეთისაკენ წესიერად მიმავალ ერთეულებს. ჯარებს ზურგში მოსდევდა და თავდასხმისაგან იცავდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თეთრ ჩოხებში გამოწყობილი ცხენოსანი ასეული..."[6] ამ თეთრჩოხიანთა შორის მრავალი ხევსური იყო.

კომუნისტური რუსეთის თავდასხმის შეტყობისთანავე ხევსურთა ერთი რაზმი კახეთიდან (თეთრწყლებიდან და გომბორიდან) გამოემართა დედაქალაქისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად ლევან გოგოჭურისა და ბაძია ჭინჭარაულს მეთაურობით. ამ 30 კაციანმა ცხენოსანმა რაზმმა საკუთარი ნებითა და ინიციატივით, საომარი მოქმედებისათვის საჭირო

---

[5] გენერალი გ. კვინიტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.
[6] ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები, თბ., 1990, გვ. 20.

ყოველგვარი საშუალებებით აღჭურვილმა, მენშევიკურ ხელისუფლებას ემიგრაციაში გაქცევის წინა წუთებში მიუსწრო მთავრობის სასახლეში და იქცა მათი მცხეთამდე გამცილებლად და დამცველად, ვიდრე მატარებელში არ ჩაიტვირთნენ და გაემგზავრნენ ბათუმისკენ. ამ რაზმის ბევრი წევრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში მანამდეც და შემდეგაც, ხევსურეთის ამბოხებაში. „ყოფილა კი როდისმე, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ხევსურები განზე გამდგარიყვნენ? როცა მეფის დანაბარები მოვიდოდა მთაში: „თავ დამჭირდება ყმისაო..."

მაშინ:

ქალაქს მიუვა ბატონსა ჯოგი ლეგისა მგლისაო"[7].

ამჯერადაც გაცხადდა ეს ისტორიული ტენდენცია.

ხევსურების ძირითადი ნაწილი თან გაჰყვა ქაქუცა ჩოლოყაშვილს ბოლომდე და აქტიური მონაწილეობა მიიღო სამშობლოს გადასარჩენად გამართულ ბრძოლებში, თვით აჭარისა და ბათუმის განთავისუფლებაში. ამ მძიმე დღეებში გამოიჭედა საბოლოოდ ხევსურთა და ქაქუცას საბრძოლო თანამეგობრობა, რომელმაც გაგრძელება ჰპოვა „ძმად შეფიცულთა რაზმის" ჩამოყალიბებასა და ხევსურეთის ამბოხებაში, რაზეც საუბარი გვექნება ქვემოთ. სათავე კი ამ საძმო ურთიერთობას შორეულ წარსულში ჰქონდა. ყველა ხევსურმა (და უეჭველია ქაქუცამაც) იცოდა, რომ ჩოლოყაშვილთა გვარი მოდიოდა ხევსურეთის უკიდურეს ჩრდილო სასაზღვრო ციხე-სიმაგრედან – მუცოს ქავ-ციხიდან, რომლის გორიზი ნაშთები დღესაც ამაყად გადაჰყურებს არღუნის ხეობას![8]

„მცხეთიდან გორამდე უკან დახეული ჯარები თანდათან იშლებოდა. – იგონებს გ. მაზნიაშვილი, – გზადაგზა ჯარისკაცები, ჯერ თითო-თითოდ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად, თავს ანებებდნენ თავის ნაწილებს და თოფებითა და ტყვიისმფრქვევებით მიდიოდნენ

---

[7] გიორგი გოგოჭური, სათავეებთან, 2005, გვ. 244-257.

[8] დ. გოგოჭური, ი. ლიქოკელი, „ხევსურეთის აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილი", ჟურნ. „პოლიტიკა", № 1, 1991, გვ. 64-69.

თავიანთ სოფლებში"[9]. ასე დაბრუნდნენ ხევსურებიც შინ. სოფ. თეთრწყლებში (თელავის მაზრა) მცხოვრებმა გიგია ბიძურას ძე არაბულმა, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის მთელი პერიოდი დასავლეთის ფრონტზე სახელოვნად გაატარა, ბრძოლის დასასრულს, ფრონტის დაშლისას, იარაღთან ერთად შინ მოიყვანა სურამის ქედთან შალვა ქარუმიძის მიერ ნაჩუქარი ცხენიც („ქარუმა"). ხოლო ხევსურეთის სოფ. აკუშოში (ლიქოკის თემი) მცხოვრები აპარეკათ ბათირა შინ დაბრუნდა ტყვიამფრქვევით. იარაღით დაბრუნდნენ სხვა ვეტერანი ლიქოკელებიც: ჭრელიათ ბაბუკა, იმედათ გიგია, მეტსახელად „გერმანია" (გერმანიაში ტყვედ ნამყოფი), ბიენათ ღერენა, აპარეკათ ხახონა და სხვანი.

მენშევიკურ ლაშქარსა და გვარდიაში მონაწილეობდა თითქმის ყველა ბრძოლისუნარიანი ხევსური, რომლებსაც დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და არმიის ხელმძღვანელობა დემობილიზაციის შემდეგ, ფაქტობრივად ბრძოლის წაგებისა და ფრონტის დაშლის პროცესში თოფ-იარაღს, ტყვია-წამალს სახლში ატანდა. ფრონტი კი სწრაფად დაიშალა 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 წითელი არმიის მიერ თბილისის აღებისა და ორი კვირის მანძილზე ქართული ნაწილების დასავლეთის მიმართულებით უკანდახევის პროცესში.

ხევსურებისთვის და არა მარტო მათთვის, იარაღის შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობისათვის მათი მომავალი ბრძოლის საქმეში. ცხადია, ეს გათვალისწინებული ჰქონდა დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობასაც, როცა ამ ნაბიჯს დგამდა. მართლაც, ეს იარაღი სულ მალე ფრიად ნაყოფიერად გამოიყენეს პატრონებმა 1922-1924 წლების ბრძოლებში, ხოლო ხევსურებს, ამის გარდა, იარაღი მუდამ ხელთ უნდა ჰქონოდათ ჩრდილოეთიდან ბოლშევიკებისგან თავდასავაცად. ასეც იყო. იგი მათ მუდამ მზადყოფნაში ჰქონდათ.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა და მთელი პატრიოტული ძალებისათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ კომუ-

---

[9] გიორგი მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

ნისტური რუსეთის ხელმძღვანელობა ადვილად ვერ შეურიგდებოდა საქართველოს გამოსვლას მისი იმპერიიდან და შესაძლებლობის მიცემისთანავე კვლავ შეეცდებოდა ნებით თუ ძალით მის დამორჩილებას. ამიტომ თავიდანვე შეუდგნენ რუსეთისაგან თავდაცვის საქმის მოგვარებასაც. სამხედრო ორგანიზაციის (ეროვნული ლაშქარი და გვარდია) გარდა დაიწყეს ცალკეული შეიარაღებული ერთეულების, ე. წ. „პარტიზანული რაზმების" – მცირე საბრძოლო ჯგუფების ფორმირება. საქართველოს ყველა კუთხეში ენერგიულ მუშაობას ატარებდნენ პოლიტიკური აქტივისტები, რომლებიც ადგილობრივ ბრძოლისუნარიან მოსახლეობას ამზადებდნენ იდეოლოგიურად, იძენდნენ მომხრეებს, ადგენდნენ ტაქტიკურ გეგმებს და სხვ.

ხევსურეთში ორგანიზატორულ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან ნიკო ტლაშაძე (სოც.-ფედერ. პ.), შალვა ქარუმიძე (ერ.-დემოკრ. პ.), ძმები რაზიკაშვილები და სხვები. მათ ადგილზე უკვე ჰყავდათ მოწინავე მებრძოლი აქტივისტები, როგორებიც იყვნენ მამუკა და ლევან გოგოჭურები, სადარა, აკია, ივანე არაბულები, გიგია ჭინჭარაული და სხვები. პირველმკვალავთა ამ ბირთვის ირგვლივ თანდათან გაფართოვდა პოლიტიკურ აქტივისტთა წრე, რომელიც 10-იანი წლების დასაწყისისათვის სერიოზულ საბრძოლო ძალად გადაიქცა.

მთის მოსახლეობის პოლიტიკურ გამოღვიძებას და ამოძრავებას ხელს უწყობდა ხევსურთა ერთი ნაწილის საქართველოს ბარში, უპირატესად კახეთის რაიონებში (თიანეთი, საგარეჯო, თელავი, ახმეტა) ჩასახლება და იქაურ სოციალურ გარემოში მოქცევა. ეს პროცესი სწორედ ამ პერიოდში დაიწყო. მთისა და ბარის ხევსურებს შორის უშუალო კონტაქტები კი თავიდანვე მეტად მტკიცე იყო. ეს ტრადიცია დღესაც ძლიერია.

არსებითად შეიცვალა ვითარება მებრძოლ ძალთა პოზიციებში, განლაგებასა და საბრძოლო სულისკვეთებაში საქართველოს რესპუბლიკის ბოლშევიკური ანექსიის (1921 წ. თებერვალ-მარტი) შემდეგ. ქართული ლაშქრის და ეროვნული გვარდიის ძირითადი შემადგენლობანი ბრძოლით იხევდნენ უკან თბილისიდან ბა-

თუმისაკენ. მარტის 20 რიცხვისათვის ქ. ბათუმი მე-11 არმიის ნაწილებმა აიღეს, საქართველოს მენშევიკური მთავრობა კი 18 მარტს აქედან ემიგრაციაში წავიდა. ბოლშევიკური ხელისუფლების განკარგულებით ქართული ლაშქარი დაიშალა. ამ არმიის მცირე ნაწილი, ცალკეული ოფიცრები დარჩნენ ქართული წითელი არმიის რიგებში.

თავდაცვითი ომი საქართველოს მთავრობამ, მისმა სამხედრო ნაწილებმა წააგეს, დამარცხდნენ უფრო მრავალრიცხოვან და ძლიერ მტერთან ბრძოლაში. ხალხის, პატრიოტი ჯარისკაცების, ოფიცრების საბრძოლო სულისკვეთება კი არ გატეხილა. მათ ფარ-ხმალი თითქმის არასოდეს დაუყრიათ.

არმიის ყველაზე გაბედული ნაწილი ჯერ კიდევ მენშევიკური მმართველობის დროს ირაზმებოდა დამპყრობლის წინააღმდეგ პარტიზანული ომისათვის, თუმცა, რუსეთის არმიასთან, რომელსაც ქართველი გამყიდველები მოუძღოდნენ, პირდაპირი სამხედრო შეტაკების სავალალო ფინალი ეჭვს არ იწვევდა.

როგორც 1922-1924 წლების აჯანყებათა და საერთოდ განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ცნობილი მონაწილე ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის აქტიური წევრი და მისივე მეისტორიე ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებს: „... ეკატერინოფელდში (ბორჩალო) ქაქუცასთან მე ხშირად მქონდა საუბარი. აი, მაშინ მიამბო მან, რომ ჩვენს მხედრობას პარტიზანული ბრძოლების წამოწყება ჰქონდა გადაწყვეტილი და ამ საქმის სათავეში ჩადგომას თვით მას ავალებდნენ... ჯერ პატარა ჯგუფს უნდა მოეყარა თავი... რათა რაზმის შესაქმნელად დაეწყოთ მზადება"[10]. ეს არის 1921 წლის გაზაფხული. ახლად დაკომპლექტებულ ქართულ წითელ არმიაში პატრიოტი გენერლები და ოფიცრები, რომლებიც პირველ ხანებში აქ აგრძელებდნენ სამხედრო სამსახურს, აქვე იწყებდნენ ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის სპეციალური არალეგალური რაზმების ჩამოყალიბებას.

---

[10] ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, ჟურნ. „ცისკარი", № 10, 1990, გვ. 151.

ამ საქმეში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომლის ირგვლივ, როგორც უკვე ნათქვამი იყო, მჭიდროდ დაირაზმნენ გაჯარისკაცებული ხევსურები. ეს რაზმი ჯერ ფაქტობრივად არიერგარდის ფუნქციას ასრულებდა ეროვნული არმიის ბათუმისკენ ბრძოლით უკანდახევის პროცესში, ხოლო შემდეგ წითელი არმიის ნაწილებთან ერთად აჭარის (ბათუმის) ოსმალთაგან განთავისუფლებისთვის ბრძოლებში, რაც სამშობლოს დაცვის პატრიოტული მოვალეობით იყო განპირობებული.

რამდენიმე სიტყვა ქართველ პატრიოტ ოფიცერთა და ჯარისკაცთა ნაწილის საბჭოთა წითელი არმიის რიგებში მოხვედრაზე.

როგორც ითქვა, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის ფინალმა განაპირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქთა შემოჭრა და ქ. ბათუმის, აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის გარკვეული ნაწილის ანექსია. ბათუმიდან ემიგრაციაში გამგზავრების მომენტში მენშევიკურმა ხელისუფლებამ განკარგულება გასცა სამხედრო ნაწილების დემობილიზაციის შესახებ. ბათუმში შესული რუსეთის მე-11 არმიის ნაწილები კი მეტად მცირერიცხოვანი და სუსტი იყო. ყველაფერი ამის შესახებ იცოდა თურქეთის მთავრობამ და დროის დაუკარგავად მოახდინა ქართული ტერიტორიის ანექსია. ამას ხელს უწყობდა კიდევ ერთი გარემოება. ბრესტის ცნობილი ზავით ბოლშევიკურმა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ტაო-კლარჯეთის ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. მგლის მადის მქონე ოსმალებმა, დაინახეს რა ამისათვის მათთვის მეტად ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება, ჩრდილოეთის ნაწილის მიერთებაც იჩქარეს.

მე-11 არმიასთან მებრძოლი ქართული ჯარის გურია-აჭარის ხაზის სამხედრო ნაწილებს სარდლობდა გენერალი გ. მაზნიაშვილი. იგი 17-18 მარტს ავტომატურად გადაერთო თურქთა ნაწილებთან ბრძოლაშიც. ხოლო, როცა ბათუმი ბოლშევიკური რევკომის ხელში გადავიდა, ამ უკანასკნელმა ნება დართო მას თავისი ნაწილებით შეეჩერებინა ოსმალთა შემოტევა და დაებრუნებინა მათ მიერ აღებული ქ. ბათუმი. მაშინ ეს იყო საქართ-

ველოს ერთადერთი რეალური ძალა ადგილზე, რასაც კარგად ხედავდა ყველა მებრძოლი მხარე. ეს მეტად საპასუხისმგებლო ოპერაცია ბრწყინვალედ განახორციელა გენ. გ. მაზნიაშვილმა. აი, როგორ აღწერს ვითარებას ამ გმირობის პირველი პირი: „... რამდენიმე დღის წინათ ბათუმში შემოვიდნენ ოსმალების ჯარები და ქიაზიმ-ბეიმ უკვე გამოაცხადა თავისი თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად...

რევკომს უკვე ჰქონდა ბჭობა, ბათუმიდან ოსმალების განდევნის შესახებ იქ დამსწრე გენერლებთან და დაედგინათ ეს საქმე დაეკისრებინათ ჩემთვის, ე. ი. მეკისრნა ქართული ჯარების სარდლობა. მე ვიფიქრე: ცხადი იყო, ოსმალები თუ გამაგრდებოდნენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ველარ შესძლებდა.

მე ვიცოდი, რომ ოსმალეთს კავშირი ჰქონდა რუსეთთან და რუსეთი ვერ ჩაებმებოდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის ატეხილ ომში.

ყველა ამ ფიქრებმა ელვასავით გამირბინეს თავში, მე გადავწყვიტე, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, საბჭოთა ჯარების მისვლამდე ოსმალები ბათუმის ოლქიდან უნდა გაგვედევნა.

მე მივმართე თ. ჟღენტს (ადგილზე კომუნისტების თავკაცი – ი. ლ.) და ამხანაგებს მოკლე სიტყვით, სხვათა შორის ვთქვი, რომ ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში, ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს და თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერალიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე, უწინდელი სამსახურისათვის არ იქნება დასჯილი, მე მზადა ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგები სამხედრო მოქმედებას ოსმალების წინააღმდეგ. ამასთან გამოვთქვი იმედი, რომ ყველა იქ დამსწრე ჩემი თანამოსამსახურენი იზიარებენ ჩემს აზრს.

ყველა იქ დამსწრე ოფიცრებმა დაადასტურეს ჩემი აზრი.

თენგიზ ჟღენტმა რევკომის სახელით მიპასუხა, რომ არც ერთი ჯარისკაცი მენშევიკებთან სამსახურისათვის არავითარ სასჯელს არ მიიღებს, და რომ ამის შესახებ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკვე გამოსცა მანიფესტი"[11].

შედეგი ის იყო, რომ ორიოდე დღეში თურქები განადგურებული იქნენ ბათუმის რაიონში და განიდევნენ აჭარიდან. ქართველი გენერლის მოგონებათა ამ ნაწილში ასახულია ჩვენთვის საინტერესო საკითხთა ფართო წრე: რეალური სამხედრო ოპერატიული მდგომარეობა აჭარაში, მენშევიკური არმიის ყოფილი ოფიცრების სამხედრო-პოლიტიკური პოზიციები, ბოლშევიკური ხელისუფლების კურსი მათ მიმართ და სხვ. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ შედარებით ვრცელი ამონაწერის აქ მოტანა.

რაც შეეხება საქართველოს არმიის საკადრო კონტინგენტის კონკრეტულ პოლიტიკურ პოზიციას საბჭოთა საქართველოს პირველი დღეებიდანვე, ის გამოხატული იყო ორი ტენდენციით. უპირველესი იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებული საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისადმი მხედრული სამსახური. სამხედრო ფორმირებებში ამისათვის ფარული მუშაობა, ჯარისკაცთა მასის სათანადო პოლიტიკური და ტაქტიკური მომზადება. მათი უმრავლესობა, ისევე როგორც ყველა ნამდვილი ქართველი, ერთი დღითაც არ შერიგებია დამპყრობლისადმი უსიტყვო მორჩილებას, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას. მათზე უკეთესად ვის შეიძლებოდა სცოდნოდა ამ საქმეში განვრთნილი, კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალების მნიშვნელობის შესახებ.

მათ ამოძრავებდათ მეორე მიმართულების, აგრეთვე სამხედრო-პატრიოტული მოტივი. ხედავდნენ, რომ საქართველო ვერ ასცდებოდა და ვერც ასცდა რევოლუციური კატაკლიზმებისათვის დამახასიათებელ ტერიტორიულ მსხვერპლშეწირვას. საბჭოურ სისტემასთან ერთად მისი ტერიტორიის მისატაცებლად შემოდიოდნენ მეზობელი ქვეყნების: ჩრდილო-დასავლეთიდან რუსეთის, სამხრეთ-დასავლეთიდან თურქეთის, სამხრეთიდან სომხეთის, ალ-

---

[11] გიორგი მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 200, 201.

მოსავლეთიდან აზერბაიჯანის, ჩრდილოეთიდან ოსეთის დამპყრობლური ჯარები. ქართულ მხედრობას თავის უშუალო მოვალეობად მიაჩნდა მამა-პაპათა მიწა-წყლის დაცვა. ხედავდნენ, ცხადია, რომ ამას ყველაზე უკეთ თვითონ შეძლებდნენ, როგორც მოქმედი არმიის მებრძოლები. ამ მხრივ მათ ილუზიებს აძლიერებდა ბოლშევიკური ნაცადი დემაგოგიაც: „ამხანაგებო, ჩვენ, ბოლშევიკები, დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს საქართველო და მისი არმია, ვიდრე მენშევიკებს"[12] – ჰპირდებოდა არმიელებს ბათუმში 1921 წლის 18 მარტის კრიტიკულ წუთებში იქაური რევკომის წევრი თ. ჟღენტი.

ამ სიტუაციის ამსახველია ასეთი ფაქტი: ბათუმისთვის გადამწყვეტ წუთებში იქ გაჩნდა ცნობილი ბოლშევიკი, კავალერისტი ჟლობა თავისი ცხენოსანთა კორპუსით (ის ჯავახეთიდან გოდერძის უღელტეხილით გადავიდა აჭარაში) და აქტიურად ჩაერთო თურქულ ნაწილებთან ბრძოლაში. „ბათუმში შეხვდა იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მეფის არმიის მამაცი მხედრის დანახვაზე სიხარული ვერ დამალა. სთხოვა კიდეც, ჩემი ასეული ჩაიბარეო, მაგრამ სხვა გეგმებითა და ზრახვებით შეპყრობილი ქაქუცა თბილისში გამობრუნდა პოლკთან ერთად"[13]. ჩოლოყაშვილის ეს გეგმები, ცხადია, აჭარის პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ სწორედ რუსეთის სამხედრო ძალებთან ბრძოლა იყო და აბა მასთან როგორღა გაერთიანდებოდა.

პირველ ხანებში აი, ასეთ გარემოებათა გამო გააგრძელა ქართული მენშევიკური არმიის ოფიცრობისა და ჯარისკაცთა ერთმა ნაწილმა საქართველოს წითელ არმიაში სამხედრო სამსახური. მათ თავიანთი მთავარი მიზნისათვის არ უღალატიათ და საკმაოდ სერიოზული სამსახური გაუწიეს საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობის ალმავლობას, კერძოდ, 1922-1924 წლების აჯანყებათა მომზადება-განხორციელების საქმეს. ამისათვის მათი უდიდესი უმრავლესობა მსხვერპლად შეეწირა წმიდათაწმიდა

[12] გიორგი მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 201.
[13] რეზო ჭეიშვილი, „რკინის სახკომი", ჟურნ. განთიადი, №1, 1989, გვ. 38.

მოვალეობის აღსრულებას ცნობილი 20-იანი და 30-იანი წლების ბოლშევიკური რეპრესიების დროს. თითოეული მათგანის ბედი წვეთი წყალივით ჰგავს უკვე მოხსენიებული სახელოვანი პატრიოტის გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხვედრს. მისივე სიტყვებით დამოწმებული 1923 წლის ოფიციალური ინფორმაცია გვაუწყებს, რომ მას 1921 წელს საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გადაწყვეტილი ჰქონდა გამასწორებელ სახლში 5 წლით დატუსალება კონტრრევოლუციონერობისათვის და შემდეგ განთავისუფლებული იყო ამნისტიის ძალით. გამოძიების დროს გამოირკვა, რომ გ. მაზნიაშვილმა, სანამ საქართველოს საგანგებო კომისია მას დაატუსალებდა, საქართველოს წითელი არმიის დივიზიის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის დროს, მისცა თავისი თანხმობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტს, მიელო თავის თავზე განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და როდესაც ციხიდან განთავისუფლდა, კავშირი ჰქონდა სამხედრო ორგანიზაციასთან. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ, რადგანაც მას დამსახურება მიუძღვოდა საქართველოში საბჭოთა გადატრიალების დროს, უმაღლესი სასჯელი შეუცვალეს საქართველოს საზღვრებიდან 5 წლით გაძევებით[14]. ეს სასჯელი მას დაადვეს 1923 წლის მაისში, საქართველოში 1922 წლის აჯანყების მომზადებისთვის შექმნილი სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად. მაშინ გ. მაზნიაშვილი თითქო იოლად გადარჩა, მაგრამ ბოლშევიკები და ჩეკა ვის რას აპატიებდნენ, მომდევნო წლებში ყველა ისინი მაინც დასაჯეს სიკვდილით.

საქართველოში მოქმედი ეროვნული პოლიტიკური ძალების (პარტიების) და აღნიშნული სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულმა განმათავისუფლებელ აჯანყებათა მძლავრმა ქარიშხალმა გადაუარა საქართველოს ტერიტორიას 1922-1924 წლებში. ამათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური იყო 1922 წლის ხევსურეთის ამბოხება.

---

[14] გიორგი მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 214, 215.

* * *

უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია გაირკვეს ხევსურეთის 1922 წლის აჯანყების (ამბოხების) სახელით ცნობილი პოლიტიკური მოვლენის რაობა, მისი ფორმა და შინაარსი. წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არა იმდენად აჯანყება, რამდენადაც თავდაცვითი ომი, რომელიც თითქმის მთელი ზაფხული მიმდინარეობდა. აჯანყება ჰქვია ისეთ მოვლენას, როდესაც უცხო მტრული ძალის გავლენის, ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხი დაირაზმება ერთიანი განმათავისუფლებელი იდეის საფუძველზე (შეიძლება სტიქიურად, წინასწარ მოუმზადებლადაც აღსდგეს) და იწყებს იარაღით ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მათი განადგურება-განდევნით ეროვნული თუ სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად. ხევსურთა აღნიშნული ბრძოლა კი დასაპყრობად მოსული მტრის მოგერიების და განადგურებისთვის წარმოებული ხანგრძლივი ომი იყო, რომელიც ცალკეული ეტაპების – ბრძოლებისა და ოპერაციებისაგან შედგებოდა; ჰქონდა თავისი ოპერატიული გეგმა და ღრმა სოციალურ-პოლიტიკური შედეგები. აჯანყება კი მას შეიძლება მხოლოდ პირობითად ვუწოდოთ, რამდენადაც თავდაპირველი გეგმის მიხედვით მისით უნდა დაწყებულიყო რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად საერთო-სახალხო აჯანყება, რაც სინამდვილეში ვერ განხორციელდა. ამ პრეამბულის დადასტურების ცდაა ეს წიგნი.

* * *

რა მდგომარეობაში იყო ხევსურეთი 1922 წლის ზაფხულისათვის, ბრძოლის დაწყების წინ?

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის არმიებმა საქართველოს ანექსია განახორციელეს. ერთი წლის მანძილზე სამხედრო ძალის გამოყენებით საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე დამყარდა ბოლშევიკური რეჟიმი. შეიქმნა სოციალისტური საბჭოთა მმართველობა. ქვეყანა იძულებით დაემორჩილა სამხედრო ძალას.

აღნიშნულის მიუხედავად, ჯერ კიდევ რჩებოდა ცალკეული

დაშორებული კუთხე-კუნჭულები, სადაც დამპყრობელს ვერ შეეღწია, არ დაემყარებინა მათებური ადგილობრივი მმართველობა. სწორედ ასეთი კუნძული იყო ხევსურეთი 1922 წლის პირველ ნახევარში. ასეთ ვითარებას ისტორიული ტრადიციაც განაპირობებდა. ხევსურეთი მეტად თავისებური გეოპოლიტიკური მდგომარეობის წყალობით ფაქტობრივად თავისუფალი, ოფიციალურ მმართველობის გარეშე მყოფი კუთხე იყო მუდამ. ასე იყო წინა (მენშევიკური) ხელისუფლების დროსაც. ხევსურები ცხოვრობდნენ მარტივი, ტრადიციული თემური თვითმმართველობის წესებით, ვერ ჰგუობდნენ ლეგიტიმური ხელისუფლების ძალმომრეობას და მაინცდამაინც არც არავინ ერეოდა ამ უდიდეს სიდუხჭირეში მცხოვრები ტანჯული ხალხის არსებობასა და განმგებლობაში. მაგრამ ბოლშევიკები რის ბოლშევიკები იქნებოდნენ, რომ ვინმე სადმე დაეტოვებინათ დაუმორჩილებელი და ულელდაუდგმელი. მათ ამ დროისათვის შეაღწიეს ხევსურეთის უშუალო მეზობელ კუთხეებში – ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავში და ყველგან საბჭოური მართვა-გამგებლობა დაანესეს, რომ იტყვიან – მიადგნენ ხევსურების კარს.

ხევსურეთის თავისუფლებას საფრთხე დაემუქრა.

საქართველოში ბოლშევიკური მმართველობის ერთი წლის მანძილზე თვით ხევსურებისთვისაც ნათელი გახდა მათი პოლიტიკური კურსი და რეალური საქმენი. თუ გადატრიალების წინა პერიოდში ზოგადი კომუნისტური ლოზუნგები – „თავისუფლება მშრომელ მასებს", „მიწა გლეხებს!", „ეროვნული თავისუფლება და თანასწორობა ხალხებს!" ხევსურების ყურადღებასაც იქცევდა, ძირითადად ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მიწით უზრუნველყოფის იმედით, გაბატონების შემდეგ კომუნისტურმა პრაქტიკამ სხვანაირი სახე მიიღო. სახელდობრ, გაქელილი აღმოჩნდა ეროვნული სუვერენიტეტი. დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო შეიცვალა მარიონეტულ-ბოლშევიკური სუროგატით. წინა სამ წელში ეროვნულ თავისუფლებას ნაზიარები ხალხისათვის, რომელიც დამოუკიდებლობის გზაზე დადგომით საუკუნეობით ნანატრი მიზნების განხორციელებაზე ოცნებობდა, კვლავ მონობისა და დამცირების ხანა დაიწყო. ხევსურეთისათვის

უცხო უხეში ძალისადმი ქვეშევრდომობა სიკვდილს უდრიდა. მათთვის განუყოფლად ბატონობდა პრინციპი: „თუ ცოცხალი ვარ, თავზე ვერავის დავისვამ!“ სიცოცხლეს კი მეტად ძვირად აფასებდნენ. მეორე მხრივ, ბარში დაიწყო მიწის კერძო საკუთრების გაუქმება და მფლობელთა მასობრივი განადგურება. ამ დროისათვის ხევსურეთის მოსახლეობას უკვე ჰქონდა მჭიდრო კავშირი საქართველოს ბართან. ისინი ყველაფერს ზედმიწევნით ზუსტად იგებდნენ ქართლსა და კახეთში ჩასახლებული თანამოძმეებისაგან. ხევსურეთში მცხოვრები ადამიანისთვის მიწის საკუთრება – თავისი მამული, – ისეთივე უპირველესი სასიცოცხლო პირობა იყო, როგორც ჰაერი და წყალი. ცოცხალი თავით იგი აბა, როგორ შეელეოდა მას.

იყო მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოტივიც, მორალური მოტივი. ხევსურები საუკუნეთა წიაღიდან ამ დრომდე მოვიდნენ, შეიძლება ითქვას, ურყევი პატრიარქალური, კონსერვატიული თვითშეგნებით და ზნეობრივი ნორმებით. მათთვის უმთავრესი სულიერი კრედო იყო ტრადიციულის (ძველის, ქართულის, ქრისტიანულის) მტკიცედ დაცვა და შეუბღალავად გადაცემა შთამომავლობისათვის. ბოლშევიკური წეს-წყობილების დამყარება ფაქტობრივად რუსული მორალის გაბატონება იყო. რუსული ადათწესები („რუსობა“) კი აქ ამორალიზმად ითვლებოდა, ხალხის გადარჯულების, სრული გადაშენების მნიშვნელობით აღიქმებოდა. ხევსურის შეგნებისთვის ეს კატეგორიულად მიუღებელი იყო.

რუსეთის ქვეშევრდომობისადმი, მათზე დამოკიდებულების გამომხატველი უმძიმესი განცდები შემოგვინახა მდიდარმა ხევსურულმა ფოლკლორმა. საკუთარი ტრადიციული სახელმწიფოებრიობის მონატრული ხევსური ბრაზიანად ტუქსავს რუსულ იმპერიალიზმს:

„შენ არც ტკბილ გვინდა, არც მწარე,
ფიცი გვწამს და ბოლო ჩინსა
გულ მოგვიკალ, მუხლი მოგვჭერ,
სისხლი გამაგვიშრებისა.
ღმერთო, რად არ გაგვიცოცხლებ
ერეკლეს, იმ წინა გმირსა,

ქართველთ გული, შენზედ წყლული
შენ გიგონებს, შენზე სტირსა.
სისხლ-ხორცამდე გაგვატყავეს
შენნი ყმანი ერეკლისა.
ყორნების საჭმელად გავხდით
ყრმანი მძლავრის არწივისა."

„სირცხვილ-ნამუსი აღარ არს, რაკი რუსობა მავიდა" – გოდებს მეორე ლექსი.

ამ გარემოებათა ერთობლიობით დადგა ყოფნა-არყოფნის ჟამი; და ხევსურმაც აისხა იარაღი!

ხევსურებისთვის, ამ პატრიარქალურ-ტრადიციული თვითშეგნების ხალხისთვის ყველაზე მძიმე იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისთავადობის დაკარგვა, ღვთით გამწესებული საკუთარი ხელმწიფობის (სახელმწიფოებრიობის) მოშლა, თავიდან შეპირებული ბაგრატიონთა ტახტის შენარჩუნების ვერაგული დარღვევა და რუსული კანონების გამწესება. დამპყრობლისადმი ამის პატიება ხევსურის შეგნებაში ვერ თავსდებოდა. 1922 წლის ომზე მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილის თათარ ლიქოკელის (აძიათ თათარი) ცნობილი ლექსის ლეიტმოტივი, ომის მიზეზის მითითებით, სწორედ ამაზე მეტყველებს: ხევსურები „... ძალს შაუდგეს მთავრობასა – ხელმწიფობა სად არიო!" აქვე ვიტყვით, ამ ლექსის ტაეპები აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული ნაშრომის სათანადო მონაკვეთებს.

ბოლშევიკური ძალმომრეობის დამყარებისთანავე საქართველოში არსებულმა ყველა რეალურმა ძალამ ობიექტურ გარემოებათა ძალით იწყო დამოუკიდებელი მზადება ქვეყნის თავისუფლების აღსადგენად. საქმის წარმატება დამოკიდებული იყო ერის წარმმართველი პატრიოტული პოლიტიკური ძალების, ძირითადად პარტიების უნარზე. სამწუხაროდ, ეს უნარი არცთუ დიდი იყო. არ იყო იმის გამო, რომ მისი ერთი ნაწილი იძულებით წავიდა ემიგრაციაში, ხოლო დარჩენილ ნაწილს ბოლშევიკური რეაქცია ანადგურებდა მთელი სისასტიკით, იყო სხვა, სუბიექტური მიზეზებიც.

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად საქართველოში დარჩენილმა არალეგალური პოლიტიკური პარტიების მოქმედმა ცენტრებმა თავიდანვე დაიწყეს განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი ფრონტის შექმნისათვის ზრუნვა. 1922 წლის გაზაფხულისთვის მათ უკვე მიაღწიეს შეთანხმებას მოძრაობის საერთო ცენტრის შექმნის თაობაზე, ხოლო იმავე წლის აგვისტოსთვის ჩამოყალიბებული იყო ეს ორგანო — საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომი) სახელწოდებით (იგივე პარიტეტული ანუ ინტერპარტიული კომიტეტი — ოფიციალური საბჭოთა ორგანოების მიხედვით). დამკომის წევრები იყვნენ: გ. ფაღავა (სდ. პარტ-გან), ის. ჯავახიშვილი (ერ. დემ. პარ-გან), გრ. რცხილაძე (სოც. ფედ. პ-გან), ი. გობეჩია (ესერ. პ-გან) და მ. ხოჭოლავა („სხიველებისგან")[15].

სამხედრო ოპერაციებისადმი ხელმძღვანელობისათვის დამკომთან ჩამოყალიბდა სამხედრო ცენტრიც, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მარტში გ. ფაღავას მიერ ჩატარებულ სამხედრო სპეციალისტთა თათბირზე, სადაც უფროსი ოფიცრების: ვ. წულუკიძის, რ. მუსხელიშვილის, ალ. ანდრონიკაშვილის, გ. ხიმშიაშვილის შემადგენლობით გაფორმდა ეს ორგანო. ცენტრის მეთაურად დაინიშნა გენ. „კონსტ. აფხაზი, თავადაზნაურობის ყოფ. მარშალი (ი. ჭავჭავაძის დისშვილი)[16].

დამკომის თავმჯდომარის ადგილი მუდამ ეჭირა სდ პარტიის წარმომადგენელს, ასეთი თანამიმდევრობით: გ. ფაღავა, ნ. ქარციაძე, ალ. ანდრონიკაშვილი (ისინი ჩქარ-ჩქარა ცვლიდნენ ურთიერთს ჩავარდნის კვალობაზე). სამხედრო ცენტრში კი ერ. დემოკ. პარტია დომინირებდა.

ამის პარალელურად ბრძოლისთვის მზადება ცალკეულ უბნებზე საკმაოდ ინტენსიურად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა. ასეთი ორგანიზაციის ერთ-ერთი პირველი ჩანასახი იყო ქართული ცხენოსანი გვარდიის ათასეულის ბირთვი ცნობილი სამხედ-

---

[15] საქმე ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტ. კომიტეტის შესახებ (საბრ. დასკვ.), იუსტ. სახ. კომ-ტის გამ. ტფ., 1925, გვ. 4-6 (შემდეგ: „საქმე...").
[16] იქვე, გვ. 14.

რო მეთაურების: გენერალ დავით ჭავჭავაძის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის, ოფიცრების: შალვა ფავლენიშვილის, შალვა ფალავანდიშვილის, ელიზბარ ვაჩნაძის, ალექსანდრე სულხანიშვილის და სხვათა ხელმძღვანელობით. მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ კომიტეტთანაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი კ. აფხაზი. 1921 წლის გაზაფხულზე ეს ბირთვი შედგებოდა სულ რამდენიმე კაცისაგან და სრული კონსპირაციის პირობებში ამზადებდა სანდო ოფიცრებსა და მოწინავე ჯარისკაცებს პარტიზანული რაზმების ჩამოსაყალიბებლად. ზაფხულის დასაწყისში ცხენოსანთა ათასეული დისლოცირებული იქნა კახეთის რაიონებში (გურჯაანი, ყვარელი). აქ გაიშალა ფართო მუშაობა არალეგალურ პარტიზანულ რაზმში კახეთის ადგილობრივი სოფლელი პატრიოტების ჩასაბმელადაც. ამისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ რაზმის ორგანიზატორები ძირითადად კახელები იყვნენ და ფართო ნათესაობა და ნაცნობ-მეგობრობა ჰყავდათ აქაურ სოფლებში.

1921 წლის ზაფხულისათვის კახეთში პარტიზანული რაზმის შესაქმნელად საფუძვლები უკვე ჩაყრილი იყო. მისი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი, ერის უმაღლესი სამხედრო წარმომადგენლობის ჩანაფიქრისამებრ, გახდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ქაიხოსრო იოსების-ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა 1880 წელს თელავის მაზრის ეგზოტიკურ სოფელ მატანში (ამჟამად ახმეტის რაიონშია). ჩოლოყაშვილების გვარი საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი ისტორიული გვარია თავისი არისტოკრატიულ-პრივილეგიური წარმომავლობით. მან სამშობლოს მისცა ბევრი ცნობილი სახელმწიფო, სამხედრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე. ისტორიული გადმოცემის თანახმად, გვარის ფესვები ხევსურული წარმოშობისაა.

ქაიხოსრომ, რომელსაც ბავშვობაში მჩქეფარე ბუნების გამო შინაურებმა „ქაქუცა" შეარქვეს და რაც გაჰყვა კიდეც მას სიცოცხლის ბოლომდე, მიიღო იმ დროისათვის სრულყოფილი განათლება. სწავლობდა ჯერ თელავის, შემდეგ თბილისის გიმნაზიებში. ბოლოს კი გაიარა სამხედრო სამსახურის გრძელი გზა, სადაც მიაღწია კავალერიის პოლკოვნიკის ჩინამდე.

მან ბავშვობა მშობლიურ სოფელ მატანში გაატარა, ხოლო დაოჯახების შემდეგ ფაქტობრივად ცხოვრობდა მეუღლის – ნინო მელვინეთუხუცესის ოჯახში – სოფ. ანყურში (თელავის მაზრა). კახეთის, კერძოდ მისი საცხოვრებელი სოფლების ზღაპრული სილამაზე და ხალხის სულიერი სიმაღლე-სისპეტაკე გენიალოგიურ ფაქტორებთან ერთად იქცნენ ფიზიკურად ამ უზადო კაცის მორალური სრულყოფილების საფუძვლად. წინაპართა უკვდავმა გენმა და საყვარელი სამშობლოს ძნელბედობამ მასში შეუდრეკელი რაინდის სული ჩამოაყალიბა.

რაზმის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი და მეთაურის ყველაზე ახლო მეგობარი და თანაშემწე იყო კახელი აზნაურიშვილი ალექსანდრე (საშა) ივანეს-ძე სულხანიშვილი. იგი გახლდათ პიროვნება, რომელიც ადრეული ახალგაზრდობის წლებიდანვე იცნობდა და მეგობრობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ხოლო შემდეგ მისი მუდმივი თანამგზავრი და თანამებრძოლი გახდა.

ალ. სულხანიშვილი დაბადებული და გაზრდილი იყო თელავის მაზრის სოფ. ანყურში (ამჟამად ახმეტის რაიონშია). ქაქუცასა და საშას ნაცნობობა-მეგობრობის სათავეც აქ იწყება. შემდგომში ისინი სამხედრო სარბიელზე, ქართველ ცხენოსანთა ათასეულში სამუდამოდ დაუკავშირდნენ ურთიერთს დამოუკიდებელი საქართველოს კვირაძალზე – 1921 წლის დასაწყისში და აქედან დაწყებული მთელი სიცოცხლის მანძილზე განუყრელად იბრძოდნენ ტანჯული სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ალ. სულხანიშვილი, რომელსაც ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბედმა არგუნა მსოფლიოს ეკლიან გზებზე მრავალი ძნელი გამოცდის ჩაბარება, იქნებოდა ეს საყვარელი უფროსი მეგობრის ძვლების უცხო მიწისათვის მიბარება თუ 90 წლის ასაკში საკუთარი ტანჯული ძვლების სანატრელ მშობლიურ მიწამდე მიტანა, გახდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის საგმირო საქმეთა ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური შემფასებელი და იმ გმირული დღეების მართალი ისტორიის მომწოდებელი. მისი მოგონებები შეფიცულთა რაზმზე წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევის ერთ-ერთ ყველაზე სანდო დოკუმენტურ წყაროს.

ალექსანდრე სულხანიშვილის, საქართველოს 1922-1924 წლების განმათავისუფლებელი ბრძოლების სხვა ჯერ კიდევ ცოცხალი მონაწილეების, მაშინდელ სამხედრო პირთა მოგონებებისა და ადმინისტრაციულ ორგანოთა დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება იმ გმირული ბრძოლების საკმაოდ სრული სურათისა და ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის დრამატული ბიოგრაფიის აღდგენა. რადგან შეფიცულთა სახელით ცნობილი ქაქუცას რაზმის მთელი ისტორია, დაწყებული ნათლობიდან დამთავრებული საქართველოს მიწაზე გატარებული უკანასკნელი დღით, განუყრელადაა გადაჯაჭვული ხევსურებთან, ხოლო რაზმის მოქმედების ერთ-ერთი ყველაზე გმირული ფურცელი ხევსურეთის ომში მონაწილეობაა, ძალაუნებურად საჭირო ხდება რაზმის ისტორიის შედარებით ფართოდ მიმოხილვა. კარგად უნდა გაირკვეს ხევსურეთის ამ ისტორიული ბრძოლის მომზადების, მიმდინარეობისა და შედეგებში ქაქუცასა და მისი რაზმის როლი და ადგილი, ასევე ხევსურების მონაწილეობის საკითხი ამ რაზმის ცხოვრებასა და სხვა ბრძოლებში.

## ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმი და ხევსურები

როგორც უკვე აღინიშნა, საბრძოლო პარტიზანული რაზმების შექმნის იდეა პირველად ეროვნულ სამხედრო ნაწილებში ჩაისახა. ქართული ცხენოსანი ათასეულის კახეთში ყოფნისას, 1921 წლის ივლისში ძმების ქაქუცა და სიკო ჩოლოყაშვილების, ალექსანდრე სულხანიშვილის და სხვათა ინიციატივით კახეთის რაიონებში უკვე შეიქმნა განმათავისუფლებელი მოძრაობის მომხრეთა ფართო ქსელი. დაიწყო მცირერიცხოვანი ოპერატიული ჯგუფების ჩამოყალიბება, იარაღით მომარაგება და სხვ. როგორც ალ. სულხანიშვილი იგონებს, ათასეულის თბილისიდან გურჯაანში ჩასვლისთანავე მან საბრძოლო ვაზნებით დატვირთული ერთი ურემი თავის სოფელ ანყურში გააგზავნა საიდუმლოდ მომავალი ოპერაციების საჭიროებისათვის (იგი განაგებდა იარაღის საწყობს). „... კახეთში შეიქმნა ორგანიზაციის ვრცელი ქსელი... რაკი ერთი ხმა გავარდა, ქაქუცა პარტიზანულ რაზმებს აყალიბებსო... ყველა ერთ კაცებრ დადგა ფეხზედ... სურსათ-სანოვაგეს ჩვენ თვითონვე – ქაქუცა, მისი ძმა სიკო და მე ვშოულობდით.

... ყოველ სოფელში იყვნენ დანიშნული ათისთავები და ასისთავები. დანარჩენ საქართველოში, სადაც ხელი არ მიგვიწვდებოდა, ქაქუცა სანდო პირებს გზავნიდა და ამნაირად ამყარებდა კავშირს მათთან“[17]. ამ შემთხვევაში, საბრძოლო-ორგანიზაციული საქმიანობა ძირითადად ეხება აღმოსავლეთ საქართველოს, კახეთს და ქართლს. „... ჩვენ საკუთარი ფარული ორგანიზაციებით გვქონდა მორწყული არა მარტო კახეთი, არამედ დუშეთისა და გორის მაზრებიც“[18].

---

[17] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრომი, ჟურნ. „ცისკარი“, გვ. 152.
[18] იქვე, გვ. 154.

ამავე წლის აგვისტოში ცხენოსანთა ათასეული თბილისში გადაიყვანეს. განხორციელდა რევოლუციურ ძალთა ოპერატიული გადანაწილება. ქაქუცა საერთოდ წავიდა კახეთში და რადგან ექვემიტანილი იყო, დაანება რა თავი სამხედრო სამსახურს, არალეგალურ ცხოვრებასა და მუშაობაზე გადავიდა. სამხედრო ნაწილში თავისუფლებისათვის მებრძოლთა მომზადება ჯარისკაცებს შორის დაევალა ალ. სულხანიშვილს, რომელიც ამ დროს მეტყვიამფრქვევეთა გუნდის უფროსის მოადგილედ იყო გამწესებული. მას თითქმის ცხენოსანთა მთელი ასეული ჰყავდა მომზადებული დაძახებისთანავე აჯანყებაში მონაწილეობისათვის. თავდაპირველი გეგმის მიხედვით საერთო ეროვნული აჯანყება ნაგულისხმევი იყო 1922 წლის გაზაფხულზე (მარტი – აპრილი) და კახეთიდან ქაქუცას მიერ შეტყობინებისთანავე ეს ცხენოსანი ნაწილი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა შეერთებოდა აჯანყებულთა პერიფერიულ რაზმებს.

საბჭოთა განმგებლობაში მყოფი სამხედრო ნაწილის წიაღში ასეთი მონინააღმდეგე მებრძოლი ერთეულის მომზადება შესაძლებელი გახდა ბოლშევიკური სამხედრო ძალების სისუსტითა და იმით, რომ ქართული კადრის ნაწილები თავიანთი ოფიცრებით ძირითადად პატრიოტულად იყვნენ განწყობილნი. თვით მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობაც თანაუგრძნობდა და მონაწილეობდა ამ სამზადისში. მათ რიცხვში იყო არმიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მათგანს ამის გამო სულ მალე საკუთარი სიცოცხლით მოუხდა პასუხისგება.

1922 წლის დასაწყისში ქაქუცა ხელისუფლებისაგან დევნის გამო იძულებულია მთლიანად გადავიდეს არალეგალურ ცხოვრებაზე და მამაცთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად იწყოს საველე პარტიზანული მოქმედება. ისინი დაბანაკდნენ სანდო მთიელების – თუშების (სოფ. ალვანის) სიახლოვეს. ეს იყო შეიდკაციანი ჯგუფი, რომელიც მალე თავის მრავალრიცხოვან მომხრეებთან და თანამგრძნობებთან ერთად მრისხანე საბრძოლო ძალად გადაიქცა. ამ თავდაპირველ შვიდეულში შედიოდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ის ქიზიყელი ვაჟკაცები, რომლებმაც იგი სიღ-

ნალის საპყრობილედან გაათავისუფლეს და თვითონაც თან გაჰყვნენ: მიხა ბალიაშვილი, ვასო თამაზაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მიშა ნაცვლიშვილი, ს. ჩითინაშვილი და ქარუმა მაძღარაშვილი (ქიზიყელი ბიჭი)[19]. ჯგუფი სწრაფად იზრდებოდა რიცხვობრივად და თავისი წყობით და შინაგანაწესით ნამდვილი სამხედრო ორგანიზაციის სახეს იღებდა. ოფიციალურ დოკუმენტებში და ხალხში მას თავიდანვე კახეთის პარტიზანულ რაზმად მოიხსენიებდნენ.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ადრე ჩანაფიქრის განხორციელება – ქაქუცას რაზმთან ალ. სულხანიშვილის მეთაურობით სამხედროთა მთელი გუნდის შეერთებისა. 1922 წლის დასაწყისში მათი საიდუმლო გამოაშკარავდა და დაპატიმრებას რომ გადარჩენოდა ალ. სულხანიშვილი მხოლოდ 12 კაცით (როგორც თვითონ იგონებს) თბილისიდან საიდუმლო გზებით, – ერწოთიანეთზე გავლით – კახეთისაკენ გაიქცა. მართალია, მათ თავიანთი პირადი იარაღი თან წაიღეს, მაგრამ ვერ მოახერხეს ცხენების წაყვანა, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდათ. ცხადია, არსებულ ვითარებაში ცხენები არც გამოადგებოდათ, დაბრკოლებას კი, ალბათ, ბევრს შეუქმნიდა გზაზე და ადგილზე, კახეთში.

ამ ჯგუფის შემადგენლობის, მის მიერ ნამებით გავლილი გზის, მოქმედების დროის და სხვა დეტალების თვალსაზრისით მეტად ყურადსაღებია ერთი გარემოება. ამჟამად ხელთა გვაქვს ორი დოკუმენტური მასალა, რომელთა შეჯერებით შესაძლებელი ხდება ჭეშმარიტების დადგენა. ალ. სულხანიშვილის სიტყვით, მას მოულოდნელად მოუხდა 12 კაცით თბილისიდან კახეთისკენ წასვლა და დიდხანს ნამებით ხეტიალის შემდეგ ჩასვლა ადგილზე, თიანეთის რაიონის გავლით. აღწერილია გზაზე მისი გუნდის დაშლა და მისი ერთი ხევსურის ანაბარა დარჩენა, რომელმაც ბოლომდე უერთგულა მას. ამ კაცის ვინაობას კი არ ამხელს მოგონების ავტორი.

ახლახან აღმოჩნდა ხევსურეთში საყოველთაოდ ცნობილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლი ხევსურის, თომა ბალიაურის წერილი, რომელიც ნათელს ჰფენს აქ მოხსე-

---

[19] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ნიებულ და ბევრ სხვა საინტერესო დეტალს. მოვიტანთ თ. ბალიაურის წერილიდან ამონაწერს ამ ფაქტის ირგვლივ. „... ვიღებდი მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში. გამიგეს. დაპატიმრებამდე რვა კაცით შეიარაღებული 1921 წელს, ბზობა ღამეს, გამოვედით თბილისიდან ერწოს მიმართულებით. ერწოში დავყავით ერთი თვე. ამხანაგებს გული გაუტყდა და რაზმი ჩაიშალა. გადმოვედით მე და სულხანიშვილი ანყურში. გავიგეთ ჩოლოყაშვილის გასვლა. შევერთდით ალვანის თავში. ვიღებდი მხურვალე მონაწილეობას ხევსურეთის აჯანყებაში 1922-1924 წლებში"...[20] თ. ბალიაურის წერილი დაწერილია 1930 წელს, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ ცხელ კვალზე და ბუნებრივია, ის უფრო სანდოა. მაშასადამე, ალ. სულხანიშვილის რაზმში იყო სულ 9 კაცი, თბილისიდან გავიდნენ 1922 წლის მარტის ბოლოს (ბზობა ამ დროსაა). წელი 1921 კი თ. ბალიაურთან მექანიკური შეცდომაა, რადგან იმავე წერილის სხვა ადგილზე ავტორი საუბრობს თუ როგორ გააცილა ერთი წლის წინ ბათუმში „საქართველოს სიმდიდრე" (იგულისხმება ნ. ჟორდანიას მთავრობის ემიგრაციაში წასვლა). ეს დრო (1922 წ.) დასტურდება ალ. სულხანიშვილისეულ და სხვა დოკუმენტურ მასალებშიც.

თომა ბალიაური, აქედან მოყოლებული, აღარ განშორებია ქ. ჩოლოყაშვილის რაზმს და მასთან ერთად იბრძოდა ჯერ ხევსურეთის თავდაცვის პერიოდში და შემდეგაც, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აგრძელებდა შეურიგებელ პატრიოტულ ბრძოლას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ, რაშიც ჩაბმული იყო რევოლუციის საწყისი ეტაპებიდანვე.

ალექსანდრე სულხანიშვილმა და თომა ბალიაურმა ერთ თვეზე მეტი დრო დაჰყვეს ერწო-თიანეთში და მძვინვარე ბოლშევიკურ-ჩეკისტური რეაქციის პირობებში არა მარტო თავს ინახავდნენ აქ, არამედ კახეთში მყოფი ქ. ჩოლოყაშვილის რაზმთან დასაკავშირებელ ზომებსაც იღებდნენ (პირობებს ამზადებდნენ). აქ ისინი იძენდნენ აგრეთვე მომხრეებსა და თანამგრძნობებს მომავა-

[20] თინათინ ოჩიაური, „იყავ ძლიერი ქართველო ერო!", გაზ. „ლიტ. საქართველო", № 21, 1991, 24 მაისი, გვ. 9.

ლი ბრძოლებისათვის. ერწო-თიანეთში მაშინ უკვე ბევრი მთიელი (ხევსურები, ფშავლები და სხვ.) ცხოვრობდა, რომელთა დარაზმვა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად არცთუ ისე ძნელი იყო. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ თომა ბალიაურს აქ ბევრი ნათესავი და ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. თვითონ იგი და მისი მეგობარი საშა სულხანიშვილი შეფარებული იყვნენ ერწოში მცხოვრებ აბა ბალიაურთან, თომას ბიძაშვილთან. დიდი მცდელობის შემდეგ მათ შეძლეს კახეთში გადასვლა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ადგილსამყოფელის დადგენა და აპრილის ბოლოს მასთან შეერთება.

თომა ბალიაურისა და ალექსანდრე სულხანიშვილის თაოსნობით რაზმში სულ მალე მოვიდნენ სოფ. ანყურის სიახლოვეს არსებული სოფლების აშროშანის, ბაკანის, საკევრეს მცხოვრები ხევსურები დიმიტრი ცისკარაული, აბიკა ბაბუას ძე გიგაური[21], ბაია ნაროზაული, ალეკა გოგოჭური და სხვები, რომლებიც, ერთი მხრივ, თომა ბალიაურის სოფლელ-ნათესავები, ხოლო მეორე მხრივ, ალექსანდრე სულხანიშვილის მეზობელ-მეგობრები იყვნენ.

ამ დროს ქაქუცას რაზმის ადგილსამყოფელი იყო ახლანდელი ახმეტის რაიონის, ძირითადად სანდო მთიელების ხევსურების, თუშების, ფშავლების, ქისტების სოფლების ალვანისა და პანკისის ახლო მდებარე ტყეებში. მათ ჩეკას შემოტევებისაგან თავდაცვის მიზნით ხშირად უხდებოდათ ადგილსამყოფელის გამოცვლა. აქედან რაზმს სანდო მთიელი მეკავშირეების მეშვეობით მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა მთელი კახეთის სოფლებთან და სწრაფად იზრდებოდა ამ სოფლების მცხოვრებთა – მტკიცე პატრიოტებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა ბაზაზე. თავდაპირველი ათკაციანი ჯგუფი ერთი თვის მანძილზე, 1922 წლის მაისის დასაწყისისათვის 30 კაციან მუდმივ მოქმედ რაზ-

---

[21] დიმიტრი ცისკარაულისა და აბიკა გიგაურის გვარები ალ. სულხანიშვილს თავის მოგონებებში არაზუსტად – „ჭინჭარაულად" აქვს მოხსენიებული, საფიქრებელია განგებ – ჩეკას თვალის ასახვევად. ამაზე იხ. გ. ნაროზაულის განმარტება, „სახელები გვიბრუნდებიან", გაზ. „სახალხო განათლება", 11 ოქტომბერი, 1990 წ. აგრეთვე ბ. ლ. გიგაურის (აბიკა გიგაურის ძმისწულის) მოგონება, პირადი არქივი.

მად გაიზარდა, ხოლო მომხრე-მეკავშირე აქტივისტთა წრე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთაგან კიდევ ერთ ამდენ კაცს აერთიანებდა. საჭიროების შემთხვევაში ეს ნაწილიც, სათანადო იარაღით, წარმოადგენდა საბრძოლველად მზადმყოფ საბრძოლო ძალას. საერთოდ კი, ამ დროისათვის მთელი კახეთის მოსახლეობა პარტიზანული რაზმის მომხრე და დასაყრდენი იყო. იგი იდეოლოგიურად, ფსიქოლოგიურად სათანადოდ მომზადებული და მუდმივად საქმის კურსში იყო მომავალი ამბებისათვის.

თავიდანვე მჭიდრო კონტაქტები დამყარდა რაზმსა, განსაკუთრებით მის მეთაურსა და კახეთში ჩამოსახლებულ ხევსურ მოსახლეობას შორის. ეს განპირობებული იყო რიგი გარემოებებით. ხევსურებმა და ქ. ჩოლოყაშვილმაც კარგად იცოდნენ ძველი გადმოცემა – ჩოლოყაშვილების ხევსურული წარმოშობის შესახებ; ურჯულო მტერთან ბრძოლაში ხმლით დაჩეხილი, დაკოჭლებული ჩოლახა (იგივე ჩოლოყა), მამაცი ხევსური რაინდი, რომ იქცა ამ გვარის მამამთავრად. დღესაც ამაყად გადმოჰყურებს არღუნის ხეობას პირიქით ხევსურეთში ჩოლოყაშვილების ციხესიმაგრის ზვიადი ნანგრევები სოფ. მუცოს ქარაფიდან. ზოგჯერ, გულახდილობის ჟამს, აკი ქაქუცა თვითონაც სიამაყით უწოდებდა თავის თავს ხევსურს. ასე წააწერა მან, მაგალითად, თავისი ერთ-ერთი მეგობრისათვის მიძღვნილ ფოტოსურათზე: „საჩხერელეჩხუმელ ვაჟას ვალიკოს ხევსურ ვაჟასაგან"[22].

ეს გარემოებანი ქმნიდა დასაბამიდანვე ურთიერთნდობისა და სიმპათიის ატმოსფეროს. ხევსურეთში მცხოვრები თათარ აძიას ძე ლიქოკელი იგონებდა: „მეფის არმიაში რომ გამიწვიეს, 1900 წელს, სხვა ხევსურებთან ერთად თიანეთში წაველი კენჭის ამოსაღებად (ფშავ-ხევსურეთი და ახლანდელი ახმეტის რაიონიც ადმინისტრაციულად შედიოდა თიანეთის მაზრაში). მე ჯარში წასვლა არ მერგო, იღბალმა გამიჭრა, სულ ბოლო კენჭი ამოვიღე, სხვა ჩვენებურები კი თითქმის ყველანი წაიყვანეს მაშინ. ჩვენთან ერთად კენჭი ამოიღო კახელმა თავადიშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რომელიც სულ ჩვენთან, ხევსურებთან ტრიალებ-

---

[22] გურამ შარაძე, დაბრუნება, გაზ. „თბილისი", 13 ივლისი, 1990 წ.

და – ესენი ჩემიანებია და ძალიან მიყვარანო. ჩვენც ძალიან მოგვეწონა ეს ბრწყინვალე გარეგნობის, ძვირფას ქართულ ჩოხა-ახალუხში და ვერცხლის ქამარ-ხანჯარში გამოწყობილი ამაყი ვაჟკაცი. აქ მას ერთი ამბავი გადახდა, რომელმაც კიდევ უფრო მოგვხიბლა ჩვენ. კენჭის ამოღებისას მას შეხვდა ერთ-ერთი პირველი რიგის კენჭი, რაზედაც კომისარმა – დიდმა რუსის ოფიცერმა ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა – „ოჰო, თავადიშვილო, სირბილით მოგიწევს ხელმწიფის სამსახურში წასვლაო!" ქაქუცამ პასუხად ერთი სილა აჭამა კომისარს, თანაც შეუკურთხა – „რაც მე რუსის სამსახურში წავიდეო!" ამისთვის იგი იქვე დააჯარიმეს და მაგიდაზე ვხედავდით მისეულ სადემონსტრაციოდ გამოფენილ ოქროს მონეტას.

მეტად ერთგულად და სათუთად ინახავს ხევსურთა მახსოვრობა ამ რიგის ამბებს. მსგავსი კონტაქტები და ურთიერთპატივისცემა გრძელდებოდა ორივე მხარისათვის მეფის არმიაში ერთად მსახურობის პერიოდშიც. მაგალითად, მეფე ნიკოლოზ II ნებართვით გენერალ დ. ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებულ ქართულ ცხენოსან ნაწილში, სადაც ქ. ჩოლოყაშვილის, ალ. სულხანიშვილისა და სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად მსახურობდნენ ბარელი ხევსურები – გიგია ბიძურას ძე არაბული (თეთრწყლებიდან), აბიკა ბაბუას ძე გიგაური (ბაკანადან), ბაძიურა გიგუას ძე ჭინჭარაული (გომბორიდან) და სხვანი. იგი კიდევ უფრო განმტკიცდა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არმიასა და სახალხო გვარდიაში ხევსურთა მასობრივი ჩაბმისა და სამშობლოს საზღვრების დაცვისათვის ბრძოლებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბარში, კახეთის რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური სიძნელეებით გამოწვეულ მებრძოლურ-ბუნტარულ განწყობილებაზე. ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე თელაველი ვანო პაატაშვილი, „მოკეთეს" ფსევდონიმით, ჯერ კიდევ 1911 წელს წერდა გაზ. „სახალხო გაზეთში" გომბორის ქედის კალთებზე 900-ანი წლების პირველსავე ათწლეულში ხევსურთა თანდათანობით დასახლების სიძნელეებზე, იმაზე, რომ ეს ადგილები საძოვრებად თვითნებურად

ჰქონდათ დაკავებული თელავის მაზრის ბარში მცხოვრებ თათრებს და ხევსურებს არ ანებებდნენ. გამკითხავი კი არავინ იყო. აქვე მოხსენიებულია ერთ-ერთი პირველი მოსახლეთაგანი ლევან გოგოჭური და მისი მეცადინეობა ხევსურთა დასახლება-მოწყობის საქმეში[23].

ლევან გაგას ძე გოგოჭური (მეხარიათ აძია) იყო ხევსურთაგან ერთ-ერთი პირველი ერისკაცი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, ხევსურეთის ჭირ-ვარამის მუდმივი გამზიარებელი და მთავრობასთან შუამავალი – მოდავე. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი, 900-იანი წლების დასაწყისში წავიდა ხევსურეთიდან თბილისში ბედის საძიებლად. ფეხით გზად მიმავალს სოფ. ბულაჩაურთან წამოეწია ერთი პატივცემული ბატონი, ეტლში ჩაისვა ეს ხევსურულად გამოწყობილი ყმაწვილი, ბრძნულად ესაუბრა, გამოჰკითხა მთის პრობლემებზე, გაიგო ჭაბუკის სამომავალო გეგმები და მეორე დღისთვის თავისთან დაიბარა. ასე მიუჩინა ი. ჯაბადარის სტამბაში ადგილი ამ უთვისტომო ხევსურს მისმა მზრუნველმა „ნათლიამ", დიდმა ილიამ, რომელიც შემდგომ წლებშიც არ აკლებდა მას ყურადღებას.

ლევან გოგოჭური ბობოქარ ქალაქურ ცხოვრებასა და ეროვნულ-სოციალურ ორომტრიალში ჩაება. იგი თანადათან გადაიქცა ქალაქის მოწინავე საზოგადოებრიობასა და მთიელთა მუდმივ, საიმედო მეკავშირედ, ახალი ეროვნული იდეების მქადაგებლად და ხალხის დამრაზმველად. ამავე პერიოდში ჩაუდგა იგი სათავეში ხევსურთა ბარად ჩამოსახლების მეტად საჭირო, მაგრამ ძნელ საქმეს. მისი ინიციატივით განხორციელდა ხევსურების და საერთოდ მთიელთა თელავის მაზრაში, ს. თეთრწყლებში ჩამოსახლება-დამკვიდრება. თვითონ მან ქ. თელავშიც შეიძინა სახლი და მჭიდროდ დაუკავშირდა კახეთის ინტელიგენციას. 20-იანი წლების დასაწყისიდან იგი გადაიქცა კახეთში გაჩაღებული განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მთისა და ბარის ხევსურთა დამაკავშირებელ საიმედო რგოლად; ახლო ნაცნობობა და მეგობრობა

---

[23] „მოკეთე", გომბორზე დასახლებული ხევსურები, გაზ. „სახალხო გაზეთი", 1911 წ. № 442.

დაამყარა ნიკო ტლაშაძესთან, შალვა ქარუმიძესთან, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, საშა სულხანიშვილთან და სხვა ცნობილ ეროვნულ მოღვაწეებთან; ქაქუცას მოანათვლინა უფროსი ვაჟი გიგია (ამჟამად პირველი ხევსური პროფესორი, ჩვენი დავითი). სწორედ ქ. ჩოლოყაშვილი, ვ. პაატაშვილი და კახეთის სხვა მოწინავე პატრიოტები იყვნენ ახალმოსახლე ხევსურთა ქომაგნი და ხელისშემწყობნი, რაც მთისა და ბარის ერთიანობას განამტკიცებდა. ბარელი თვისტომნი და ნათესავ-მეგობრები იყვნენ მთაში მცხოვრებ ხევსურთა იდეური მრჩევლები და პოლიტიკური ორგანიზატორები. ბარელთა სიტყვა და საქმე მთიელთა მოქმედების საიმედო ორიენტირად იქცა.

ველად გასულთა (ყაჩაღების) შეურიგებლობა რეაქციულ სახელმწიფო რეჟიმთან, მათი გმირობა, სიჩაუქე, შეიარაღება, პრინციპულობა და ა. შ. ხევსურეთში მუდამ ვაჟკაცის სახელისა და დიდების საზომად იყო მიჩნეული. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი კი სწორედ ასეთის სახელით იყო ცნობილი მთიელთათვის და არამარტო მათთვის. სრულიად სამართლიანად მიუთითებენ თანამედროვე მკვლევარები, ჟურნალისტები ქაქუცას პარტიზანული რაზმის სიძლიერის მთავარ წყაროზე, ხალხურობაზე, ქართველი ხალხის ინტერესებისადმი სამსახურზე. „ქაქუცა ჩოლოყაშვილის წამოწყებულ პარტიზანულ ბრძოლებს მტკიცე ზურგი უნდა ჰქონოდა – იარაღი, სურსათი, ჩასაცმელი, ადგილსამყოფელი და, რაც უმთავრესია – მოკავშირეები, ურთიერთობა სამხედრო ცენტრთან და პარიტეტულ კომიტეტთან. ყოველივე ამას ბევრი ხალხი, თანაც ერთგული და უშიშარი ხალხი სჭირდებოდა. ამ მხრივ მართლაც გაუმართლა ქაქუცას, რადგან ამ ბრძოლის სიდიადე თვით ხალხი იყო. ეს იყო სახალხო ბრძოლა, რადგან მთელი ქართველი ერი, სულ მცირე გამონაკლისის გარდა, ამ ბრძოლით ცხოვრობდა და მისი იმედი ჰქონდა. ხალხის გარეშე რაზმი, ცხადია, ვერ იარსებებდა. „ცუდად გაათავებს პარტიზანი, რაც უნდა ძლიერი იყოს, თუ ხალხში ბინა არა აქვს"[24]. საქვეყნოდ

---

[24] მზია ბაქრაძე, პორტრეტის ესკიზი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", №1, 5 იანვარი, 1990, გვ. 14.

ცნობილია ქაქუცასი და მისი რაზმის მხარდამჭერი, დამხმარე და მასპინძელი უბრალო მშრომელი ხალხი მთასა და ბარში, რომ აღარაფერი ვთქვათ თანამოძმე და მონათესავე თავადაზნაურთა წრეების წარმომადგენლებზე. ქაქუცას ცოლის ნინოს ბიძაშვილი ნინო ავალიშვილი იგონებს, რომ შეფიცულთა რაზმს დიდ დახმარებასა და მფარველობას უწევდნენ არა მარტო ცალკეული პირები და ოჯახები, არამედ მთელი საგვარეულოებიც. ასე, მაგალითად, უთალიშვილები და ცუცუნაშვილები სოფ. კონდოლიდან, აზაურაშვილები და სპარსიაშვილები – ნინანდლიდან, გოგნიაშვილები – ხოდაშნიდან, ასევე კისისხევის, აწყურის და სხვა სოფლების გლეხობა. კონდოლელი სანდრო ლეონიძე მათ ამარაგებდა ფქვილით, თაფლით და სხვა პროდუქტებით; ერთხელ ძროხაც კი დაუკლაო. სანდო ოჯახებში მოჰყავდათ დაჭრილი და ავადმყოფი რაზმელები, სადაც, სრული კონსპირაციის პირობებში, მიმდინარეობდა მათი მკურნალობა ცნობილი სპეციალისტების მეშვეობით. ნინოს თქმით, მათ ოჯახში მკურნალობდნენ მძიმე ავადმყოფი სოსო ლოსაბერიძე და თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, რომელსაც ჭრილობა გახსნოდა და გადაუდებელ შველას საჭიროებდა. მკურნალებად მოწვეული ჰყავდათ ქ. თელავიდან ექ. გიორგი ავალიშვილი და ს. ნინანდლიდან ექიმი სანდრო იმერლიშვილი.

რა თქმა უნდა, მთელი ეს ზრუნვა და მფარველობა დიდი მსხვერპლის ფასად ჯდებოდა ხშირად. ავალიშვილების ამ ოჯახს დიდი დარტყმა მიაყენა თელავის ჩეკამ. ნინოს მამა დიმიტრი (ავალო) ავალიშვილი, რამდენჯერმე დაჭერისა და ტანჯვის შემდეგ 1924 წელს დახვრიტეს ყოველგვარი დანაშაულის დამტკიცებისა და გასამართლების გარეშე[25]. რამდენი ღირსეული ადამიანი, მამულიშვილი შეეწირა ამ დიად საქმეს. ნეტარება და მარადიული ხსოვნა მათ წმინდა სახელებს!

მაგიური ძალა ჰქონდა ქაქუცას სახელს ხალხში, განსაკუთრებით მთიელებში. როცა ისინი გაიგებდნენ, რომ მის რაზმს ან

---

[25] ნინო ავალიშვილი, მოგონებები გარდასულ დღეთა, გაზ. „სამშობლო", № 15, აგვისტო, 1991.

რაზმელს უჭირდა, ეხმარებოდნენ, მალავდნენ, აჭმევდნენ, მოკავშირეებად უდგებოდნენ და ლოცავდნენ[26]. კახეთის პარტიზანული რაზმი თავისი მიზნებით, წყობით, მოქმედების პრინციპებით მეტად ახლობელი და მიმზიდველი იყო მტერთან ბრძოლისათვის ისტორიულად მუდამ შემართული ხევსურებისათვის და ხალისით ერთიანდებოდნენ მასში და მის გარშემო.

თუმცა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის შექმნის გარემოებათა, მისი შემადგენლობის, ორგანიზაციული წყობის, მოქმედების პრინციპების – სტრატეგიისა და ტაქტიკის, მთელი მოღვაწეობის – საბრძოლო გზის გამოწვლილვით კვლევა, ამას ალბათ სხვა მკვლევარები გააკეთებენ ამომწურავად, მაგრამ, რადგან კვლევის უმთავრესი საგანი – ხევსურეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თავისი შედეგებით, უშუალოდ დაკავშირებულია ქაქუცას რაზმთან, ამ უკანასკნელის ხანგრძლივი ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მონაკვეთს წარმოადგენს, მის შესახებ შედარებით ფართო მონაცემები მთავარი საკითხის არსში სრულყოფილად წვდომის პირობად გვესახება.

ისტორიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოს ბოლშევიკური ანექსიის მეორე დღიდანვე ერის მოწინავე მებრძოლმა პატრიოტულმა წრეებმა მთელი ბრძოლისუნარიანი ძალების დარაზმვა იწყეს დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ სამხედრო და პოლიტიკური ძალები, უფროსი ოფიცრობა და პოლიტიკური პარტიები (ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და სხვ.). ბრძოლის კონკრეტულ ფორმად და მეთოდად, სპეციალისტების რეკომენდაციით, არჩეული იქნა პარტიზანული ბრძოლა, ხოლო მეთაურად რეკომენდაცია მიეცა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. იგი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, დიდი საბრძოლო გამოცდილებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში როგორც კავკასიაში მეზობელი სახელმწიფოების თავდასხმების მოგერიებისას, ისე ბოლშევიკური

---

[26] ნინო ავალიშვილი, მოგონებები გარდასულ დღეთა, გაზ. „სამშობლო", № 15, აგვისტო, 1991. გვ. 13.

რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსიის დროს. წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მას ერთი დღითაც არ შეუწყვეტია სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. აქედან დაწყებული იგი, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი, ასრულებს თავის პატრიოტულ-მხედრულ ვალს, როგორც ბოლშევიკური რეჟიმისაგან განსაკუთრებული დევნის ობიექტი. ასეთი დევნის საგნად იგი იქცა, როგორც რუსი ოკუპანტების შეურიგებელი მოწინააღმდეგე და საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი, მაშასადამე „დაუძინებელი კლასობრივი მტერი". თუმცა ქ. ჩოლოყაშვილის კლასობრივ-პოლიტიკურ კრედოზე მათ წარმოდგენაც არ შეიძლებოდა ჰქონოდათ საწყის ეტაპზე, – ამის შესახებ ჩვენ მოგვიანებით გვექნება საუბარი, – საქართველოში ბოლშევიკები განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ სწორედ ძველი ფეოდალური წოდების წარმომადგენლებს, საერთოდ ყველა ინტელექტუალს, ვითომც მშრომელთა ექსპლოატატორებსა და კლასობრივ მტრებს. ამასთან, დემაგოგიური კომუნისტური ლოზუნგებით ადვილად ახერხებდნენ უწიგნური მასის გარკვეული ნაწილის დეზორიენტაციასა და მიმხრობას, კლასობრივი ექსპლოატაციისაგან განმათავისუფლებელთა ალმით, ცხადია, ეროვნული ინტერესების საზიანოდ, ეროვნული, პატრიოტული თვითშეგნების, ეროვნული გრძნობების დასაჩლუნგებლად და ჩასაკლავად.

ქაქუცას რაზმი, რაკი ერთი დაფუძნდა თავისი მუდმივი წევრებით (9-10 კაცი), სწრაფად იზრდებოდა რიცხობრივად. მისი თავდაპირველი ადგილსამყოფელი იყო თელავის მაზრის (თანამედროვე ახმეტისა და თელავის რაიონების) ცივ-გომბორის ზონის მთის კალთებზე გაბნეული მთიელების – თუშების, ქისტების, ფშაველების, ხევსურების სოფლების ახლო მდებარე ტყეები. ეს ადგილები მოსახერხებელი იყო თავდაცვის (ტყიანი მთა-გორაკები), სურსათ-სანოვაგის მომარაგების, საიმედო მეკავშირეების (მთიელების – ერთგული პატრიოტების) შემოკრებისა და დანარჩენ კახეთთან და საქართველოსთან, თვით დედაქალაქ თბილისთანაც (გომბორის ქედზე მოკლე გზით) მუდმივი კავშირის თვალსაზრისით. იგი უშიშროების მიზნით მალ-მალე იცვლიდა

დაბანაკების ადგილს და მიემართებოდა გომბორის ქედის კალთების გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სოფლების: ალვანი, პანკისის ხეობის სოფლები, ახმეტა, აწყური, ბაკანა, აშროშანი, საკევრე, თეთრწყლების რაიონში – აყუდებული სალებე, ნადიკვარი, თეთრწყლები, კობაძე, პანტიანი, სეროდანი, გომბორი (ქედის სამხრეთ კალთებზე) შალუარ-კისისხევ-წინანდლისთავი და გზი ქიზიყისაკენ (თანამედროვე სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები) ჰქონდა. გზადაგზა იგი იძენდა ახალ წევრებს და ერთ-ორ თვეში 70 კაციან, კარგად შეიარაღებულ ძლიერ რაზმად გადაიქცა.

ალექსანდრე სულხანიშვილისა და თომა ბალიაურის მოსვლის შემდეგ რაზმს შეემატნენ როგორც ადგილობრივი კახელი მამულიშვილნი: სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი (ქაქუცას უმცროსი ძმა), ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, სერგო და მალაქია მაისურაძეები, ალექსი ფეიქრიშვილი („ბათირა"), ალექსანდრე ბადურაშვილი (ბადურა), ლადო ოზანელი, ილიკო იაშვილი (ინგილო), ჯამასპიშვილი და სხვანი, ასევე მთიელი მებრძოლები: შამილა იქაიძე (თუში), ხუთი ქისტი პანკისის ხეობიდან, დათიკო ფარეულიძე, ქერიმა და სხვები. ხევსურები – ბაკანა აშროშანიდან, დიმიტრი ცისკარაული, აბიკა გიგაური, ბაია ნაროზაული, უშიშა წიკლაური, ალეკა გოგოჭური, რომლებიც თომა ბალიაურის თანასოფლელები და ნათესავ-მეგობრები იყვნენ, თეთრწყლებიდან – გიგია ბიძურას-ძე არაბული, გიგია ადიას ძე არაბული, ბიძურა ნაოგურას ძე ჭინჭარაული, მიხა გიგიას ძე ჭინჭარაული, მიხა ბაძიას ძე არაბული, მამუკა გიგიას ძე ქეთელაური, ჯოყოლა გიგის ძე გოგოჭური, ხვთისო ივანეს ძე არაბული და სხვანი. რაზმთან მუდმივ კონტაქტში იყო და მთის, ხევსურეთის საკითხებში მრჩევლის როლში გამოდიოდა მთისა და ბარის ხევსურთა მუდმივი ავტორიტეტული მეკავშირე („დესპანი") ლევან გოგოჭური.

რაზმის ორგანიზაციული ფორმირების საწყის ეტაპზევე მოხდა მისი ტრადიციულ-რიტუალური კურთხევა, ქრისტიანული ფიცით შეკვრა და დალოცვა, თვით ოფიციალურ ემბლემათა სიმბოლიკის მიკუთვნებაც. ამ ისტორიულ მოვლენას საკმაო სის-

რულითა და დამაჯერებლობით აგვიწერს თავის მოგონებებში რაზმის ყველაზე სანდო და თანამიმდევრული მეისტორიე, რაზმის მეთაურის, ბელადის ერთ-ერთი მოადგილე ალექსანდრე სულხანიშვილი. ამასვე ადასტურებენ დიმიტრი ცისკარაულის დისშვილი შურა წიკლაური და ერთ-ერთი რაზმელის, ბაია ნაროზაულის შვილი გიორგი ნაროზაული.

რაზმი მცირე ხნით დაბანაკდა პანკისში, პატარა ფშაური სოფლის სიახლოვეს, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლების გულთბილი დამოკიდებულებითა და სიახლოვით სარგებლობდა. 1922 წლის აპრილის ბოლოს, აღდგომა დღეს, მათ რაზმელებს მიართვეს მოსაკითხი – სურსათ-სანოვაგე, ზედაშე და მიჰგვარეს ერთი საკლავიც (ცხვარი). აი, მაშინ, აღდგომა დღეს რაზმის წევრმა და მტკიცე მეკავშირე დიმიტრი ცისკარაულმა, რომელიც აქაურ ხევსურთა ხუცესიც იყო, ურყევი ხევსურული რელიგიური ტრადიციით, საკლავითა და ფიც-ვერცხლით აკურთხა რაზმი და ქრისტეს რჯულით დაულოცა მას გამარჯვების გზა[27]. სწორედ ამის გამო ენოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს ამის შემდეგ „შეფიცულთა" რაზმი.

სააღდგომო სუფრაზე დიმიტრიმ სეფე სიტყვა წარმოსთქვა: „დღეს ჩვენ ვუქმობთ ბრწყინვალე საქრისტიანო დღეს აღდგომას, და მასთან ერთად ბრძოლის დასაწყისს წმინდა საქმისათვის. აი, ამ მთებში ბალახმა აიტანა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ დაქნილი ბილიკები, რუსეთის უსამართლობას ებრძოდნენ ჩვენი

---

[27] ხევსურული ტრადიციით, საომრად წასვლის წინ მოლაშქრენი შეიყრებოდნენ მთავარ სალოცავში (გუდანის ჯვარი, კარატის ჯვარი, დიდგორის სალოცავი და ა. შ.). ხუცესი ადიდებდა ჯვარ-ღმერთთ, დაჰკლავდა საკლავს და დროშების (ზარების) ზრიალით დააფიცებდა ყველას რჯულის, მამულის ერთგულებაზე და ურთიერთძმობაზე. ჩამოურიგებდა ზედაშეს თითო ყანწით და ლაშქარი ზარების დარისხებით და ომახიანი შეძახილებით – „გაუწყრას მოღალატეს!" გაუდგებოდნენ გამარჯვების გზას მთავარი საბრძოლო ბორაყის (კარატის ჯვარში – ლიქოკში გაუკაურა ერქვა ამ დროშას) მეთაურობით.

ერთგულებაზე შეფიცვა – დაძმობილება, ძმადშეფიცვა ხდებოდა ინდივიდუალურადაც. ორი მსურველი ვაჟკაცის ფიც-ვერცხლით დაძმობილება, ძირითადად იმავე რიტუალით.

წინაპრები. ვითომდა მოყვარულად მოსულნი, მტრად გადაგვექცნენ, რომლებიც ოჯახებს გვინიოკებდნენ და ქალებს გვიუპატიურებდნენ. იგივე მეორდება დღესაც. შენ ქაქუცაო, – მიმართა მას – შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა ალადგინო ალექსანდრე ბატონიშვილის ნათელი ბილიკები. – თქვენ, რაზმელებო, – მოგვმართა ახლა ჩვენ, – ალბათ გახსოვთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი თავის ირგვლივ. თქვენც უნდა შეიფიცნოთ და გერქვათ შეფიცულთა რაზმი (თუმცა შეფიცულთა რაზმის შექმნის ისტორიული ფაქტი ემიგრაციაში დაამახინჯეს და ის პარტიას მიაწერეს)[28], რომელიც სამუდამოდ დარჩება.

თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ლამაზი ქვეყნის სიდიადე. ჩვენ მედგრად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს. ეს არის ჩვენი მთავარი მტერი. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ვერ შესძლო ჩვენმა მამა-პაპამ. ჩვენი წინაპრების თავგანწირული ღვაწლის მეოხებით კიდევ ღვივის საქართველოს ნაპერწკალი. ჩვენ არ უნდა ჩავაქროთ ეს ნაპერწკალი. დღეს ჩვენზეა დამოკიდებული ამ ნაპერწკლის გაღვივება. მაშ გაუმარჯოს დიდი თამარის და ერეკლეს საქართველოს"[29].

რა თქმა უნდა, ამ ღირსსახსოვარ დღეს და დიად ცერემონიალზე საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა რაზმის მეთაურმა, ამ

---

[28] ბატ. ალექსანდრე სულხანიშვილის შენიშვნა საფუძველს მოკლებული არ არის. მაგალითად, დამკომის სამხედრო კომისიის წევრი პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი თავის მოგონებებში (საქართველოს 1924 წლის ამბოხება", თბ., 1989, გვ. 19) სწერდა, რომ 1923 წლის მაისში მან ქაქუცას გაუგზავნა ეროვნულ-დემოკრატების კრების მიერ მიღებული ფიცის ტექსტი, „და ამ დღიდან ქაქუცას რაზმი ხდება „შეფიცულთა რაზმი". ფიცის ტექსტი ალბათ მართლაც გაიგზავნა, მაგრამ მისი განმეორებით წაკითხვა და მიღება რაღა საჭირო იქნებოდა, როცა რაზმელები „შეფიცულნი იყვნენ უკვე ერთ წელზე მეტი ხნის წინ და ასეც უწოდებდნენ რაზმს თვითონაც და გარეშენიც.

[29] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 153, 154.

მომენტიდან უკვე ბელადად წოდებულმა პოლკოვნიკმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, რასაც მოჰყვა შეფიცვის ცერემონიალი და ხუცესის მიერ სალვთო დალოცვა. შემდეგ დიმიტრი ცისკარაულმა იქვე გამოჭრილ თხილის სწორ ჯოხზე გამართა ქართული დროშა, გადასცა იგი ბელადს, გაუძლვა რაზმს და თავისუფლებისათვის ალმდგარი საქართველოს ჰიმნის „ვინა თქვა საქართველოზე ეგ არის ლომი კვდებაო", სიმღერით შემოატარა რაზმი ულრანი ტყის შუა მდებარე მწვანით მობიბინე ველზე. გაკეთდა სალაშქროდ წასვლის იმიტაცია. სწორედ ასე ტარდებოდა მშვიდობიან დროს, ლხინში ხევსურული ფერხულის ცერემონიალი – მკვლავებგადაჭდობილ მომლერალთა წრიული მოძრაობა.

საბრძოლო ერთეული, პარტიზანული რაზმი შექმნილი და ღვთიური ფიცით შედულაბებული იყო, მეთაური – ბელადი აგრეთვე ღვთით მოცემულ-დამტკიცებული, მიზანი – ნათელი და აღიარებული და იგიც შეუდგა ამ ისტორიული მისიის განხორციელებას.

რას წარმოადგენდა ორგანიზაციული წყობით, იდეური მრწამსით, შინაგანი დისციპლინით, ბრძოლის – მოქმედების მეთოდებით შეფიცულთა რაზმი? ამ ძნელ კითხვეზე პასუხს იძლევა თვით რაზმის მოქმედების პრინციპები და რეალური მაგალითები, მონაწილეთა მოგონებები, მნახველთა – მოწმეთა აღიარებანი, საერთოდ მათნი საქმენი.

რაზმი აგებული იყო სამხედრო საწყისებზე. მისი შემადგენლობის საკმაოდ დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ხელმძლვანელი ბირთვი, კადრის სამხედროები, ოფიცრობა იყო. მათ შორის, მასში მონაწილე თვით ხევსურთა უმრავლესობა „ნასალდათარი" იყო. ეჭვსგარეშეა, პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილისათვის ცხადზე-ცხადი იყო, რომ ისეთი დიდი ამოცანის განხორციელება, როგორიცაა ძლიერი, რეგულარული არმიის წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის მთელ ბრძოლისუნარიანი ძალებისადმი წარმატებით გაძლოლა, შეეძლო მხოლოდ მტკიცედ ორგანიზებულ, გარკვეული სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველზე მოქმედ, მკაცრად დისციპლინირებულ გასამხედროებულ შენაერთს, რომელიც თავისი ქმედუნარიანობით, ამტანობით, სამართლიანობით და მგზნებარე

პატრიოტიზმით ნამდვილად გახდებოდა მთელი ერის დამრაზმავ და მძიმე ბრძოლაში გამძლოლ ბირთვად. შეიძლება ითქვას, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა შესძლო ასეთი ბირთვის შექმნა.

რაზმი იყოფოდა ქვეერთეულებად, ათეულებად, ოცეულებად და ა. შ. ოფიცრებით სათავეში. შენაერთის მეთაურს, ბელადს ჰყავდა მოადგილეები (ელიზბარ ვაჩნაძე, მიხეილ ლაშქარაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი დ სხვ.) და თვით საქმის მწარმოებელიც კი, დამკომმა რაზმის დღიურების საწარმოებლად გამოგვიგზავნა სვიმონ ყიფიანიო – იგონებს ალექსანდრე სულხანიშვილი.

უშუალოდ ბრძოლის პროცესში ხორციელდებოდა ოპერატიული გადაჯგუფებანი, ხელახალი დაკომპლექტება, თითოეული ჯგუფისათვის გარკვეული უბნის, კონკრეტული ტაქტიკური ამოცანის მიცემა. მშვიდობიანობის პირობებში ქაქუცა ერიდებოდა საველე ბანაკად მცხოვრები რაზმის მრავალრიცხოვნობას. იგი უჩინარი მოქმედების, მატერიალური ყოფის და სხვა ოპერატიულ გარემოებათა გამო დამაბრკოლებელი იქნებოდა. მასში მუდმივად ირიცხებოდნენ ის პირნი, რომლებსაც ხელისუფლება აშკარად სდევნიდა და განადგურებით ემუქრებოდა. რაზმის რიცხოვნობა, ცვალებად გარემოებათა შესაბამისად სხვადასხვა დროს მერყეობდა 20-60 კაცს შორის. სამაგიეროდ, მოქმედების ყველა რაიონში ყოველთვის ჰყავდა დიდი რეზერვი, რისი სასწრაფო შეკრება და ბრძოლაში გამოყენება საიმედო მეკავშირეების მეშვეობით იყო შესაძლებელი. ასე, მაგალითად, კახეთის რაიონებში მცხოვრები ყველა ხევსური, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, მუდმივად მზად იყო დაძახებისთანავე გასულიყო ბრძოლის ველზე სათანადო აღჭურვილობით. იარაღი ფარულად თითქმის ყველას ჰქონდა: „ვისაც მამულისათვის გული უცემდა და მტერთან მკლავი უჭრიდა – ქაქუცასაკენ იწევდა. მაგრამ პარტიზანული ბრძოლის სისტემა ნებას არ იძლეოდა, რომ ჩოლოყაშვილს დიდი რაზმი ჰყოლოდა ან ყველა ეს რაზმელები ერთად ჰყოლოდა. ბრძოლისათვის მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მებრძოლ რაზმში ყოფნას, არამედ კარგად მოწყობილ კავშირს, სურსათისა და იარაღის მიწოდებას, საიმედო ბინების ქონას, პოლიტიკურ პარ-

ტიებთან ურთიერთობას და საზოგადოდ ხალხის დახმარებას. აი, აქ სჭირდებოდა ხალხის სიმრავლე ამ ძნელსა და რთულ საქმეს და ბრძოლის მსურველთა უმრავლესობამაც ეს ფუნქციები დაინანილა, შეიქმნა და გაიზარდა ჭეშმარიტად ის დიდი კავშირი ბრძოლისა, რომლის სიმტკიცე თვით ხალხის ნიაღში იყო.

ეს ორგანიზაცია რომ მართლა ხალხური და მართლა ძლიერი იყო „ხევსურეთის აჯანყების" დროს გამოჩნდა, რომელიც 1922 წელს თითქმის მთელი საქართველოს აჯანყებად იქცა. რუსის წითელმა ჯარებმა ხევსურეთი გადასწვეს, მაგრამ ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი ვერ მოსპეს"[30]. პარტიზანული ბრძოლისა და შეფიცულთა რაზმის რაობისა და თავისებურებათა ეს სწორი და ობიექტური შეფასება მოცემულია დამკომის წევრის, ბრძოლის ბოლო ეტაპზე რაზმთან განუყრელად მყოფის შალვა ამირეჯიბის მოგონებებში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის რაზმში ყველა მსურველს ხელაღებით, ერთი ნახვით კი არ იღებდა, არამედ ინდივიდუალური შერჩევით და სანდო რეკომენდაციებით, გარკვეულ დავალებათა შესრულებისა და ტრადიციული ფიცის დადების შემდეგ. მაგალითად, მხოლოდ რაზმის ცნობილი წევრის ვასო თამაზაშვილის თხოვნით იქნა მიღებული ლადო ოზანელი, რომელიც მანამდევე იყო ტყეში გასული და ხალხის ძარცვასაც არ ერიდებოდა. იგი მხოლოდ ყაჩაღობაზე ხელის აღების მტკიცე პირობით ჩაირიცხა რაზმში. შეფიცულად გახდომის სხვა რიგის ფაქტს იგონებს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა (17 წლის) აქტიური რაზმელი ალექსანდრე კარგარეთელი. „... მივადექით ერთ ადგილს, სადაც ბევრი ხალხი დაგვიხვდა. შეიარაღებულების გარდა იყვნენ ევროპიულად ჩაცმული 5 კაცი. ერთი ჩოხიანი, მაღალი, ლამაზი კაცი მოვიდა ჩვენთან და გაგვეცანით. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს უნდა იყვეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი. სულ ბოლოს მე ჩამომართვა ხელი და გვარი მკითხა. ჩემი პასუხის შემდეგ მიბრუნდა და ლაშქარაშვილს დაბალი ხმით უთხრა: „ეს ბავშვი სად

---

[30] შალვა ამირეჯიბი, ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი, 1888-1893 წწ. კრებ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თბ., 1989 წ., გვ. 6, 7.

წამოგიყვანიაო". მე ყური მოვკარი, – ვითომც ვერ გავიგონე; ძალიან კი მეწყინა"[31]. მსგავს ვითარებაში მიაღებინა რაზმში თავისი ახალგაზრდა ვაჟი ალექსანდრე (ბადურა) წინანდლელმა შაქრო ბადურაშვილმა. ძირითადი კონტინგენტის შერჩევისას ასეთი გულისხმიერი და ფრთხილი მიდგომა აუცილებელი იყო რაზმის უშიშროების, ბრძოლისუნარიანობისა და ხალხის მუდმივი ნდობის და მხარდაჭერის შესანარჩუნებლად. ამ პასუხისმგებლობას აძლიერებდა რაზმის მიერ მის რიგებში მტრისგან შემოპარებული გამცემის გამოვლენის რამდენიმე შემთხვევა.

რაზმის ორგანიზაციული სტრუქტურა, მხედრული წყობა განპირობებული იყო მისი პარტიზანული მეთოდებით მოქმედების გარემოებათაგან. იგი, ჩვეულებრივ, მშვიდობიან დროს თავს ფარულად ინახავდა, უკიდურეს შემთხვევაში კი მოწინააღმდეგეს იგერიებდა, ამასთან, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად. მისი მთავარი მიზანი და საზრუნავი ხომ მთელი რაიონის, მაზრის, მხარის და მთელი საქართველოს მოსახლეობის დარაზმვა და მომზადება იყო საერთო ეროვნული აჯანყებისათვის, დამპყრობლისაგან ქვეყნის მთლიანი და საბოლოო განთავისუფლებისათვის. ამდენად, ორგანიზატორთა ცოცხალი ძალის მაქსიმალური შენარჩუნება იყო ყოველდღიურობის მთავარი ამოცანა. იძულებითი შეტაკების, უშუალო ბრძოლის დროს კი მთავარი მეთოდები იყო სამხედრო-სტრატეგიული გამჭრიახობა, სიმტკიცე და მამაცობა, სისწრაფე და მოულოდნელობა, მოქნილი მანევრულობა და თანამებრძოლთათვის თავდადება. რაზმი ამ თვისებათა განსახიერება იყო და ამიტომაც თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა მტრის ჭარბ ძალებთან, მინიმალური დანაკარგებით.

რაში მდგომარეობდა შეფიცულთა რაზმის და მისი მეთაურის პოლიტიკური კრედო, რა იდეურ საფუძველზე შედუღაბდა ასე მტკიცე ერთეულად სხვადასხვა კუთხის, სოციალური მდგო-

---

[31] ალექსანდრე კარგარეთელი, ეროვნული გმირის ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსაგონებლად, კრებ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თბ., 1989, გვ. 21.

მარეობის, პოლიტიკური მიმართულებების, განათლების დონისა და რანგის ადამიანები?

თითქოს პასუხი მარტივი და ნათელია: გამაერთიანებელი ძალა იყო დედასამშობლო, საქართველო, მისი დამოუკიდებლობა, მაგრამ რთული იყო დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზების გამონახვა, სწორი კურსის აღება და განსხვავებულ პოზიციებზე მდგომი ჯგუფების ურთიერთკომპრომისის მიღწევა. ქ. ჩოლოყაშვილის პოლიტიკურ კრედოში იდო მომავალის დიადი შენობის საძირკვლის მთავარი ქვა. აი, რას წერდა ჯერ კიდევ 1930 წელს პარიზში მაშინდელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წევრი და განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი ალექსანდრე ასათიანი ამის თაობაზე: „... საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ პარტიათა და ჯგუფთა შორის ვერც ერთი ვერ გაიმიჯნებოდა სავსებით ქაქუცა ჩოლოყაშვილისაგან, ვერც ერთი ეს წრე ვერ ჩამოაშორებდა სავსებით თავის მასას ქაქუცა ჩოლოყაშვილის გავლენას. ეს აიხსნება იმით, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაიზარდა, გაუსწრო და ასცილდა პოლიტიკურ წრეთა იმ გამყოფ კედლებს, რომელნიც სავსებით ჰფარავდნენ ყველა დაბალსა და საშუალო ტანის მოღვაწეებს. ქართველი ერის თვალში ის გახდა ეროვნულ გმირად და ეს ხარისხი ანიჭებდა მას დიდს ზნეობრივს გავლენას ერის ყველა წრესა და მიმართულებაზედ... როგორიც არ უნდა იყოს ისტორიის მსჯავრი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, ის უთუოდ გზას ვერ აუხვევს იმ უდავი ჭეშმარიტების აღიარებას, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი შვა 1921 წელს დაწყებულმა საქართველოს განმათავისუფლებელმა ბრძოლამ და მანვე მიანიჭა მას პირველი ადგილი საქართველოს განმათავისუფლებელ დარაზმულობის მებრძოლთა შორის"[32].

ეროვნული თავისუფლება მუდამ უპირველესი პრობლემა იყო ყოველი ქართველისათვის. ასეთია ისტორიულად მცირე ერთა ბედი. იგი მეტად გააქტიურდა სწორედ ამ პერიოდში, რადგან

---

[32] ალექსანდრე ასათიანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კრებ. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი", თბ., 1989, გვ. 32, 33.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მონობაში მყოფმა ხალხმა, სულ რაღაც სამიოდე წლით იგემა დამოუკიდებლობის ბედნიერება და კვლავ დაკარგა იგი ისე, რომ ფეხზე ხეირიანად წამოდგომაც ვერ მოასწრო. კომუნისტური დემაგოგია, რომელიც ეროვნული თვითშეგნების დევალვაციას ეწეოდა სოციალურ-პოლიტიკურ უფლებათა დაპირებებით – თითქოს ისინი თავისთავად გადაწყვეტდნენ ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემებს, ვერ მოატყუებდა ერის ინტელექტუალურ ნაწილს, რომელიც უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებული იყო რუსული კომუნისტური პოლიტიკის არსში. პარტიზანული მოძრაობის სათავეებთან კი ხალხის სწორედ ეს ნაწილი იდგა სამხედრო ხელმძღვანელობის, ეროვნული პოლიტიკური პარტიების მესვეურთა და ინტელიგენციის სახით. ხოლო მასები გულწრფელად ენდობოდნენ ერისათვის თავდადებულ გმირებს. თავისუფლების კვლავ დაკარგვის განცდა განსაკუთრებით მტკივნეული იყო ყველა ქართველისათვის უფრო იმიტომ, რომ გრძნობდნენ ყველაფერი არ გააკეთეს მის შესანარჩუნებლად, ადვილად დათმეს იგი. ისინი ხვდებოდნენ თავიანთ ბრალს ამ მარცხში. საკუთარი შეცდომებით გამოწვეული სინანული ბუნებრივად გადადიოდა საბრძოლო განწყობილებასა და იმედში, რომ ადვილად დაიბრუნებდნენ დაკარგულ ბედნიერებას: „... თვითონ ხალხი იყო ძალიან მოწადინებული საბრძოლველად, – იგონებს ალექსანდრე სულხანიშვილი – ვინაიდან ისინი მალე მიხვდნენ, თუ რა დიდი შეცდომა დაუშვა ჩვენმა მთავრობამ, რომ თითქმის უბრძოლველად ჩააბარა რუსებს ჩვენი ქვეყანა! ამისთანა სამარცხვინო და დამამცირებელ ხანას ვერ იპოვით საქართველოს გრძელ ისტორიაში. აი, ეს გარემოება იყო, რომ ტანჯავდა ქართველ ხალხს და ამის გამო მიილტვოდა იგი იარაღისაკენ..."[33] ამ მხრივ არანაკლებ საგულისხმოა გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებებში მინიშნებული უბრალო გლეხის მარტივად გადმოცემული პოლიტიკური საზრისი: „... მერე შენ რა, ვიქნები გენერალი თუ არა?" – ეუბნება სამხედრო კურსანტი ძეგველ

[33] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", № 2, 1990, გ. 147.

გლეხს. – „როგორ თუ რა? გახდები გენერალი, გაგვიძღვები და გავყრით რუსებს"[34] – პასუხობს გლეხი.

და მაინც, საუბედუროდ, მიუხედავად საერთო მსოფლგაგებისა და განწყობილებისა, ვერც ამჯერად მოხერხდა მთელი ეროვნული ძალების, ყველა დაჯგუფების შეკავშირება, ვერ განხორციელდა ბრძოლის ველზე გასული რაზმებისათვის თანამიმდევრული მხარდაჭერა და პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ თავდაპირველად დასახული ოპერატიული გეგმა. ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვის ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობასა და ცალკეული გავლენიანი პირების არალოიალურ პოზიციას პარტიზანული რაზმისა და მისი მეთაურის საბრძოლო მოქმედებისა და პოლიტიკური პოზიციის მიმართ. საფუძველს მოკლებული არ არის ალექსანდრე სულხანიშვილის სამდურავიანი შენიშვნები გამოთქმული 1921-1924 წლებში საქართველოში არალეგალურად მოქმედი ეროვნული პოლიტიკური პარტიებისა და კერძოდ სოციალ-დემოკრატების ცეკას მისამართით, რომლებიც ქ. ჩოლოყაშვილის პოლიტიკური ხაზის მიმართ უნდობლობას იჩენდნენ და გადამწყვეტ მომენტში სათანადო მხარდაჭერას არ უწევდნენ, თვლიდნენ რა მას, თავადური შთამომავლობის გამო, მშრომელთა საქმის საზიანოდ, თავად-აზნაურთა ინტერესების დამცველ პიროვნებად. თუმცა როგორც შემდეგ დავინახავთ, ეს თვალსაზრისი უფრო საბაბია, ვიდრე საფუძვლიანი მიზეზი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლიტიკური კრედო და პრაქტიკული პოზიცია ნათლად ჩანს მის მიერ არაერთგზის გამოთქმულ მკაფიო სიტყვებში. იგივე ალ. ასათიანი იგონებს, რომ „ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მოწოდებით მიმართა ქართველ ერს 1922 წლის აგვისტოში, სადაც ის სწერდა, რომ მიწები მეპატრონეებს ჩამოერთვა ჯერ კიდევ მენშევიკური წყობილების დროს და ამის გამო იარაღი ხელში არავის აუღია. ჩვენ მზადა ვართ გადავსცეთ ქართველ ერს ის მცირეც, რაც დაგვრჩა, უკეთუ ამას ქვეყნის საჭიროება მოითხოვს. ხოლო ჩვენი ეხლანდელი ბრძოლა ისახ-

---

[34] გენერალი გ. კვინიტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

ავს მიზნად არა მიწების დაბრუნებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნებას და ეს ბრძოლა გაგრძელდება, სანამ ეს მიზანი არ იქნება მიღწეულიო"[35].

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი პოლიტიკური მრწამსისა და მოქმედების პრინციპებისა. ისტორიულ ბრძოლებში დამარცხებული, თანამოძმეთაგან მიტოვებული, მძიმე ადამიანური და მორალური დანაკარგების განმცდელ რაზმის წევრთა შორის სამშობლოდან იძულებითი წასვლის წინ იმართება ასეთი დიალოგი: „... ბელადო, – მიმართავენ შეფიცულები, – სხვა ქვეყანაში მივდივართ ჩაუცმელ-დაუხურავნი, უფულოდ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, მანამდე რამე სამუშაოს ვიშოვიით. ამისათვის ნება მოგვეცი, რომ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებიდან ფული გავიტანოთ"-ო. ამაზე ქაქუცამ ასე უპასუხა: „ხომ იცით, რომ კომუნისტები ყაჩაღებს გვეძახიან ჩვენ; ცდილობენ ხალხი დაარწმუნონ, რომ ჩვენ მართლა ყაჩაღები ვართ და არა პოლიტიკური მებრძოლები. ჩვენ რომ ახლა, ამ წასვლის წინ სადმე დავეცეთ და ფული გავიტაცოთ, მაშინ კომუნისტები ხალხს ეტყვიან: „აი, ხომ გეუბნებოდით, რომ ეგენი ყაჩაღები არიან, ფული გაიტაცეს და საზღვარგარეთ გავიდნენო! ამას ნუ გავაკეთებთ. აქამდისინ გაჭირვებით, მრავალჯერ შიმშილითაც ვემსახურეთ სამშობლოს ინტერესებს და ახლა თავს ნუ გავიჭუჭყიანებთ"-ო. ბოლოს ყველა დაყაბულდა ქაქუცას აზრს. ასე აღმოვჩნდით სამშობლოს ფარგლებს მიღმა ღვთის ანაბარა, მოიმედენი, რომ: ღმერთია კაცის გამჩენი, იგივე მისი დამრჩენი!"[36]

კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა პოლიტიკურ-ინდივიდუალურისა და პატრიოტულ-პიროვნულის თანაფარდობა ქაქუცას სულიერ სამყაროში თავის უფროს ძმასთან გამართულ მწვავე კამათში:

„ერთ დღეს ჩვენთან მოულოდნელად მოვიდნენ შაქრო (ქაქუცას უფროსი ძმა) და ბიძინა ჩოლოყაშვილი, ეს იყო მათი

[35] ალექსანდრე ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 34, 35.

[36] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", № 8, 1990, გვ. 142.

პირველი და უკანასკნელი მოსვლა ჩვენთან. ასე მიმართა შაქრომ ძმას: „აი, მთავრობამ გამომგზავნა შენთან მოსალაპარაკებლად... წინადადებას გაძლევენ შენი რაზმით საზღვარგარეთ გახვიდე, ფულს რამდენსაც მოითხოვს მიიღებსო..." ქაქუცამ უპასუხა: „... რად შემოუძღვნენ რუსის ჯარს და ვაი-ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა ხელმეორედ რატომ ჩააბარეს რუსებს? თუ ქართველ ერს მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებით და ისევ ისე ვემსახურებით მას, როგორც ეს იყო მენშევიკური მთავრობის დროს, ოღონდ კი რუსის ჯარი გაიყვანონ და საქართველო დამოუკიდებელი იყოს. რაც შეეხება მათ წინადადებას, რომ იმდენ ფულს მოგვცემენ, რამდენიც გვინდა, ჩემი უფროსი ძმა კი ხარ, მაგრამ ამისთანა დავალებით ჩემთან აღარ მოხვიდე... ჩვენ პატრიოტები ვართ. ჩვენთვის საქართველოს თავისუფლება და მისი სიდიადე არის ძვირფასი და არა ფული. ჩვენ იმათთანა ავანტიურისტები და სამშობლოს მოღალატენი არა ვართ, რომლებმაც გაყიდეს საქართველოს ჭირითა და ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა, და თუ კიდევ შერჩენიათ ერთი ბეწო რაიმე ქართული, როგორც შემოუძღვნენ რუსებს, ისევე მოახერხონ მათი თავიდან მოშორება. ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მანამდისინ შევძლებთ, და თუ ჩვენ ვერ შევძელით ამ დიადი საქმის სისრულეში მოყვანა, მომავალი თაობა გააგრძელებს ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს. აი, ეს ყველაფერი, რაც მე გითხარ, მათ გადაეცი"-ო[37]. მოგვითხრობს ამას თავის მოგონებებში ალექსანდრე სულხანიშვილი და გრძნობს რა ქაქუცას პოზიციის ისტორიულ მნიშვნელობას, თავისი მონათხრობის დოკუმენტურობის განსამტკიცებლად, იქვე დაბეჯითებით დასძენს: „ამ ლაპარაკის დროს მე იქ ვიყავი, პირადად ჩემი ყურით მესმოდა ყველაფერი. ამ მოლაპარაკებაში ერთი წინადადებაც არ არის დაწერილი ვისმე გადმოცემით და სიტყვა-სიტყვით მომყავს თვით ქაქუცას ნათქვამი"-ო.

---

[37] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", № 3, 1990, გვ. 144, 145.

მართალია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი უპირატესად სამხედრო მოღვაწე იყო, მხედრული ბუნების და სულიერი წყობის კაცი, იგი ოფიციალურად არც ერთ პარტიაში არ ირიცხებოდა, მაგრამ მისი პოლიტიკური მრწამსი მტკიცედ იყო განსაზღვრული – თავგანწირული ბრძოლა (იარაღით) სამშობლოს სრულ განთავისუფლებამდე და ამ მრწამსის რეალიზაციისათვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოში მოქმედ პატრიოტულ პარტიებთან, განსაკუთრებით ეროვნული-დემოკრატების პარტიის ხელმძღვანელობასთან (გენერლები კ. აფხაზი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჭავჭავაძე და სხვ.), რადგან მათში ხედავდა მეტ პატრიოტიზმს და გულწრფელობას. იგი მუდამ ანგარიშს უწევდა და უგონებდა დამკომს, მის სამხედრო ცენტრს, განსაკუთრებით ხევსურეთის ომის შემდეგ, როგორც აღნიშნავს პოლკ. ს. ზალდასტანიშვილი.

წარმოადგენდა რა ერის მთავარი პოლიტიკური და სამხედრო ძალების, მათი ხელმძღვანელობის იდეისა და ორგანიზაციულ ღონისძიებათა საფუძველზე შექმნილ დამკვრელ სამხედრო ბირთვს, ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმს სეპარატიულად, მხოლოდ საკუთარ მოსაზრებათა და სურვილების შესაბამისად არც უმოქმედია, გარდა მტრის თავდასხმების ცალკეული შემთხვევებისა. მას თითქმის ყოველთვის ჰქონდა კონტაქტი დამკომთან და სამხედრო ოპერაციების დროსაც მისი ტაქტიკური გეგმის მიხედვით მოქმედებდა. ყოველ საჭირო შემთხვევაში ქ. ჩოლოყაშვილი თავისი მეკავშირეების საშუალებით აწვდიდა და იღებდა სათანადო ინფორმაციას სამხედრო ცენტრისაგან. გადამწყვეტ მომენტში კი რაზმის მეთაური უშუალოდაც მოინახულებდა მას. ასე იყო 1923 წლის დეკემბერში, როცა იგი დიდი რისკის საფასურად ორი რაზმელის – სერგო მაისურაძისა და გაბო ოზიაშვილის – თანხლებით მთელი რვა დღით ჩამოვიდა თბილისში და თათბირობდა სამხედრო კომისიასთან მომავალი საერთო ეროვნული აჯანყების საკითხების შესათანხმებლად[38]. სხვა შემთხვევებში დამკომი აგზავნიდა თავის წარმომადგენლებს რაზმში და ასე ახორციელებ-

---

[38] სოლომონ ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ. 22.

და საქმიან კონტაქტებს მასთან. ასე იყო, მაგალითად, მივლინებული დამკომისაგან სიმონ ყიფიანი (ეროვნულ-დემოკ. პარტიის ცკ წევრი) მიწერ-მოწერის, საქმიანი ქაღალდების საწარმოებლად. საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საგამოძიებო მასალებში კი ნათქვამია, რომ ს. ყიფიანი მივლინებული იქნა რაზმში პოლიტიკური ხელმძღვანელობის გასაწევადო[39].

რაზმის ბრძოლისუნარიანობას მებრძოლთა მხედრული ვარგისიანობისა და საბრძოლო აღჭურვილობის გარდა ბევრად განსაზღვრავდა რაზმის შინაგანი დისციპლინა, წესრიგი, პირადი შემადგენლობის მორალური სახე, ყოფა-ცხოვრების, ქცევის წესები და პირობები. შეიარაღება, შეიძლება ითქვას, დამაკმაყოფილებელი იყო. ეს პრობლემა წყდებოდა სამი გზით. ჯერ ერთი, ყველა მებრძოლი მოდიოდა თავისი იარაღით, მეორე, მოწინააღმდეგისთვის წართმეული იარაღი და მესამე, ცენტრის (დამკომი და სხვ.) მიერ მოწოდებული იარაღი.

სტრუქტურულად ქვედანაყოფების სისტემით აგებული რაზმი, როგორც ითქვა უკვე, სამხედრო-საველე ბანაკის წესით ცხოვრობდა და მოქმედებდა. მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის (წითელი არმია, საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოები, პარტიულ-კომკავშირული აქტივისტები) მუდმივი თავდასხმისა და მოგერიების პირობებში არსებობა შესაძლებელი იყო მხოლოდ მტკიცე დისციპლინისა და წესრიგის, უსაფრთხოება-სიფრთხილის გულმოდგინე დაცვის ვითარებაში. დასაბანაკებლად ყველგან შეირჩეოდა გეოგრაფიულად ყველაზე საიმედო ადგილი, შეძლებისდაგვარად კეთდებოდა საფარი (საყუჩი) და მარტივი ტიპის გადახურვა. რაზმის მეთაურის სადგომ-საძინებელი გამოყოფილი იყო. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ღამის განმავლობაში, იგი რამდენჯერმე იცვლიდა ადგილს. მუდმივად იყვნენ გამოყოფილი მორიგე-ყარაულები. რაზმს ჰყავდა მზვერავები, შიკრიკები და, რაღა თქმა უნდა, მეკავშირეები, ცხადია, დასახლებებში მშვიდობიანად მცხოვრები პირები.

---

[39] საქმე... გვ. 49.

მეკავშირეები წარმოადგენდნენ ყველაზე სარწმუნო ინფორმაციის მომწოდებლებს და, რაც მთავარია, სურსათ-სანოვაგით და არსებობისათვის აუცილებელი საშუალებებით მომმარაგებლებს, და ბოლოს, საიმედო მებრძოლ-რაზმელსაც.

შეიძლება ითქვას, კახეთის ტერიტორიაზე რაზმის ბანაკის ყველაზე მყარ და ხანგრძლივ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა დღევანდელ თელავის რაიონში მდ. თურდოს სათავეებში, ცივ-გომბორის მწვერვალის ძირში, ხევსურთა სოფლების სეროდანისა და პანტიანის გასწვრივ, ტყის სათავე ზოლში, ტევრიანში, ბუნებრივი სიმაგრე, რომელსაც თეთრწყლების მთიელი მცხოვრებლები „ვარცლას" უწოდებენ. აქ მთის წვერიდან უძველეს დროში მოწყვეტილ და ას მეტრზე მეტი სიმაღლიდან ჩამოვარდნილ მცირე ზომის ვაკეში (ვარცლში), რომელსაც სამი მხრიდან მიუდგომელი ციცაბო კლდეები ესაზღვრება, ჩვენ დრომდე შემორჩენილი იყო ბანაკის ქვის ნაგებობათა ნაშთები (სადგომები, იარაღი-საჭურვლის, სურსათის საწყობები, დამცავი გალავნის – საყუჩების ყორეები და სხვ. თვით პურის საცხობი და წყლის ჭაც კი ჰქონდათ აქ გამართული, როგორც იგონებდნენ ბატონი ალ. სულხანიშვილი და უფროსი ასაკის ხევსური მოსახლენი). აქ 1922 წლის პირველ ნახევარსა და 1923 წლის უმრავლეს თვეებში იდგა და ძალებს იკრებდა მომავალი ბრძოლებისათვის პარტიზანული რაზმის ყველაზე მრავალრიცხოვანი შემადგენლობა. მას მტკიცე საყრდენი ბაზაც ჰქონდა – თეთრწყლების რაიონში მცხოვრები ძირითადად ხევსური მოსახლეობა. სწორედ აქ იჭედებოდა იმ მძლავრი ჯაჭვის რგოლები, რომელიც ხევსურთა სახელოვანი თავდაცვის მოგიზგიზე კოცონისაკენ მიემართებოდა. აქედან მიაქროლებდა ბევრი გულანთებული მხედარი მთათა უხვედრი ბილიკებით ჩოლოყაშვილის სიტყვიერ თუ წერილობით რჩევა-მითითებებს ხევსურთა თავკაცებთან, რომელთა საფუძველზეც ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდებოდა 1922 წლის ისტორიული ეპოპეა.

ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებებში იხსენიებს ბანაკის მახლობლად მდებარე ხევსური მეკომურის საზაფხულო ბინაბოსელს თავისი მოსახლეებით, რომლებიც რაზმელთა გარე კავშირისა და ყოველგვარი დახმარების საიმედო დასაყრდენს წარ-

მოადგენდა. ეს გახლდათ უკვე მოხსენიებული პატივცემული ლევან გოგოჭურის საზაფხულო საბოსლო-სამეურნეო სათავსო მდიდარი ხილ-ბოსტნეულის ბაღითა და საკარმიდამო ფართობით. დღესაც დიდი გრძნობიერებით იგონებენ ლევან გოგოჭურის შვილები მათი ბავშვობის საყვარელ აგარაკს „ხორხას", რომელიც მდებარეობს სოფლების პანტიანისა და კობაძის ხეობის სათავეში.

რაც შეეხება სურსათის და აუცილებელი მატერიალური ნაწილით უზრუნველყოფის საქმეს, რაშიც მუდამ უდიდეს გაჭირვებას განიცდიდნენ შეფიცულები, ამაზე საკმაოდ სრულად წერს თავის მოგონებებში ალექსანდრე სულხანიშვილი და ჩვენ აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც ერთნაირად ასახავს შეფიცულთა ჭირ-ვარამს, დისციპლინას, ამტანობას და სიფრთხილეს. იმ ხანად რაზმი მოქმედებდა ყარაიაზის ტყეებში. „... ამ ტევრში მთელი დღე გავატარეთ. სანოვაგე გვქონდა ცოტა და, მიუხედავად იმისა, რომ ჯოგ-ჯოგად დაიარებოდნენ გარეული ღორები, მაინც სულდიდად ვიკავებდით თავს, რადგან სროლა არ შეიძლებოდა. წარმოიდგინეთ, რამდენად ადვილია ამის მოთმენა მშიერ კუჭზე, და განსაკუთრებით ჩემისთანა ნადირობის ტრფიალისათვის! მაგრამ როგორც გიჭირდეთ, ისე გილირდეთ"[40].

მოგონებათა ავტორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს რაზმში დამკვიდრებულ ადამიანურ ღირსებათა მტკიცე ჩვევებს. ალ. სულხანიშვილი რამდენჯერმე იმეორებს, რომ რაზმში ალკვეთილი იყო ღვინის, სასმელის სმა და თრობა, ასევე ქალებთან თავისუფალი, თავშეუკავებელი დამოკიდებულება „... ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყველა შეფიცულს უბრალოდ და მეგობრულად ექცეოდა, — აღნიშნავს მზია ბაქრაძე — მაგრამ მომთხოვნი იყო და წესრიგის მოყვარული; დისციპლინის დარღვევას ვერავინ ბედავდა.... ასევე იყო ქალებთან დამოკიდებულებაში. შეფიცულებს ხშირად უხდებოდათ ოჯახებში ჩასვლა სანოვაგის ან საცვლების გამოსატანად.

---

[40] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", № 8, 1990, გვ. 138.

ვაი იმის დღეს, თუ რომელიმე მათგანი ცუდი თვალით შეხედავდა ვისიმე ცოლს, ქალიშვილს ან დას"[41].

საერთოდ, რაზმის მოქმედების, მოსახლეობასთან დამოკიდებულების მხრივ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მისი რომელიმე წევრი დასცემოდეს, გაეძარცვოს ვინმე ან სხვა რაიმე ზიანი მიეყენებინოს ხალხისთვის. თვით პროდუქტებიც მოსახლეობას, მომხრეებს თვითონ პატივისცემით მიჰქონდათ მათთან. რა სითბოთი და გრძნობიერებით იგონებს, მაგალითად, იგივე სულხანიშვილი, რომ წინდებს ბლომად გვიქსოვდნენ ჩვენი დები, მთიელი ქალებიო. მისივე სიტყვებით, თუ ზოგჯერ იძულებული იყვნენ წაეყვანათ ვისიმე საქონელი (საკლავი), ეს აუცილებლად იქნებოდა მათი მოწინააღმდეგის, მოძალადე სახელმწიფო-პარტიული მოხელეების მიერ ნაძარცვიდან, ასე ვთქვათ, უკან დაბრუნებული ქონება.

მაშასადამე, მაშინდელი ხელისუფლების ოფიციოზის მიერ რაზმელების „ყაჩაღებად", მათი მოქმედების „ბანდიტიზმად" მოხსენიება გამიზნული ცილისწამება იყო მოსახლეობის თვალში მათი კომპრომეტაციისათვის. სინამდვილეში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი სწორედ ხალხის ინტერესების, მათი უფლებებისა და თავისუფლების დამცველი იყო.

აი, დაახლოებით ასეთი პოლიტიკური სიმწიფის, პატრიოტული შემართების, ორგანიზაციული დარაზმულობის და პიროვნული სიმამაცის მქონე კარგად შეიარაღებული შეფიცულთა რაზმი გაემართა ხევსურეთისკენ 1922 წლის ივლისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

---

[41] მზია ბაქრაძე, პორტრეტის ესკიზი, გაზ. „ლიტ. საქართ.", № 1, 5 იანვარი, 1990, გვ. 13.

## შეფიცულთა რაზმი ხევსურეთში

დამკომისა და მისი სამხედრო ცენტრის შექმნის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის მზადება საერთო ეროვნული აჯანყებისათვის ყოველმხრივ დაჩქარდა. 1922 წლის გაზაფხულზე ზოგად ჩარჩოებში შემუშავებული იქნა აჯანყების გეგმაც.

„აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: პირველი და მთავარი გამოსვლა უნდა მოეხდინა ქაქუცა ჩოლოყაშვილს დუშეთში. როცა თბილისიდან მის წინააღმდეგ გაგზავნილი რუსული ჯარი მასთან ბრძოლაში ჩაებმებოდა, მცხეთის მხრივ მ. ლაშქარაშვილი თავისი რაზმით ზურგში დაარტყამდა. ამით მტრის რიგებში მოახდენდნენ არეულობას და შეერთებული რაზმებით ქაქუცას მეთაურობით თბილისს მოადგებოდნენ. ამავე დროს აჯანყება უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში და კახეთში"[42]. ამ საკითხზე ზუსტად ამასვე გადმოგვცემს ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებათა რამდენიმე ადგილზე.

ამ გეგმის მთავარი ღირსება და მახასიათებელი იყო არსებული რეალური საბრძოლო ძალები და მათი ტერიტორიული განლაგება. ყველაზე ძლიერი და საიმედო იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი, რომელიც მოიცავდა თითქმის მთელი კახეთის ტერიტორიას (თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრები) და დუშეთის მაზრასაც. მეორე დიდი რაზმი განლაგებული იყო ქართლის რაიონებში (გორის მაზრა) და მას ხელმძღვანელობდა ოფიცერი მიხეილ ლაშქარაშვილი. აღნიშნული მეთაურები დანიშნული იყვნენ ჯერ კიდევ სამხედრო ცენტრის შექმნის დროს, 1922 წლის მარტში.

ოპერატიულ გეგმაში იგულისხმებოდა, რომ ბრძოლა უნდა დაეწყო ქ. ჩოლოყაშვილს მთიანეთიდან, მას აჰყვებოდა კახეთის

[42] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

მებრძოლი ჯგუფები და მთელი მოსახლეობა, ხოლო როცა ჩოლოყაშვილი რუსების არმიის მთავარ ძალებს ბრძოლებით თანდათან მდ. არაგვის ვიწრო ხეობებში შეიტყუებდა, ქართლიდან მტერს ზურგში დაარტყამდა მ. ლაშქარაშვილი. ეს ორი დამკვრელი ბირთვი გაერთიანდებოდა და განახორციელებდა ძლევამოსილ შეტევას დედაქალაქ თბილისზე. ამ პერიოდისათვის ქვეყნის ცენტრში მებრძოლ ძალებს შეუერთდებოდა დასავლეთის რაიონებიც (გურია, სამეგრელო, სვანეთი). ასეთ პირობებში შესაძლებელი იქნებოდა არც თუ ისე მრავალრიცხოვანი მტრის ძლევა.

ამ ეტაპზე უმთავრესი პრობლემა იყო აჯანყების დაწყების კონკრეტული ადგილი და დრო, რაც ხშირად გადამწყვეტ ფაქტორებად იქცევა ხოლმე ასეთი სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციების დროს. ამ საკითხებზე, საერთოდ ქვეყანაში არსებული მაშინდელი ვითარების შესახებ საკმაოდ სანდო ცნობებია მოცემული პოლკოვნიკ სოლომონ ზალდასტანიშვილის მოგონებათა წიგნში „საქართველოს 1924 წლის ამბოხება", რომელიც დაიწერა 30-იან წლებში, ბრძოლების უახლოეს პერიოდშივე, დაიწერა ისეთი პიროვნების მიერ, რომელიც უშუალო მოწმე და მონაწილე იყო ამ ამბებისა, როგორც დამკომისა და მისი სამხედრო ცენტრის წევრი და, ცხადია, იცოდა ბევრი რამ ისეთი, რაც სხვა მკვლევარებისათვის საერთოდ ხელმიუწვდომელია. სწორედ ამიტომ მიუთითებს პროფ. გურამ შარაძე, რომ „სოლომონ ზალდასტანიშვილი ერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელთაგანია და ამიტომაც აქვს მის მოგონებების წიგნს ამ ისტორიული ბრძოლების შესახებ ფასდაუდებელი მნიშვნელობა"[43].

დამკომის სამხედრო ცენტრის მიერ მიღებულ გეგმაში ს. ზალდასტანიშვილი აჯანყების დაწყების ადგილად ზოგადად დუშეთს მოიხსენიებს. აქ ზოგიერთი რამ დაზუსტებას საჭიროებს. „დუშეთი" ეს მეტად ვრცელი ტერიტორიული რეგიონია. მასში შედის ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილიც და მთიანეთის ბევრი კუთხეც, ე. ი. მთელი მთა-ბარი. აჯანყება, ცხადია, ყველგან

---

[43] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

ერთდროულად ვერ დაიწყებოდა. მართალია, ქაქუცა ჩოლოყაშვილს 1922 წლის ზაფხულის დასაწყისისათვის უშუალოდ დუშეთის სიახლოვეს (მისაქციელ-ალდგომლიანთკარ-ბაზალეთის მიდამოები) ჰქონდა თავისი რაზმის საყრდენი ბაზები, ადგილობრივ პარტიზანთა მცირე ჯგუფებით, მაგრამ აქ არ იყო ისეთი კომპაქტურად შეკრული დიდი საბრძოლო შენაერთი, რომელიც ძლევამოსილი დასაწყისის დამკვრელ ძალად გამომდგარიყო და არც ადგილობრივი მოსახლეობის სათანადო დარაზმულობა იყო. ასეთ ძალას მაშინ წარმოადგენდა მხოლოდ ხევსურეთი. ეს რომ ასე იყო სულ მალე გახდა ცნობილი. ხევსურეთის გადაქცევა ყველაზე ცხელ პოლიტიკურ წერტილად ამ პერიოდისათვის განაპირობა რამდენიმე გარემოებამ. უპირველესად იმან, რომ უცხო, საძულველი დამპყრობელი მოადგა ხევსურეთს კარს, უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რა საბაბით მოვიდა იგი და რა პირობებს აყენებდა. მას რომ აქ გაბატონება ჰქონდა მიზნად, ამას ხევსურებიც ხვდებოდნენ. ისინი კი მტრისადმი მორჩილებას არ აპირებდნენ, თავისუფლებას იარაღით დაიცავდნენ. ისტორიულად მათი დამორჩილება ვერც შეძლო ვერავინ. ხევსურის ლოგიკა მარტივი და შეუვალი იყო: თუ ქართველი კომუნისტები შინაურებად და ღარიბთა ქომაგად თვლიან თავს, ეს რუსის ჯარი რაღაა. „... ჩავარდას რუსის ხელადა თქვენი დუშმანი, მტერია".

უცხო ძალის გმოყენებით ბოლშევიკებმა იმათ თვალშიც დაკარგეს ყოველგვარი ნდობა და მხარდაჭერა, ვისაც რევოლუციის პერიოდში სჯეროდა მათი პროპაგანდისა. სწორედ ამ განწყობილების საფუძველზე იყო ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნების, მისი რაზმის საქმეებისა და ინტერესებისადმი დიდი პატივისცემა და მხარდაჭერა. ეს იყო ხევსურთა აქტიურობის მეორე პირობა. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობდა კახეთში მცხოვრები ხევსურების კონტაქტები ქაქუცასთან და მის რაზმში მონაწილეობა, მათი ყოველდღიური კავშირი მთაში მცხოვრებ ძმა – სახლისკაცებთან და მთელ ხევსურეთთან. ქაქუცა და მისი ტყის შეფიცული ძმები საბრძოლველად მუდამჟამს გულანთებულნი, სრულიად იოლად, ძალდაუტანებლად გადასცემდნენ თავიანთ განწყობილებას მონობისადმი შეურიგებელ მთიელ ვაჟკა-

ცებს. სწორედ ეს სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურება განაპირობებდა მათს საბრძოლო შემართებასა და დარაზმულობას. და როდესაც ქაქუცა თავისი რაზმით ხევსურეთში ავიდა ასეთი ისტორიული მისიით – ერისა და თვით ხევსურეთის ინტერესების სამსახურად, თან როგორც სტუმარი და მათდამი მინდობილი, ცხადია, მას არც ერთი ხევსური არ ეტყოდა უარს მხარდაჭერაზე.

სხვა საკითხია ბრძოლის დაწყების კონკრეტული დრო. აქ უფრო რთულად იყო საქმე. მდგომარეობას ართულებდა უპირველეს ყოვლისა ის, რომ მოძრაობის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ (დამკომი და სამხედრო ცენტრი) ზუსტად ვერც განსაზღვრეს და ვერც დაიცვეს ეს ვადა. თავიდან გამოსვლის დაწყება გათვალისწინებული იყო აგვისტოს პირველ რიცხვებში, მაგრამ, გარდა ქ. ჩოლოყაშვილის სამოქმედო უბნისა, ამ დროისათვის ვერსად ვერ მომზადდა იგი და იძულებული გახდნენ არ მიეცათ საერთო აჯანყების რეკომენდაცია, რაც ყველაზე უარესია, ჩოლოყაშვილსაც ავალებდნენ წინააღმდეგობის შეწყვეტას. ეს ხდება მაშინ, როდესაც ხევსურეთში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები და მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია. ამ სამწუხარო მოვლენების მიზეზი მრავალია, რომელთა შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი, ახლა კი დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ეხება ქ. ჩოლოყაშვილისადმი ცენტრის საბრძოლო დირექტივებს, ბრძოლის დაწყების ვადებს და ადასტურებს მისი გამოსვლების არა სეპარატიულობასა და თვითნებურობას, არამედ სწორედ საერთო ხელმძღვანელობის არაორგანიზებულობასა და უთაურობას.

საქართველოში 1921-1924 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებათა საქმეზე დაპატიმრებულთა საქმეების, ე. წ. „საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ" გამოძიების მასალებში გვხვდება მრავალი დოკუმენტი, რომელიც ნათელს ჰფენს ბევრ ფაქტს და მოვლენას, კერძოდ, ხევსურეთის ომის, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საერთო ბრძოლის განუყოფელი ნაწილის საკითხს – „...

სამხედრო ცენტრის ორგანიზაციის გამო შესდგა მეტად მნიშვნელოვანი თათბირი (1922 წლის მარტში) – ვკითხულობთ გამოძიების მასალებში, – გოგიტა ფაღავამ (სდპ ცკ მეთაური – ი. ლ.) მოაწყო თათბირი სამხედრო სპეციალისტებისა: ვარდენ წულუკიძის, როსტომ მუსხელიშვილის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის და გიორგი ხიმშიაშვილის მონაწილეობით... თათბირმა შეიმუშავა 3 პუნქტიანი აჯანყების პირობები... ყველა ეს ცხადათ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პარიტეტული კომიტეტის მიზანი იყო... შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ... თანდათანობით შეიარაღებული გამოსვლის იდეა იღებს განსაზღვრულ უკვე ჩამოყალიბებულ ფორმას ეგრეთ წოდებულ „სამხედრო ცენტრის" სახით. ამ დროისათვის, ე. ი. 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ტერიტორიაზე მეტად გაფართოვდა პოლიტიკური ბანდიტიზმი, რომელშიაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა.

ეს უკანასკნელი ეროვნული დემოკრატების ცეკას ხელმძღვანელობით მთელი ძალღონით აგროვებდა საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ოფიცრობას და ადგენდა აჯანყებულებთა კადრებს.

საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ქართულ პარტიათა შორის ყოველნაირად აღვივებენ სულ ახლო მომავალში გადატრიალების შესაძლებლობის იმედს. როდესაც ჩოლოყაშვილი გამოვიდა ხევსურეთში, პარიტეტული კომიტეტი დადგა ასეთი დილემის წინაშე: განევითარებინათ ჩოლოყაშვილის ავანტიურა „სრულიად საქართველოს მასშტაბით", თუ შეეწყვიტათ ყოველგვარი ბანდიტური ცდები, რადგანაც საბჭოთა მთავრობა გადამწყვეტ ღონისძიებას იღებდა და მოსალოდნელი იყო დამარცხება".

ამონაწერიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებები: თუმცა ბოლშევიკური ხელისუფლების ორგანოები თამამად იყენებენ ისეთ მაკომპრომეტირებელ ტერმინებს, როგორიცაა „ავანტიურა" და „ბანდიტიზმი", მაგრამ გვერდს ვერ უვლიან „პოლიტიკური ავანტიურის" ცნებას, რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს; და კიდევ ის, რომ ეროვნული პარტიული ხელმძღვანელობა

მსჯელობს ხევსურეთის ბრძოლის შემდგომი განვითარების თუ „შეწყვეტის" პრობლემებზე, მაშასადამე, ეს საქმე მისი მოღვაწეობის ქვემდებარე, უშუალო კავშირში მყოფია და არა ცალკეულ პიროვნებათა, ამ შემთხვევაში ქ. ჩოლოყაშვილის კერძო, პიროვნული მოქმედება.

გამოძიების ამავე მასალებში მითითებულია, რომ 1922 წლის მაისის დამლევიდან „სამხედრო ცენტრის მუშაობის ეს პერიოდი დახასიათდება ჩოლოყაშვილის მოძრაობის მომზადებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეროვნული დემოკრატების ცეკას წევრმა დავით ვაჩნაძემ გაუგზავნა ჩოლოყაშვილს 1) სადირექტივო წერილი და 2) „ბრძანება № 1"[44].

ამჟამად ეს დოკუმენტები ცნობილია და რადგან საკვლევი საკითხის ირგვლივ შეიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს, მოგვაქვს მთლიანად.

1922 წლის 26 ივლისით დათარიღებულ ე. წ. სადირექტივო წერილში დ. ვაჩნაძე „სამფერის" ფსევდონიმით სწერს ქ. ჩოლოყაშვილს:

„ძვირფასო ქართველო, ამასთან ერთად გეგზავნებათ საქართველოს პარტიზანთა მთავარ სამხედრო ოპერატიული შტაბის ბრძანება. საზღვარგარეთთან კავშირი დავიჭირეთ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და იტალიას განზრახული აქვთ ძალით ჩაერიონ რუსეთის საქმეებში – ემზადებიან კონსტანტინეპოლსა და ანგორაზე გამოსავლელად. ამ გეგმის სისრულეში მოყვანას შეუდგებიან შემოდგომაზე, ისე რომ ჩვენი ამბოხება შეიძლება მათ გეგმას შეუფარდდეს. შევუკვეთეთ საზღვარგარეთ ფული, იარაღი. ძველი მთავრობა პარიზიდან მოგვიწოდებს აქტიური მოქმედებისადმი, გვპირდება შეკვეთილ იარაღსა და ფულს. ახლო მომავალში ველით მანდედან პასუხს, თუ უცხოელები თავის გეგმას გადასდებენ, ჩვენ მაინც გამოვალთ... გაცნობებთ, რომ დაარსდა სამხედრო ცენტრი. შტაბის შემადგენლობაში შედის „მუხაც"... გასწყვიტე ყოველივე კავშირი ვარდენთან, რადგან იგი აქტივობის წინააღმდეგია. კავშირი

---

[44] საქმე... გვ. 17.

შტაბთან იქონიე „მუხას" საშუალებით. ეს შტაბი ფაქტიურად ითვლება სამხედრო შტაბადაც დამოუკიდებლობის ინტერპარტიულ კომიტეტთან... სამფერი"[45].

წერილით, უპირველს ყოვლისა, ვიგებთ იმას, რომ 1922 წლის ივლისის მეორე ნახევრისთვის ამბოხების ხელმძღვანელობის (ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის) მიერ შექმნილია აჯანყებულთა საგანგებო შტაბი (სამხედრო ცენტრი), რომელიც, ამავე დროს, ითვლება დამოუკიდებლობის ინტერპარტიულ კომიტეტთან არსებულ სამხედრო შტაბადაც და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა მოითხოვს ქ. ჩოლოყაშვილისაგან კავშირი განყვიტოს (დამკომის სოციალ-დემოკრატიულ წარმომადგენლობასთან (გენ. ვარდენ წულუკიძე მენშევიკია) და გაუგონოს მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორიენტაციის სამხედრო შტაბს, მისი ქვეუჯრედის „მუხას" მეშვეობით. წერილის მთავარი პათოსი – აჯანყებისთვის დროული და სათანადო მომზადებისკენ მოწოდებაა.

გავეცნოთ მეორე დოკუმენტს:

„საქართველოს პარტიზანების უფროსს ქაქუცა ჩოლოყაშვილს

ბრძანება № 1 აგვისტოს 20

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარტიზანთა მთავარი სამხედრო-ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილების თანახმად ოკუპანტებისაგან საქართველოს განთავისუფლების დროდ დანიშნულია ა. წ. სექტემბრის 27 ვიდრე ოქტომბრის 15. ამბოხების ოპერატიულ გეგმას გამოსვლის დღის აღნიშვნით მიიღებთ ადგილობრივ სექტემბრის 20 დახურული პაკეტით.

სექტემბრის 15-სთვის უთუოდ წარმოადგინეთ თქვენი ოპერატიული მოსაზრებანი შემდეგი ცნობების დართვით:

1. პარტიზანთა საერთო რიცხვი ქართლ-კახეთში, მათი დანაწილება მაზრობით;

2. ქვეითი და ცხენოსანი პარტიზანების რიცხვი;

3. რაოდენობა თოფებისა, ტყვიის მფრქვეველებისა, ტყვიებისა, ზარბაზნებისა;

---

[45] იქვე, გვ. 50.

4. დამოკიდებულება ლეკებთან და აზერბაიჯანლებთან (რა დახმარების გაწევა შეუძლიათ);

5. მეამბოხეთა სურსათ-სანოვაგით დაკმაყოფილების გეგმა.

მოვალე ხართ ეს ბრძანება სექტემბრის 20-დე სრულ საიდუმლოდ იქონიოთ. ცენტრალურ შტაბთან კავშირის დასაჭერად გამოგზავნოთ რჩეული, საიმედო კაცები. ცენტრალური შტაბის მისამართია – „მუხა".

საქართველოს პარტიზანთა მთავარი შტაბის მინდობილობით – სამფერი"[46].

ამ დოკუმენტში საბრძოლო მოქმედების დრო (და არა დასაწყისი) შედარებით დაკონკრეტებულია, მაგრამ არა დაზუსტებული. ასეთს ჰპირდებიან კიდევ ერთი თვის დაგვიანებით, სექტემბრის 20-თვის მოქმედების ოპერატიულ გეგმასთან ერთად და ისიც ისეთ ვითარებაში, როცა საეჭვოა თვით ამ დოკუმენტების ადრესატამდე მიღწევა. ამ დოკუმენტებით დგინდება, რომ დაახლოებით სამი თვე (20 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე) უნდა გაგრძელდეს ოპერაციის დაგეგმვა-დასაწყისის ეტაპი და ამის მიუხედავად, მაინც სახეზე არ არის ასეთი მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური მოქმედების ვარგისი, კონკრეტული ოპერატიული გეგმა. აჯანყების ხელმძღვანელ ცენტრში ადგილი აქვს მონაწილე პოლიტიკურ დაჯგუფებათა ურთიერთუნდობლობასა და დაპირისპირებას, ყველა ცალკეული, სუბიექტური ინტერესის ერთი მთავარი მიზნისთვის დამორჩილების უუნარობას. არ არსებობს განმათავისუფლებელი ბრძოლის მტკიცე ორგანიზაცია. ცენტრსა და პერიფერიებს, მთავარ დამკვრელ ძალებს შორის მტკიცე კავშირი მოშლილია. მოქმედების რა შედეგიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აღნიშნულ დირექტივებს ქ. ჩოლოყაშვილამდე არც მიუღწევია, რომ აღარაფერი ვთქვათ მათს უსაფუძვლობასა და არარეალურობაზე. მათი შედგენის დროისათვის, ხომ ხევსურეთში უკვე დაწყებული იყო ბრძოლა. ამის თაობაზე აი, რას გვამცნობს ალ. სულხანიშვილი: „დუშეთის მიდამოებში ყოფნისას (ე. ი. ივლისის შუა რიცხვებამდე – ი. ლ.) თბილისიდან ჩვენთან ჩამო-

[46] იქვე, გვ. 50-51.

ვიდა შალიკო ფავლენიშვილი, პირველი ცხენოსანი ათასეულის ყოფილი ოფიცერი (ქაქუცას ყოფილი თანაშემწე იქ), რომელიც ჯერ კიდევ ლეგალურ მდგომარეობაში იყო და მეკავშირის როლს ასრულებდა პარტიზანებთან, მაგალითად კავშირი ჰქონდა (ქაქუცას დავალებით) მოხევეებთან... ბარისახოში შალიკომ კაცი გამოგვიგზავნა დროისა და ადგილის შესათანხმებლად, მისგან გამოგზავნილი პაკეტის მისაღებად კაცის გაგზავნის თაობაზე. ქაქუცამ მე და ერთი ხევსური გაგვგზავნა, ორი დღე ველოდეთ, არავინ მოვიდა. შალიკოს დავალებას შეადგენდა სამხედრო გზის შეკვრა, რომ რუსები არ შემოეშვა საქართველოში"[47].

ეს დოკუმენტები ადვილად ვერც მიაღწევდა ქაქუცა ჩოლოყაშვილამდე. მისი რაზმი ივლისის მეორე ნახევრიდან უკვე ხევსურეთში, არაგვის ხეობაშია და მას ფეხდაფეხ მისდევს რუსის ჯარი, საბჭოთა ნაწილები, რომლებმაც მთლიანად გადაკეტეს ხევსურეთში შესასვლელი გზები და თბილისიდან იქ შეღწევა გამორიცხული იყო. ამიტომ აღმოჩნდა აღნიშნული ორივე დოკუმენტი 1922 წლის ბოლოს კვლავ მეკავშირის – შალვა ფავლენიშვილის ხელთ, როცა ჩეკისტებთან ბრძოლაში (მისი დაპატიმრების მცდელობისას) დაიღუპა თბილისში. ისინი ჩეკას ჩაუვარდა ხელში და, ცხადია, ქაქუცა არ იცნობდა მათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ მათ შესახებაა ლაპარაკი ალ. სულხანიშვილის მოგონებაში, როცა შ. ფავლენიშვილისაგან ქაქუცასთვის გადასაცემ პაკეტს ახსენებს.

მონაწილეთა და მომსწრეთა მოგონებებში, ასევე სხვა დოკუმენტურ მასალაში აშკარად იკვეთება პოზიცია, რომელიც დაიკავეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოქმედმა პოლიტიკურმა და სამხედრო ცენტრებმა (დამკომი, სამხედრო ცენტრი, პარტიათა ცენტრალური კომიტეტები) და უმრავლესმა წამყვანმა პიროვნებებმა 1922 წლის აგვისტოს პოლიტიკური სიტუაციის, ხევსურეთის უკვე დაწყებული ბრძოლის მიმართ. ეს იყო ბრძოლის დაწყების ნაჩქარევად ჩათვლის, ჯერ კიდევ დაცდის, დაწყებული ბრძოლის – „ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლის" შეჩერების,

---

[47] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

ამ მოვლენის თვით „ავანტიურად“ მიჩნევის (კომუნისტური პროპაგანდის ზეგავლენით) პოზიცია; ეს იყო სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების არსში ვერწვდომის, პოლიტიკანების და არა პოლიტიკოსების კარიერისტული პოზიცია. მათი უთაურობით და ეგოისტური ამბიციებით ხელიდან გაშვებული იქნა თითქმის გარანტირებული გამარჯვების შესაძლებლობა. ხევსურეთში დაწყებული ბრძოლის შეჩერება და ალკვეთა კი არა, მისი განვითარება და საერთო სახალხო აჯანყებად გადაქცევა იყო საჭირო, როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული. ამ ბრძოლის შეჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. იგი უნდა მისულიყო ლოგიკურ ფინალამდე და მივიდა კიდეც. თუ რატომ არ შეიძლებოდა მისი შეჩერება ან რატომ დაიწყო იგი სასურველ დროზე ადრე, ამის გარკვევას შევეცდებით ქვევით.

მაშ ასე, 1922 წლის ივლისისათვის თითქმის მთელი საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობა აბობოქრდა და როგორც ამ მოძრაობის სათავეებთან მდგომი პოლიტიკური მოღვაწეები იგონებენ „აქაც პირველი ამოძრავდა ხევსურეთის მთის მამაცი ხალხი და ჩაიყენა მოთავედ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (ქაქუცა)[48].

[48] დავით ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2004. გვ. 82.

# ხევსურეთის ომი

„ძალს შაუდგეს მთავრობასა,
– ხელმწიფობა სად არიო!"

1922 წლის ადრე გაზაფხულიდანვე ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავისი რაზმელი ხევსურების მეშვეობით მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ხევსურეთთან განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთობლივი ძალებით მომზადების მიზნით, ხოლო მდინარე არაგვის ხეობაში ცხენით მოგზაურობის შესაძლებელობის შექმნისთანავე, როგორც იგონებს ხევსურეთის ომის ცოცხალი მონაწილე ბერდიხა წიკლაური, მისში 12 თანამებრძოლის, მათ შორის ხევსურების დიმიტრი ცისკარაულის (ფუნჩათ ბაბუა) და აბიკა გიგაურის (ბაბუათ აბიკა) თანხლებით თვითონ იმოგზაურა ხევსურეთის უმთავრეს თემებში: საარაგვოს, ბარისახოს, ლიქოკის, გორშელმის, წყალსიქითის სოფლებში, ეთათბირა იქაურ თავკაცებს – გოგოთურ ჭინჭარაულს (უჭკუათ გოგოთური), მგელიკა ლიქოკელს (ბაძიაურათ მგელიკა), აფშინა გოგოჭურს (შაბურათ აფშინა) და სხვებს. გაიგო ხალხის საერთო განწყობილება, შეიარაღების მდგომარეობა, მოხიბლა დიდი და პატარა თავისი უზადო ვაჟკაცობით, სიბრძნით და თავდაჭერილობით, წაუმატა პატრიოტული მუხტი ახალგაზრდა ხევსურთა მოგიზგიზე გულებს. დაისახა მომავალი მოქმედების გეგმა. პირველი დღიდანვე მას განუშორებლად თან ახლდნენ და მტკიცე ერთგულება შეჰფიცეს სიმამაცით განთქმულმა აქაურმა ახალგაზრდა ხევსურებმა დათვია ლიქოკელმა (მგელიკათ დათვია), აპარეკა არაბულმა (გიორგით აპარეკა), ბაბუტა არაბულმა (ბაღათერათ ბაბუტა), თორელ გოგოჭურმა (ჯინჭარათ თორელი), ბერდიხა წიკლაურმა (ვეშაგურთ ბერდიხა), ჯარია არაბულმა (ჯარიათ ჯარია), მამუკა ჯინჭარაულმა (გაგათ მამუკა) და სხვებმა. ქაქუცამ მათ მისცა ზოგიერთი დავალება, დაუთქვა შემდგომი შეხვედრის დრო და ერთი კვირის შემდეგ ბარში დაბრუნდა.

ამის შემდეგ: ქაქუცამ კახეთიდან ხევსურეთში მალევე გაგზავნა ერთგული თანამებრძოლები თომა ბალიაური (ბადიათ თომა), გიგია არაბული (ბიძურათ გიგია) და ჯოყოლა გოგოჭური (გიგით ჯოყოლა) ახლა უკვე კონკრეტული დავალებით – ეუწყებინათ ხევსურთათვის, რომ საათენგენოდ (ხევსურეთის უდიდესი რელიგიური დღეობაა ახალი სტილით ივლისის 20-იან რიცხვებში), მთელი რაზმით ესტუმრებოდა ხევსურეთს, რათა აგვისტოს დასაწყისში დაეწყოთ სახალხო ლაშქრობა, როგორც სამხედრო ცენტრის თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის ხელსაყრელი გარემოებები იქნებოდა.

როგორც სოფ. აღდგომლიანთკარის (მცხეთის რაიონი) მცხოვრები 90 წლის დავით ხუროშვილი იგონებს, 1922 წლის ივლისის დასაწყისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით – 20 კაცით ესტუმრა მათ სოფელს – ფრეზეთს. აქ ისინი გამაგრებულ ადგილზე, „ცისკარაანთ ახოში" დაბანაკდნენ. რაზმს ერთი კვირის განმავლობაში ინახავდა სოფელი, აგვქონდა პური, სხვა პროდუქტები. მათ გაცხოველებული სამზადისი ჰქონდათ სალაშქროდ. ვიცოდით, რომ ემზადებოდნენ ხევსურეთში ნასასვლელად. ყველამ იცოდა, რომ ხევსურები ძალზე შეუდგნენ კომუნისტებს – აქ არ შემოგიშვებთო. ქაქუცა მათ დასახმარებლად მიდიოდა. ამბობდნენ, ამ წელს მეორედ ადის ხევსურეთშიო. ჩვენი ბიჭებიც ყოველმხრივ ეხმარებოდნენ რაზმელებს. ჩვენი და ახლო-მახლო სოფლების მუხრანის, მჭადისჯვრის, ძეგვის აქტივისტები იკრიბებოდნენ მასთან გიორგი გვერდწითელის (ადგილობრივი პარტიზანული რაზმის მეთაური), მიტო მერაბაშვილის, ილო შაქარაშვილის, ილო ხუროშვილის ხელმძღვანელობით. თათბირობდნენ, აწყობდნენ გეგმებს, ქაქუცა აძლევდა დავალებებს, თუ როგორ გამოეყვანათ ხალხი, როცა მთელი საქართველო აღსდგებოდა რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. რამდენიმე შეტაკებაც ჰქონდათ ჩეკასთან ამ მიდამოებში. წითელ სოფელში მათ მოუხდათ კომუნისტების მიერ შეკოწიწებული ოსების საკმაოდ დიდი რაზმის განადგურება და ა. შ.

სანამ წავიდოდნენ კიდევ მოემატნენ რაზმელები, სულ სამოცნი გახდნენ, მათ შორის ხევსურებიც იყვნენ. ერთი კვირის შემ-

დეგ წავიდნენ ხევსურეთისკენ. ფეხით გაუდგნენ გზას, ცხენები ჩვენ მოგვაბარეს. ქაქუცას კი სულ თან ჰყავნდა თავისი ცხენი. სოფელმა კარგად გაუმართა ხელი რაზმელებს, წასვლისას მარტო გამომცხვარი პური გავატანეთ ორი ტომარა. ახლა სხვა სურსათი კიდე. საწყალი ჩვენი ბიჭები კი, ის აქტივისტები, ჩეკამ მალე დაიჭირა და დახოცა".

სანამ ხევსურეთს მიაღწევდნენ რაზმს თავისი „ოდისეა" გადახდა თავს, რის შესახებაც ჩვენამდე მოაღწია ხევსურებისა და ფშავლების გადმოცემებმა და პატივცემული ალ. სულხანიშვილის მოგონებებშიც საკმაოდ სრულადაა მოთხრობილი ეს ამბები. საქმე ისაა, რომ, ცხადია, ასეთი რიცხვმრავალი რაზმის მოძრაობა და მიმართულება ხელისუფლების თვალისა და ყურის გარეშე ვერ დარჩებოდა, ის ხომ გაფაციცებით დარაჯობდა ჩოლოყაშვილის ყოველ ნაბიჯს და აქაც საკმაოდ დიდი ძალები დაადევნეს მას. რამდენიმე ბრძოლა გაიმართა, მათ შორის ფშავის არაგვის ჭალებში. აქ, შევიდნენ რა ტყით დაბურულ ვიწროებში, მდევარს გაუადვილდა პარტიზანებთან მიპარვა და მოულოდნელად თავდასხმა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ქაქუცას რაზმი მოძრაობდა ნელა, სოფლებთან შესვენებებით, ორგანიზატორულ-დამრაზმავი საქმიანობის, გლეხებთან ცოცხალი კონტაქტების დამყარების, სურსათის შევსების მიზნით და ა. შ. პირველი ბრძოლა გაიმართა სოფელ თვალივთან, რომელსაც „ორთვალის" სახელწოდებით მოიხსენიებს ალ. სულხანიშვილი. ამ და ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც მცირე უზუსტობანი უნდა ვაპატიოთ პატივცემულ ალექსანდრეს, რომელმაც ერთი ნახვითა და გაგონებით ამდენი ხნის მანძილზე ზეპირად დაიხსომა უამრავი უცხო სახელი, ისიც სამშობლოდან ასეთი დაშორებით და ნოსტალგიაში მყოფმა.

მდ. არაგვის ეგზოტიკური ჭალის ფერდობზე შეფენილი სოფელი თვალივი (გუშარაანები) ყურადღებას იპყრობს თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული (თავდაცვითი) მნიშვნელობით და ისტორიით. სწორედ აქედან იწყება არაგვის ხეობის ვიწროები ბუნებრივარქაულ სიმაგრეში — ფხოვში შესასვლელი. აქედანვე უხვევდა ფშავ-ხევსურეთიდან კახეთისაკენ, სამაზრო ცენტრ თიანეთისკენ მიმავალი გზა.

არაგვის გაღმა, ტყიან ფერდობზე, კლდის ქიმზე დღესაც მყარად დგას ულამაზესი ნვერმოგლეჯილი ციხე, ხალხმა ჩვეული ხატოვანი ეპიტაფიით რომ უკვდავყო:

„თამარ მეფემ ამაშენა, სისხლის ნვიმის ნინა ნელსა,
ჭალაით ქვა ამზიდეს, ხელი მაანვდიდა ხელსა"...

საფიქრებელია, რომ ნარმართი ფხოველების მოსარჯულებლად გალაშქრების ნინა ხანებში ამ ფორპოსტის აღმართვა ბრძანა დიდმა თამარმა. მომდევნო ნელს სისხლის ნვიმაც დაადინა თავს ამ მოურჯულებლებს, თუმცა ვერც ამჯერად გატეხა ისინი. ფხოვის არაგვის ვინროებში სამეფო ლაშქარიც ვერას აკლებდა კლდის ვეფხვებს.

თვალივში კი უძველეს დროშივე დასახლდა – ანდრეზის მიხედვით – ლიქოკელთა ლეგენდარული ნინაპრის – სანაგის ერთ-ერთი შვილი და სათავე დაუდო გუშარაშვილების ცნობილ გვარს. ისინი დღესაც ლოცულობენ სოფლის თავს, მთაში (სისაურთა საჯვარობოში) თავისი ისტორიული გვარის (სისვოურთა) სალოცავს – ხმალას კულტს, ხევსურეთიდან გადმოტანილი ნიშის ფუძეზე.

თვალივის ჭალის ნალკოტში იდგა სულ რამდენიმე სახლი, მათ შორის, შორეული გურიიდან მოსული ჰუმანისტის ბესარიონ შანიძის დუქანი[49].

აი, ამ სოფელ თვალივში პარტიზანებს თავს დაესხა დუშეთის რაიონის ჩეკისტთა რაზმი კომისარ ჭურღულიას მეთაურობით. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ჩეკისტებმა სამი კაცი დატოვეს

---

[49] ბ. შანიძის დუქანი თავისი მცირე პერსონალით ერთ-ერთ უმთავრეს კულტურულ და მატერიალურ ცენტრს ნარმოადგენდა მარცხენა (თეთრი) არაგვის ხეობაში. ამ ოჯახმა უდიდესი ტრაგედია განიცადა 20-იანი ნლების დასანყისში პატრიოტულ-ჰუმანური (თვითმპყრობელობის სასჯელს გურიიდან თავარიდებულ პატრიოტების) მოღვანეობისათვის. პავლე ბესარიონის ძე შანიძე ბოლშევიკებმა დახვრიტეს მაღაროსკარში;

ამ ფუძიდან ილებს სათავეს ბესარიონის ძმისნულის სახელოვანი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს აკაკი შანიძის საენათმეცნიერო და ფოლკლორული მოღვანეობა და მის მიერ უმდიდრესი ხევსურული და ფშაური ზეპირსიტყვიერების გამომზეურება და მეცნიერული დამუშავება.

ადგილზე მოკლულთა და დაჭრილთა სახით, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს, მათ შორის, ცალხელა კომისარმა ჭურღულიამაც. პარტიზანთაგან კი არავინ დაზარალებულა. სხვათაშორის, ეს ჭურღულია არაერთგზის მონაწილეობდა პარტიზანთა დევნაში თვით კახეთის ტერიტორიაზეც.

რაზმს უფრო დიდი ბრძოლა მოუხდა ფშავის ცენტრალურ სოფელ მაღაროსკარში. აქაურ ხანდაზმულ ადამიანებს დღემდე ახსოვთ სოფლის ცენტრში მდგარი მაშინდელი სკოლის ეზო-მიდამოში გამართული რამდენიმესაათიანი ფიცხელი ბრძოლა, რომელსაც ალექსანდრე სულხანიშვილი „დიდ და ლამაზ ბრძოლას" უწოდებს. რაში მდგომარეობდა ბრძოლის სილამაზე და როგორ უნდა ალვიქვათ ეს ფსიქოლოგიური აფექტი? მით უმეტეს, რომ იგი დამთავრდა მსხვერპლით – თავდამსხმელთა შორის მოკლული და დაჭრილი იყო 30 კაცი, 15 ტყვედ ჩავარდა. პასუხი უნდა ვეძებოთ, უპირველეს ყოვლისა, ცნების ავტორისა და მისი თანამებრძოლების რაინდულ-პატრიოტულ სულიერ საწყისებში: ისინი იბრძოდნენ ჭეშმარიტად სამართლიანი და ჰუმანური საქმისათვის; ამ შემთხვევაში იცავდნენ თავს ოთხჯერ მეტი თავდამსხმელისაგან. თავდასხმის მოულოდნელობის მიუხედავად, ისეთი სიმამაცე და ორგანიზებულობა გამოავლინეს, რომ არა მარტო დაიცვეს საკუთარი სიცოცხლე, არამედ აუნაზღაურებელი ზიანიც მიაყენეს მტერს ისე, რომ თვითონ ორიოდე კაცი თუ დაეჭრათ მსუბუქად; ამაში ხედავს პოეტური სულის ქართველი ვაჟკაცი თავისებურ სილამაზეს.

ამასთან ერთად, შეუძლებელია ადამიანის ყურადღების მიღმა დარჩეს აქვე მეორე, საწინააღმდეგო ყლერადობის ნოტიც: ბრძოლის დამთავრების შემდეგ, როდესაც შედეგებს გადაავლეს თვალი, იგივე პიროვნება უდიდესი სულიერი სიმძიმილით აღნიშნავს „... მე რომ ჩემი ტყვიით განგმირულ ჭაბუკს გადავხედე, გული მომიკვდა და გავიფიქრე: „აი, რა უბედურებაში ჩაგვყარეს რუსებმაც და იმ მოღალატე ქართველებმაც, რომლებმაც რუსებს მისცეს ხელი და ამნაირად ძმას ძმას აკვლევინებენ-მეთქი"[50].

---

[50] ალ. სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", 1990, №1, გვ. 150.

ამ ბრძოლისა და აქაური ვითარების ირგვლივ, რომელიც დეტალურად აქვს აღწერილი ალ. სულხანიშვილს, ვიტყვით მხოლოდ შემდეგს. ორას ორმოცდაათი კარგად შეიარაღებული მებრძოლის, რომელთა დიდი უმრავლესობა რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცები იყვნენ, დამარცხება სამოცდახუთი კაცისაგან განპირობებული იყო ადგილზე პატრიოტებისათვის ხელშემწყობი პირობებით, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით. მემუარისტს გაკვრით აქვს მოხსენიებული, ბრძოლაში შემოგვემატა რამდენიმე ფშაველიო და მხოლოდ ერთ მათგანს – მიხა ხელაშვილს ასახელებს, რომელიც ბოლომდე დარჩა მათ რაზმში. სინამდვილეში კი აქ ბევრი ფშაველი პატრიოტი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ ძმები შიო და იოსებ თურმანაულები, ჯანგირ ხირჩლაშვილი, ივანე მთიბელაშვილი და სხვანი. თვით საბჭოთა ადგილობრივი, ახლად დანიშნული მოხელეები, როგორიც იყვნენ ლევან რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას შვილი) და ალექსი მისრიაშვილი, განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი, ქაქუცას თანამდგომნი და მიხა ხელაშვილის მეგობრები იყვნენ და სწორედ ამიტომ ისინი მალევე დახვრიტეს. ამ ბრძოლების უშუალო მონაწილე იყო ის სამეული, რომლებიც გაზ. „კომუნისტის" (1922 წ. 29 სექტემბერი) ცნობით შეიპყრეს და მაშინვე დახვრიტეს ს. მაღაროსკარში. ამავე ცნობით, ერთი მათგანი, ყაჩაღების სახელოვანი მეთაური ჯანგირი წლების მანძილზე შიშის ზარს სცემდა დუშეთის მაზრის მცხოვრებთ, იყო ჩოლოყაშვილის მარჯვენა ხელი და თანაშემწე. ხოლო მეორე აღმოჩნდა მემარჯვენე ფედერალისტი, სტუდენტი შანიძე, ვაჭრის შვილი, რომელიც წავიდა ბანდაში... დახვრეტილი იქნენ ქართული პოლკის მწყობრის მიერ მაღაროსკარში, ბანდიტების მოქმედების ზონაში.

როგორც გადმოგვცა ისტორიკოსმა იოსებ პაპის ძე ზურაბაშვილმა (სოფ. ჩარგლიდან) ბიძამისი ჯანგირ ხუზაურის ძე ხირჩლაშვილი (მცხ. სოფ. ხომში) სინამდვილეში იყო ცნობილი პარტიზანი, უსამართლობასთან შეურიგებელი, ქ. ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი. მაღაროსკარის ბრძოლიდან მოკლე დროში ორ ამხანაგთან ერთად ბრმა შემთხვევის წყალობით დაატყვევა ჩეკამ და იმავე დღეს დახვრიტეს მაღაროსკარში. სიკვდილის წინ წყ-

ალიც კი არ დაალევინეს, თუმცა საკმაოდ ხანგრძლივ მოლაპარაკებას ეწეოდნენ მის ჩეკაში გადასაბირებლად. როცა ამ ბინძური წინადადების პასუხად მასხარად აიგდო ჩეკისტებმა ტყვიებით დაცხრილეს. იქვე ჭალაში ჩაფლული ცხედარი დედამისმა ღამე ამოთხარა, ხელისანდით (მოტეხილი კბილების გასინჯვით) ამოიცნო, წაასვენა და ღირსეულად დაასაფლავა თავის სოფელ ხომში (ცხადია, მალულად).

მეორე დახვრეტილი იყო ახალგაზრდა სტუდენტი პავლე შანიძე, სოფ. თვალივში არსებული დუქნის პატრონის ბესო შანიძის ვაჟი, მთიელი ვაჟკაცების განუყრელი მეგობარი და თავგადადებული პატრიოტი. ადგილობრივ მცხოვრებლებს, მთიულებს დასიძებულ ბესოს, როგორც მთიელებს შორის პატრიოტულ-კულტურული იდეების გამავრცელებელს, და მის ოჯახს ხელისუფლება მუდმივად დევნიდა. მესამე დახვრეტილი ფშაველი უნდა იყოს მაღაროსკარელი გიორგი თანდილაშვილი (ქუჯეგათ გიორგი), მიხა ხელაშვილის დეიდაშვილი (შინში) და თანამებრძოლი, თავის ერთ-ერთ ლექსში რომ დასტირის იგი. რაც შეეხება მიხა ხელაშვილს, ეს შეუდრეკელი ყმაწვილი კაცი ერთნაირად მეგობრობდა მონინავე ფშაველებთან და ხევსურებთან (იგი იმ წლებში ხევსურეთში მუშაობდა დიაკვნად) და საბრძოლველად შემართული ვაჟკაცების წრეში ტრიალებდა მუდამ. მას ღირსეულ და პატიოსან ადამიანებთან დაახლოებაში დიდად უწყობდა ხელს ღვთის ძალით მომადლებული ნიჭი მაღალ ადამიანურ განცდათა ჯადოსნურ პოეტურ სიტყვაში გადმოცემისა. მიხამ შთამომავლობას დაუტოვა ქართული (ფშაური) ხალხური პოეზიის შედევრები, რომელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, დაიკარგა კომუნისტური რეაქციის უმძიმეს წლებში მათი და ავტორის თვით სახელის ხსენების სასტიკად აკრძალვის გამო. ამ ლექსების მრავალი ტაეპი ეძღვნება პარტიზანული რაზმის, მისი მეთაურისა და ცალკეული მებრძოლების გმირულ სახეებსა და საქმეს.

ამ ბრძოლების დროს და საერთოდ ფშავის არაგვის ხეობაში ქაქუცა ახლო ურთიერთობას ამყარებს ფშაველ მებრძოლ მოსახლეობასთან, რაზმავს მათ სამშობლოს გასათავისუფლებლად, აძლევს ახლო მომავალში მოქმედების გეგმას და ჰპირდება

ყოველგვარ დახმარებას. მაღაროსკარის ბრძოლის შემდეგ მან ფშაველებს დაუტოვა დიდძალი ნადავლი იარაღი.

ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხევსურებმა, რის შესახებაც უამრავი მოგონება დღემდე ცოცხლობს ხევსურთა შორის. აქ იყვნენ ქაქუცას რაზმში მუდმივად რიცხული კახეთში მცხოვრები თითქმის ყველა მოწინავე ხევსური: თომა ბალიაური, დიმიტრი ცისკარაული, აბიკა გიგაური, გიგია არაბული, მამუკა ქეთელაური და სხვანი. ცხადია, როცა მთელი პარტიზანული რაზმი კახეთიდან ხევსურეთში წავიდა საბრძოლველად ბარელ ხევსურებს ადგილზე რა გააჩერებდა. მარტო ისინი კი არა, ამავე მიზნით თითქმის ყველა ხევსური, ვისაც ბრძოლა შეეძლო კახეთიდან მთაში წავიდა, რაზმის გარეშე, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მოკლე ბილიკებით, თიანეთზე გავლით და ისინი უკვე იქ დახვდნენ ხევსურეთში ასულ ჩოლოყაშვილის რაზმს.

წინასწარ დათქმული პირობისა და მეკავშირეთა ინფორმაციის საფუძველზე მთიელმა ხევსურებმა ზუსტად იცოდნენ ქაქუცას რაზმის მოძრაობის მარშრუტი, დრო და ისიც, რომ ეს გზა მეტად ეკლიანი იყო, ამიტომ ყველაზე გულფიცხ და მოუთმენელ მამაცთა მეორე ჯგუფი – დათვია ლიქოკელი, შიშია ქერაული (მწარიათ შიშია) და სხვანი გზაშივე (ფშავის ხეობაში) შეეგება სასურველ სტუმრებს და მათთან ერთად განაგრძო ბრძოლით შემდგომი გზა. სწორედ მათ შესახებ იგონებს ალ. სულხანიშვილი მაღაროსკარის ბრძოლის აღწერისას – „აქ შემოგვემატა სამი ხევსურიო". ერთ მათგანს იქვე მოიხსენიებს მარტო სახელით"... გვერდში ამომიდგა ახალგაზრდა ხევსური დათვია"-ო. საერთოდ კი მათ ქების სიტყვით მოიხსენიებს, ისინი „გამგელებით იბრძოდნენო". მოგონების ამ ნაწილში ერთი მცირე უზუსტობაა; სამ ხევსურს შორის ასახელებს აბიკა ჭინჭარაულს – „ჩემი კარგი ნაცნობი... დიმიტრი ჭინჭარაულის სოფლიდან და მგონი, თვით მისი ნათესავიც. აბიკა ჩვენთან დარჩა რაზმში"[51]. როგორც უკვე ნათქვამი იყო, აბიკა იყო არა ჭინჭარაული, არამედ გიგაური და,

---

[51] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

რაც მთავარია, იგი მაღაროსკარში კი არ შეუერთდა რაზმს, არამედ კახეთიდანვე თან მოჰყვებოდა, როგორც მისი ძირითადი წევრი, კახეთში მცხოვრები. თუ კახეთიდან რაზმის გარეშე ავიდოდა ხევსურეთში, უკან რაღაზე მიუბრუნდებოდა მას გზაში შესაერთებლად. იგი რომ რაზმის მუდმივი და განუყრელი წევრია ამას კიდევ დავინახავთ შემდეგში.

ჩვენ ხელთ არის ხევსურთა ამ ჯგუფიდან ერთ-ერთის – შიშია ქერაულის მოგონება, რომლის ერთ ფრაგმენტშიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნების ზოგი დამახასიათებელი ნიშანი მჟღავნდება: „მაღაროსკარში ცხარე ბრძოლისას ქაქუცა ფეხზე წამოიმართა, გადადგა მდინარე მაღაროულას ბექზე და მიბრჯნით გაუხსნა მაუზერიდან ცეცხლი მოპირდაპირე ნაპირზე შეჯგუფებულ მტერს, როდესაც იგივეს გასაკეთებლად იქვე საფარიდან წამოვიმართე მეც, მან ფეხით მიბიძგა და არ ამიშვა ზევით, ხოლო შეტაკების დამთავრების შემდეგ, როცა წყრომით შევნიშნე, თუ რა უფლებით აკეთებდა ამას, მან ჩვეული სითბოთი და გულისხმიერებით მიპასუხა: „მე ამ საქმისა და მოქმედებისათვის თავგადადებული კაცი ვარ, ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ შენ ჩვეულებრივი კაცი, ოჯახის პატრონი, მშვიდობიანი მცხოვრები ხარ და თავს ნებას ვერ მივცემ შენი შვილები დავაობლოო!“ ისე მითხრა ეს, რომ ყოველგვარმა წყენამ მაშინვე გადამიარა გულიდან. ხევსურთათვის კი სიმამაცის ასეთი გაკვეთილები ბევრს ნიშნავდა.

ხევსურეთის ამბებთან დაკავშირებით ისევე, როგორც სხვა მოვლენების აღწერისასაც, მემუარისტები მაქსიმალურად ერიდებიან პერსონალურ დეტალიზაციას. ამის მიზეზი, როგორც აღინიშნა, ძირითადად მებრძოლთა შემდგომ ბედზე ზრუნვაა. მოგონებათა ავტორებმა, განსაკუთრებით ემიგრაციაში მყოფმა, ხომ არ იციან აქ დარჩენილ თანამებრძოლთა და მათი ოჯახების ბედი, ამიტომ ყოველმხრივ უფრთხილდებიან მათ, ზუსტად არ ასახელებენ მათ მისამართებს, სახელებსა თუ გვარებს, ხშირად კი მხოლოდ ხევსურობას აღნიშნავენ. მაგრამ თვითონ ხევსურებმა ხომ იცოდნენ და იციან ყველაფერი. ამჟამად კი შესაძლებელია უშიშრად ითქვას სიმართლე.

# ბრძოლა ორწყალში

„მაღლა შაკრეს ფხიტუს წვერი,
დაბლა ორწყალთ მაღალიო".

მაღაროსკარის ბრძოლის შემდეგ ქაქუცას რაზმი პირდაპირ ხევსურეთისაკენ გაემართა. აქედან დაახლოებით 25 კმ-ია ხევსურეთის პირველ სოფლებამდე. გზად, ფშავ-ხევსურეთის არაგვის ქალებზე რაზმი დეტალურად ეცნობოდა და სწავლობდა სტრატეგიული დანიშნულების ყოველ კონკრეტულ პუნქტს და ამის საფუძველზე ადგენდა მომავალი ბრძოლის გეგმას. საჭირო შემთხვევაში თან მყოფი ხევსურები იძლეოდნენ განმარტებებს და ძვირადღირებულ რჩევას. მოიხაზა ოპერაციის მთავარი ჩარჩოები. ხევსურეთში შემსვლელი დამპყრობელის ძირითადი მარშრუტი ამ გზაზე გადიოდა. მართალია, აქ დიდი შარაგზა არ იყო, მაგრამ ქვეითი და ცხენოსანი მგზავრებისათვის მიმოსვლის საკმაოდ კარგ გზად ითვლებოდა. უმეტეს ნაწილზე თვით ურმით სავალიც კი იყო.

ისტორიული ტრადიციით, ფშაველ-ხევსურთა წინაპრებს მტკიცედ ჰქონდათ ჩაკეტილი არაგვის ხეობის ეს მონაკვეთი და აქ მომხდურს არ აჭაჭანებდნენ. თუ მაინც ვინმე გაბედავდა შემოღწევას, აქედან გასვლა აღარ ეღირსებოდა. ბევრჯელ დაიფერა მტრის სისხლით არაგვის ბობოქარი ტალღები. სწორედ ამაზე მოგვითხრობს ის „ბებერი ხევსურული ლექსი":

„... ხმალი ორწყალში პრიალებს
გოდერძაულთა ფხიანი,
ისარნ ელიზბარმ მასთესნა,
ლაღის არწივის თბიანნი,
ჩვენ ვანხევამდე მივზდიეთ,
მშვილდ მივაჭეხეთ რქიანი!"

ორწყალი! პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილისა და მისი თანამებრძოლი ოფიცრების წინაშე წამოიმართა მაშინდელი თავდაცვითი სამხედრო ოპერაციებისათვის უნიკალური ბუნებრივი სიმაგრე, რომელიც სწორი ოპერატიული მოქმედებისას აუღებელი ჩანდა. მათი საერთო თვალსაზრისი გადმოცემულია ალ. სულხანიშვილის სიტყვებში: „... ორწყალი უთოსავით ნამოწვდილი უზარმაზარი კლდეა. ამგვარად, ვინც კი მას დაიკავებს, თამამად შეძლებს გზის გადაკეტვას, რომ ხევსურეთში არავინ შეუშვას..."[52] დიახ, სწორად და მაქსიმალური შესაძლებლობით იქნა გამოყენებული ეს გეოგრაფიული ხელსაყრელობა. პარტიზანები უპირველესად ამ სიმაგრეს დაეპატრონენ. ორწყლიდან მხოლოდ 7 კმ-ია ხევსურეთის პირველ და ცენტრად აღიარებულ სოფლამდე, ბარისახომდე. ამდენად, ბარისახოში დაბანაკებული თავდამცველი ძალებისათვის რაიმე განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე შეიძლებოდა მისი დაჭერა, გამაგრება და ბოლომდე შენარჩუნება. მეომართა ტყვია-წამლით, სურსათით და ა. შ. მომარაგება და სხვ.

ივლისის მეორე ნახევარში ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმი ხევსურეთში ავიდა. სულხანიშვილის მიხედვით ამ დროს მასში ირიცხებოდა 65 კაცი. მან ბინა დაიდო (შტაბი დაამკვიდრა) გოგოთურ ჯინჭარაულის (უჭკუათ გოგოთური) სახლში და კარ-მიდამოში. აქვე მეზობლად იყო თათარ ჯინჭარაულის (ხაშიათ თათარი) საცხოვრებელი, რომელიც აგრეთვე ემსახურებოდა რაზმელებს საომარ სამზადისსა და საყოფაცხოვრებო სფეროში. ეს სახლები იდგა (ამჟამადაც დგას) სოფელ ბარისახოს თავში, კიდურზე და თვალსაჩინოდ აკონტროლებს მთელ ახლომახლო მიდამოებს, არაგვის ხეობას ქვემო და ზემო მიმართულებითაც. ლიქოკის ხეობაც მის წინაა გადაშლილი. მარცხნივ მშვენივრად მოჩანს ნახალეს მთის კალთეებზე ლული-ჭიე-ძეძეურთისკენ გასავლელი ფერდობები. აქედანვე კარგად ჩანს მთელი სოფელი ზენა ახო, თავისი მთით, საიდანაც მშვენიერი დერეფანი გადის მთა ფხიტუსა და მისი უღელტეხილისაკენ, მარჯვნივ კი საჩალე აჭეხა-გველეთ-დათვისი-მონამოსთავის მთები-

---

[52] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

სკენ, მარცხნივ ახოს მთიდან გავდივართ ჩირდილ-ბუჩუკურთა-უკენახოს სათავეებისკენ — ფხიტუ-ოსაურა-ჭაუხის მთების მიმართულებით. ასე რომ, ეს მიდამოები სრულყოფილად აკონტროლებს მთელი ქვემო ხევსურეთის შესასვლელ კარებს როგორც მდ. არაგვის ჭალების, ისე მთათა გასასვლელების თვალსაზრისით და სტრატეგიულად უნაკლო პუნქტად უნდა ჩაითვალოს.

65 კაციანი რაზმის დაბინავება-შენახვა, საკმაოდ ხანგრძლივი დროით, ისიც ზაფხულის (თიბა-მკის) ასეთ „სულწუხ" პერიოდში ადვილი არ იყო და ამიტომ მთელი სოფელი და სხვა ახლომდებარე სოფლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ საქმეში და ხალისით უმასპინძლდებოდნენ ველად გასულ შეფიცულებს. ამ პერიოდში განსაკუთრებით ძნელი იყო ცხენების შენახვა, რადგან დასახლებულ პუნქტებს ადგილზე საძოვარი ფაქტობრივად არ ჰქონდათ (მთელი ფართობები დაკავებული ჰქონდა მარცვლეულის ნათესებს). ალბათ ამიტომ იყო, რომ რაზმმა, გარდა მეთაურებისა, ცხენები დუშეთის მიდამოებში დატოვა და ხევსურეთში არ წაუყვანია. აქ ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში, ყოველმხრივ იყენებდნენ აქაურ ხევსურთა ცხენებს (ცხენი აქ ყველა ოჯახს ჰყავდა).

ხევსურეთის მოსახლეობის დარაზმვა საბრძოლველად და თავდაცვისათვის მომზადება არც ისეთი საძნელო საქმე იყო, რადგან მთელი ხევსურეთი რაზმის იქ ასვლისათვის უკვე საქმის კურსში იყო და პირველი დაძახებისთანავე ფეხზე დადგებოდა და დადგა კიდევაც განსაცდელის ჟამს. ხალხის ასეთი ერთსულოვნება გამოიწვია ბოლო დროს განხორციელებულმა კიდევ ერთმა ღონისძიებამ. რაზმის ხევსურეთში ასვლის რამდენიმე დღის შემდეგ მთელ ხევსურეთში გაიმართა უდიდესი ტრადიციული რელიგიური დღესასწაული ათენგენობა. გოგოთურ ჭინჭარაულის, აპარეკა არაბულის და რაზმის წევრი კახელი ხევსურების თანხლებით ქ. ჩოლოყაშვილი ეწვია ხევსურთა მთავარ სალოცავს — გუდანის ჯვარს. როგორც უხუცესი გუდანელი ხევსური გადუა ჭინჭარაული იგონებს, აქ თავმოყრილ მლოცავ ხალხს სიტყვით მიმართა ქადაგმა სულთანა გოგოჭურმა (სოფ. ჭორმეშავიდან). მან დამსწრეთ გააცნო საპატიო სტუმრების ვინაობა და მოსვ-

ლის მიზნებიც, რაც ისედაც იცოდნენ მასპინძლებმა. ბარის ხევსურთა სახელით ილაპარაკა იქაურმა გიგია არაბულმა, რომელმაც ხალხს მოუწოდა დარაზმვისაკენ, განუცხადა, რომ თან მოტანილი აქვს ლევან გოგოჭურის წერილი და სურს გააცნოს. ხალხმა ერთსულოვნად მოითხოვა წერილი წაეკითხა მათ კაცს (იქაურს), ასე უფრო სანდოდ მიაჩნდათ. წერილი გადასცეს ნასალდათარს, პოლიტიკაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოცდილ კაცს მგელიკა ბაბკას ძე ჭინჭარაულს (სოფ. ბარისახოდან), რომელმაც სათანადო გამომსახველობით წაიკითხა სახელოვანი, ყველასათვის ცნობილი თანამემამულის აძიას წერილი – მიმართვა თანამოძმეთა მიმართ. მასში ავტორი სთხოვდა თავის ხალხს სრული ნდობითა და მხარდაჭერით მოჰკიდებოდნენ ღირსეულ ქართველ თავადიშვილს ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის რაზმს, რადგან ისინი საქართველოსა და ხევსურეთის თავისუფლებისათვის თავგანწირული რაინდები იყვნენ და ვინც კაი ყმაა გვერდში უნდა დადგომოდა მათ!

ხუცესმა ამ შემთხვევისათვის სპეციალურად გამოატანინა საგანძურის განძთსაცავიდან ძვირფასი ვერცხლის სურა, შეუვსეს ზედაშეთი და მანაც აუწყა ხალხს: „აი, ეს განძი გუდანის ჯვარისთვის შემოუწირავს სწორედ იმ მეხარიათ აძიას, რომელიც მოგვიწოდებს ერისა და მამულის საპატრონოდ ვიყოთ ღმერთისა და გუდანის ჯვარის ღირსნი, დიდება და ხვთის წყალობა ქაქუცავ შენ და შენ ხალხს, თქვენს საქმეს, გნყალობდესთ და გფარავდეთ ჩვენი დიდი სალოცავი სალაშქროდ მიმავალ ვაჟებს, სწყალობდეს ზენა ძალები მეხარიათ აძიას!" ხალხმა მგვრგვინავი „ამინ!"-ით ერთსულოვნად დაუჭირა მხარი უხუცესის სიტყვებს და ზეციური ზეშთაგონებით განიმტკიცა საბრძოლო სულისკვეთება.

მსგავს დღეობა-რიტუალს დაესწრნენ ქაქუცა და მისი უახლოესი თანამებრძოლნი მომდევნო დღეებში ხახმატის ჯვარში, რის შესახებაც თავის მოგონებებში მოგვითხრობს ალ. სულხანიშვილი. აქ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხუცესმა ხევსურთა უშუალო შთამომავლად გამოაცხადა და ხევსურებმაც სრული მხარდაჭერა აღუთქვეს.

ამ შეხვედრებისა და პირადი კონტაქტების შედეგად მიღწეული იქნა სრული თანხმობა და საბრძოლო განწყობილება ხევსურებსა და ქაქუცას რაზმელებს შორის. მთლად ხევსურეთი (ქუდზე კაცი) დაირაზმა და საბრძოლო მწყობრში ჩადგა სათანადოდ შეიარაღებული. იმ დროის სტატისტიკური მონაცემებით მარტო ხევსურეთში ივარაუდება 1500-მდე ქუდოსან-ხმლოსანი (17-60 წლისანი)[53]. თუ დავუმატებთ ამას მთისა და ბარის სხვა რაიონებიდან მოსულ თანამოძმეთაც, 2000 კაცამდე გროვდება, რაც არცთუ ისე მცირეა ამ კლდე-კიბირჭების გარემოში გამაგრებული ლაშქრის კვალობაზე. იარაღი (ყველა სახის თოფი) ყველას ჰქონდა. რადგან უთოფო ოჯახი ოჯახად არ ითვლებოდა აქ. ტყვია-წამალს ფაქტობრივად ადგილზევე ამზადებდნენ.

ზემოთ უკვე ვცადეთ საბრძოლო მოქმედების დაწყების კონკრეტული დროის განსაზღვრისა და მითითების გარკვევა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მაგრამ ეს შეუძლებელი გახლდათ, რადგან პოლიტიკურმა ვითარებამ დაასწრო ოპერატიული ჩანაფიქრის განხორციელებას. ოპერაციის დაწყება ადრე მოხდა, რამაც, შეიძლება ითქვას, არსებითად შეცვალა ომის ხასიათი და თვით შედეგებიც.

როგორი იყო მებრძოლ მხარეთა პოლიტიკური პოზიციები და ოპერატიული ვითარება ბრძოლის დაწყების წინ?

ბოლშევიკების, საბჭოთა ხელისუფლების მიზანი იყო საბჭოთა წყობილების გამარჯვება-განმტკიცება მთელს ტერიტორიაზე, ყოველ რეგიონში; ამასთანავე ცალკეული მოწინააღმდეგე ერთეულების, რაზმების, ჯგუფების, თვით ინდივიდების სრული და საბოლოო ლიკვიდაცია სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურებოდა მთელი სამხედრო-პოლიტიკური ძალები: წითელი არმია, ჩეკა, მილიცია, სამხედრო სასწავლებლები (კურსანტები და მეთაურები), პარტიული, კომკავშირული აქტივისტები და საბჭოთა აპარატის მუშაკები, მოხალისეებისა თუ ადმინისტრაციული ვალდებულებით გამოყვანილი მოლაშქრენი.

---

[53] სერგი მაკალათია, ხევსურეთი, 1984, გვ. 15, 16, 17.

მომენტის ვითარებამ მათთვის ხელსაყრელი გარემოებანი შექმნა.

ხევსურეთის მოსახლეობისა და ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის სახით ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძალების ამოცანა იყო ხევსურეთში მტრის არ შეშვება, მისთვის პირველი სერიოზული დარტყმის მიყენება და აქედან მთელი ერის განთავისუფლებისათვის ძლევამოსილი ლაშქრობის დაწყება, რომელსაც გზადაგზა სხვა ეროვნული ძალებიც შეუერთდებოდნენ.

დამპყრობლისათვის ხელშემწყობ ფაქტორად იქცა ის, რომ ხევსურეთის დაუმორჩილებელი მოსახლეობა და ჩოლოყაშვილის რაზმი ფიზიკურად შეერთდა და მთებით შემოზღუდულ ქვაბში მოექცა. თუ შეძლებდნენ რიცხობრივი უპირატესობის დაგროვებას და აჯანყებულთათვის დამხმარე ძალების მიღების გზების გადაკეტვას, თავდამსხმელები გამარჯვებას გარანტირებულად თვლიდნენ.

მათ პირველი ამოცანის შესრულება შეძლეს. საერთო ანგარიშით რამდენიმე ათასი კარგად შეიარაღებული მებრძოლი გამოიყვანეს და უნდა ითქვას, გეოგრაფიული გარემოც სწორად გამოიყენეს. ხოლო მეორე ამოცანის გადაჭრაში, რაც გადამწყვეტი იყო, თვით მოწინააღმდეგე დაეხმარა. საქართველოს ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელობამ არაფერი გააკეთა აჯანყებულთა დასახმარებლად. წითელ არმიას ზურგის და ფლანგების დაცვა არც დასჭირდა. იგი თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან დაუბრკოლებლად იღებდა ახალ-ახალ ძალებს და ბრძოლის საერთო ბედიც ამან გადაწყვიტა, თუმცა საბოლოო გამარჯვება მაინც ვერ მოიპოვეს.

ბრძოლები შემდეგნაირად წარიმართა.

შეისწავლა რა ზედმიწევნით არაგვის ჭალები და ორწყლის ბუნებრივი სიმაგრე, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სწორედ ამ სიმაგრის სათანადოდ გამოყენება გადაწყვიტა. ამასვე მოითხოვდნენ ხევსურებიც. ქაქუცამ თავიდანვე გაგზავნა თავისი ერთ-ერთი მოადგილე ელიზბარ ვაჩნაძე რაზმის რამდენიმე წევრისა და ადგილობრივი ხევსურებისგან შედგენილი რაზმით ამ სიმაგრის დასაკავე-

ბლად, რომ მტერს არ დაესწრო. საერთოდ ყველა სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელად ხევსურებმა თავიდანვე ერთხმად აღიარეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თუმცა ჯარისკაცული დისციპლინა და მორჩილება მათთვის ძნელად მისაღები იყო და, არა იშვიათად, ბრძოლის ჟამს საკუთარი შეხედულებისამებრ, თვითნებურად იქცეოდნენ. მათ ჰყავდათ, ასე ვთქვათ, საკუთარი, დაუნიშნავი მეთაურები, ცალკეული თემების წინამძღოლები, რომლებიც ბრძოლებში გამოცდილებით, ინტუიციურად ასრულებდნენ წინამძღოლისა და მრჩეველის როლს. ასეთი იყო, უპირველეს ყოვლისა, დათვია ლიქოკელი, რომელიც ამ თვისებებით გამოირჩეოდა არა მარტო ლიქოკის თემში, არამედ მთელ ხევსურეთშიც. ასეთები იყვნენ: აპარეკა არაბული (ბარისახოს თემი), ბაბუტა არაბული (ჩირდილ-ბუჩუკურთის თემი), ჯარია არაბული (გორშელმის თემი), ბერდიხა წიკლაური (წყალსიქითის თემი) და სხვ. ისინი მიდიოდნენ ყველაზე რთულ უბანზე, მიუძღოდნენ ხალხს და ხალხიც უსიტყვოდ მისდევდა და უჯერებდა ყველაფერს.

რაზმმა ე. ვაჩნაძის მეთაურობით დაიკავა ორწყალში ხევსურეთისა და ფშავის არაგვის შესაყარზე ხევსურეთის არაგვის მარჯვენა სანაპიროზე გადმომდგარი კლდის ქარაფის სათავე და ჩასაფრდა ტყეში, კლდის ქიმებს შორის. აქედან პირდაპირ დაჰყურებდნენ, როგორც წინ დადგმულ ტაბაკზე, არაგვის მარცხენა სანაპირო ჭალაზე შემომავალ გზას, რომელსაც ვერ ასცდებოდა ზევით მომავალი მგზავრი. მანძილი დაახლოებით 100-150 მეტრია. მოძრაობისა და შეიარაღების მაშინდელ პირობებში რამდენიმე ათეულ მებრძოლს შეეძლო ამოეწყვიტა მტრის ათასები ისე, რომ თვითონ კაციც არ დაჰკლებოდა.

სიმაგრე ადრევე დაიკავეს, მაგრამ დიდხანს ცდა არ დასჭირვებიათ. მალაროსკარის ბრძოლაში მარცხი საბჭოთა მდევარისათვის თავისებურ სასარგებლო გაკვეთილად იქცა. მათ გაიგეს, რომ ჩოლოყაშვილის რაზმი საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანია, მას შეუერთდნენ ადგილობრივი მთიელი პატრიოტები, ხოლო ხევსურეთში ასვლისა და დაბანაკების შემდეგ მასთან არის მთელი ხევსურეთი. ის ოპერატიული ჩანაფიქრი, რომ ჩოლოყა-

შვილის რაზმი არაგვის ვიწროებშივე, ხევსურეთში ასვლამდე გაენადგურებინათ, ვერ განხორციელდა. საჭირო იყო ახალი, ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაცია და ეს ოპერაცია მომზადდა უსწრაფესად, რადგან ვარაუდობდნენ ხევსურთა დარაზმვისათვის დაესწროთ. აქ კი მოტყუვდნენ. ხევსურეთი, როგორც უკვე ვიცით, ჩოლოყაშვილს ფაქტობრივად მზად დახვდა. პარტიზანული რაზმის ხევსურეთში გამგზავრების წინა პერიოდზე თხრობისას ალ. სულხანიშვილი აღნიშნავს „... იმ ხანად ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ხევსურეთისკენ გაგვეწია, რადგან იქ აგვისტოს პირველამდე ამბოხება უნდა დაწყებულიყო, მოკავშირეთა მეშვეობით იქ უკვე მოწყობილი იყო საქმე, მაგრამ ახლა ჩვენი უშუალო ყოფნა იყო იქ საჭირო. ამისათვის გვინდოდა, რომ ერთი კვირით ადრე მაინც ავსულიყავით ადგილზე". ხოლო რაზმის ბარისახოში ასვლა-დაბინავებისთანავე გაიშალა ფართო მოსამზადებელი საქმიანობა მთელი ხევსურეთის მასშტაბით. „... იმ ხანებში მთელი ხევსურეთი მოიცვა გამალებულმა საქმიანობამ: გოგოთური და აპარეკა გზავნიდნენ შიკრიკებს ყველა მხარეს. თანდათანობით იყრიდა ხალხი თავს და ამასობაში ჩვენც საგულდაგულოდ ვემზადებოდით, ვინაიდან ვიცოდით, რომ მაგარი ბრძოლები მოგველოდა". ასე რომ, ბრძოლის დაწყების დღისთვის ყველაფერი მზად იყო. „... თუ მეხსიერება არა მღალატობს — იგონებს, ალ. სულხანიშვილი — ამბოხება ექვს აგვისტოს უნდა დაწყებულიყო. იქ, სადაც ჩვენი ხელი წვდებოდა, ყველაფერი კარგად იყო მოგვარებული, ყველა რაიონში, ყველა სოფელში იყვნენ დანიშნული ათისთავები და ასისთავებიც. გარდა ამისა, იარაღი ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ხალხს..."[54].

საბჭოური ძალების დიდი სამხედრო შენაერთი, რამდენიმე ათასი კაცი (ამ არმიის ერთ-ერთი მონაწილე, თელავის სამხედრო კომისარი პ. ჭიჭინაძე 40-იან წლებში იგონებდა „... ოციათასამდე კაცი ვიყავითო"), ძირითადად წითელარმიელი, რუსი

---

[54] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", № 1, 1990, გვ. 147, 151; № 2, გვ. 141-142.

ჯარისკაცები, სამხედრო სკოლის კურსანტები, თბილისის, დუშეთისა და თიანეთის მაზრების ჩეკა-მილიციის ნაწილები, თვით პარტიულ-კომკავშირელი აქტივისტები აგვისტოს პირველ რიცხვებში, მაღაროსკარის ბრძოლიდან არა უგვიანეს 2-3 კვირისა, შემოვიდნენ არაგვის ხეობაში და მიუახლოვდნენ ორწყალს.

ფშავის არაგვის შუა წელზე ხეობა განსაკუთრებით ვიწროვდება „გრძელჭალიდან“ ზევით (ორწყლამდე დახლოებით 5 კმ-ია აქედან). აქვეა ხიდი, მაშინ გრძელ ხიდად წოდებული. ორწყლის ხიდსა და გრძელ ხიდს შუა კიდევ ერთი ხიდია „ლამიანას ხიდი“. აი, ეს მონაკვეთი იქცა ხევსურეთის ომის ასპარეზად.

წითელი არმიის ხელმძღვანელობა ვარაუდობდა რა ამ ვიწროებში, განსაკუთრებით კი ორწყალთან მოწინააღმდეგის საფარს, ნელა მოიწევდა წინ ხეობით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჯარი მოდიოდა საკმაოდ მძიმედ შეიარაღებული, ტყვიამფრქვევებით და თვით ზარბაზნებითაც, გზაზე, რომელზედაც ურმებიც კი ვერ მოძრაობდა, ადვილი მისახვედრია ეს ტემპი. მათ მაღაროსკარიდან ორწყლამდე ამოსვლას მოანდომეს 2-3 დღე. თავის მხრივ, ეს გარემოება მეტად ხელსაყრელი გამოდგა თავდამცველებისათვის. ჯერ ერთი, მათ დრო ეყოთ საბრძოლო განლაგება-ჩასაფრებისათვის და მეორეც, ისინი ზედმიწევნით ზუსტად ზვერავდნენ დამპყრობთა ყოველ ნაბიჯს, ორწყლიდან ქვევით მდ. არაგვის გაყოლებაზე ორივე მხარეს ტყიან და კლდოვან ფერდობებზე ფეხმარდი ხევსურების მიმოსვლის გზით.

ქაქუცა თავისი რაზმის ძირითადი შემადგენლობით გამაგრდა ორწყლის მაღალზე (ხევსურეთის არაგვის მარჯვენა მხარეს წამოყუდებული „უთოსავით კლდე“). სტრატეგიულად ეს უაღრესად ხელსაყრელი ადგილი იყო. იგი არაგვის კალაპოტისა და ჯარის განლაგების ხაზის მიმართ ირიბადაა დახრილი და ჭალიდან თითქმის შეუძლებელია იქ გამაგრებულთადმი ტყვიის ან ზარბაზნის ყუმბარის მოხვედრება, მაშინ როცა თვითონ ჩასაფრებულნი აუცდენლად დაუშენენ მტერს; ყველა მათგანი ხომ სნაიპერია!

წითელი არმიის შტაბი და სამეთაურო პუნქტი განლაგებული იყო ხეობის უფრო ქვემო წელზე, მაღაროსკარის რაიონში,

ხოლო მეწინავე ნაწილებმა, 2-3 ასეულმა, ხევსურების სპეციალურად გაგზავნილ რამდენიმე მცირე რაზმთან ლოკალური შეტაკებებით წაიწიეს წინ ორწყლისკენ. მეწინავენი მიუშვეს თვით ორწყლის პუნქტამდე. ქ. ჩოლოყაშვილის დავალებით მოხერხებულად ჩასაფრებული „მდუმარე ლაშქარი" აძლევდა საშუალებას მტერს, მისი რაც შეიძლება დიდი რაოდენობა შემოსულიყო ხაფანგში. ხოლო თუ ორწყლის ხიდზე გადასვლას გაბედავდნენ, მაშინ გაეხსნათ ცეცხლი, ჩოლოყაშვილისვე ნიშანზე.

თავდამცველები განლაგებული იყვნენ ხეობის ორივე კალთის გასწვრივ ორწყლიდან გრძელ ხიდამდე – ძირითადი ნაწილი მარჯვენა მხარეს, რადგან აქედან კონტროლდებოდა გზის უდიდესი მონაკვეთი, ხოლო „ლამიანასა" და „გრძელ ხიდს" შუა მონაკვეთზე, მარცხენა ფერდობზე ერთი რაზმი იყო განლაგებული. ამ რაზმს ევალებოდა „გრძელი ხიდის" ზევით, მტრის ძირითადი ნაწილის შემოსვლის შემდეგ, მიცემულ ნიშანზე არიერგარდისათვის ტყვია დაეშინა და მომწყვდეული ნაწილებისათვის უკანდასახევი გზა გადაეკეტა. ეს იქნებოდა გადამწყვეტი ოპერაციის დაწყების ნიშანიც. ხევსურთა საბრძოლო პოზიციის წინა პუნქტი მდებარეობდა ფშაველთა სოფლის – მეტისჩრდილის ბოლოს ამავე სახელწოდების ხევის მარცხენა კიდეზე. აქედან კარგად ჩანდა „გრძელი ხიდი" და მის ქვევით თვით „გრძელი ჭალაც". ეს პოზიცია იყო აგრეთვე უკანდახეული ნაწილებისათვის მარჯვე დარტყმის პუნქტი. ტაქტიკურად ყველაფერი ზედმიწევნით სწორად და ოპერატიულად იყო გათვლილი.

მაგრამ მტერი ფრთხილობდა. იგი მთავარი ძალის შემოყვანას აყოვნებდა. შემოდიოდა მცირე, 9-10 კაციანი ჯგუფები, ჩერდებოდნენ გზის გაყოლებაზე თვით ორწყლამდე. ქ. ჩოლოყაშვილი მიუხვდა მოწინააღმდეგეს ჩანაფიქრს. მისი განკარგულებით ჩასაფრებულ ლაშქარს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეცა თავი. მან ნება დართო ორ-სამ კაციან ხევსურთა ჯგუფებს ემოძრავათ პოზიციაზე საფარის გამოყენებით და მტერთან სამანევრო შეტაკებანი წამოეწყოთ მხოლოდ ჭალებში, გზებზე, მათთვის გარკვეული დაბრკოლებისა და ნამდვილ ძალებზე ყალბი წარმოდგენის შესაქმნელად. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღეს.

ამ მცირე ხასიათის ბრძოლებსა და, მათ შორის, ერთ მელოდრამატული ხასიათის სცენას აგვიწერს თავის მოგონებებში ალ. სულხანიშვილი. მოვიტანთ სრულად.

„... გვინდოდა რაც შეიძლება მეტი ძალა შემოგვეტყუებინა არაგვის ხეობაში. გეგმა ჩვენი უფროსი მხედრობის მიერ იყო შემუშავებული შტაბის უფროსთან შეთანხმებით. ამ მიზნით გაიგზავნა ხევსურების რამდენიმე რაზმი, და ზოგადად ჩვენიც, რომელთა ამოცანას შეადგენდა ის, რომ მაღაროსკართან დახვედროდნენ რუსებს, პატარა ბრძოლა წამოეწყოთ მათთან და ამასობაში თანდათან დაეხიათ უკან. ასე შემოიჭრნენ დიდი ძალები არაგვის ვიწრო ხეობაში და ბრძოლაც დაიწყო (რუსები ძალიან მძიმედ მოიწევდნენ წინ. ჩვენ გვიხაროდა, რომ სწორედ ის ხდებოდა, რაც გვსურდა. გააფთრებული იბრძოდნენ ხევსურებიც და ჩვენი რაზმელებიც. ერთმა ცალფეხა მოხუცმა ხევსურმა ხუთ კაცს აჰყარა იარაღი: ჯერ საკეტები გამოაძრობინა, რომელთაც იქვე თავის აბგაში აწყობდა, მერე მათვე აჰკიდა თოფები და წინ გამოირეკა ბარისახოსკენ... ჩვენი რაზმი (5 კაცი) რაზმის მისაშველებლად მივდიოდით – შევხვდით ამ ამბავს... მოჰყავდა ამ მოხუცს ტყვეები თან შემდეგი სიტყვებით ტუქსავდა მათ „თუ მეტი შნოი არა გაქვს, რაიდ მოჰდიხართ საბრძოლველად"-ო... აი, თურმე რისთვის უყვარდა ხევსურები ჩვენს სახელოვან მეფე ერეკლეს"-თქო, გავიფიქრე მე... სამწუხაროდ, მე აღარც სახელი მახსოვს და აღარც გვარი იმ მართლა სამაგალითო ვაჟკაცისა!"[55]

ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევავსოთ პატივცემული ალ. სულხანიშვილის საშვილიშვილო მოგონების მცირე ხარვეზი და ვთქვათ ორიოდე სიტყვა იმ „სამაგალითო ვაჟკაცის" პიროვნების ვინაობაზე.

ლიქოკის ჭალაში რომ შევდივართ, ზედ ბარისახოს პირდაპირ, გავცდებით თუ არა დათვიას უმცროსი შვილის ჩალხა ლიქოკელის სახლს, ტყიანი ფერდის ძირში, ლიქოკის წყლის მარჯვენა სანაპიროზე, დავინახავთ ნალკოტივით შემკულ ჭალას. აი, ამ

---

[55] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", № 2, 1990, გვ. 143.

ადგილს დღესაც ჰქვია „კოჭლაის ჭალა“. კოჭლა იყო ჩვენი წიგნის ერთ-ერთი მთავარი გმირის დათვია ლიქოკელის ბიძა და საქვეყნოდ ცნობილი თვითნასწავლი დასტაქარის მგელიკა ლიქოკელის ძმა. კოჭლა-ბაძიაურათ ბაბო (ლიქოკელი) ის კაცი იყო, რომლის დანახვისასაც ჩვენს შორეულ ბავშვობაში წარმოვიდგენდით ხოლმე ი. ჭავჭავაძის „გლახას“. აი, იმ ჭალაში მდგარი ქოხის კარებში რომ შევნიშნავდით ძლივს მოძრავ საპყარ არსებას. მაგრამ, თუ გულდასმით მოვუსმენდით უფროსების საუბარს ლეგენდებად ჩაგვესმოდა ახალგაზრდობაში შეუდრეკელი ვაჟკაცის – ბაძიურათ ბაბოს ნამოქმედარი: იქნებოდა ეს მიღმახევური სოფლის არდოტის მცხოვრებთადმი შებმა მარცხენაში შუბით და მარჯვენაში ხანჯრით შეიარაღებული მარტო კაცისა, თუ მამა ბაძიურას მიერ სასიკვდილოდ დაჭრილ ბაბრზე (განსაკუთრებული სიდიდის დათვი) ხმლით დატევება და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი... გაგვიგონია იმ 5 კაცის დატყვევების ამბავიც. მაშინ მოხუცი ძმები ცხოვრობდნენ არაგვისპირა ჭალაში, ორწყლის სიახლოვეს და აქედან ყოველდღე გადიოდა ჩვენი გმირი რეიდებზე. იმ დღეს კი ეს „უიარაღო და საპყარი“ კაცი შეეჩეხა ბილიკზე მწყობრში უდარდელად მომავალ, მხარზე თოფგადაკიდებულ მტრის რაზმს. ზედ მიადგა რა მეწინავეს თვალის დახამხამებაში მიაბჯინა გულზე თოფის ლულა, რომელიც საგანგებოდ გადაჭრილი, შენიღბული ჰქონდა მარჯვენა ყავრჯნის ტოტებს შორის. გონს მოსვლაც არ აცალა ისე განაიარაღა ყველანი. რაც შეეხება მის დაკოჭლებას: ტყეში, ნიფლის ჭანდარის (უდიდესი ხე) მოჭრისას ხეს მოუყოლებია ქვეშ და დაუჩეჩქვია ბარძაყი. იქვე, თავის სახლში გაუკეთებია თვითნაკეთი ქირურგიული იარაღებით ფეხის ამპუტაცია ღრმა ბარძაყში უფროს ძმას მგელიკას და კვლავ მამულის დამცველთა რიგებში ჩაუყენებია ეს მოუდრეკელი სულის ვაჟკაცი... ომის დასასრულს კიდევ გაიელვებს მისი ფიგურა არენაზე და თავის წვლილს შეიტანს ფინალშიც. ამაზე შემდეგ...

მებრძოლ მხარეთა შორის ფსიქოლოგიური დუელი დასრულდა იმით, რომ წითელი არმიის ხელმძღვანელობამ, დარწმუნდა რა მდგომარეობის სტაბილურობაში, ორი დღის განმავლობაში აღნიშნულ მონაკვეთზე მეთოდურად, სრული სამწყობრო წესრიგის

დაცვით შემოიყვანა არაგვის ფრონტზე მოქმედი სამხედრო ერთეულის ძირითადი ნაწილი, რამდენიმე ასეული, დაიკავა პოზიციები, რომ აქედან, ორწყლიდან განევითარებინა შეტევა ზევით, პირდაპირ ხევსურეთის სოფლებზე.

ოპერაციას ხელმძღვანელობდა ოფიცერი, რომელიც შეუჩერებლივ მოძრაობდა ორწყალსა და „გრძელ ხიდს“ შუა, პირადად განალაგებდა არმიის რაზმებსა და პატარა ჯგუფებს და ადგილზე იძლეოდა სათანადო განკარგულებებს. მეორე დღეს, შუადღისას, როცა ოფიცერი არიერგარდისკენ უკან ბრუნდებოდა ორწყლის ხიდიდან და არმიის დაჯგუფების შემოსვლა ძირითადად დამთავრებული იყო, ქაქუცამ მის გარშემო მყოფი ჯგუფის გასაგონად თქვა: „ეს ოფიცერი უნდა მოკვდეს გრძელ ხიდთან! აღნიშნული გასროლა იქნება ოპერაციის დაწყების ნიშანიც“. მის ირგვლივ მყოფთაგან მაშინვე, თავისი ნებასურვილით გამოვიდა რამდენიმე კაცი და გასწია მითითებული პუნქტისკენ. ბეწინურ ჯარიას ძე არაბული (სოფ. წინხადუს მცხოვრები) იგონებს: „მამასჩემმ იამბის, რო „... – დათვია ლიქოკელი და მე დავწინაურდითაო –, დ აფიცერი გრძელ ხიდზე რომ შედგა ცხენით, ჩვენ ხიდის მარცხენა ყურის თავზე გორაზე ნადგომებმა გავუხსენით ცეცხლი, ცხენ-კაცი დაემხო, ჩვენც მსწრაფლ ჩავირბინეთ, პირველი დათვია შევარდა ხიდზე, ამ დროს ცხენი წყალში გადავარდა, ხოლო მხედარი ხიდზე წამოიმართა და მაუზერის ცეცხლით შეგვხვდა. დათვიამ მას კიდევ რამდენიმე ტყვია დაახალა ნაგანით და მივარდა კიდეც. მე რომ მივედი იგი უკვე მკვდარი იყო და დათვია იარაღს ჰყრიდაო. გადაიკიდა მისი მაუზერი, გადავირბინეთ ხიდი მარჯვენა მხარეს, შევედით ტყეში მეტისჩდილის დაბლა, შევუერთდით ჩვენიანებს და ჩავებით სროლაში“-ო.

გაიხსნა გრიგალისებური ცეცხლი გზის მთელ მონაკვეთზე. მტრის რიგები პანიკურად აირია, ცდილობდნენ შეტევის წამოწყებას, მაგრამ ვისზე, მოწინაალმდეგის ჭაჭანება არსად ჩანდა. ისინი მოფარებული იყვნენ გზის თავზე გადმოყუდებულ კლდეებსა და ხეებს და დამიზნებით ესროდნენ ხაფანგში მომწყვდეულ მტერს. რუსები კი ალალბედზე ისროდნენ ტყეში და ვერავითარ ზიანს ვერ აყენებდნენ ჩასაფრებულებს. დაღამებამდე გაგრძელდა

ასე. ქვაბში შემოსული ჯარის უდიდესი ნაწილი განადგურებულ იქნა. ადგილზე ცოცხლად გადარჩენილები იძულებული იყვნენ იქვე, მდინარისა და ჭალის პირებზე ქვებს ამოფარებულებს გაეთიათ ღამე, რადგან იცოდნენ ქვემო გასასვლელი ხიდთან კვლავ შეკრული იყო და ცოცხალი ვერავინ გადავიდოდა. მეორე დღეს მცირე რაოდენობის ახალი ძალები მოეშველნენ დამპყრობლებს. მათ ტყვიამფრქვევის დახმარებით შეძლეს მცირე მონაკვეთზე წაეწიათ წინ გრძელი ჭალიდან. სოფ. აფშოდან დაიწყეს ზარბაზნით სროლაც, მაგრამ სახალხო ლაშქრის ტერიტორიაზე არც ერთი ჭურვი არ ჩამოვარდნილა, ის გადადიოდა მათ თავზე და სკდებოდა სოფლების – მონმაოს, გველეთის ან უკანაფშავის ხეობის („იფნიან გორის“) მიდამოებში. წითელი არმიის განლაგების პოზიციებიდან, მიხვეულ-მოხვეული გორების გამო თავდამცველთა პოზიციების ზარბაზნის ფინდიხით დაბომბვის საშუალება არ იყო, ამიტომ მათ საველე ზარბაზნები ცხენებით სოფ. აფშოს წინ წამოწეულ გორაზე აიტანეს, მაგრამ ვერც ამით გახდნენ რამეს. ასე გაგრძელდა კიდევ რამდენიმე დღეს. მტერმა ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია წინ. იყო მხოლოდ ადამიანთა უმიზნო მსხვერპლი.

ორწყლის ბრძოლა გაგრძელდა დაახლოებით ერთი კვირა. ბოლო დღეებში წითელი არმიის ნარჩენებს აღარც უცდიათ ახალი შეტევის წამოწყება. ისინი ცდილობდნენ თავის გადარჩენას და უწესრიგოდ ტოვებდნენ პოზიციებს. ახლა ხევსურებს ძირითადად ამოქმედებდათ იარაღის ინტერესი. ხევსურული ტრადიციით, ბრძოლაში მოკლული მტრის იარაღი ეკუთვნის უშუალოდ მძლეველს. ასე რომ, პირდაპირი დამიზნებით მიზანში ვინც მოარტყამდა, რასაც იქ მყოფნიც ხედავდნენ, იარაღსაც თვითონვე აჰყრიდა დამარცხებულს. ამ ბრძოლის შედეგად ხევსურთა იარაღის მარაგი არნახულად გაიზარდა. ასობით თოფი, მაუზერი, ტყვიამფრქვევი და უთვალავი ვაზნა იგდეს ხელთ. სწორედ ამ მიზნით იყო, რომ ნაომარ ველზე ისინი ფეხს არავის ადგმევინებდნენ, სანამ მტერი მთლიანად არ მოშორდებოდა იქაურობას. არ დარჩენილა მონაწილე კაცი, რომ იარაღი არ რგებოდეს. არც ჯარია არაბული დარჩენილა ბოლომდე გულნაკლუ-

ლი. ოფიცრის მაჯხერი თუ დათვიას ხვდა წილად, მან „ხაზინის ბერდენკა" დაინარჩუნა მომდევნო დღეებში.

იყო წუთები, როდესაც ესა თუ ის განწირული გადარჩენის ბოლო შანსსაც კარგავდა და სნაიპერის ტყვიის მსხვერპლი ხდებოდა. „... უფროსებისგან გამიგონია, – გვიამბობს ს. ბარისახოს კბილის ექიმი ირაკლი არაბული – ერთი ჯარისკაცი გარბოდა ჭალაზე, როგორღაც ტყვია არ ხვდებოდა, ის-ის იყო უნდა გადაფარებულიყო, – არიქათ, ქვეც მიგვივავ, დათვიასაღ უძახეთავ, – ჩაილაპარაკა ვილაცამო – მაგას კი რაღა დათვია უნდავ, აქ არ ორაევ! ჩაიცინა კურდღელათ გოგალმა (დათვისელი გოგალი არაბული), აბა, ხედნეთაევ – ოდ, ქუხილნ იქნესავ-ო, ადაგვალა იქნავ აი რუსაივ". ამ რიგის უამრავ ფაქტებს ყვებოდნენ ამ ბრძოლის მონაწილენი. ასე იქცეოდნენ და შემდეგ არც მალავდნენ ღმერთისა და უზენაესი სამართლის უსიტყო მსახურნი, ხევსურნი, რადგან საკუთარ სახლში, მამულში მიუხტა მტერი და მის წართმევას შეეცადა. ასეთი ქმედებისათვის კი ღმერთის მიერ დადგენილ განაჩენად სათანადო პასუხი და სამართალი ჰქონდათ მათ.

მტრის ჯარის ნარჩენები ნელ-ნელა გაიძურწა უკან და ბოლოს, მთლად გავიდა არაგვის ხეობიდან, უკან დაიხია ჟინვალდუშეთის რაიონში. რადგან შეპირებული ძალების შემოტევა არ განხორციელდა ქ. ჩოლოყაშვილიც აღარ დადევნებია მტერს. იგი ძალებს უნდა გაფრთხილებოდა.

ბრძოლაში ასეთი ძლევამოსილი, ბრწყინვალე გამარჯვება განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, მებრძოლთა ერთსულოვნებამ და თავისუფლების წყურვილმა. აქ მოვიდა და თავდაუზოგავად იბრძოდა არა მარტო ამ რეგიონის, ქვემო ხევსურეთისა და საარაგვოს თემების, არამედ თითქმის ყველა თემისა და სოფლის მამაკაცი მოსახლეობა, ვისაც იარაღის ტარება და ხმარება შეეძლო. სხვათაშორის, ხევსური ვაჟის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ასაკობრივ ბარიერად – ვაჟკაცობაში შესვლად ითვლებოდა იარაღის პირველი აღების – ხანჯლის, ცოტა მოგვიანებით ხმლის შებმის ფაქტი. უდიდესი შვების, სიამაყისა და იმედის გრძნობით იტყოდნენ ყმაწვილზე მისიანები: „იარაღთ ამღებიც იქნავ!"

– 12-13 წლის ბიჭზე, პირველად რომ გამოვიდოდა ჯარზე ხანჯალშებმული. ამ ურყევი მორალური პრინციპების წყალობით ორწყალში მებრძოლთა რიგებში ჩადგა 12 წლის ობოლი ბიჭი ხვთისო ალუდაური (შემდგომში ცნობილი, პირველი ხევსური ფილოსოფოსი, ამჟამად პენსიონერი)[56]. ჩვენს შეკითხვაზე – თოფი თუ გქონდაო, პატივცემულმა ხვთისომ გვიპასუხა – თოფიც მქონდა და ორი ვაზნაცო! აი, გამარჯვების მთავარი პირობა – ხევსურეთის სათავიდან, სოფ. ხახმატიდან ხევსურეთის ბოლოს – ორწყალში მტერთან საბრძოლველად ფეხით ჩამოვიდა თოფითა და ორი საბრძოლო ვაზნით შეიარაღებული 12 წლის ყმაწვილი!

ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ქართველთა ერთიანობამ და დარაზმულობამ ხევსურთა და ძმად შეფიცულ პარტიზანთა დულაბის კედელმა, გაიმარჯვა ოპერაციის სწორმა ხელმძღვანელობამ,

---

[56] ხვთისო ალუდაური იყო სოკრატეს ხევსური ალი და კვალი. მგონი, ზედმეტი არ იქნება მისი სოკრატული მჭევრმეტყველების უთვალავი მაგალითიდან აქაც მოვიხსენიოთ ერთი-ორი:

სწავლობდა რა (ექსტერნად) თბილისის უნივერსიტეტში, იგი ძირითადად ფეხით მგზავრობდა (უსახსრობის გამო) დედაქალაქისაკენ. ერთ ასეთ შემთხვევაში ალექსი ჭინჭარაული ეკითხება:

– ისევ ფეხით დადიხარ ხვთისო?

– ფეხით, აბა თავით ხომ არ ვივლი!

– ვისაც თავი აბია, ის ფეხით არ დადის.

– პ-პ, შეხე!, შატილონსაც რომ თავი ბმია!

. . .

80-იან წლებში, ჩვენი ერთ-ერთი საუბრის დეტალი:

– ძალიან ჭკვიანი კაცი იყო მამაშენი...

– ჰო, ნათელი გონება ჰქონდა, განსაკუთრებით ძველ ამბებში.

– ერთხელ მკითხა, ხვთისო, აბა როგორი იქნება ის კომუნიზმი?

– მეც ავუხსენი, როგორც ვიცოდი და მწამდა მაშინ. მერე ვკითხე: აბა, რას იტყვი ძია თათარ, როგორ იქნება საქმე კომუნიზმში?

– რა ვიცი, რა ვიცი, მე ის გავიგ, რო ძალია ჭანტრაკულად იქნების საქმე მაშინ.

– ერთხელ ახსნით ჩემზე უკეთ გარკვეულიყო უსწავლელი კაცი კომუნიზმის არსში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და სიმამაცემ, გაიმარჯვა სამშობლოს დამცველთა ღვთითკურთხეულმა სამართლიანობამ.

ორწყლის ამ ისტორიული ბრძოლის საბოლოო ფინალი იყო სამშობლოს დამცველთა სრული, უნაკლო გამარჯვება. ერთი კვირის შემდეგ რუსული ჯარის ნარჩენები, დარწმუნდნენ რა რომ ამ გზით ხევსურეთში ვერ შეაღწევდნენ, მოიხსნენ და უკან გაბრუნდნენ. დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში სახალხო მოლაშქრენი და პარტიზანებიც. მხოლოდ რამდენიმე ყველაზე აქტიური ხევსური მებრძოლი – დათვია ლიქოკელი, ბუზალა არაბული, აპარეკა არაბული და სხვები კიდევ რამდენიმე დღე-ღამე იცავდნენ და ყარაულობდნენ ამ მიდამოებს მზვერავთა სახით.

გაუგონარი თავხედობისათვის მტერი უწყალოდ და სასტიკად იქნა დასჯილი. მას ზუსტად აღუსრულეს აქაურივე ბრძენკაცის მიერ კაზმულსიტყვაობაში ამეტყველებული ყოფისა და მოქმედების უძენაესი პრინციპი:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს წურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთს დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება!“

მტრის ასობით დახოცილთა საპირისპიროდ, როგორი იყო თავდამცველთა ზარალი. მოკლული იქნა 1 კაცი. მხოლოდ ერთადერთი, სოფ. დათვისის მცხოვრები ხვთისო არაბული (გიგიათ ხთისო), ისიც არა ბრძოლის ველზე, არამედ მძევალ-შუამავალი. ერთი-ორი კაცი მსუბუქად დაიჭრა, მათ შორის შეფიცულთა რაზმის წევრი, აბიკა გიგაური.

სანამ ორწყლის ბრძოლა დაიწყებოდა, არაგვის ჭალაზე რუსების ჯარს გადაეყარნენ ბარიდან ხევსურეთისკენ მომავალი დათვისელი ხევსურები გიგიათ ხთისო და მგელათ ბაჭყია (არაბულები). ისინი დაატყვევეს. ხვთისო არაბული გამოაგზავნეს ხევსურებთან ასეთი წინადადებით: ჩვენ მოვდევთ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, თქვენ არას გერჩით, მოგვეცით ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით და ჩვენც გავბრუნდებითო. თავისი გულუბრყვილობის მიუხედავად, ხევსურები ამას აბა, როგორ დაიჯერებდნენ, თუნ-

დაც დაეჯერებინათ, ძმად შეფიცულ, ისიც სტუმრად მოსულ ქართველ ვაჟკაცს და მისიანებს მტერს როგორ დაანებებდნენ. ცხადია, უარი შეუთვალეს რუსებს. ხვთისომ კი დაწყებული ბრძოლის პროცესში ფრონტის ხაზის გადალახვა ველარ მოახერხა. დაბრუნდა ბრძოლის დასასრულს. სტაცეს ხელი და ადგილზევე მოკლეს, როგორც დავალების არშემსრულებელი(?!) აი, ასეთი სიმართლით შემოდიოდნენ რუსი კომუნისტები ხევსურეთში. ხვთისოს შეეძლო აღარ დაბრუნებულიყო მტრის ბანაკში და ამით გადაერჩინა თავისი სიცოცხლე, მაგრამ იგი ამას ვერ იკისრებდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ამხანაგი და თანასოფლელი ბაჭყია არაბული რუსებს ჰყავდათ დაკავებული და მას საფრთხე შეექნებოდა, მეორეც მას სიტყვა ჩამოართვეს, რომ პასუხი მიეტანა და თავის სიტყვას როგორ გასტეხდა. ამხანაგი გადაარჩინა, თავი კი გასწირა. მტერი საპირისპირო პრინციპებით მოქმედებდა.

დამთავრდა ხევსურეთის ომის პირველი ეტაპი. დამთავრდა ეროვნულ-პატრიოტული ძალების თვალსაჩინო გამარჯვებით, მაგრამ მას, სამწუხაროდ, ის სასიკეთო შედეგები არ მოჰყოლია, რაც მოჰყვებოდა, რომ ქვეყანაში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას ისევე პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა როგორც ხევსურეთში მებრძოლმა ძალებმა შეასრულეს. როგორც უკვე ითქვა, საერთო ეროვნული აჯანყების გეგმით ხევსურები ქ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით არაგვის ვიწროებში შეტყუებულ რუსებს რომ გაანადგურებდნენ და გამოაბრუნებდნენ, მტრისთვის ზურგიდან უნდა დაერტყა გორი-დუშეთის მიდამოებში მდგომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კუთვნილ მ. ლაშქარაშვილისა და შ. ფალავანდიშვილის პარტიზანულ რაზმებს, რომელთა საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა როტმისტრი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი. სწორედ ეს ოპერაცია არ განხორციელდა და უშედეგო აღმოჩნდა ხევსურეთში გამარჯვებაც. მოვუსმინოთ სოლომონ ზალდასტანიშვილს: „... რუსებმა თბილისიდან აჯანყებულების წინააღმდეგ რამდენიმე ათასეული ჯარისა გაგზავნეს და შტაბის უფროსად პოლკოვნიკი როს. მუსხელიშვილი („დამკომის" სამხედრო წევრი) დანიშნეს. როდესაც „დამკომის" სამხედრო

ცენტრმა ეს ამბავი გაიგო, მოითხოვა, რომ „დამკომი" ჩასდგომოდა სათავეში ამ მოძრაობას. პირადად პოლკოვნიკი რ. მუსხელიშვილმა... კატეგორიულად მოსთხოვა, რომ სოც.-დემ. რაზმები დუშეთის მიდამოებში მის განკარგულებაში გადაეცათ... სოც.-დემ. პარტიამ უარჰყო ნაადრევ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება და ეს შეხედულება თავიანთ რაზმელებს შეატყობინა. დუშეთში მიახლოვებული რაზმები შ. ფალავანდიშვილისა და მ. ლაშქარაშვილისა როტმისტრი ბაგრატიონ-მუხრანელის მეთაურობით, დაიშალნენ და სახლში დაბრუნდნენ. ამის გამო პოლკ. მუსხელიშვილმა თავისი გეგმის შესრულება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა რუსების ჯარით იერიშით მისულიყო ქაქუცას წინააღმდეგ. ქაქუცა მტერს მაგრად დაუხვდა: პირველ შეტევაზე დიდი ზარალიც მიაყენა. რუსებმა მცხეთისაკენ დაიხიეს. ძალების სიმცირის გამო ქაქუცა იძულებული იყო დევნა შეეჩერებინა. ძველ პოზიციაზე დაბრუნდა და აქ გამაგრდა..."[57]

[57] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13, 15.

## ბრძოლა მთა ფხიტუზე

ხევსურეთის ომის მეორე დიდი ბრძოლა გაიმართა მთაზე, რომელსაც ფხიტუ ჰქვია. ფხიტუს მთა და უღელტეხილი წარმოადგენს ხევსურეთისა და გუდამაყრის მთავარ წყალგამყოფსა და გადასასვლელს მდ. არაგვის ერთი შენაკადიდან მეორესკენ, თეთრი არაგვიდან შავი არაგვისკენ. ცენტრალური ხევსურეთის სოფლებიდან – ჩირდილი, ბუჩუკურთა, უკანახო ავდივართ შუაცხვირის ქედით და ფხიტუს უღელტეხილით გადავდივართ გუდამაყრის ხეობაში, ხევსურთა სოფელ ბაკურხევში.

ეს არის კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის ერთ-ერთი განშტოების, გუდამაყრის ქედის სათავე რაიონი. ფხიტუს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ოსაურასა და ჭაუხის მთები, სამხრეთ-დასავლეთით – საჩალის წვერი, დათვის-მოწმაოს მთები და ა. შ. ხევსურეთის მხრიდან ფხიტუს უღელტეხილზე გასასვლელად არის მშვენიერი დერეფანი სოფ. ახოს (ბარისახოს ზემო უბანი) თავიდან. უღელტეხილი წარმოადგენს ხევსურეთიდან მთიულეთ-გუდამაყარში, დაბა ფასანაურში მთავარ გადასასვლელს. იგი საშუალო სიმაღლის მთაა და ზაფხულობით მასზე დაუბრკოლებლად მიმოდიოდნენ ფეხით თუ ცხენით. მთა თავისი გაშლილი, დამრეცი კალთებით ადვილი მისადგომია ორივე ხეობიდან. სტრატეგიული თვალსაზრისით, მისი თხემის მფლობელი დაუბრკოლებლად დაეუფლებოდა წინ გადაშლილ ხეობებს. აქ არ არსებობს რაიმე ბუნებრივი სიმაგრეები. ხეები თითქმის არ დგას, რადგან ალპიური ზონალობის ნიშნულზე მაღლაა, არც დიდი კლდეებია, რომ საფარად იქნას გამოყენებული. ამ გარემოებათა გამო დიდი სტრატეგიული გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ ხევსურეთზე თავდამსხმელმა სამხედრო ძალამ სწორედ ეს მარშრუტი გამოიყენოს, მით უმეტს, როცა გუდამაყრის ხეობა ღიაა და იქ რაიმე დაბრკოლება არ მოელის მას.

წითელი არმიის ხელმძღვანელობა დარწმუნდა რა, რომ ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობით ხევსურეთში ვერ შევიდოდა, შეცვალა ოპერატიული გეგმა და გადაწყვიტა მდ. შავი არაგვის, კერძოდ კი გუდამაყრის ხეობაზე გავლით დაელაშქრა ხევსურეთი. მათ გააჩნდათ მსგავსი ლაშქრობის ისტორიული პრეცენდენტებიც. შეიძლება რომელიმე სამხედრო სპეციალისტს გაეგონა კიდეც, რომ ჯერ მირიან მეფის, შემდეგ კი დიდი თამარის დროს კერპთაყვანისმცემელ ფხოველთა ქრისტეს რჯულზე მოსაქცევად მხედართმთავრებმა ამავე მარშრუტებით „წარმართეს მათზე მახვილი მცირედ". „... ხოლო იოვანე (ათაბაგი) აღვიდა მთასა ხადისასა და წარვლო, წუერ-წუერად და წარადგა ფხოელთა... და უწყო რბევანი, ტყუებნა და სრვანი"[58], ხოლო XIX ს-ის დასაწყისში ამ მთებში პირველად შეებნენ ერთურთს რუსეთის არმია და ხევსურთა ლაშქარი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით.

წითელი არმიის მიზანი იყო ახალი ოპერაცია რაც შეიძლება საჩქაროდ განეხორციელებინათ, რათა ხევსურებს, სანამ დაინახავდნენ და მიხვდებოდნენ მტრის ახალ გეზს, არ მოესწროთ ძალთა გადაჯგუფება, ახალი მოკავშირეების შეძენა და დამატებითი ძალების გამოყვანით ფხიტუს გადასასვლელის გამაგრება. მათ განსაკუთრებით ეშინოდათ ქ. ჩოლოყაშვილის მიერ სხვა მოკავშირეების (მოხევეები, ქისტები – იგივე ჩეჩნები და ა. შ.) მოძიებისა და შემოერთებისა და არცთუ უსაფუძვლოდ.

არმიას კი, ამ შემთხვევაში, მანევრირების ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდა. მათ თბილისიდან ყოველმხრივ აღჭურვილი ახალი ნაწილების დაუბრკოლებლად მოყვანა შეეძლოთ დაბა ფასანაურამდე მანქანებით, იქიდან კი ფხიტუს გადასასვლელამდე სულ 20-მდე კილომეტრია.

იყო აჩქარების კიდევ ერთი მიზეზი. ბოლშევიკები შიშობდნენ, რომ ჩოლოყაშვილი, თუ გაიგებდა მათი ახალი ჩანაფიქრის შესახებ და დარწმუნდებოდა თავისი მდგომარეობის უიმედობაში, შეეცდებოდა ხელიდან გასხლტომოდა მათ. არ იყო გამორიცხული, რომ ქისტეთში გადასულიყო და საბჭოთა ხელისუფლე-

---

[58] ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 191.

ბისათვის კიდევ უფრო დიდი გართულებები მოემზადებინა თვით ჩრდილო კავკასიაშიც. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ საამისო ნიადაგს ქ. ჩოლოყაშვილი ამზადებდა ჯერ კიდევ კახეთში ყოფნის დროს იქაური (პანკისის ხეობაში მცხოვრები) ქისტების მეშვეობით. აქი ჰყავდა კიდევაც თავის რაზმში მათი წარმომადგენლები. ბოლშევიკებს კი მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი რადაც უნდა დასჯდომოდათ ქ. ჩოლოყაშვილი ამ ხაფანგიდან ცოცხალი აღარ გაეშვათ.

ფხიტუს მთაზე გამართული ბრძოლის შესახებ რაიმე წერილობითი წყარო თითქმის არ მოგვეპოვება. მასზე წარმოდგენა შეიძლება შეგვიქმნას ალ. სულხანიშვილისა და ს. ზალდასტანიშვილის მოგონებებში ნახსენებმა ზოგადმა ფრაზებმა. ს. ზალდასტანიშვილი აღნიშნავს, რომ ორწყლის ბრძოლაში დამარცხებისა და ამ რეგიონიდან მთლიანად გასვლის შემდეგ „... რუსებმა თბილისიდან დამხმარე ძალები მიიღეს და ხელმეორედ შეტევაზე გადავიდნენ, დაამარცხეს ჩოლოყაშვილი და მის რაზმს რკალი შემოარტყეს. ქაქუცამ ბრძოლით რკალი გაარღვია და კახეთისაკენ დაიხია. რუსები ხევსურეთში შევიდნენ და სოფლები გაანადგურეს“[59]. აქ არ ჩანს შეტევის კონკრეტული მიმართულება და ბრძოლის ადგილი. საერთოდ ამ ავტორის მოგონებებში, ხევსურეთის ამბებთან დაკავშირებით, ადგილმდებარეობის და მოვლენების ლოკალიზაცია და სიზუსტე ნაკლებადაა დაცული. ასეა თვით პირველი, არაგვის ხეობაში, კერძოდ ორწყალში გამართული ბრძოლების ირგვლივ მონათხრობშიც: დუშეთის რაიონში გამართულ დიდ ბრძოლაში რუსები დამარცხდნენ და მცხეთისაკენ დაიხიესო. ცხადია, აქ დუშეთი და მცხეთა არაფერ შუაშია, ორწყლის ბრძოლაში წითელი არმიის გადარჩენილი ნაწილი და თბილისიდან ახლად მოსულიც ს. ჟინვანიდან შავი არაგვის ხეობით დაიძრა ხევსურეთისკენ. ამ შემთხვევებში ავტორს არც გაემტყუნება. უზუსტობათა მთავარი მიზეზი ის არის, რომ პატივცემული სოლომონი ადგილმდებარეობას არ იცნობს, ჩეკისტური რეჟიმის წყალობით ხელთ არა აქვს რაიმე

---

[59] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

სრული ინფორმაციული წყარო და წერს მომხდარი ამბებიდან საკმაოდ დიდი დროის (30-იანი წლების ბოლოს) და მანძილის (საქართველო-პარიზი) დაშორებით. ანალოგიური მდგომარეობაა ალ. სულხანიშვილის მოგონებებშიც. იქ, საერთოდ, მთა ფხიტუ და გუდამაყრის ხეობა ნახსენები არაა. ესეც გასაგებია. მას ამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია. იგი ამ დროს სხვაგან იყო მივლინებული სხვა დავალებით.

სახელმძღვანელოდ გვრჩება მხოლოდ ბრძოლის უშუალო მონაწილეთა და მომსწრეთა, მათი ახლობლების – ამ ადგილების მცხოვრებთა მონათხრობი.

რა ვითარება იყო პატრიოტთა ბანაკში?

ცხადია, არავის მოუვა აზრად, რომ ხევსურნი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი ისხდნენ ბარისახოში და გულხელდაკრეფილნი უცდიდნენ როდის მიესალმებოდა მათ რუსის ჯარი მაღალი ფხიტუდან ზარბაზნის ენით.

ქ. ჩოლოყაშვილი, დარწმუნდა რა, რომ ეროვნულმა ცენტრალურმა პოლიტიკურმა რგოლებმა უღალატეს მის ბრძოლას და საერთოდ ეროვნულ საქმეს (სხვანაირად ვერც ის და ვერც სხვა სალად მოაზროვნე ვერ უწოდებდა ამ მოვლენას!), გასწირეს მისი რაზმიც და მთლიანად ხევსურეთიც, მიხვდა თავისი მდგომარეობის უიმედობას. იგი აღმოჩნდა დილემის წინაშე. ან უნდა დაერწმუნებინა ხევსურები ბრძოლის შემდგომი გაგრძელების უაზრობაში და შეეწყვიტათ წინააღმდეგობა, ანდა გამოენახათ კიდევ რაღაც ახალი დამატებითი ძალები და ამ პირობით გაეგრძელებინათ ბრძოლა. პირველის სასარგებლოდ მეტყველებდა ის, რომ მტერმა მიიღო ახალი, სერიოზული შევსება ცოცხალი ძალით და იარაღით, ამასთან გამონახა პირველ, უკვე გადახდილ ბრძოლასთან შედარებით ბევრად უკეთესი ტერიტორიული პოზიცია, განიმტკიცა ზურგი და თითქმის გარანტირებული გახადა თავისი გამარჯვება მაშინ, როდესაც პატრიოტების პოზიცია ყველა ამ შემთხვევაში შედარებით უარესი იყო. ალტერნატიული პოზიციის – ბრძოლის გაგრძელებისთვის ოპტიმიზმის საფუძვლები ცოტა იყო: ხევსურეთის შესაძლებლობის მაქსიმალური დარაზმვა, განსაკუთრებით ფსიქოლოგიურ ეფექტზე, სულიერ საწყისებზე გადატანა სიმ-

ძიმის ცენტრისა; ყოველი ხევსურისთვის ხომ წარმოუდგენელი იყო მტრისთვის დანებება, ისიც უბრძოლველად, თანაც ისეთი წინა გამარჯვების შემდეგ. ბრძოლა ბოლომდე! – აი, მათი წესი. შემდეგი რეზერვი იყო მოკავშირეების გამონახვა და შემოერთება. აი, ამ საქმეში კი არც ერთი დღით დაყოვნება არ შეიძლებოდა.

ქ. ჩოლოყაშვილს არც ამჯერად დაუკარგავს დრო. მას არ დაუცდია თვით ფშავ-ხევსურეთის არაგვზე საბრძოლო ოპერაციების დამთავრებისთვის. როცა იგრძნო, რომ საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან შველა მოსალოდნელი არ იყო, ყველაზე საიმედო თანამებრძოლნი ალექსანდრე სულხანიშვილი და აბიკა გიგაური, შატილზე გავლით, ქისტეთში გაგზავნა, მათი მთიელი მეზობლების საბრძოლო რაზმების გამოხმობისათვის. სწორედ ამით, – ალ. სულხანიშვილის ადგილზე ალარყოფნით – აიხსნება ის გარემოება, რომ იგი თავის მოგონებებში სათანადოდ ვერ აღწერს ორწყლის გმირული ეპოპეის ეფექტურ ფინალს. აკეთებს არცთუ სწორ, მოულოდნელ დასკვნას: ერთ ღამეს რუსებმა მოულოდნელად დაიხიეს უკან და მთლად დაცალეს არაგვის ხეობაო.

ქისტებისთვის დახმარების თხოვნა და მათი შეიარაღებული რაზმების ხევსურეთში შემოყვანა მარტივი პრობლემა არ იყო. ხევსურები და ქისტები! მთის ეს ორი უმამაცესი, მეზობელი ხალხი ურთიერთისადმი მტრობისა და უზენაესი პატივისცემის უცნაური და თითქოს აუხსნელი ისტორიული ტრადიციით იყო გადაჯაჭვული. ალ. სულხანიშვილის მემუარებში სწორ ტრადიციულ-ეთიკურ ნორმებშია წარმოდგენილი ქისტებთან ხევსურთა სამოკავშირეო პირობა (მიუხედავად იმისა, რომ გოგოთურ ჭინჭარაულის მიერ პატარა შვილიშვილების საქისტეთო მძევლებად გამოყვანის სცენა თეატრალურ-პროპაგანდისტული ელფერითაა შემკული)[60]. ამ ხალხებს სწამდათ, რომ რომელიმე მათგანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის დადგომის ჟამს, მით უმეტეს, თუ ეს დაკავშირებული იყო ერთ საერთო მტერთან, მათ შეეძლოთ

---

[60] თვით გოგოთურის შვილი სულხანაური, არც თუ დიდი ხნის წინ, ქისტებთან მტრობის მსხვერპლი გახდა.

დაევიწყებინათ, დროებით გადაედოთ პიროვნული, ვიწრო საგვარტომო მტრობა და მხარი მიეცა ერთიმეორისთვის. შეეძლოთ და უნდა გაეკეთებინათ კიდევაც ეს. ხევსურთა ჭკვიანმა თავკაცებმა გამონახეს ქისტების ნდობის მოპოვების კარგი ფორმა: ამ უკანასკნელთა რაზმებში, მათივე სურვილით და არჩევით, შეერეოდნენ ხევსური მეომრები, რომლებიც თავისებური ნებაყოფლობითი მძევლები იქნებოდნენ ქისტების ხევსურეთში ყოფნის მთელ პერიოდში და მტრობის რაიმე განმეორებას გამორიცხავდნენ ორივე მხრიდან. წინასწარვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქ. ჩოლოყაშვილისა და ხევსურთა გონივრული ჩანაფიქრი და გეგმა დადებითად გადაწყდა ქისტეთში და უმოკლეს ვადაში – სულ რაღაც ორ კვირაში შედგა და საბრძოლო მზადყოფნაში გამოვიდა მათი რაზმები, თუმცა მოვლენათა სწრაფმა და ავბედითმა განვითარებამ მათი მოქმედებაში ჩაბმა საჭიროდ აღარ ცნო.

უსამართლობა იქნებოდა, აქ ორიოდე სიტყვით არ მოგვეხსენებინა ქისტეთში უაღრესად საპასუხისმგებლო მისიით მივლინებული დეპუტაციის შემადგენლობასა და საქმიანობის შესახებ. მაშ, გაიგზავნა ორი კაცი – ქ. ჩოლოყაშვილის მოადგილე ალ. სულხანიშვილი და რაზმის ერთ-ერთი წევრი ხევსურთაგან აბიკა გოგაური. ოფიცერი ალ. სულხანიშვილი სახელოვანი კახელი კაცი (როგორც თვითონ იგონებს, ხშირად დაამღერებდა ხოლმე ჩონგურზე ხალხურ, უმეტესად კი საყვარელი უმცროსი მეგობრისა და თანამებრძოლის ფშაველი ყმაწვილის – მიხა ხელაშვილის ლექსებს), მეგობრობდა მთიელ ვაჟკაცებთან, მათ შორის ქისტებთანაც. მას ჰყავდა ბევრი პირადი მეგობარი კახეთის, პანკისის ხეობის (ახმეტის რაიონში) ქისტ მოსახლეობაში. კახეთში მცხოვრებ ქისტებს კი ყოველდღიური კავშირი ჰქონდათ თავის ისტორიულ სამშობლოსთან, ქისტეთთან, საიდანაც თვითონ ისინი კახეთში სულ მოკლე ხნის წინ ჩასახლდნენ და ბევრ მათგანს ახლობლები ქისტეთში ჰყავდა. პანკისში სახლდებოდნენ ძირითადად ჯერ კიდევ მეფის დროს საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონში შემავალი მაისტისა და სახანოს სათემო საზოგადოებებიდან წასულნი, რომლებიც შატილის (ხევსურეთის) ახლო მეზობლები იყვნენ. ამდენად, ბატონ ალექსანდრე სულხანიშვილს

ქისტეთის ამ ნაწილში ბევრი ნაცნობი და მეგობარი, თვით ძმადნაფიცებიც კი ჰყავდა. საერთოდ მთიელებთან და განსაკუთრებით ქისტებთან ურთიერთობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სანდო ადგილობრივ, ნაცნობ, მეზობელ პიროვნებებთან ურთიერთობას, როგორც სანდოობის გარანტს.

მეორე დელეგატი – ხევსური აბიკა ბაბუას ძე გიგაური კახეთის სოფელ საკევრედან, წარმოშობით არხოტის თემიდან (სოფ. კალოთანა) იყო. დაიბადა და გაიზარდა ხევსურეთში. მამამისი, ბაბუა ქისტების მეგობარი და ქისტური ენის კარგი მცოდნე იყო (არხოტიც ქისტეთს ესაზღვრება). მის ოჯახს სისტემატური ნაცნობობა და კავშირი ჰქონდა ქისტებთან. თვითონ აბიკამაც კარგად იცოდა ქისტური ენა და იქ ბევრი მეგობარი ჰყავდა, ისიც იცნობდა კახელ ქისტებს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მათთან. ქისტებთან სამოკავშირეო მისიით მოლვაწეობისას იგი ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობასაც. ეს ნდობისა და დაახლოების კიდევ ერთი ძაფი იყო. იგი მასპინძლების სიმპათიას იმსახურებდა ამჯერად იმითაც, რომ რუსებთან წინა დიდი ბრძოლის დროს (რის შესახებაც ქისტები მშვენივრად იყვნენ ინფორმირებულნი) იგი დაიჭრა (ფეხში) და ჯერაც განუკურნებელი ესტუმრა ქისტეთს. მაშასადამე, ქ. ჩოლოყაშვილს შემთხვევითი პიროვნებანი არ გაუგზავნია ამ მისიით. მათ პირნათლად შეასრულეს დავალება და რომ არა ქ. ჩოლოყაშვილის წერილი, რომელმაც შატილში მიუსწრო მათ, ისინი ორი კვირის თავზე ქისტთა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილი რაზმებით გამოცხადდებოდნენ ხევსურეთში. წერილით ქაქუცა ატყობინებდა, რომ ბრძოლა წაგებულია და რაზმებს ნუღარ წამოიყვანთო.

ქ. ჩოლოყაშვილს დამხმარე ძალებისა და ხელსაყრელი საბრძოლო პოზიციების მილება-განმტკიცების კიდევ ერთი ვარიანტი ჰქონდა გეგმაში. ჯერ კიდევ საომარი მოქმედების მოსამზადებელ ეტაპზე მან სცადა დაკავშირებოდა ხევის (ყაზბეგის) რაიონს. მისთვის და სამხედრო ცენტრის წევრებისათვის კარგად იყო ცნობილი მოხევეთა პატრიოტული შემართება და თავისუფლების სიყვარული. ხევის რაიონის ჩართვა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იმითაც იყო სასურველი, რომ ეს იძლეოდა სამხედრო გზის

საიმედოდ დაცვისა და რუსეთიდან და ოსეთიდან მტრის დამატებითი ძალების შეკავების გარანტიას. არადა, სულ იოლად, რაღაც ნახევარი დღის განმავლობაში შეიძლებოდა ვლადიკავკაზიდან შემოსული ჯარებით ავსილიყო არაგვის ხეობა. ცნობილია, ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ქ. ვლადიკავკაზში, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველ ბოლშევიკებს, განსაკუთრებით გრიგოლ („სერგო") ორჯონიკიძეს, რომელიც იმჟამად საქართველოს – და ცხადია ხევსურეთისაც – ბოლშევიკური ანექსიის სულისჩამდგმელი და უშუალო აღმასრულებელი იყო.

ოპერაცია „ხევსურეთის" (პირობითად ვუწოდოთ ასე) მზადების დასაწყისშივე ქ. ჩოლოყაშვილმა ხევის რაიონში სამოქმედოდ, ამ სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელად მიავლინა თავისი ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი შალვა ფავლენიშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ ლეგალურ მდგომარეობაში ყოფნის გამო შესაძლებლობა ჰქონდა ემოგზაურა საქართველოს რაიონებში და, მაშასადამე, საქართველოს სამხედრო გზითაც. და აქაც შორსმჭვრეტელმა ბელადმა შ. ფავლენიშვილს თანამებრძოლად და დამხმარედ მიუჩინა მოხევეებში დიდი ავტორიტეტით ცნობილი, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, თავისი რაზმის წევრი ხევსური თომა ბალიაური. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკობისას, ვლადიკავკაზის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, გაეცნო და დაუმეგობრდა მოხევე პატრიოტებს, რომლებიც ამ ქალაქში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ. ყაზბეგის რაიონში შედიოდა ორი ხევსურული სოფელი: ჯუთა და ართხმო. ამ სოფლების თითქმის ყველა მცხოვრები ნაცნობი და ბევრი ახლო ნათესავიც იყო თომასი. სოფ. ჯუთაში იყო გათხოვილი მისი ალალი ბიძაშვილი. ასე რომ, მოხევეებთან და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ქართველებთან და სხვა მთიელებთანაც თომა ბალიაურზე უკეთესად საერთო ენას ძნელად თუ ვინმე გამონახავდა. აი, ასეთ ხალხს მიანდო ქაქუცამ საქართველოსათვის ძნელბედობის ჟამს ჩრდილოელი გველეშაპისა და მისი ადგილობრივი სატელიტებისათვის გზის გადაკეტვა. შალვა ფავლენიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ლეგალურ მდგომარეობაში იყო, წერს ალ. სულხანიშვილი – მეკავშირის

როლს ასრულებდა პარტიზანებთან, მაგალითად, კავშირი ჰქონდა (ქაქუცას დავალებით) მოხევეებთან... ბარისახოში შალიკომ კაცი გამოგვიგზავნა (ჩანს ყაზბეგიდან – ი. ლ.) დროისა და ადგილის შესათანხმებლად, მისგან გამოგზავნილი პაკეტის მისაღებად კაცის გაგზავნის თაობაზე. ქაქუცამ მე და ერთი ხევსური გაგვგზავნა, ორი დღე ველოდეთ, არავინ მოვიდა... შალიკოს დავალება შეადგენდა სამხედრო გზის შეკვრა, რომ რუსები არ შემოეშვა საქართველოში[61]. ახლა მოვუსმინოთ თვითონ თომა ბალიაურს: „... ვიღებდი მხურვალე მონაწილეობას ხევსურეთის აჯანყებაში 1920-1924 წლებში. ხევის რაიონში ვხელმძღვანელობდი მოხევეებს"[62].

ხევსურეთსა და ხევს (ყაზბეგის რაიონს) საძელისა და ჭიმღის ულელტეხილებით აკავშირებს უმოკლესი გზები (ნახევარი დღის სავალი). საძელის ულელტეხილით გადავდივართ ხევსურეთის ცნობილ სოფელ როშკაში. ხევსურეთის ომის მთელ პერიოდში ეს ულელტეხილები თავისუფალი იყო და ცხადია, მითითებულ წყაროებში მოხსენიებული მიმოსვლა მათი საშუალებით ხორციელდებოდა. პირი, რომელიც ქ. ჩოლოყაშვილსა და შ. ფავლენიშვილს შორის კავშირურთიერთობას ახორციელებდა იყო თომა ბალიაური, პირადად ან მისი მტყობიები (შიკრიკი). მოხსენიებული პუნქტი შეხვედრებისა აუცილებლად იქნებოდა სოფ. როშკა.

შ. ფავლენიშვილისა და თ. ბალიაურის მიერ მათთვის მინდობილი მისიის შესრულების ხარისხზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ მთელი ხევსურეთის ომის დროს ჩრდილოეთის მხრიდან, საქართველოს სამხედრო გზით, მტერი ფაქტობრივად არ შემოსულა და აქედან რაიმე ზიანი არ მიუყენებია პატრიოტებისათვის.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ყველაფერი გააკეთა ადგილზე არსებული შესაძლებლობებიდან, რათა მტერს

---

[61] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", I, 1990, გვ. 151.

[62] თინათინ ოჩიაური, დასახ. წერილი, გაზ. „ლიტ. საქართველო", 1991წ. 24 მაისი, გვ. 9.

სათანადოდ მომზადებული შეხვედროდნენ მეორე ბრძოლაშიც და კვლავ ეზეიმათ გამარჯვება, მაგრამ ამჯერად განგების მსჯავრი სხვაგვარი აღმოჩნდა.

* * *

ორწყლის ბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგ წითელი არმიის ნაწილები დაბა ფასანაურზე გავლით გუდამაყრის ხეობაში შევიდნენ და დაიკავეს პოზიციები სოფ. კიტოხიდან ზევით სოფლებში: საჩალის ჭალა, სიჯანაანი და თოთიაურები. იქვე, ორიოდე კილომეტრში იყო ხევსურთა სოფელი ბაკურხევი. ცხადია, ამ საკმაოდ დიდი სოფლის როლი მთელს ამ ოპერაციაში განსაკუთრებული იყო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას თუ, რომელი მებრძოლი მხარის ხელში იქნებოდა იგი წითელი არმიის ხევსურეთში შეჭრის წინ, როგორც ფორპოსტი. ამიტომ იყო, რომ არმიამ გუდამაყრის ხეობის ეს სოფლები და განსაკუთრებით ბაკურხევი სასწრაფოდ დაიკავა ხეობაში შესვლის დღესვე. რას გახდებოდა რამდენიმე ათეული მამაკაცი მთელი არმიის წინააღმდეგ. ხევსურთა საერთო ბრძოლაში ჩაბმისათვის მომზადება კი მათ ვერ მოასწრეს და არც სახალხო ლაშქრის ხელმძღვანელობას დარჩა დრო ამ პრობლემაზე ეზრუნა, თავიდან კი მტრის თავდასხმას აქედან არავინ მოელოდა. მოძალადისადმი შეურიგებელი, ცალკეული ბაკურხეველი ვაჟკაცები ბრძოლის დაწყების წინა დღეებშივე გავიდნენ სოფლიდან და შეუერთდნენ ფხიტუს მთაზე მოსულ თანამოძმეებს.

კომუნისტებმა სოფლის დაკავებისთანავე დაატყვევეს ყველა ბაკურხეველი, განსაკუთრებით მამაკაცები, შეყარეს ერთ, აბიკა ფიცხელაურის (ყუდათ აბიკა) სახლში (ქერხოში), გადაუკეტეს კარი და თოფიანი ყარაულები დაუყენეს დარაჯად. სახლიდან გასვლის უფლებას, გარდა სახლის პატრონისა, არავის აძლევდნენ. ისიც მეთაურების განკარგულებით, ბადრაგის ქვეშ, მათივე დავალებების შესასრულებლად თუ გავიდოდა სადმე.

არმიის სარდლობამ ფხიტუს მთაზე ხევსურებთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა ორი ბაკურხეველი ხევსური ბერდია (ვაჟიათ

ბერდია) და ბიძურა (მინდიათ ბიძურა) ფიცხელაურები. ხევსურებისადმი წაყენებული მოთხოვნები იგივე იყო, რაც ორწყლის ბრძოლის წინ: „ჩაგვაბარეთ ჩოლოყაშვილი და თქვენ არას გერჩით!"-ო. როგორც უფროსების ნათქვამს იგონებს დათო ბაძიას ძე ფიცხელაური, ხევსურების პასუხი მოკლე, ერეკლე მეფის ცნობილი ნათქვამის პერიფრაზირება იყო[63]: „ამაედით თამბაქოს მჭამლებსთან და აქ მიიღებთ პასუხს!"-ო. სხვათაშორის, ეს ის ბიძურაა, რომელმაც წინა წლებში, სომხების საქართველოში შემოჭრის გაგებისთანავე, აიღო თოფი და წავიდა მათთან საომრად (სხვა ხევსურები ადრევე იყვნენ ქართულ ლაშქარში წასულები). ბიძურა მეორე დღესვე დაბრუნდა შინ; „ფასანაურშივე ვნახე სომეხი, ვხკარი თოფი და დავბრუნდი. ჩემი წილი სომეხი ხომ მოვკალი, მეტი იქაც არ შამხვდებოდაო!"

წითელი არმიის ხელმძღვანელობამ რამდენიმე დღეში მოაწყო ბანაკი აღნიშნულ სოფლებსა და მათ მიდმოებში, მოახდინა ადგილმდებარეობის დაზვერვა და იწყო პოზიციათა მომზადება მთის კალთებით თხემისა და ულელტეხილის დასალაშქრად.

სოფ. ბაკურხევის დაკავებისთანავე კომუნისტებმა განახორციელეს ჩვეულებრივი რეკვიზიცია, რასაც შემდეგ იმეორებდნენ ყოველ დაკავებულ ხევსურულ სოფელშიც. სახლებიდან გაჰქონდათ ყველა სახის იარაღი, განძეული, სურსათი, მანუფაქტურული ნაწარმი (ხალიჩები, ფარდაგები, ძვირფასი ნაქარგი ტანისამოსი), მიჰქონდათ ყველ-ერბო, კლავდნენ საქონელს და ა. შ. მათ გადაჩხრიკეს მთელი ახლო-მახლო მიდამოები (თივის ზვინები, ძნის სერკვები, შეშის ყონდები), თვით ორმოებიც და ამოიღეს იქ გადამალული ძვირფასეულობა. ყოველი ხევსურის ოჯახში იყო საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები მოვერცხლილი იარაღი (ფარ-ხმალი, თოფ-დამბაჩა, ქამარ-ხანჯალი, მასრა-სანწიე), ცხენის აღკაზმულობა, სამკაულები (ქალის ყელსაკიდები, საყურ-ბეჭდები,

---

[63] ცნობილია, ერეკლე II-მ ერთ-ერთი შეჭირვების ჟამს ბრძანა – „მიხმეთ თამბაქოს მჭამლებიო!" (ხევსურები ძველად, პაპიროსისა და ჩიბუხის გაჩენამდე თამბაქოს (წეკოს) ღეჭავდნენ. ჩვენამდე მოაღწია ხახმატელი ყირას მიერ პალვას ულუფის შეთავაზებისას ნათქვამმა ფრთიანმა ფრაზამ: „დახკარგეთ აქით, წეკვაის გემოს დამიკარგავსო!"

მძივ-ძვალისლილა და ა. შ.). მაშინ წაიღეს შუათ ნადირას კუთვნილი ერეკლე მეფის მიერ ერთ-ერთი მცველისათვის ნაჩუქარი ისტორიული ხმალი. ომის დამთავრების შემდეგ მრავალი წლის მანძილზე ჩიოდნენ ბაკურხეველები ნაძარცვი ძვირფასეულობის დაბრუნებაზე, თუმცა უშედეგოდ.

გუდამაყრის ხეობის მოსახლეობას, იმდენად, რამდენდაც აქ უკვე ერთი წლის განმავლობაში მოქმედებდა საბჭოთა ხელისუფლება, ე. ი. გასაბჭოებული იყო, როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე, რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია რუსული არმიისათვის. ამასთან, ერთგვარი დაბნეულობაც შეინიშნებოდა. ისინი ხედავდნენ, რომ ხევსურთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებიც მონაწილეობდნენ (კომუნისტები, ჩეკასა და ქართული წითელი არმიის მებრძოლები, კურსანტები) და ყველა როდი ხვდებოდა (არა მარტო აქ), რა და რისთვის ხდებოდა ან თვითონ როგორი პოზიცია უნდა დაეკავებინათ. მაგრამ გუდამაყრელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მტრისთვის რაიმე ხელშეწყობა არ აღმოუჩინიათ. მათი საერთო სიმპათიები მეზობელი ხევსურების მხარეზე იყო.

ხევსურებთან მეზობლების დამოკიდებულებაში ისტორიულად ჩამოყალიბდა ერთგვარი ნეგატიური ტენდენცია, რომელიც გამოვლინდა ამ ომის დროსაც. ხევსურეთი საუკუნეთა მანძილზე, გეოპოლიტიკურ გარემოებათა გამო, ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, გარკვეულ შეუვალობას, რაც უშუალო მეზობლების – ფშავის, ხევის, გუდამაყრის შურსა და დაპირისპირებას იწვევდა. ცხადია, ამ ხალხის ღირსეული შვილები, ცალკეული გვარები (უძილაურები, ყამარაულები, ბექაურები და ა. შ.) მუდამ კეთილშობილურ დამოკიდებულებას და თბილ მეზობლურ ურთიერთობას ავლენდნენ ხევსურთა მიმართ, რადგან ამ უკანასკნელთათვის უცნობი იყო თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობით რაიმე ქედმაღლობა და თავდამეტება ვინმესთვის.

ფხიტუს ბრძოლის ჟამს ხევსურთა სოფლის, ბაკურხევის საბჭოთა ჯარის მიერ დაკავებისას გუდამაყრის სოფლებმა დაუბრკოლებლად გამოატარეს ის (ან კი სხვას რას იზამდნენ ძალთა ისეთი თანაფარდობისას), მაგრამ კიტოხელთა ღირსეულ-

მა შვილებმა (თორელათ გიგოლამ და სხვ.) მორალური მხარდაჭერა გაუწიეს ხევსურებს: აწვდიდნენ საჭირო ინფორმაციას, ეხმარებოდნენ სურსათით და სხვ. ასევე იყო ფშაური სოფლის, უძილაურთის თავკაცების თანაგრძნობა აკუშოს ბრძოლის დროს. მათი ზოგიერთი სახელოვანი შვილი შეუერთდა ხევსურთა ლაშქარს და ებრძოდა საერთო მტერს, მაგალითად, მიხეილ კედელაშვილი. იმ ცხარე დღეებში რუსმა ჯარისკაცებმა რამდენიმე გუდამაყრელი მოკლეს კიდეც.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ბრძოლის დაწყების წინ მოინახულა შეტაკებათა სავარაუდო ადგილები. მცოდნე მეგზურებთან ერთად ჩავიდა ყველაზე მნიშვნელოვან ქედზე, სალუმის გორზე. ოპერატიული თვალსაზრისით შეისწავლა იგი. დაათვალიერა აგრეთვე მასთან მიმდებარე გორები და ხეობები და გადაწყდა თავდაცვის მთავარი ხაზი მოეწყოთ საჩალის ჭალიდან და სიჯანაანთ სოფლებიდან ამომართული გორების (საახოე გორი, ლოგოურთ გორი, სალუმის გორი) სათავე შესაყართან, ქვიშიანას რომ ეძახიან, ფხიტუს ულელტეხილიდან სამხრეთის გაყოლებით საჩალის მალალისკენ, ძველი სალოცავის მიდამოებში.

სწორედ ამ ადგილზე, ნაეკლესიართან, დღესაც რომ დგას „ქვაკაცას" სახელით ცნობილი კოშკი, მწყემსების მიერ შემდეგ აგებული პატრიოტთა თავდაცვითი სიმაგრის ნანგრევებისაგან, ქვიშიანაში ქაქუცამ მოკლე სიტყვით მიმართა აქ მოგროვილ მოლაშქრეებს. მან ერთხელ კიდევ მოაგონა ხევსურთა ვაჟებს, თუ რისთვის მოდიოდნენ აქ ამ მთებში რუსები და მოუწოდა მთის ლალ შვილებს მომხდურისათვის დაეხვედრებინათ ის, რისი ღირსიც იყო.

ფხიტუს ბრძოლაზე დოკუმენტური მასალების ნაკლებობას ავსებს ამ ბრძოლის მონაწილეთა, მომსწრეთა და უფროსი ასაკის სხვა ადამიანთა გადმოცემები, ისეთი მართლის მთქმელი და სანდო პიროვნებათა მოგონებები, როგორებიც არიან ბერდიხა წიკლაური (ს. როშკა), აბიკა არაბული (ს. ჩირდილი), ივანე არაბული (ს. ბარისახო), მინდია არაბული (ს. დათვისი), ბაძია და კოლია ფიცხელაურები (სოფ. ბაკურხევი), ივანე და მოსე წიკლაურები (ს. სიჯანაანი) და სხვ.

ბერდიხა ვეშაგურის ძე ნიკლაური, დაბადებული 1895 წელს (ამჟამად ცხოვრობს დედოფლისწყაროს რ-ის ს. არხილოსკალოში), საბედნიეროდ, იმ იშვიათ ერთეულთა რიგებიდანაა, ვინც თავის ზურგზე გადაიტანა იმ ქარიშხლიანი ზაფხულის მთელი სიმძიმე. იგი ხევსურეთის 1922 წლის ომის გმირია და მისი მოკლე და თავშეკავებით ნათქვამი სიტყვები ისევე მართალია, როგორიც იყო მისი თოფის მიზანი სალღუმის გორზე.

„ორწყლის ბრძოლების ჩათავებიდან ერთი კვირის შემდეგ ფანდურათ ივანა (ივანა ჭინჭარაული ს. უკანოხოდან) მოვიდა როშკას და მაიტანა ამბავი: გუდამაყრით ფხიტუსკე შამაემართნესავ! – იგონებს პატივცემული ბერდიხა; – ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ხევსურთა სხვა მესვეურებს: დათვია ლიქოკელს, აპარეკა არაბულს, მგელიკა ჭინჭარაულს (ბეწუკელთ მგელიკა), მამუკა ჭინჭარაულს, ბაბუტა არაბულს და სხვებს ხევსურეთის ყველა თემ-სოფელში გაეგზავნათ სანდო კაცები ვითარების შესატყობინებლად და ხალხის სასწრაფოდ დასარაზმავად. ერთ-ორ დღეში მთელმა ხევსურეთმა მოიყარა თავი ფხიტუს მთაზე. მთასიქითელებიც (შატილის თემიდან) კი მოეიდნენ. მარტო როშკიდან 30-ზე მეტი კაცი ვიყავით, საერთოდ ორასზე მეტი კაცი იქნებოდა. ქაქუცამ შეგვკრიბა სალღუმის გორის თავზე, ქვიშიანაში, გაგვაცნო ბრძოლის გეგმა, გაგვინაწილა დავალებები და მტკიცედ მოითხოვა – ბრძოლაში მეთაურის სიტყვა (განკარგულება) განუხრელად უნდა სრულდებოდესო. აი, მაშინ თქვა სწორედ, რომ: „ქაქუცა დედასაც, რომ არ გაეჩინა, რუსები აქ მაინც მოვიდოდნენო!" და მართლაც, იმ მთა-წვერთ და კლდე-ღრეებში ქაქუცას საძებნელად ვინ ივლიდა.

ბრძოლის გეგმა ასეთი იყო – რადგან რუსებს საჩალის ჭალისა და ბაკურხევის სოფლებიდან მთაზე ამოსვლა უკვე დაწყებული ჰქონდათ, ყველაზე მოსახერხებელი იყო ამ სოფლებიდან ამომავალი გორების სათავეში, ე. წ. ქვიშიანაში მოწყობილიყო თავდაცვის ხაზი. მტერი ამ ადგილს ვერ ასცდებოდა. დაიწყეს ამ მიდამოების გამაგრება, ყორეების ამოყვანა ტყვიისაგან თავდასაცავად, ხეების, დიდი ქვების, ბუჩქების გამოყენება. გამოყოფილი იქნა ჯგუფები სადესანტო, მზვერავთა, საგზლის მომტანთა და

სხვა. გადაწყდა მცირე მასშტაბის ბრძოლები გაემართათ დაბლა ფერდობებზე და ხეობებშიც, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა ადგილმდებარეობა.

ამ სამზადისს მოანდომეს 2-3 დღე. რუსების ნაწილებმა კი დაიწყეს მთის ფერდობებზე ნელი მასირებული ამოსვლა, ძირითადად ღამით. რადგან მათ თავიანთ საბრძოლო არსენალში ბლომად ჰქონდათ ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები, მათი საშუალებით ხევსურთა კონტრშეტევები, ისიც ღამით, თითქმის გამორიცხული იყო. მათი მთავარი საბრძოლო მეთოდი ხომ სნაიპერული, მიზანში ამოღებით სროლა იყო. რუსებმა თავიანთი საველე არტილერიის (ბატარეის) გასამართავად ამოირჩიეს მეტად მოსახერხებელი ადგილი, ბაკურხევიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ბორცვი – „ჯვართ ტყე". აქედან მთათა ფერდობები და თვით ფხიტუს მიდამოები კარგად ჩანდა და შეიძლებოდა პირდაპირი დამიზნებით სროლა. ქაქუცას ოპერატიული ჩანაფიქრი იყო: გადამწყვეტი ბრძოლა გაემართათ ზედ მთის თხემზე, ქვიშიანის გამაგრებული ხაზის უკან (თავზე). ასე აიცდენდნენ ზარბაზნის პირდაპირი დამიზნებით ნასროლ ფინდიხს. ამ ტაქტიკურ მანევრს ჰქონდა ერთი სუსტი ადგილი: მტრის ძალების სიჭარბისას დამცველთა პოზიციაზე დამაგრება, ისიც ფაქტობრივად შიშველ ადგილზე, გაჭირდებოდა. მთიელები ხომ არ იყვნენ ხელჩართულ ბრძოლას ნაჩვევნი და შეჩვეულნი. არც იარაღი უწყობდათ ხელს საამისოდ. ჩოლოყაშვილმა მიიღო თავგანწირული სარისკო გადაწყვეტილება – თავისი რაზმით ჩასდგომოდა წინ ხევსურთა რიგებს და მამაცობის პირადი მაგალითით გაეფოლადებინა მათი გულები. თავისი ფანატიკურად ერთგული რაზმელები უყოყმანოდ გაჰყვებოდნენ მის ამ სარისკო ნაბიჯს. ვინ იცის, იქნებ იმ წუთებში ამჯობინებდა კიდეც ბედისგან დევნილი რაინდი სამშობლო მთების ამ სპეტაკ კალთაში გმირული და ლამაზი სიკვდილით დაესრულებინა თავისი სიცოცხლე, ვიდრე თანამოძმეთაგან მორიგი ღალატის წყალობით საბოლოოდ შეურიგდებოდა ბედკრული საქართველოს კვლავ დაწყებულ მონობას. მას არაერთხელ გადაუდგამს ასეთი თავგანწირული ნაბიჯი.

„... ჩვენ, შვიდი კაცი – განაგრძობს თავის მოგონებას ბერ-

დიხა ნიკლაური – მე, მიხა გოგონაურელი (მიხეილ კედელაშვილი – გუდამაყრელი), ბაბკათ მგელიკა (მგელიკა ჯინჭარაული ს. ბარისახოდან), აფშინათ დავითი (დავით გოგოჭური ს. ბუჩუკურთადან), გარსიათ ნადირა (ნადირა ნიკლაური ს. როშკიდან), ხთისოთ თოთია (თოთია ბურდული ს. ქმოსტიდან), ყუდათ სამუკა (სამუკა არაბული ს. ოხერხევიდან) ღამე წავედით სოფ. სიჯანაანებში. გუდამაყარში ჩასვლის მთავარი მიზანი იყო მოწინაალმდეგის განლაგების, საერთოდ ვითარების დაზვერვა. მ. კედელაშვილმა კარგად იცოდა აქაური ბილიკები და ყოველი ადგილი. უნდოდათ აგრეთვე საგზლის შევსებაც. ს. სიჯანაანებში მივიდნენ თორელათ გიგოლასთან, გაიგეს გასაგები, საგზალიც მისცა გიგოლამ და გამობრუნდნენ იმავე ღამეს. უკან გზაზე ისინი გადაანყდნენ რუსების საფარში განლაგებულ ნაწილს. ატყდა ორმხრივი სროლა. რუსებმა ისროლეს შუშხუნა – გაანათეს გარემო და მედესანტეებს დაუშინეს თოფით, ტყვიამფრქვევით და თვით ზარბაზნითაც. გარემოს განათებისას მათაც კარგად დაინახეს მტრის ბანაკი, თეთრი კარვები ოსაისხევზე და დაუშინეს საპასუხო ცეცხლი. ესროდნენ ახლო მყოფ ჯარისკაცთა ჯგუფებსაც, სადაც ბევრი ეცემოდა. „... ჩვენ შავუთქვით სამეშველო და ისე გამოვახწიეთ. ბრძოლისას დავიფანტეთ. მე და მიხა კედელაშვილი ვიყავით ერთად. იგი ხელში დაიჭრა და მე მომყავდა. გზაზე შეგვხვდნენ გუდამაყრელები და იმათ ჩავაბარე. იგი მალე გამორჩა და მერეც ბევრჯერ მხვდებოდა".

ამ შეტაკების დროს დაიჭრა აგრეთვე სამუკა არაბული, რომელიც ღამე ამხანაგებისაგან განცალკევებით დარჩენილა და მძიმე ჭრილობის გამო ვერ შეძლო რა გზის გაგრძელება, რუსებმა მას ჯერ ხიშტებით მოუღეს ბოლო, შემდეგ თავიც მოაჭრეს. ისინი ასეთ სისასტიკეს იჩენდნენ ყოველი პატრიოტის მიმართ.

მომდევნო დღეებში მტერი თანდათან უახლოვდებოდა მთის წვერს და დიდი მსხვერპლის ფასად იკავებდა ახალ-ახალ პოზიციებს. როგორც ალ. სულხანიშვილი იგონებს აპარეკა არაბულის ნათქვამს, ხევსურებს დიდძალი მტერი დასცემია თავს, მათგან ბევრიც ჩაუხოციათ ხეობებში, მაგრამ იმდენი ძალისათვის ველარ გაუძლიათ, რადგან ბარმა უღალატა და ზურგიდან აღარ დაარტყეს მტერს და უკან დაუხევიათ. „... ისინი ქაქუცას რაზ-

მის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, მაგრამ იმან ღამით ალყა გაარღვია და მშვიდობიანად გავიდა"[64].

ფხიტუს მთაზე ბრძოლა დაახლოებით ერთ კვირას გრძელდებოდა. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი იყო უკანასკნელი დღე, როცა რუსებმა წინა, მთვარიან ღამეს ტყიანი ფერდობებით მიაღწიეს ქვიშიანას გამაგრებულ ხაზამდე. აქ მტრის უდიდესი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ყოველი ქვა და მას ამოფარებული მებრძოლი ცალკე ციხესიმაგრეს წარმოადგენდა და მტერი ვერც გადააბიჯებდა მას, რომ არა ერთი გარემოება, რომელმაც ეჭვს ქვეშ დააყენა თვით ქ. ჩოლოყაშვილის მიერ ჩაფიქრებული ბოლო მანევრის მიზანშეწონილობა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ოპერაციის ტაქტიკურ სქემაში ერთი შეცდომა იყო დაშვებული ან შეიძლება თავდამცველთა მცირერიცხოვნობამ ითამაშა საბედისწერო როლი. საქმე ის იყო, რომ ბრძოლის ბოლო დღეს მტრის ერთი შენაერთი გამოჩნდა ფხიტუს უღელტეხილის მარჯვენა მაღალ ქედზე, ნარიანაში, მთა ოსაურას მხარეს. მათ მაღლობიდან პირდაპირ დაუშინეს ტყვიამფრქვევი და თვით ზარბაზანიც თავდამცველებს. შეცდომა სწორედ ამ შესაძლო მანევრის გაუთვალისწინებლობა და ნარიანას დაუცავად დატოვება იყო.

რუსების სარდლობამ გაითვალისწინა რა თავდამცველთა შეუპოვრობა და პირდაპირი იერიშით გადასასვლელის დაუფლების სიძნელეები, განახორციელა შემოვლითი მანევრი. მან ერთი შენაერთი ადრევე გაგზავნა ფრონტის მარცხენა მიმართულებით ბაკურხევიდან (ბურსაჭირის მხარეს). ეს ნაწილი ქიდაქის ყელით ავიდა ნარიანაში და თავზე წამოადგა შიშველ მთაზე მდგომ პატრიოტთა პოზიციებს. უტევდნენ ოსაურას[65] მხრიდანაც.

ნარიანაში მტრის მოულოდნელმა გამოჩენამ, იქიდან ტყვიამფრქვევისა და განსაკუთრებით ზარბაზნის ცეცხლმა გადამწყვეტი

---

[64] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", № 2, 1990, გვ. 145-146.

[65] ოსაურა, გუდამაყრის ქედის ერთი მონაკვეთი, საიდანაც XVIII ს-ში თრუსოს ხეობიდან მოსულმა ოსთა ლაშქარმა სცადა შიდა ხევსურეთში შეჭრა, მაგრამ ფეხიც ვერავინ შედგა იქ. თუმცა უკანაც ალარავინ გაბრუნებულა. ამის შემდეგ ეწოდა ამ ადგილს ეს სახელი.

ზეგავლენა მოახდინა თავდამცველთა მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობაზე. მათ ერთბაშად დაინახეს თავიანთი მდგომარეობის უიმედობა. ხევსურებზე განსაკუთრებით დამთრგუნავ ზეგავლენას ახდენდა ზარბაზნის არა მარტო ცეცხლი, ყუმბარის სიდიდე, აფეთქების შედეგები და ხმა, არამედ მარტო სახელიც „ზარბაზანი". ეს ხომ მათთვის უნახავი, გაუგონარი და გამოუცდელი მოვლენა იყო. მას სათანადო ფსიქოლოგიური შეგუება სჭირდებოდა. ამისთვის კი დრო იყო საჭირო.

კიდევ უფრო დიდი იყო თვითმფრინავის გამოჩენა და მის მიერ ჩამოყრილი ბომბების პანიკური ზეგავლენა, რაც მტერმა პირველად სწორედ ფხიტუს ბრძოლაში გამოიყენა.

„დგას ზარბაზნის ქუხილი და
პულიმეტის კაკანიო,
მაღლით მადის ჰეროპლანი,
ახლა მაგის ღალანიო".

იტყვის თათარ ლიქოკელის ლექსი შემდეგ ამის თაობაზე.

გარდა ემოციური დატვირთვისა, ზარბაზანს სხვა რიგის პირდაპირი, რეალური შედეგებიც მოსდევდა. ფხიტუს მთიდან, სადაც უკვე იგი იყო ატანილი, მისი ყუმბარა შეიძლებოდა მისწვდომოდა პირაქეთი ხევსურეთის თითქმის ყველა სოფელს, ყოველ შემთხვევაში, ხევსურთა წარმოდგენა ასეთი იყო მაშინ და რამდენიმე ჭურვით ნაცარტუტად ქცეულიყო ისინი. პირველივე გასროლებმა, მიაღწიეს რა სოფლების მიდამოებს, პანიკა და განგაში შეიტანეს მოსახლეობაში. აქედან მოყოლებული მრავალი ათეული წლის მანძილზე ყველა სოფლის მცხოვრებლებმა, განსაკუთრებით მოზარდებმა სულ ზეპირად იცოდნენ სად რამდენი ჭურვი დაეცა და რა შედეგი მოჰყვა მას (ამ სტრიქონების ავტორის სახლში ბოლო დრომდე თავისებურ რელიკვიად ინახებოდა ადამიანის მუშტის ტოლა ნატეხი ჯინჭველაურში[66] აფეთქებული ჭურვისა, თუმცა პრაქტიკული ჭკუის ადამიანებმა სრულიად სხვა, მშვიდობიანი დანიშნულება მიუჩინეს მას. იგი სამ გირ-

[66] ჯინჭველაური – ლიქოყის მთის ერთი უბანი, კეოსა და კარწაულთას სოფლებს შორის.

ვანქიან საწონად იხმარებოდა და მთელ სოფელში დიდი მოთხოვნილება იყო მასზე).

ნარიანადან ცეცხლის გახსნა დაემთხვა ქვიშიანას მისადგომებზე წითელი ჯარის პირველი რიგების გამოჩენას. ხევსურებმა იწყეს უწესრიგოდ უკანდახევა, გაფანტვა და თვით გაქცევაც. ველარ გასჭრა პატივცემული ბელადის ავტორიტეტმაც. ზედმეტი გახდა ფიქრიც კი რაიმე ორგანიზებულ წინააღმდეგობაზე და უკან დახევაზე, რასაც შეიძლებოდა მტრის რიგებში დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰყოლოდა და არა მარტო მტრის, თორემ ბრძოლის საბოლოო შედეგზე რაიმე გარდამტეხ გავლენას იგი ველარ მოახდენდა. ამდენად, ამ შემთხვევაში სახალხო მოლაშქრეთა გაკიცხვა და გამტყუნება გამართლებულად არ მიგვაჩნია.

ფრონტი დაიშალა, მებრძოლები უკან გამობრუნდნენ და აქაურობას გაეცალნენ. მხოლოდ ცალკეული მამაცები აგრძელებდნენ „ჯოყოლას ბრძოლას". დათვია ლიქოკელმა წამოაყენა წინადადება – ჩავუსხდეთ საყუჩეში და ჟუჟა გავავლოთო. მან და რამდენიმე სხვა ვაჟკაცმა სწორედ ასე გააგრძელეს მტერთან ბრძოლა ფინალში. როგორც ბერდიხა ნიკლაური და სხვებიც იგონებენ ამ მომენტში დაიღუპა ძაღლიკა ბურდული (კაგათ ძაღლიკა) ს. ქმოსტიდან. მას, დეკიანებში ჩასაფრებულს, თოფის სროლით გართულს ზურგიდან მიეპარნენ რუსები და იქვე დაცხრილეს ტყვიებით.

დამთავრდა ფხიტუს ბრძოლა. დამთავრდა ტრაგიკულად – მარცხით. მართალია, ხევსურთა მხრიდან ცოცხალი ძალის ზარალი დიდი არ ყოფილა, დაიღუპა მხოლოდ 2 კაცი: სამუკა ყუდას ძე არაბული და ძაღლიკა კაგას ძე ბურდული, მაგრამ შედეგები ფრიად სამძიმო და სავალალო იყო.

* * *

ფხიტუს მთიდან ხევსური მოლაშქრეები ძირითადად თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ. მათი ტაქტიკა ახლა თვითგადარჩენა და წინააღმდეგობის შენიღბული ფორმებით გაგრძელება იყო. ასეთი იყო ქ. ჩოლოყაშვილის ტაქტიკაც. მათი პოზიცია განისაზღვრებოდა თვით რუსების შემდგომი მოქმედებით. თუ ისინი

ხევსურეთის რბევა-ანიოკებას, ჩვეული მეთოდებით მონობის უღლის დადებას, თავიანთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ორგანოების თავს მოხვევას დაუწყებდნენ, როგორც ეს გააკეთეს სხვაგან, მაშინ ხევსურეთი ყოველი შესაძლებელი ფორმით გააგრძელებდა მტრის განადგურებას, სანამ ერთი ხევსური კიდევ იქნებოდა ცოცხალი. თუ რუსები შეწყვეტდნენ ხალხის დევნას და წავიდოდნენ აქედან, მით უმეტეს, როცა ქ. ჩოლოყაშვილიც აქ აღარ იქნებოდა, მაშინ ხევსურნიც შეწყვეტდნენ ბრძოლას და გააგრძელებდნენ ჩვეულ თვითრეგულირებად მშვიდობიან ცხოვრებას.

რუსების პირველი „საქმე" ხევსურეთში შემოსვლის დღესვე იყო ფხიტუს კალთეზზე მდებარე სოფლის, ბუჩუკურთის გადაწვა. ამ სოფლის, ისევე, როგორც ყველა ახლო-მახლო სოფლისა და საერთოდ შიდა ხევსურეთის მოსახლეობამ დედაწულიანად მიატოვა თავისი საცხოვრისი და გაიხიზნა მიუდგომელ ადგილებში, ღრმა ხევებში, ტყეში ან შორეული მთების უბეებში. ზოგი პირიქით ხევსურეთისკენ (შატილის მხარეს) გაემართა; თან მიჰყავდათ საქონელი და მიჰქონდათ ქონებაც შესაძლებლობის ფარგლებში.

სოფელი ბუჩუკურთა პირწმინდად გადაწვეს რუსმა ბოლშევიკებმა და ჩეკისტებმა. მათ არ დაინდეს ცოცხალი, ავადმყოფი და დავრდომილი თარხანათ გაგა (გაგა გოგოჭური) და ცოცხლად დაწვეს სახლთან ერთად. არც ერთ კომუნიზმის მომავალ მშენებელს არ გაუწია გულმა მათ მიერ დანთებული კოცონიდან გამოეყვანა უმწეო ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ხედავდნენ და უსმენდნენ კიდევაც მას. არ გამოიყვანეს იმიტომ, რომ მასში დაინახეს ერთ-ერთი ყველაზე საშიში მტერი. საქმე ისაა, რომ თარხანათ გაგა იყო ღვთიური ნათელხილვით შეპყრობილი ადამიანი (ხევსურულად „ჯვართდაჭერილი" – მკითხავი), თანამედროვე გაგებით – საქვეყნოდ აღიარებული ექსტრასენსი. მომავლის განჭვრეტის მის ღვთიურ ნიჭში ეჭვი არავის ეპარებოდა. ის კი საჯაროდ ქადაგებდა კარგა ხნით ადრევე „ჩრდილოეთიდან წამადგებიან პირმწითურნი უშქარნი კაცნი, დაჰგმობენ ღმერთს, ეშმაკს მიჰყიდიან სულს და გადმოჰქელავენ ქვეყანას კაცთა მოდგმის და სიმართლის ამოსაძირკვავადო. თვითონ მე ცეცხლში ვიწვები... ვიწვებიო"... ამ სიტყვებით დაამთავრა მან

კომუნისტურ კოცონში თავისი ფიზიკური არსებობა და აზრები, რომლებიც ბოლშევიკების აქ მოსვლამდე ბევრად უფრო ადრე ჩაესახა და სულიერი სიმშვიდე დაუკარგა[67].

ამ სოფლის გადაწვისას, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკებს ამოქმედებდათ ორი უმთავრესი მიზანი: ჯერ ერთი, მათი მთავარი მეთოდი – უსასტიკესი ზომებით დაეთრგუნათ და დაეშინებინათ ადამიანთა გონება და ნებისყოფა, კაენის იარაღით ამოეშანთათ თავისუფლების იდეა ადამიანთა გონებიდან და უსიტყვო, მშიშარა მონებად ექციათ ისინი, რათა თავიანთი რეჟიმისადმი შემდგომი წინააღმდეგობის ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპოთ. ამ თვალსაზრისით, ისინი აუცილებლად გადაწვავდნენ ნებისმიერ სოფელს, რომელიც პირველი შეხვდებოდათ თავიანთ სისხლიან გზაზე.

ამის გარდა, იყო ბიოლოგიური ჟინის, პირველყოფილი ადამიანის შურისძიების ცხოველური წყურვილიც. სამაგიეროს მიზღვის შეუზღუდავი შესაძლებლობით ტკბობა. ბუჩუკურთა იყო ვაჟიათ მამუკას (მეფისდროინდელი ცნობილი ყაჩაღი მამუკა გოგოჭური), მეხარიათ აძიას (ჩვენ მიერ მოხსენიებული ლევან გოგოჭური) და სხვა შეუდრეკელი ვაჟკაცების მშობელი სოფელი, რომლებიც ამ საუკუნის გარიჟრაჟამდეც ებრძოდნენ დაუნდობლად საქართველოში რუსთა ბატონობას. არანაკლები სიმტკიცით იბრძოდნენ ამ ომშიც აქაური ვაჟკაცები: მამა-შვილი აფშინა და დავითი, იმედა მამუკას ძე, თორელი ჯინჭარას ძე და სხვა გოგოჭურები. დღემდე შემორჩა ხევსურების ხსოვნას შაბურათ აფშინაის მაშინდელი ჰეროიკულ-იუმორისტული დაქადნება – „რა გაგიხდათ ე რუსები, ავივლი-დ მარტუა გადავლალავ ამა მთაზეით!“ – აი, ამიტომ მისცეს ცეცხლს ასე უწყალოდ კომუნისტებმა საუკუნეთა მანძილზე ცოდვა-ჭირით ნაშენები სოფელი ბუჩუკურთა და არა მარტო ის. ამავე დღეებში იგივე ბედი ეწიათ მეზობელ სოფლებს უკანახოს, ლიფოდას და სხვებს.

და მართლაც, დაცარიელებული სოფლების ასეთი ხელაღებით გადაწვამ ურთულესი დილემის წინაშე დააყენა ხევსურები.

---

[67] დ. გოგოჭური, ი. ლიქოკელი, ხევსურეთის აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1, 1991, გ. 65.

გადაედოთ თავი, გაეწირათ ცოლ-შვილი და დაეყენებინათ საერთოდ ხევსურეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ე. ი. დაეწყოთ აქ შემოსული მტრის ტოტალური ხოცვა-ჟლეტა ყველა გარემოში და ყველა საშუალებით, მათ შორის ინდივიდუალური წესით საფარიდან, მანამდე, ვიდრე ერთი ხევსური მაინც იქნებოდა ცოცხალი, თუ შეგუებოდნენ მტრის გაუგონარ სისასტიკეს, გამოეჩინათ იძულებით მოთმინების უნარი, დიპლომატიური მოქნილობითა და ხერხიანობის წყალობით შეეჩერებინათ მტრის მხეცობა. ჭირ-ვარამში გამობრძმედილი თავკაცების მგელიკა ლიქოკელის, გოგოთურ ჯინჭარაულის, ჯინჭარა გოგოჭურის, მამუკა არაბულის, ვეშაგურ წიკლაურის წინადადებით მეორე გზა იქნა არჩეული. ამავე რჩევას იძლეოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. პოეტი გიორგი ხვთისოს ძე გიგაური იგონებს: რამდენჯერ გამიგონია მამაჩემის ნათქვამი „სოფლების გადაწვა-განადგურება რომ არ დაეწყოთ, ჩვენ თოფს არ დავსდებდითო“. არ შეიძლებოდა ხევსურეთის მთლიანად იავარქმნის შესაძლებლობის დაშვება. უნდა გადადგმულიყო თვითგადარჩენის ნაბიჯები. და გადაიდგა კიდეც. ზოგიერთმა, მაგალითად, ბუჩუკურთის უახლოესმა მეზობელმა სოფელმა ჩირდილმა თეთრი ალამი აღმართა და თავი ასე გადაირჩინა. საჭირო იყო მოვლენათა შემდგომი განვითარებისთვის დაცდა. ომი ჯერ არ დამთავრებულიყო. შავი ღრუბლები ახლა ხევსურეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის – უკანაფშავის მხრიდან მოიწევდა და ლიქოკის თემის საზღვრებს უახლოვდებოდა.

## შეფიცულთა წასვლა ხევსურეთიდან

აგვისტოს მინურულს ხევსურეთის ურთულეს პრობლემათაგან ერთ-ერთი ძირითადი იყო „ჩოლოყაშვილის პრობლემა“, მისი რაზმის შემდგომი მოქმედებისა და ბედის საკითხი. ფხიტუს ბრძოლამ, მისმა ფინალმა არსებითად შეცვალა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის ფუნქცია და მომავალი ბედი. ამ რაზმის ხევსურეთში ასვლის უმთავრესი ამოცანა – ხევსურეთის აჯანყება და აქედან საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის ძლევამოსილად წარმართვა – უკვე მოხსნილი იყო. ხევსურეთმა დაიწყო ბრძოლა და დიდი წარმატებითაც, მაგრამ, მაშინ ამ წარმატებას საქართველოსათვის და ხევსურეთისათვისაც რაიმე დადებითი შედეგი არ მოუტანია. ღმერთის მიერ ნაბოძვარი საჩუქარი წყლისთვის იქნა გატანებული, სოციალ-დემოკრატიამ მხარი არ დაუჭირა ხევსურეთს. სწორედ ამიტომ ხევსურეთის გამოსვლამ მიიღო სეპარატიზმის სახე და საბაბი მისცა მტერს და არა მარტო მას, იგი „ჩოლოყაშვილის ავანტიურად“ მოენათლა და ამ საფუძველზე გაეჩაღებინა დემაგოგიური ბოლშევიკური იდეოლოგიური კამპანია საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ფხიტუს ბრძოლის შედეგით რუსებს გაუჩნდათ პერსპექტივა ჩაეჩუმებინათ არა მარტო ხევსურეთი, ბოლო მოეღოთ შეფიცულთა რაზმისათვის და ლახვარი ჩაეცათ საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. ფხიტუს შემდეგ რუსების მთავარ ოპერატიულ ამოცანად იქცა ქ. ჩოლოყაშვილის ხელში ჩაგდება. ამ მიზნით ისინი ადგილობრივ ბრძოლებთან ერთად ხევსურეთის ირგვლივ რკალსაც კრავდნენ. დაიწყო ერთადერთი თავისუფალი სამხრეთ-აღმოსავლეთის გასასვლელის – უკანა ფშავის ტერიტორიების ბლოკირება. თიანეთის რაიონიდან, მდ. იორის სათავეებით აქეთკენ მოემართებოდა წითელი არმიის (თბილისის

სამხედრო სკოლის კურსანტთა) კიდევ ერთი ძლიერი შენაერთი. მისი მიზანი იყო ქ. ჩოლოყაშვილისათვის გადაეჭრა უკანა ფშავის მთებით კახეთისაკენ გასასვლელი გზა.

ფხიტუს ბრძოლაშივე, როცა უკვე გამოჩნდა ფინალის კონტურები, ქ. ჩოლოყაშვილმა რაზმის მომავალი მოქმედების გეგმა ჩამოაყალიბა. მან გაუზიარა ხევსურთა თავკაცებს თავისი ჩანაფიქრი, რომ აზრი არ ჰქონდა წამგებიანი ბრძოლის შემდგომ გაგრძელებას და არც ის დაუმალავს, რომ ხევსურეთისათვის დამატებითი ზიანის აცილების მიზნით გადაწყვიტა, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად თავისი რაზმით გასულიყო ხევსურეთის რკალიდან.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაშიც ხევსურთა პოზიცია ერთსახოვანი იყო და ყველანი მადლობით ულოცავდნენ მას გზას. ყოფილა სიტყვიერი შეკამათების შემთხვევებიც, ამაზეც არის მოგონებები ხევსურეთში, მაგ., სოფლებში დათვისში, კარწაულთაში და სხვ. მაგრამ საქმე ურთიერთდამდურებამდე და განხეთქილებამდე არ მისულა. საბედნიეროდ, პატარ-პატარა ჩრდილებს არ დაუფარავს იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შობილი ძმობის კაშკაშა ნათელი, რომელიც დღესაც ასე ძალუმად აშუქებს ხევსურთა ხსოვნას. ქ. ჩოლოყაშვილი თუ ემდუროდა ხევსურებს თვითნებობისა და განკარგულებათა შეუსრულებლობის ცალკეულ შემთხვევებზე, ხევსურთა სამდურავის ერთად ერთი საგანი იყო ის, რომ დაპირებისამებრ ვერ მიიღეს ბარისაგან დახმარება და სათანადოდ არ იქნა გამოყენებული საერთო საქმისათვის ესოდენ გამოსადეგი პირველი გამარჯვება. ერთი ცხადი იყო, ხევსურები არ მოითხოვდნენ შეფიცულთა რაზმის შემდგომ აქ დარჩენას და თავგანწირვას. უმიზნო მსხვერპლი მათ არ სჭირდებოდათ. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ საქართველოს სხვა ძალების ჩაუბმელობა განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქ. ჩოლოყაშვილის ბრალი არ იყო, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, მისადმი ღალატი იყო და ამისათვის უნდა მოჰკითხოდა ეროვნული მოძრაობის ცენტრალურ ორგანოებს. თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ხომ ღალატს უწოდებს ამ ფაქტს ალ. სულხანიშვილისათვის შატილში გაგზავნილ წერილში: „... აქ

ყველაფერი ნახდა: ალბათ ღალატსა აქვს ადგილი; ამიტომ ჩვენ კახეთისაკენ მივდივართ აქედან..."[68]. სამაგიეროდ ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ შეფიცულთა რაზმის წევრები ხევსურეთში ყოფნის მთელ პერიოდში სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ ადგილობრივთა მხარდამხარ და ქების ღირსნი იყვნენ. ამის დასტურია დღემდე ცოცხალი, მრავალი ხევსურული აპოლოგეტური ლექსი.

გადაწყდა: ქაქუცა თავისი რაზმით დროზე უნდა გასცლოდა ხევსურეთს. ფხიტუზე ბრძოლის უკანასკნელი დღეები მიმდინარეობდა, თავდამცველები არაორგანიზებულად ტოვებდნენ ფრონტს და თავიანთ სოფლებში მიეშურებოდნენ. დროზე უნდა გაეხიზნათ დიაც-ყმაწვილი და მოხუცები. ბრძოლის ველზე რაიმე სასიკეთოს გაკეთება აღარ შეიძლებოდა და ქაქუცამაც თავისი რაზმით შიდა ხევსურეთისკენ გასწია. სოფ. გუდანში ერთხელ კიდევ შეხვდა ხატში ხევსურთა თავკაცებს (ამ დროს ტარდებოდა დღეობა „მარიამობა"). საბოლოოდ ითათბირეს და გადაწყდა თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელება.

შეფიცულთა რაზმის ხევსურეთიდან გამოსვლის თაობაზე რაიმე დოკუმენტური მასალები არ მოგვეპოვება. ალ. სულხანიშვილი ამ დროს შატილში და ქისტეთში იყო სპეციალური დავალებით გაგზავნილი. რაზმმა მის დაბრუნებასაც ვერ დაუცადა ხევსურეთში, ისე სასწრაფოდ მოუხდათ უკან გაბრუნება. ამიტომ მის მოგონებებში ამაზე არაფერია ნათქვამი. რამდენიმე სხვა მოგონებაში ზოგადად არის აღნიშნული, რომ რაზმმა ალყა გაარღვია და გავიდა, წავიდა კახეთის მიმართულებით[69]. ზოგიერთი ვერსიით ქაქუცა ხევსურეთიდან ჩრდილო კავკასიაში (ქისტეთში) გადავიდა და იქედან მდ. ალაზნის სათავეებით დაბრუნდა კახეთში, „... 1922 წლის ზაფხულში მოაწყო ხევსურეთის ამბოხება, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა... ქაქუცა იძულებული შეიქნა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყო, მაგრამ შემოდგომაზე კვლავ უკან

---

[68] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ. ჟურნ., „ცისკარი", № 2, 1990, გვ. 145.

[69] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

დაბრუნდა"[70]. ეს მონაცემები ვარაუდებზეა აგებული, უფრო სანდო გვეჩვენება იმ ხევსურთა მონათხრობი, რომელთა მშობლებმა ან სხვა ახლობლებმა ხევსურეთიდან გააცილეს იგი და მრავალჯერ უამბნიათ ამის შესახებ.

სოფ. გუდანიდან ქაქუცამ თავისი რაზმის ძირითადი შემადგენლობა ხახმატისა და ლიქოკის მთის გაყოლებით „სათუშეთო გზით" გააგზავნა კახეთისაკენ. ეს გზა კარგად იცოდნენ ხევსურებმა, მაგალითად, ლიქოკლებმა, რომლებიც ყოველ წელს ათენგენობის სახატო (კარატის ჯვრის) დღეობაზე დადიოდნენ მთათუშეთში „ჯვარიონთა" (ხატის მსახური პერსონალი, სახატო ატრიბუტებით) სახით. ეს გზა ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის მთების გავლით ჩადიოდა თუშეთის ძირითად სოფლებში: ომალოში, დიკლოში, ჩიღოში და ა. შ., სადაც კარატის ჯვრის ნიშები (ფილიალები) არსებობდა და ყოველ წელს მისი დღეობები იმართებოდა. ამავე გზით შეიძლებოდა ფშავის მთებიდან მდ. იორის სათავე ადგილებში დაშვება და აქედან შემდეგ მდ. ალაზნის ხეობაში გადასვლა. რა თქმა უნდა, შეფიცულთა რაზმის ბევრმა ბარელმა ხევსურმაც იცოდა ეს გზები და არ გაუჭირდებოდათ სამშვიდობოს გაღწევა. ცხადია ერთი რამ: რაზმმა გაიარა ფშავის მთებით. როგორც ნადირა ლიქოკელმა გადმოგვცა, მისი მამიდის ქმარს ბაბუტა არაბულს, რომელიც მთის ხევსურთაგან ერთ-ერთი ყველაზე ახლომდგომი პირი იყო ქაქუცასი, არაერთხელ უთქვამს: „ნასვლის წინა დღეს, როცა ვკითხეთ ქაქუცას შენი სხვა ამხანაგები რაღა იქნენო? მან გვითხრა – ისინი ახლა შორს არიან, მათურის თავი გადაიარესო" (ს. მათურა უკანაფშავის სათავე სოფელია). ქაქუცასთან, ეტყობა დარჩა მხოლოდ რამდენიმე რაზმელი. რატომ გაიყო რაზმი და სხვადასხვა გზით გადაწყვიტა აქედან გასვლა?

რაზმის დარაზმულობასა და მტკიცე ერთსულოვნებაში რაზმელთა, მეთაურისა და ურთიერთისადმი ერთგულებასა და სიყვარულში ოდნავი დაეჭვებაც კი დიდ ცოდვად მიგვაჩნია. როგორც

---

[70] ზურამ შარაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კრებ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თბ. 1989, გვ. 13.

ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვქონდეს ტაქტიკური ხასიათის მოსაზრებასთან. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ხევსურეთისათვის რაიმე საშველის ძიება, მცდელობა უკანასკნელ წუთამდე მათ გვერდში ყოფნის, მათი ჭირვარამის გაზიარების და მორალური მხარდაჭერისა. ისეთი რაინდული ბუნების კაცისათვის, როგორიც ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი გახლდათ, ადვილი არ იქნებოდა ბრძოლის ველიდან წასვლა, დუხჭირი ცხოვრებით გასრესილ ადამიანებს ასეთი გასაჭირი, ასეთი გველეშაპი მოდგომოდათ კარს. მით უმეტეს, რომ ერთგვარ საკუთარ როლსა თუ ბრალსაც ხედავდა ამ საქმეში. მას უნდოდა კიდევ რამდენიმე ხანს დარჩენილიყო აქ, მეტი დაენახა, დაჰკვირვებოდა, გაეგო, სასარგებლო რჩევა მიეცა, აუცილებლობის შემთხვევაში, ჩარეულიყო კიდეც. გვგონია, თავგანწირვის დაშვებასაც კვლავ ულოლიავებდა მისი ვაჟკაცური თავმოყვარეობა. მან ამ ბრძოლებში ვერ ამოწურა მებრძოლი სულის ყველა რესურსი, კიდევ ენადა რაღაცის დამატებით გაღება. ამას შთააგონებდა ამ უშუალო ბუნების დევგმირთა სულიერი მხნეობა და ოპტიმისტური განწყობილება გარდუვალი კატასტროფის წინაშე, მაგრამ ვაი, რომ საშველი არ ჩანდა.

მეორე მხრივ, თავგანწირვა შეიძლება მოსთხოვო მხოლოდ საკუთარ თავს, სხვათა მიმართ კი ამის უფლება არა გაქვს, თუნდაც ქაქუცასთანა ბელადი იყო. ამას ყველაზე უკეთ თვითონ გრძნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ამიტომ რაზმი დროზე უნდა განერიდებინა უსაგნო და გარდუვალი განადგურებისაგან. და იგი ასეც მოიქცა. რაზმი გაისტუმრა, თვითონ კი ჯერ კიდევ დარჩა რამდენიმე ხანს.

სხვადასხვა გზის არჩევა კი, ალბათ, ალბათობის მათემატიკურ გაანგარიშებებთანაა დაკავშირებული. უბედურების ჟამს ერთ ნაწილს მაინც ექნებოდა გადარჩენის შანსი. ყველა მიმართულებით მოწინააღმდეგის ისეთი დიდი კონტინგენტი იდგა, რომ იქ რაზმის მთლიანობა ბევრს არაფერს გახდებოდა. იყო კიდევ ერთი გარემოება. თვითონ მეთაური ვარაუდობდა გზად ფშაური სოფლები გაევლო და სახვალიოდ საქმისთვისაც მოესინჯა კბილი. შემდგომი ბრძოლების ვარაუდები ხევსურულ გარემოშიც იგუ-

ლისხმებოდა. საამისო ნიადაგის მოსინჯვა არ იქნებოდა ურიგო. საერთოდ მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თვითონ ენახა და გაეგო ხევსურეთში შემოსული მტრის საერთო ოდენობა, შემადგენლობა, შეიარაღება, მოქმედების პრინციპები, შეჰქმნოდა რაც შეიძლება სრულყოფილი წარმოდგენა მტერზე, ხვალ ხომ კვლავ მოუხდებოდა მასთან შებმა.

ფშავის მთებით წასული რაზმი, როგორც ვიცით ალ. სულხანიშვილისა და სხვა თანამედროვეთა გადმოცემით, მშვიდობიანად გადავიდა კახეთში. მან გაასწრო ფშავ-ხევსურეთის მთათა შესაყარზე, გადასასვლელებზე რუსეთის ჯარის სადარაჯო რაზმების მოსვლა-დაყენებას. რაიმე ალყის გარღვევა და გზაზე ბრძოლები არ ყოფილა.

ქაქუცა თავისი 9-10 კაციანი ჯგუფით გაემართა ხევსურთა იმ სოფლებისაკენ, რომლებშიც რუსები ჯერ არ შესულიყვნენ. მის ჯგუფში თავისი მუდმივი რაზმელების გარდა, იყვნენ ყველაზე აქტიური მებრძოლები და სანდო ხევსურები (ადგილობრივი მცხოვრებლები): ბაბუტა ბალათერას ძე და აპარეკა გიორგის ძე არაბულები, გიგია გიორგის ძე და გაგა გიგურის ძე ჯინჭარაულები (ს. ბარისახოდან) და მიხა იოსების ძე ხელაშვილი. მათი საშუალებით აწარმოებდა იგი ადგილ-გარემოების დაზვერვას, ვითარების გაგებას, ხალხთან კავშირის განმტკიცებას და მოქმედების შემდგომი კურსის არჩევას. ამასთან, იჩენდა მაქსიმალურ სიფრთხილეს და თავშეკავებულობას. გუდანიდან ხახმატზე გადავლით იგი ესტუმრა ლიქოკის ხეობას, სოფლების – აჭე, ჭალისსოფელი, კარწაულთა – გავლით, ღამე გაათია სოფ. კარწაულთის განაპირა ბორცვზე („შოთხნი"); ნადირა, გიგია ლიქოკელების და სხვათა გადმოცემით შეხვდა ამ სოფლის რამდენიმე მცხოვრებს, შინ მიპატიჟებაზე მადლობა მოახსენა, ღამის გასათევად შეთავაზებული ნივთები მიიღო. მასპინძლობდნენ ამ სოფლის თავკაცები – უშიშა, ბადა და გიგია ლიქოკელები. ფშაველათ გიგიასა და მას შორის კრიტიკული დიალოგიც გაიმართა. მცირე დანაყრების ჟამს თავისი ხელით დაჭრა გუდანის ჯვარიდან საგზლად გამოტანებული ქადა 12 ტოლ ნაწვრეთად (ნაჭერი), თითო ცალი ჩამოურიგა ყველა იქ მყოფს, მოაყარა ზედ მარილი და ერთხელ კიდევ გაიმეორა

ღმერთისა და ხევსურეთის სალოცავებისადმი მიცემული ფიცი საერთო მტრის ძლევისათვის მტკიცე ძმობისა და ერთგულების სადიდებლად და მოღალატეთა შესარისხავად. კარნაულთიდან იგი შებრუნდა სოფ. ღულის მთის მიმართულებით, რადგან პირდაპირ ჩამოსვლით ბარისახოს მიდამოებში მოხვდებოდნენ, სადაც უკვე წითლები იდგნენ და გვერდი უნდა აევლო მათთვის. შემდეგი სოფელი იყო ჩირდილი (ბაბუტას სოფელი), რომელმაც ზავი შესთავაზა დამპყრობელს და იმდენად საშიში არ იყო მასზე გავლა; აქედან ისევ მთათა გადავლით (ბარისახოს შემოვლით) საარაგვოს სოფლებს (გველეთი, დათვისი, სახილე) ესტუმრნენ; აქ დათვისის ჭალაში გაათიეს ღამე; კვლავ შეხვდნენ და საქმიანი საუბარი ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, როგორც იგონებენ მინდია, გოგალი არაბულები და სხვანი; ყოფილა ცხარე კამათიც გავლილ ბრძოლებსა და სამომავლო პოზიციებზე, მაგალითად, რაზმელებსა და უნცრუა არაბულს შორის. სოფ. დათვისში კინალამ იარაღამდეც მისულა საქმე. ეტყობა, აქ საბოლოოდ მომწიფდა გადაწყვეტილება, რომ შემდგომ დარჩენას, ახალ ღონისძიებათა მოსინჯვას აზრი არ ჰქონდა, ოპტიმიზმის საფუძველი არ ჩანდა და ქაქუცამაც გადაწყვიტა წასვლა. კვლავ ბაბუტა არაბულის ნაამბობით ვიცით, რომ არაგვის ხეობა დაკავებული ჰქონდათ წითელ ჯარებს და იყო ძლიერი პოსტები. შეფიცულთა მცირე რაზმი გავიდა ისევ მთებით, მაწმაოსა და დათვისის სათავე ქედებით, გუდამაყრის ქედის გაყოლებით (ლუთხუმის მხარეს) მეცხვარემწყემსთა სავალი გზებით და კანალხევ-მზისყანის გადასასვლელით კვლავ ფშავის არაგვის ხეობაში გადავიდა. მაშ, მიღებული იქნა ასეთი გადაწყვეტილება: ფშავ-ხევსურეთის ბრძოლებში თავგამოჩენილი მიხა ხელაშვილი, რომელიც უკვე რაზმში იყო მუდმივ წევრად ჩარიცხული, თავის თავზე იღებდა ჯგუფის გაყვანას ჩარგლის ხეობის გავლით, საშუბის გადასასვლელით მდ. იორის სათავეებში მდებარე ფშაურ სოფლებში (ბაჩალი, არტანი და სხვ.). თიანეთის რაიონიდან კახეთისკენ გზები ყველამ იცოდა. ეს ტეხილი და მთა-ხეობათა მონაცვლეობით ძნელად სავალი მარშრუტი აუცილებელი იყო, რადგან მდინარეთა გასწვრივ გაწაფული შარაგზები მტერს ჰქონდა დაკავებული და შეკრული.

თითქმის მთელი გზა მშვიდობიანად იქნა გავლილი, მხოლოდ კანალხევის კარს, მდ. არაგვის მარჯვენა სანაპიროზე გადაანყდნენ წითლების 5-6 კაციან ჩასაფრებულ ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა თბილისის მილიციის ერთ-ერთი უფროსი წურწუმია. აქ ქ. ჩოლოყაშვილმა თვალის დახამხამებაში მაუზერის რამდენიმე ჯერით მარტომ მოუღო ბოლო მათ, ხოლო მათი იარაღი თანამგზავრებს დაურიგა.

უკანასკნელი ღამე ხევსურ გამყოლებთან ერთად გაათიეს ჩარგლის კარს, ქალაში, მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროზე: „ღამე, ჯერ თენება შორს რომ იყო, ქაქუცა ადგა – ანეული ნაბდის ყურიდან ვუყურებდი, – იგონებდა ბაბუტა არაბული, – მოუჭირა მოსართავები ცხენს, მოევლო თავის ლურჯას, ჰკრა ქუსლი, ააყრევინა შხეფები იქვე ჩამომდინარე არაგვის ტოტს და გაქრა სიბნელეში".

მიხა ხელაშვილის ქალიშვილი თამარი კი შემდეგს იგონებს თავისი დედისა და მამიდის ნაამბობიდან: "... ხევსურეთიდან ჩარგალში მოიყვანა მიხამ ქაქუცა და მისი ამხანაგები. იმაზე უკეთეს ვაჟკაცს ვერა ნახავდა კაცის თვალი. ძალიან კი იყვის დაღონებული, დანა არ უხსნიდა კბილსა... რამდენიმე დღე დარჩნენ სოფელში. მიხამ ფშაური ტანსაცმელი მოუტანა. იმით გამოდიოდის ხალხთან სასაუბროდ ხალხი კი ბევრი მოდიოდა ძალიან. მიხა ჰყვანდა შიკრიკად და მეკავშირედ. მუდამ ფეხის წვერებზე ტრიალებდა იმის დავალების შესასრულებლად. სულ თვალ-წარბში შეჰყურებდა ის 20-დე წლის ბალღი იმ თავის ბელადს და ერთი საათი აღარ შეეძლო უიმისოდ გაძლება, რაითრა შეაყვარა თავი იმ დალოცვილმა. ჩემი კაციც (მღვდელი თევდორე ჟამიაშვილი) სულ იმათ უტრიალებდის გარშემო – იგონებდა მამიდა სალომე". აქვე ვიტყვით, ძვირად დაუჯდა ქაქუცასადმი სამსახური ჟამიაშვილების ოჯახს. მრავალი წლის მანძილზე განიცდიდნენ ჩეკას მიერ მოწყობილ თავდასხმებს – ჩხრეკას, ანიოკებას, დაპატიმრებებს, ქონების წართმევას და ა. შ.

აქ ყოფნის დროს ქ. ჩოლოყაშვილს რამდენიმე შეხვედრა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილთან, რომელსაც მუდამ მტკიცე კავშირი ჰქონდა პატრიოტებთან.

ჩარგალში ყოფნისას მათ შეძლეს რუსებისა და კომუნისტების საიდუმლო შეკრება-თათბირის მოსმენა. სარაყდრის სერის ბოლოს, იფნიან გორის ძირში, ხევსურეთის გზაზე, სწორედ იმ ჭალაში, სადაც რამდენიმე დღის წინ ღამე გაათიეს ხევსურეთიდან მომავალმა ქაქუცამ და მისმა თანამგზავრებმა, ღამე შეიკრიბა აგრეთვე ღამის სათევად დაბანაკებული წითლების რაზმი. პატრიოტებიც იქვე იყვნენ ჩასაფრებულნი, ხეების ძირას – ისინი ხომ ყოველ წუთს ზვერავდნენ და უთვალთვალებდნენ გზაზე მოძრაობას და წითელ არმიელთა მოქმედებას. თათბირის თემა იყო მეტი სიფხიზლე გამოეჩინათ, რათა არსაიდან გასხლტომოდათ ჩოლოყაშვილი; ამასთან, უმკაცრესი ზომების გატარება ურჩი ხევსური და ფშაველი მოსახლეობის მიმართ.

თათბირის დასასრულს, როცა მოუთმენელმა მიხა ხელაშვილმა ქაქუცას მიერ ნაჩუქარი მაუზერისკენ წაიღო ხელი, იგი ჩოლოყაშვილმა შეაჩერა და სოფლისკენ მიუთითა – ხომ არ დაგავიწყდა მარტო საკუთარ თავზე რომ არ ვართ პასუხისმგებელნიო.

რამდენიმე დღის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი თანამებრძოლებით, ფშაურად გამოწყობილნი, საშუბის უღელტეხილით გადავიდნენ თიანეთის რაიონის ზემო სოფლებში, საიდანაც შორს აღარ იყო მშობლიური კახეთი. ჩოლოყაშვილს სამუდამოდ გაჰყვა თან მისი ერთგული რაზმელი მიხა ხელაშვილი. მთებზე გადააცილეს გრიგოლ რაზიკაშვილმა, გიორგი მარტიაშვილმა და კიდევ რამდენიმე ჩარგალელმა ჭაბუკმა.

აქვე მოვიხსენიებთ ქაქუცასთვის დამახასიათებელ ამ პერიოდის კიდევ ერთ ფაქტს: ხევსურეთიდან გადასულმა ძმადნაფიცებმა გუდამაყრის ქედის კალთებზე მწყემსებთან ნახეს მოჯამაგირის მწარე ხვედრით დატანჯული 12-13 წლის ობოლი ჭაბუკი პავლე ვეშაგური, რომელიც მოჯადოებულის მავედრებელი თვალებით შეჰყურებდა იარაღასხმულ რაინდებს. ქაქუცას გულმა არ გაუძლო ეს ყმაწვილი აქ – დამშეულ გუდამაყარში მიეტოვებინა უმწეო მდგომარეობაში. წამოიყვანა თან – „ცხენების მომვლელადაც გამოგვადგებაო". ჩარგლიდან კი ველარ მოახერხეს მისი თან წაყვანა. იგი დარჩა და დავაჟკაცდა აქ, ხომი-ჩარგლის სოფლებში, ყველას სიყვარულით გარემოსილი. ჩარგალშივე დაისიძევა იგი

ჩოლოყაშვილის მომხრე ჟამიაშვილების გვარმა. შექმნა მშვენიერი ოჯახი და აი, 1937 წელს, როგორც ქ. ჩოლოყაშვილის თანამიმდევარი, დაიჭირეს და დაჰკარგეს. შთამომავლები კი დღესაც ცხოვრობენ ფშავის ხეობაში.

# აკუშოს ბრძოლა

„... ნუ მაუშობთ აკუშოსა!
ლიქოკელთ აქვ ნათქვამიო,
გავაგორათ წინამძღვარი,
გაბრუნდების ლაშქარიო".

წითელი არმიის ხევსურეთზე თავდასხმის მთავარი მიზანი ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის განადგურება-შეპყრობა რომ არ იყო, დაადასტურა მესამე ბრძოლამ, არანაკლებ მწვავემ და სისხლისმღვრელმა, ვიდრე პირველმა ორმა; ბრძოლამ სოფ. აკუშოსა და საერთოდ, ლიქოკის ხეობის (თემის) დასაპყრობად.

ვინ დაიჯერებს, რომ ფხიტუს ბრძოლის შემდეგ, ხევსურეთის ცენტრის – ბარისახოსა და ბევრი სხვა მთავარი სოფლის დაკავების, თავდამცველთა ძირითადი ძალების დამარცხებისა და გაფანტვის შემდეგ რეგულარული არმიის სარდლობას, სამხედრო სპეციალისტებს იმედი ჰქონდათ ჩოლოყაშვილს კვლავ აქ მოიხელთებდნენ და გაუსწორდებოდნენ; ან იმას, რომ მათ უკვე არ ჰქონდათ ინფორმაცია შეფიცულთა რაზმის ხევსურეთიდან წასვლის შესახებ. ყველაფერსაც ხვდებოდნენ, ყველაფერიც იცოდნენ, მაგრამ კიდევ ერთი, საბოლოო თავდასხმა უნდა განეხორციელებინათ, რათა საბოლოოდ გაეტეხათ და დაემორჩილებინათ ეს მოუდრეკელი ხალხი, რათა შური ეძიათ დახოცილი რუსი ჯარისკაცების გამო მოხუცებზე, ქალებზე, ბავშვებზე, სახლ-კარსა და ქონებაზე, მათი განადგურებით და ველური ჟინის მოსაკლავად. და ჩვენდა სავალალოდ და სამარცხვინოდ ამ საქმეში მონაწილეობდნენ ქართველებიც, ე. წ. კომუნისტები, ჩეკისტები და სხვ.

არის ძველი, მე-17 საუკუნის ხევსურული ლექსი – ნიშნის მოგებით მიმართვა მაშინდელი დამპყრობლის, მართალია, ადგილობრივის, მაგრამ მაინც სისხლიანი უზურპატორის მიმართ:

„... მე წინავ გითხარ ზურაბო[71]
კაცი ვერა ხარ ჭკვიანი,
აკუშოს რად მიხვიდოდი
ჯვარი ხყავ დაულათიანი,
ახლოს მახკიდავ ქუდნისლა
შასაძახნებლად ტიალი,
მალე მოუვლენ ლიქოკით,
მუხლიან-ამლათიანნი..."

ამ ტაეპის სენტენცია ზუსტად მიესადაგება რუს-კომუნისტ უზურპატორებსაც, რომელთაც არანაკლები შეცდომა მოუვიდათ, ვიდრე 3 საუკუნის წინანადელ გაუმაძღარ ფეოდალს. ძვირად დაუჯდათ მათ პატარა სოფლის, აკუშოს დაუფლების ცდა.

ხევსურეთის ცენტრს – ბარისახოს პირდაპირ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან თავს გადმოსდგომია მეტად ეგზოტიკური მთა ულამაზესი სახელით „ქუდნისლა" (ამასაც ვიტყვით – მას თავიდან „ქურდნისლა" რქმევია). ამ პატარა მთის თხემზე ჩვენს წინაპრებს გარეული და შინაური მომხდურისაგან თავდასაცავად აუშენებიათ სამი ულამაზესი ციხე (რა სიამოვნებით და ნეტარებით ვთამაშობდით ამ ციხეთა ნახევრად ჩამონგრეულ ნაშალებში და მიდამოებში ჩვენს ბავშვობაში, მწყემსობის ჟამს!)... ქუდნისლის ძირში – აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს პატარა სოფელი აკუშო. იმ დროს აქ ცხოვრობდა 15-ოდე კომლი ლიქოკელთა გვარისა. იგი ისტორიული მნიშვნელობის სოფლად აქცია მისმა ადგილმდებარეობამ. სოფელი და მისი ხეობა – აკუშოს ხეობა, წყალი აკუშურა წარმოადგენს ხევსურეთის სასაზღვრო ხაზს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. აკუშურას მარცხენა მხარეს უკვე ფშავია. თვითონ წყალი – აკუშურა გამოედინება ხახმატ-ლიქოკ-ფშავის წყალგამყოფი მთიდან და უერთდება მდ. არაგვს ორწყლიდან 2 კმ-ზე მარცხენა მხრიდან. ხეობა 15 კმ. სიგრძისაა. მასში განთავსებული იყო ლიქოკის სამი სოფელი: აკუშო, კიმხი და ბულალაურთა (ეს უკანასკნელი ფშაველ-ხევსურთა საზიარო სოფელია).

[71] ზურაბი, არაგვის ერისთავი.

მტერი წამოსული ხევსურეთის დასალაშქრავად, გამოივლიდა რა ფშავს, მოადგებოდა აკუშოს. აკუშოს ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ლიქოკის მთავარი ხეობაა 6 ძირითადი სოფლით. მათ ჰყოფს ქვაბულო-აკუშოს მთაგრეხილი, რომელიც მთავრდება უდელოს მაღალი თხემით, ზედ მწვერვალზე ფართოდ სახელგანთქმული სალოცავით – კარატის ჯვარით – ვერაგი მტრის, ყველა სახის უწმინდური ძალის და „ქვეცრიელთა“ დამთრგუნავი მრისხანე სალოცავით. კარატის ჯვარის ბორაყი (მთავარი დროშა) „გაუეკაური“[72] მუდამ წინ მიუძღოდა ათასი ჯურის მტერზე ამხედრებულ ლიქოკის მამაც შვილებს. იგი სწორედ რუსის ჯართან ბრძოლას შეეწირა მედროშესთან ერთად ნიახურას ომში 1812 წელს ალექსანდრე ერეკლეს ძის ლაშქარში.

აი, ახლა ახალი ბოროტი ძალა მოადგა ლიქოკს, აკუშოს ბოლშევიკურ-რუსული უწმინდურობის სახით, ისევ იმავე ფშავის გზით, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან.

საბჭოთა ჯარებს, ცხადია, ხევსურეთის დალაშქვრა, მისი ალყაში მოქცევა და ელვისებური განადგურება უნდოდათ ერთი საერთო, კომბინირებული ოპერაციით, ყველა მხრიდან ერთდროული შეტევით. ამას მოითხოვდა იქ ასული ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის ხელთგდების სურვილიც. რაღა თქმა უნდა, ყველა გასასვლელის ერთდროული ჩაკეტვა რკალში მომწყვდეულის დაჭერის მეტ შესაძლებლობას ქმნის – მაგრამ ამის განხორციელება მათ ვერ შეძლეს რიგი მიზეზების გამო.

თუ ორწყალსა და ფასანაურს სამხედრო კოლონები (მსხვილი სამხედრო ერთეულები) დაახლოებით ერთდროულად მიუახლოვდნენ, უშუალოდ დარტყმის წერტილებზე (საარაგვოს სოფლები და მთა ფხიტუ) ასევე ჰარმონიული გასვლა ველარ მოახერხეს ორწყალში მოულოდნელი გამანადგურებელი დარტყმის მიღების გამო.

---

[72] ხევსურული დროშა და მათ შორის „გაუეკაურიც“ წარმოადგენდა გრძელი ჯოხის ტარზე შებმულ საშუალო ზომის ზარს. მის თავზე მოთავსებული იყო ვერცხლის ბურთი ჯვრითა და შუბით. ტანი შემკული იყო მლოცველთაგან შეწირული ძვირფასი (აბრეშუმის) ჭრელი ხელსახოცებით. ეს იყო რელიგიური რიტაულებისა და ლაშქრობების წმინდა რელიკვია, დროშა-ალამი.

ჯუდამაყრის საბრძოლო შენაერთებმა ველარ გარისკეს დამხმარე შევსების გარეშე გალაშქრება და დაუცადეს ფშავის არაგვიდან გამობრუნებული ნარჩენებითა და თბილისური რეზერვებით შევსებას. იყო სხვა მიზეზებიც.

რაც შეეხება დარტყმის მესამე მიმართულებას, რომელიც თიანეთის რაიონიდან უნდა განხორციელებულიყო ფშავზე გადავლით, მას სრულიად სხვა ხასიათის მოულოდნელი დაბრკოლებები გადაეღობა. უპირველეს ყოვლისა, ეს დაბრკოლება იყო დამკომის სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი წამყვანი წევრის პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ (რომელმაც არ იცოდა მუსხელიშვილის როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში) კავკასიის განსაკუთრებული არმიის საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსად დანიშვნა. საექსპედიციო რაზმი კი სპეციალურად განმათავისუფლებელი მოძრაობის გასანადგურებლად შექმნეს. პოლკ. რ. მუსხელიშვილი ჯერ კიდევ 1922 წლის გაზაფხულზე დამკომის სამხედრო ცენტრისგანაც იყო დანიშნული აჯანყებულთა შტაბის უფროსად და ევალებოდა მუდმივი კავშირი ადგილებთან (პერიფერიების პატრიოტულ ძალებთან) და ქართული წითელი არმიის ნაწილებთანაც (სხვათაშორის, ცოტა ხნის წინ რ. მუსხელიშვილი იყო ქართული მეორე დივიზიის შტაბის უფროსიც). მასვე, ნარიკელაძესთან ერთად მზვერავისა და კონტრმზვერავის ფუნქციებიც დააკისრა დამკომმა. მან სამშობლოს ინტერესების სამსახურად იტვირთა მზადყოფნა შეესრულებინა ურთულესი, კომპლექსური მისია.

პოლკოვნიკი რ. მუსხელიშვილი იყო გამოცდილი შტაბის მუშაკი, დიდი სამხედრო სპეციალისტი და ღირსეული პატრიოტი. განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპზე, სწორედ ხევსურეთის ომის დროს, გარემოებათა დამთხვევის წყალობით მას შეექმნა შესაძლებლობა დიდი სარგებლობა მოეტანა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ სწორედ ქართული პატრიოტული პოლიტიკური ძალების გათიშულობისა და შეცდომების წყალობით, მცირე რამის გაკეთება თუ შეძლო, ისე დადო თავი სამსხვერპლოზე.

პოლკოვნიკ რ. მუსხელიშვილის მოღვაწეობის შესახებ საქ. სსრ იუსტიციის სახ. კომისარიატის საგამომძიებლო მასალების მიხედ-

ვით: „1922 წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მუსხელიშვილი კავკასიის განსაკუთრებული არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს დავალებით წავიდა ჩოლოყაშვილის ბანდების მოქმედების რაიონში (დუშეთის მაზრა), როგორც საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსი, იმ მიზნით, რომ ჩაექრო ჩოლოყაშვილის მიერ მოწყობილი აჯანყება. ოპერაციის პირველი პერიოდის დასრულების შემდეგ, მუსხელიშვილი, ვითომ სხვადასხვა მიზეზების გამო, დუშეთიდან ჩამოვიდა ტფილისში, რომ ენახა მენშევიკების ცეკას წევრი იოსებ ცინცაძე. ტფილისში ჩამოსვლისას მუსხელიშვილმა გადასცა ცინცაძეს, ჯერ ერთი, ის ფაქტი რომ ეროვნულმა-დემოკრატებმა გაუგზავნეს ბრძანება ჩოლოყაშვილს, მეორე – ის, რომ მან, მუსხელიშვილმა თიანეთში დააკავა ცხენოსანი ჯარი და საშუალება მისცა ჩოლოყაშვილს წასულიყო დაუსჯელად.

ცინცაძემ მუსხელიშვილს დაავალა შემდეგი:

1) ინფორმაცია მოეწოდებინა ჯარის შემდეგ მოძრაობის და მთიელთა იერიშების შესახებ;

2) „ლმობიერათ მოპყრობოდა ხევსურეთს".

შემდეგ ცინცაძემ განუცხადა, რომ თუ მცხოვრებთა მოძრაობა დაიწყებოდა დიდი მასშტაბით, მაშინ ის, ცინცაძე, „ორ ბანდას უბრძანებდა წასულიყვნენ ხევსურეთის დასახმარებლად", გამოსთქვა იმედი, რომ ქართული ჯარი მიემხრობოდა მოძრაობას და ოფიციალურადაც გამოამჟღავნებდა თავის ნამდვილ ფიზიონომიას"...

მუსხელიშვილი ხელახლა ავიდა დუშეთში იოსებ ცინცაძის დირექტივების შესასრულებლად და ხევსურეთზე იერიშის მიტანა შეაჩერა, ხოლო კავკასიის განსაკუთრებულ არმიის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს ეს შეჩერება დაუსაბუთა „მეტად მძიმე ადგილობრივი პირობებით". ამნაირად მუსხელიშვილი საშუალებას აძლევდა ცინცაძეს გაეფართოვებინა ორი დაპირებული ბანდის ოპერაციები. მოკლე ხნის განმავლობაში მუსხელიშვილთან გამოცხადდა ცინცაძის შიკრიკი, რომელიც იყო მენშევიკური პარტიის დუშეთის კომიტეტის წევრი – ნიკოლოზ ზანდუკელი... უკანასკნელმა მიმართა მუსხელიშვილს და სთხოვა გაეცნო მისთვის მდგომარეობა, რადგანაც მან, ზანდუკელმა ცინცაძისაგან მიიღო

დავალება შეადგინოს ორი პარტიზანული რაზმი და გაგზავნოს საითაც მუსხელიშვილი უჩვენებდა.

ამ შეხვედრის დროს მუსხელიშვილმა წინადადება მისცა ზანდუკელს, რათა მას დროებით გამოსვლა შეეჩერებინა... ზანდუკელი ხელმეორეთ მივიდა მუსხელიშვილთან და განუცხადა, რომ „გაერთიანებული ძალები მზათ არის და ელიან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობას. ეს უკანასკნელი მოლაპარაკება მოხდა იმ დროს, როდესაც დაიწყო ჩოლოყაშვილის ბანდების დამარცხება“.

სწორედ ამ გარემოების გამო მუსხელიშვილმა წინადადება მისცა ზანდუკელს შეეჩერებინა პარტიზანების მოქმედება, რადგანაც იმ მომენტში ეს იქნებოდა უაზრო და დამღუპველი[73].

ეს ვრცელი ამონაწერი საბჭოთა ოფიციალური ორგანოს მასალებიდან შედგენილია მოქმედ პირთა ჩვენებების საფუძველზე და საკმაოდ ბევრი რამის გარკვევაში გვეხმარება. უპირველეს ყოვლისა, ვიგებთ, რომ ხევსურებისა და ჩოლოყაშვილის რაზმის განმათავისუფლებელი ბრძოლა ცენტრალური ძალებისაგან მთლად უყურადღებოდ არ იყო მიტოვებული და გარკვეული დახმარებაც გაეწია მათგან. ეს ითქმის ჩვენთვის ამჟამად ყველაზე საინტერესო საკითხზე – თიანეთიდან ხევსურეთში ჯარის გაგზავნის თაობაზე. მაშასადამე, ამ საქმეში მუსხელიშვილმა გარკვეული დადებითი როლი ითამაშა და ცდილობდა დახმარებოდა პატრიოტებს.

რადგან რ. მუსხელიშვილის შესასრულებლად მეტად რთულ და ძნელ როლზე გვაქვს საუბარი, აქვე მოვიშველიებთ ს. ზალდასტანიშვილის მიერ გაკეთებულ დასკვნას, რომ „... პოლკ. რ. მუსხელიშვილმა თავისი გეგმის შესრულება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა რუსების ჯარით იერიშით მისულიყო ქაქუცას წინააღმდეგ“[74]. უფრო სრულად კი ამ საკითხების ირგვლივ საუბარი გვექნება მოგვიანებით.

მაშ ასე, ბოლოს თიანეთიდანაც დაიძრა ლაშქარი ხევსურეთისკენ. ეს იყო დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ფხიტუს ბრძოლებიდან, სექტემბრის პირველ დეკადაში.

---

[73] საქმე... გვ, 18.

[74] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

ფხიტუდან რუსები ჩამოვიდნენ დაბლა სოფლებში, დაეპატრონენ ცენტრს – ბარისახოს; აქ ადგილობრივი მმართველობის პატარა შენობაში მოაწყეს თავიანთი შტაბი, საიდანაც ხელმძღვანელობდნენ დანარჩენი ხევსურეთის თანდათანობით დაკავების საქმეს. ამის შემდეგ, ცხადია, ადრინდელი მნიშვნელობა დაეკარგა მდ. არაგვის ხეობის გადაკეტვას ფშავის (ქვემო) მხრიდან და ხევსურებმაც მოხსნეს პოსტი ორწყალში. წითელი არმიის ნაწილი აქედანაც შევიდა ხევსურეთში, ხოლო მისი მთავარი ძალა ორწყლიდან შევიდა უკანაფშავის ხეობაში, დაიკავა ფშავის სოფლები თხილიანა, შუაფხო, უძილაურთა, ცაბაურთა და ა. შ. ფშავის არაგვის სათავეებისაკენ შეყოლებით.

ამის გარდა, ჩანს ჯარის მეორე ნაწილი (უფრო ცხენოსანი) და თბილისის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, თავიანთ მეთაურებიანად, სამწუხაროდ, მათ შორის იყვნენ შემდგომში ცნობილი ქართველი გენერლები გიორგი ყურაშვილი (ათმეთაური) და კონსტანტინე ლესელიძე (რიგითი), თიანეთის რაიონის ზემო წელიდან (მდ. ივრის სათავეებიდან) მთებით გამოემართა, გადმოიარა უკანა ფშავის მთიანეთი – უბისთავი და გადმოვიდა ლიქოკის ხეობათა სათავეებში. აქვე ახლოსაა ხახმატის და შატილის გადასასვლელები; ე. ი. დაიკავა რა მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი მისადგომები, რკალში მოაქცია ლიქოკის თემი და მთელი ხევსურეთიც. რაღა საჭირო იყო ასეთი, შორ მანძილზე გაწელილი ფრონტის ხაზის მოწყობა უვალი მთებითა და უკაცური ადგილებით, როცა ყველაზე ახლო, ცენტრალური მისასვლელი – ფშავის არაგვის ხეობა გაიხსნა?

ხევსურეთის ოპერაციის მთავარი მარშრუტები, როგორც დავინახეთ საგამოძიებო მასალებიდან, დაგეგმილი იყო თავიდანვე სამი მიმართულებით: ცენტრალური (ფშავის არაგვზე), მარცხენა (გუდამაყრის არაგვზე) და მარჯვენა (თიანეთის რაიონიდან, მთებით). მათი შეერთება უზრუნველყოფდა რკალს თითქმის მთელი ხევსურეთის გარშემო. ასეც დაიწყო აღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელება. მასში დისონანსის შეტანა პოლკ. რ. მუსხელიშვილის დამსახურებაა. იგი გამიზნული იყო თავდამცველი ძალებისათვის გარკვეული ხელის შეწყობისათვის. ბოლო ეტაპზე კი, როცა

მეტი გამოსავალი აღარ იყო, დაიწყო ხევსურეთის ომის ყველა ოპერაციის განხორციელება, მართალია, უკვე სხვადასხვა დროს. იყო ერთი სხვა გარემოებაც. ამ ომის პირველმა ბრძოლამ, ტყითა და კლდეებით დაფარულ არაგვის ვიწრო ჭალაში, თავდამსხმელებს დაანახვა, რომ ეს ბუნებრივი პოზიციები ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ თავდამცველთათვის. ამიტომ კვლავ ძალაში დარჩა თავდაპირველი ვარიანტიც, ჯარი გადმოვიდა გაშლილი, მოტიტვლებული მთებით, სადაც ზაფხულის პერიოდში არცთუ ისე ძნელია მოძრაობა, როცა ფეხით და ცხენით სავალი ბილიკები ყველგან უხვადაა. ყველაზე მთავარი კი მოძრაობის უსაშიშროობა იყო.

ხევსურები, ცხადია, ხედავდნენ მტრის ახალი ძალების მოახლოებას და სათანადოდ მოემზადნენ. ლიქოკელებთან ერთად აქ საბრძოლველად მოვიდნენ ბარისახოს, საგალმაოს (საარაგვოს) სოფლების: გველეთის, დათვისის, მაწმაოს მკვიდრნიც. მოვიდნენ ზემო ხევსურეთის წარმომადგენლებიც. საომრად აქაც და სხვა ბრძოლებშიც ხალხი, მაცნეთა დაძახებისთანავე, სრული ნება-სურვილით, მხოლოდ საკუთარი სინდისის კარნახით მოდიოდა და იბრძოდა სრული თავდადებით, იბრძოდა მამაცი კაცის სახელისათვის. „სახელიანი“ – ეს მხოლოდ ბრძოლაში მოსაპოვებელი პირველკაცობის ზედწოდება იყო, დიდი ჭირ-ლხინისას ჯარზე ხალხის და უკვდავი საგმირო ლექსის მიერ მინიჭებული. ეს წოდება იყო ხევსური კაცის უზენაესი ჯილდო.

აკუშოს და მეზობელი სოფლების – ქვაბულო-მაღრანის და კიმხის მცხოვრებნი (დიაც-ყმაწვილი) ლიქოკის ჭალის მიუვალ სიღრმეებში (იჩიტ-ღომელთანის ძირს) გაიხიზნენ. საქონელი ფაქტობრივად უპატრონოდ იქნა მიტოვებული. მათთანვე დაბინავდნენ სოფ. ბარისახოს ევაკუირებული უმწეონი, მათი კაცები კი ლიქოკელთა გვერდში იდგნენ აკუშოს კლდე-კიბირჭეში.

მტერი აკუშოს წყალს კი არ შეჰყვა ბოლოდანვე, არამედ მის შუა წელზე დაეშვა ფშაური სოფლის, უძილაურთის თავიდან. მან ჯერ აკუშოს მოპირდაპირე გორიდან – ირემთ კალოდან ზარბაზნით დაიწყო აკუშოს დაბომბვა, რამდენიმე ჭურვი ესროლეს სოფ. გველეთსაც. მიხვდნენ რა, რომ აკუშო ხალხისაგან დაცლილი იყო

(პირდაპირი მანძილი 1-1,5 კმ-ზე მეტი არ არის და ყველაფერი უბრალო თვალითაც კარგად ჩანდა), მათ ირემთ კალოდან ს. ამილით ინყეს აკუშოს ჭალისკენ დაშვება. აქ არმია ძირითადად ტყვიამფრქვევს ხმარობდა, როგორც ასეთ გარემოში ყველაზე ეფექტურს.

თავდამცველები სოფლის ბოლოებში, ტყიან ფერდობებზე იყვნენ ჩასაფრებულნი. განსაკუთრებით გამაგრებული ჰქონდათ შატილი და ბაშო (ადგილის სახელებია). ისინი ხელის გულივით ზედ დაჰყურებდნენ ჭალას, განსაკუთრებით მოპირდაპირე ფერდობებიდან ჩამოსავლელ ბილიკებს. პირველ ორ დღეს მომხდურებმა ჭალაში ფეხის მოკიდებაც ვერ შეძლეს, ვინც კი გამოჩნდებოდა მდინარის გასწვრივ, მას იქვე ცელავდნენ პირდაპირი დამიზნებით. აქ ყოვლად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ცნობილი რუსული იერიში და ხელჩართული ბრძოლა ხიშტით, სადაც რიცხობრივი სიმრავლე და ცხოველური შეუპოვრობა აღწევს უპირატესობას. ვის წინააღმდეგ მიიტანდნენ იერიშს, როცა თვალით ვერავის ხედავდნენ. პატრიოტები ნაცნობ გარემოში მაქსიმალურად იყვნენ შენიღბულნი, მოწყობილი ჰქონდათ ქვის ხელოვნური, საფარი კედლებიც, საყუჩები, საიდანაც სულ რამდენიმე ათეული მეტრის მანძილიდან აუცდენლად და აუჩქარებლად ანადგურებდნენ მტერს, რომელსაც ძირითადად ალალბედზე უხდებოდა ტყეში და შამბნარში სროლა, ხმარობდნენ უმთავრესად ტყვიამფრქვევს. ჯარისკაცთა ოპერაციის ხელმძღვანელობამ ისევ ნაცად, მათი ტაქტიკისა და მორალისათვის დამახასიათებელ ველურ მეთოდს მიმართა. უძილაურთიის მთის გორებზე განლაგებული ქვემეხებიდან მიბრჯნითი ცეცხლი დაუშინეს დაცარიელებულ სოფელს. ხანგრძლივად ესროდნენ თითოეულ სახლს, სანამ მთელი სოფელი არ მოიცვა მძვინვარე ცეცხლის ალმა. მტერმა იცოდა, რომ გახიზნულ მოსახლეობას თან წაღებული რამდენიმე დღის სამყოფი საზრდოს გარდა არაფერი ჰქონდა, მთელი ქონება და სარჩო-საბადებელი სახლებში იყო დატოვებული. სახლ-კარის გადაბუგვა იგივე სიკვდილი იყო ცოცხლად დარჩენილთათვის, რადგან თავს ვერაფრით გამოიკვებავდა ისედაც ხელმოკლე და უპურო ხალხი. მრავალი ათეული წლის მანძილზე უდიდესი ტრაგიზმითა და სინანულით

იგონებდა ამ მიდამოების ხალხი, თუ როგორ იწვოდა მთელი თვის განმავლობაში ხაწეთ ატურას პური (კიდობნებსა და გოდრებში წლობით შეგროვილი ქერის მარცვალი).

სისასტიკეს სისასტიკითვე უპასუხეს ხევსურებმაც, ამ ღმერთისა და ადამიანური ცოდო-მადლის ღრმად მორწმუნე ხალხმა. ისინი არ კარგავდნენ მომხდურთა განადგურების არცერთ შესაძლო შემთხვევას.

მესამე დღეს, შეელახა რა ოფიცრული თავმოყვარეობა, წითელი არმიის ამ მომქმედი ნაწილის მეთაურმა, რომელიც, საუბედუროდ, ქართველი აღმოჩნდა და ვისი ვინაობაც უკვე დავიწყებულია, ბრძანებით გამორეკა ტყიდან ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი, გაუძღვა წინ მაუზერშემართული და გაიჭრა მდინარის ველზე. „გავაგორათ წინამძღვარი, გაბრუნდება ლაშქარიო!" ამბობდა ამ ბრძოლის მონაწილე ქვაბულოელი თათარ ლიქოკელი და ამ მომენტის მომლოდინე მისმა სახლიკაცებმაც არ დააყოვნეს, ოფიცერი იქვე დაიცხრილა ლაგაზა და გორგა ლიქოკელების სნაიპერული ტყვიებით. საფარში მჯდომი პატრიოტები დურბინდებით პიროვნებებს მშვენივრად არჩევდნენ. ლაშქარი მართლაც შედრკა და მარჯვნივ, მდინარის აღმა დინებისკენ გაუხვია. მათ დაიწყეს ხეობის სათავისკენ მოძრაობა, რომ ბოლოს იქედან მოეხერხებინათ მოწინააღმდეგისთვის თავსდავლა და საბრძოლო ინიციატივის ხელში ჩაგდება. ბრძოლამ თანდათან ზევით, ბაშო-კონჩაბუხის ძირისკენ გადაინაცვლა.

აქ მრავალი დრამატული, საბედისწერო და ამაღელვებელი ფაქტი მოხდა, გავიხსენებთ მხოლოდ რამდენიმეს: წიქათ აბიკა (ლიქოკელი) იგონებდა ხოლმე: „ხეთა ხშირ ტოტებს შორის გამოჩენილ სარკმელში დავინახეთ, რომ გაღმა ნაპირზე, ჩვენს პირდაპირ ბუერაიანში ჯარისკაცთა ჯგუფი ჩაჰკირკიტებდა რაღაცას. მოვიმარჯვეთ დურბინდები – „პულიმეტს ღმართებენ" ამბობს აპერაკათ ბათირა, როცა მეტყვიამფრქვევე წელში გაიმართა, ბათირამ თქვა – ახლა დაიხრება, ამოეფარება ფარს, რაღას უყურებთ! იქვე ჩემი თოფიც გავარდა და ტყვიამფრქვევის ასამოქმედებლად ჩახრილი ჯარისკაცი გვერდზე გადავარდა. ჩვენ სხვებსაც დავუშინეთ და როცა გაიფანტნენ მე, და მგელიათ ადუა გავვარდით,

დავავლეთ ხელი ტყვიამფრქვევს და გამოვიტანეთ ჩვენთან. ამის შემდეგ ხახონა ხმარობდა, ჯარში ჰქონდა ნასწავლი მისი მართვა. სხვათაშორის, ლიქოკელებში ბევრნი იყვნენ ნასალდათრები, ძმანი აპარეკათ ხახონა და ბათირა (აკუშოდან), ბიენათ ღერენა (ბაქჩვილიდან), იმედათ გიგია „გერმანია" (ჭალისოფლიდან) და სხვ. მათ კარგად იცოდნენ სამწყობრო საქმე და იარაღის ხმარებაც, რაც ესოდენ გამოადგათ საკუთარი მამულის დაცვისას. იმავე აბიკას ნაამბობის მიხედვით – ბრძოლას მეტად სასტიკი სახე მიუღია. ორივე მხრიდან ჩასაფრებულნი ისე ახლოს ყოფილან ერთიმეორესთან, რომ ხევსურები სააშკარაოზე გამოჩენილ ადამიანებს კი არ ესროდენ საერთოდ, არამედ კიდურის ძირში მსხდომი რუსებისაგან, ვინც ოდნავ მაინც ამოაჩენდა თავს ზევით, ბუდიონურას ვარსკვლავში უმიზნებდნენ და არტყამდნენ კიდეც. ამასვე ადასტურებს შემდგომში თელაველი სამხედრო კომისრის პ. ჭიჭინაძის, ამ ბრძოლის მონაწილის მოგონებაც (გიგა გოგოჭურის ნაამბობის მიხედვით) – „აკუშოს ბრძოლაში ისინი (ხევსურები) ისე ისროდნენ, ბიძია, რომ კაკარდაში თუ არა, თავში მაინც არ აგაცილებდნენ ტყვიას"-ო.

იყო მომენტი, როცა მოწინააღმდეგენი პირისპირ შეეჩეხნენ ერთიმეორეს. რუსებმა ხიშტებს მიმართეს, ხევსურებმა ხმლებს. როცა იმარჯვეა ატურათ გორგამ და შემართა ხმალი მტრის თავზე, ამ უკანასკნელმა სცადა მისი შეჩერება შეძახილით – „ძმა ვარო!", მაგრამ ვიდრე სათქმელს დაამთავრებდა მისი თავი უკვე მიწაზე მიგორავდა, თან მძლეველის სიტყვები მიჰყვებოდა – „ეგეთა ძმისად აესეთა ძღვენ-ი გვაქვის-ო!"

რომ ვერა და ვერ გადმოადგეს აკუშურას მარჯვენა ნაპირზე ფეხი, ჯარისკაცები აჰყვნენ ხეობას ზევით და თავისი სიმრავლის წყალობით და იმითაც, რომ იქ უფრო შიშველი ადგილები იყო და თავდამცველთა საფარიც შემცირდა, იწყეს აკუშის მთის ფერდობებზე ასვლა. ამისთვის გამოიყენეს ღამის სიბნელეც.

აკუშოსა და ლიქოკის ხეობათა გამყოფია აკუშოსა და ქვაბულის მთა, რომელიც, დაწყებული აკუშის ღელიდან (ქუდნისლის ძირშია) მთათა ქვესისტემების სახით (თათუაის საჯდომი, ზენა მთა, სამზირთანა, უდელო), მიემართება ოდნავ დახრილი შვეუ-

ლის ფორმით კარატის წვერისაკენ. ეს არის დაახლოებით 5 კმ-დე სიგრძის ქედი, რომლის აღმოსავლეთი მხარე უტყეო-შიშველი ფერდობებისაგან შედგება, ხოლო დასავლეთი – თითქმის თხემამდე ტყიანი. აი, ამ ქედზე მიმდინარეობდა ერთ კვირაზე მეტ ხანს გააფთრებული ბრძოლები მოწინააღმდეგეთა შორის. თავდამსხმელები ცდილობდნენ დაეუფლებოდნენ ქედის თხემს და გადმოსულიყვნენ ლიქოკის ძირითად ხეობაში, რათა აეღოთ მისი სოფლები: ქვაბული, ბაქჩილო, ჭალაის სოფელი, აჭე, კარწეულთა. თავდამცველები ამის უფლებას არ აძლევდნენ მტერს – არ უშვებდნენ ზედ თხემზე და დასავლეთის ფერდობებზე და ასე ბრძოლით თანდათან ადიოდნენ კარატის მწვერვალისაკენ. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა გაიმართა საყევრის ღელეში, სადაც რუსებმა სცადეს ფეხის მოკიდება და პოზიციის დაუფლება, მაგრამ ამაოდ, სიმაღლეს მაინც ხევსურები ფლობდნენ. ასე გრძელდებოდა ეს ბრძოლები, აკუშო კი მაინც აუღებელი დარჩა, თუმცა იქ ასაღები აღარაფერი იყო, სოფელი აღიგავა დედამიწის პირისაგან.

გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა კარატის მწვერვალზე. სალოცავი კოშკის წინ გაშლილ 50-დე მეტრის ფართობის ბორცვზე. ძლევამოსილი კარატის ჯვარი, თავისი საბრძანებელი კოშკიდან და ლიქოკის წმინდა ზეციდან დაჰყურებდა თავის ყმათა შეუდრეკელ სიმტკიცეს და ჰმატებდა ძალას და გამარჯვების რწმენას. ულმერთო და უწმინდური რუსის ჯარისკაცის ქუსლი არ მიიკარა ამ წმინდა მთამ. ისინი იძულებული გახდნენ დაშვებულიყვნენ ისევ აღმოსავლეთის კალთეზზე და ჭალაის სოფლის, ხორხისკენ აეღოთ გეზი.

კარატის მწვერვალზე გამართულ შერკინებაშიც იყო დრამატული დეტალი. ერთიმეორის პირისპირ აღმოჩენილ რუს ჯარისკაცსა და თოთიათ ბორძას (აკუშელი) გამოლეოდათ რა მჭიდეებში ვაზნები, ხელდახელ უნდა სძგერებოდნენ ურთიერთს, რუსი მომარჯვებული ხიშტით, ბორძას კი ხანჯლის ამოღების დროც აღარ რჩებოდა, თითქოს გარკვეული იყო საბედისწერო ფინალი, თუმცა უძლეველი კარატის ჯვარი როგორ გასწირავდა თავის ერთგულ ყმას (ეს ურყევად სჯეროდა ყველა ლიქოკელს და ხევსურს)

და აი, ამოვარდა მწვერვალზე აძიათ თათარი (ქვაბულოელი) და თვალის დახამხამებაში შეაგება მოძმის მხსნელი ტყვია მომხდურს... კოშკის წინ მუხლეზე დამხობილი ბორძა კი ლოცულობდა კარატის ჯვრის ძალისა და სასწაულის მადლს.

კარატის წვერიდან და მთის აღმოსავლეთი ფერდობებიდან მომხდურნი ლიქოკის ხეობის სათავე მთებისკენ გაემართნენ; ჭალაის სოფლის თავს ღელის (გუგას ჯვრის) გავლით წავიდნენ აჭის თავისკენ, მთა საქარისაკენ. ამ მიდამოებში მათ, ჩანს, შეუერთდნენ უკანა ფშავის სათავეებიდან გადმოსული რაზმებიც, რომელთა დანიშნულება იყო მთათა გასასვლელების დაკავება და შემდეგ ხეობათა სიღრმეში ჩასვლა. მტრის მიერ დაკავებული იქნა მთა საქარე, ხახმატის თავი – ჩხერი და თვით ველკეთილისკენ (შატილისკენ გადასასვლელი – დათვის ჯვარი) გასასვლელი ქედი. აქ მტრის შემოსვლის მომენტში მიმდინარეობდა გაღმა (ზემო) ლიქოკიდან ევაკუირებულთა უკანასკნელი ნაკადის პირიქით ხევსურეთისკენ გასვლა, საქონლის გაყვანა. მთაზე გამოჩენილმა რუსის ჯარმა მათ ტყვია დაუშინა. ერთი მათგანი – ადიათ აპარეკა (ლიქოკელი) მოკლეს, ხოლო მეორე – ნუნუათ სუმბატა (ლიქოკელი) ტყვიით დაცხრილული ფარაჯით შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ასევე ძლივს გადარჩნენ ცოცხალი მათთან მყოფი ქალები და ბავშვები.

რკალი პირაქეთ ხევსურეთის ირგვლივ ფაქტობრივად შეიკრა. ეს მოხდა დაახლოებით სექტემბრის ბოლო რიცხვებისთვის.

ლიქოკი-აკუშოს ბრძოლის დროს წითელმა არმიამ ისევ სცადა ავიაციის გამოყენებაც. თვითმფრინავებმა რამდენჯერმე გადაუფრინეს ბრძოლის ველს და ყუმბარებიც ჩამოყარეს, მაგრამ ყოვლად უშედეგოდ. აქ მთაგრეხილთა სიახლოვის გამო შეუძლებელი იყო მიზანში ამოღება და მოხვედრება. აკუშოსთვის ნასროლი პირველი ყუმბარა ჩამოვარდა ბაგიანაში (ორი ხეობით იქით), ხოლო მეორე – ლავრიანში (ქუდნისლას მთის სამხრეთ-დასავლეთის კალთაზე), უდაბურ ადგილებში. ეს იყო უფრო პროპაგანდისტული მანევრი, ვიდრე რეალური საბრძოლო ქმედება. მისი მიზანი ხალხში პანიკის დათესვა და დაშინება იყო და საფუძვლიანიც.

აკუშოს ბრძოლა თავისი შინაარსით და ხასიათით არანაკლებ სისხლიანი და მწვავე იყო ვიდრე პირველი ორი. თავდამსხმელები უფრო აქტიურად და სასტიკად მოქმედებდნენ, თავდამცველები კი – უფრო ზუსტად და თავგანწირულად. ადამიანური მსხვერპლი კვლავ ცალმხრივი იყო. ამოწყვეტილი იქნა ათობით მომხდური. მათგან 12 კაცი (ძირითადად ქართველები) დაასაფლავეს აკუშოს ხატის – „ხთიშობლის" მიდამოებში. დანარჩენი – რუსები საერთო საფლავში ჭალაში. ხევსურთაგან მოკლული იქნა 2 კაცი: ატურათ ბერდია (ს. აკუშოდან) და გიათ გიორგი (ს. აჭედან) ლიქოკელები, ისინიც არა ბრძოლაში, არამედ შემდეგ. ამასთან, უკანასკნელი ავადმყოფი, უიარაღო კაცი და ტყვია დაახალეს დაბნეული, დაულაგებელი სიტყვებისათვის. ცხარე ბრძოლის პროცესში საყევრის ღელეში დაიჭრა მამაცი ვაჟკაცი სოფ. ბარისახოდან, დემოკრატიული საქართველოს ომების (სომხებთან და სხვ.) მონაწილე ბაბაკათ მგელიკა (ჯინჭარაული). მან მძიმე ჭრილობა მიიღო ფეხში, მაგრამ მგელიკა ლიქოკელის ჯადოსნურმა ხელმა მალე განკურნა იგი, თუმცა სამუდამოდ კი დაკოჭლდა[75].

აკუშოს ბრძოლის დამამთავრებელ ეტაპზე ადგილი ჰქონდა ერთ ტრაგიკომიკურ მოვლენას: მაღრანის თავს (აკუშოს გადმოლმა პატარა სოფელია) საქონლის სამწყემსავად გამოსულიყო აქაური ჭკუანაკლული ჭაბუკი – გამახელათ ჭრელა. იგი დაუჭერიათ ჯარისკაცებს და უცდიათ გამოტეხვა, რომ ეთქმევინებინათ, სად იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ჭრელამაც უთხრა, „ქაქუცას აქ რას ეძებთ, ჩაიარეთ ემანდ გორაზე და ჩახედნეთ ბარისახოს – იქ არისო". მათ ჩაუყოლებიათ მითითებულ გორაზე ჭრელა, მართლაც გადასდგომიან ბარისახოს თავზე და მებრძოლთა ჯგუფებიც დაუნახავთ. აქედან ბარისახომდე პირდაპირი ხაზით 1,5 კმ

---

[75] ორიოდე სიტყვა ამ კაცური კაცის საბოლოო ბედის შესახებ. მას მოგვიანებით მოუკვდა დავაჟკაცებული შვილი. ეს მძიმე დარტყმა ველარ აიტანა კომუნისტური, ჩეკისტური დევნისაგან ისედაც განანამებმა კაცმა და ტყვიით მოისწრაფა საკუთარი სიცოცხლე. ალბათ გული იმასაც უგრძნობდა, რომ სულ მალე იგიც 30-იანი წლების რეპრესიების უთუო მსხვერპლი გახდებოდა, ისევე როგორც ბევრი მისი თანამებრძოლი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

თუ იქნება. მათ რაიმე დამატებითი რკვევისა და დაფიქრების გარეშე გაუხსნიათ ტყვიამფრქვევისა და შაშხანის ცეცხლი ბარისახოში მყოფი „მტრისთვის“. იქედანაც, ცხადია, იყო საპასუხო სროლა. ეს „მტერი“ იყო ბარისახოში წინადღეებში შესული და დაბანაკებული ბოლშევიკური რაზმი. ამაზე ბევრს და გულიანად იცინოდნენ ხოლმე ჩვენი უფროსები.

ეს ფაქტი კომუნისტების დაუდევრობისა და უწესრიგობის მინიშნების გარდა იმითაც იმსახურებს ყურადღებას, რომ ამტკიცებს აკუშოს ფრონტზე მებრძოლი ნაწილები და არაგვის ხეობით შესული, ბარისახოში მდგომი შენაერთი სხვადასხვა დანაყოფები და სხვადასხვა გზით მოსული კონტინგენტები იყო და ერთიმეორესთან კავშირიც არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში ამ პერიოდისათვის, ე. ი.. ლიქოკზე თავდამსხმელები მოვიდნენ უკანაფშავით, თიანეთის მხრიდან.

აკუშოს და საერთოდ ლიქოკის დაცვისთვის წარმოებულ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი აბიკა, ლაგაზა, ბათირა, ადუა, გორგა, ბენია, ბორძა, ბერდია, ივანე ლიქოკელებმა (სოფ. აკუშოდან), ბაბო, დათვია (რომელიც არა მარტო აქ, არამედ ხევსურეთის ყველა ბრძოლაში მთავარ და ნამყვან როლს ასრულებდა), მგელა, თათარ, ჩაჩაურ ლიქოკელებმა (სოფ. ქვაბულოდან), გიორგი (ახალას ძე), ბაბუკა, ხოლიგა ლიქოკელებმა (სოფ. აჭედან), ხახონ, ღერენა, მგელა, გიგია ლიქოკელებმა (სოფ. ბაქჩივალოჭალაის სოფლებიდან), უშიშა, ბადა, გიგია ლიქოკელებმა (სოფ. კარნაულთიდან) და სხვებმა, რომლებმაც დაიმსახურეს მათი საამაყო სახელების პატივითა და ღირსებით მოხსენიება, სხვა სახელოვან ხევსურებთან ერთად ჯვარში და ერში გამართულ ტრადიციულ ჯართა შეყრაზე, აი, იმ ჯართა, რომლის შესახებაც ამბობს ძველთაძველი ხევსურული სიმღერა: „ბედიანაიმც დაჯდების ლიქოკ, ლიქოკელთ ჯარზედა, სათავეს უსხენ უფროსნი, აჩქამდებიან ჭკვაზედა, ბოლოში ახალუხლები – ხელი მიუდის ხმალზედა!“

ლიქოკის სევდიან ეპოპეაზე თხრობა გვინდა დავამთავროთ ოდნავ მაინც ოპტიმისტურ ნოტზე. კარატის მთაზე მომხდურდამხვდურის შერკინება რომ გახანგრძლივდა და აღარ აძლევდა

ღლედალამე მოსვენებას თოფ-ზარბაზნის ქუხილი, ჩვენმა ნაცნობმა კოჭლა-ბაბუამ აკრიფა თავისი ყავარჯნები, გადაიკიდა არშავიანი, არად ჩააგდო თავისი ბრძენი ძმის მგელიკას ნათქვამი – „იქ შენ აღარა გესაქმებისავ", – „უნდა ვნახ, იქ რაი ხდების, მეტ გზა არა!" – ჩაიბუჩლუნა და შეუდგა ქვაბულოს აღმართს მგელთბუდისას.

აკუშოს ღელეს რომ მიაღწია, შუადღისას, უცბად ბუჩქებში შემძვრალმა ჯარისკაცებმა სტაცეს ხელი: „შენლა ეკლდი და შენც მოხვედი, მობრძანდი ერთი აქეთ, აბა დაფქვი, სად მიდიხარო!" ასეთ წუთებში დაბნევა არ სჩვეოდა სანაგის[76] შთამომავალს. – „ჯარის უფროსი უნდა ვნახო, დელეგატად ვარ გამოგზავნილი, შერიგებაზეო", – „ეგ თოფი რალააო", – „თოფი პირველმა მე უნდა დავდო, შუღლის შეწყვეტის ნიშნადო"... ჯარისკაცები ჩაფიქრდნენ. სანამ უფროსს იპოვიდნენ ან ამ დავრდომილს მიიყვანდნენ მასთან, ცეცხლოვანმა ქარიშხალმაც გადაიგრიალა კარატის მწვერვალი. ... კოჭლას ანაზდეულ სამშვიდობო ინიციატივას კი მართლაც ჰქონდა შემდეგ საქმიანი გაგრძელება. კოჭლა ბაბუა კი ბრაზიანი სინანულით ჩაილაპარაკებდა ხოლმე ამ ამბის გახსენებისას – „ერთ მამესწვრა მხარზეით ჩემის არშვიანის გადამაგდება ვანახვევდ-ი სად მივიდოდ-ი!"

---

[76] სანაგი, ლიქოკელების ლეგენდარული წინაპარი, რომელიც მუდამ წინ მიუძღოდა ხევსურთა მდევარ, ძლევამოსილ ლაშქარს, როგორც ურჯულოში (მაჰმადიანურ ჩრდილოეთში), ისე ძალმომრე ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლებში ქვეყნის შიგნითაც (მაგ., მუხრანის ველზე).



მუცოს ციხე-სიმაგრე, ჩოლოყაშვილთა ნაფუძარი.



შეფიცულები პარიზში. მეორე რიგში მარცხნიდან:
ელ. ვაჩნაძე, ქ. ჩოლოყაშვილი, ალ. სულხანიშვილი.



ჭაუხი. ხედი ჯუთიდან (ყაზბეგის რაიონი).



ლიქოკის ხეობა




ბარისახო. თავზე ღელედან გასასვლელი ფხიტუსკენ.



გოგოთურ ჭინჭარაულის ოჯახი; პაპის მიერ სამძევლოდ „გამეტებული“ შვილიშვილებით (ალ. სულხანიშვილის მიხედვით).



დათვიას ცოლ-შვილი; მზექალი (გოგოთურ ჭინჭარაულის ქალიშვილი) და სულხანი (სუხა), ცხოვრობს სოფ. ბარისახოში.



ლევან გოგოჭური (მეხარიათ აძია)
მთისა და ბარის მეხიდური.



თომა ბალიაური



ლეგენდარული დასტაქარი მგელიკა ლიქოკელი, 97 წლის.
ფოტო ა. ყამარაულის. 1929 წ.



ბერდიხა წიკლაური. 96 წლის. ამბოხების აქტიური მონაწილე.



ძმანი თათარ და ჩაჩაურ ლიქოკელები. სოფ. ქვაბულო.
ამბოხების აქტიური მონაწილენი.



ამბოხების აქტიური მონაწილე გიგია ლიქოკელი
დასტაქრობის პროცესში.



მიხა ხელაშვილი



მეამბოხე არაბულები:
გიორგით ბეწინა (მარცხნივ) და ბიძურათ გიგია.



იმ ქარიშხლიან წელთა პირმშონი:
პირველ ხევსურ სტუდენტთა ერთი ჯგუფი.
სხედან: მარჯვნიდან ზაქრო და გიგია ლიქოკელები;
დგანან: გიორგი ლიქოკელი და ხვთისო ალუდაური (ორწყლის ბრძოლის უმრწემესი მონაწილე).



კარატის ჯვარი. ჯვარიონთა კვრივში შესვლა.





მამულა ჭინჭარაულის ოჯახი, რომელიც პირველი ჩამოსახლდა შატილიდან ქ. დუშეთში. უკან დგას ბაძია ჭინჭარაული.



ახალი ხევსურები, ამბოხებულთა შთამომავალნი (მარცხნიდან):
დათო ლიქოკელი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი,
გიგია ლიქოკელი — ვაიმარის უნივერსიტეტის სტუდენტი.

## ომის დასასრული, ნარუმატებლობის მიზეზები

სექტემბრის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა პირაქეთა ხევსურეთის სოფლების დაკავება რუსული ნაწილების მიერ. შევიდნენ თითქმის ყველა ძირითად სოფელში. ჯარისკაცთა მცირე ჯგუფები შედიოდნენ ფაქტობრივად დაცარიელებულ სოფლებში. გადაწვის შიშით ხალხი თითქმის აღარ უწევდა წინააღმდეგობას. მხოლოდ ცალკეულ სოფლებში მოხდა შეტაკებები და ჯარისკაცთა დახოცვის შემთხვევები. დამპყრობლებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს სოფ. ბისოს მცხოვრებლებმა. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ 5-ნი ძმანი ჩალხისშვილები (ქეთელაურები).

სოფელს თავს დაესხა წითელი არმიის მსხვილი ერთეული, გადაწვა და ააოხრა იგი. ამ ამბების მომსწრე 80 წლის ბესო გიორგის ძე ქეთელაური (ცხოვრობს დაბა ჟინვალში) იგონებს: თივის ზვინები რომ ინვებოდა, სულ გრიალით სკდებოდა მათში გადამალული თოფ-იარაღი და ვაზნებიო. აქვე აღვნიშნავთ, რომ მომდევნო წლებში პატიმრობიდან თავდახსნის სანაცვლოდ ტუჩა ქეთელაური (ხუთი ძმიდან ერთ-ერთი) აიძულეს დუშეთის მილიციაში დაეწყო მუშაობა. სარწმუნო გადმოცემის მიხედვით, მან აქ მუშაობის დროს სალომე ხელაშვილს ფარულად გამოატანა ვერაგულად მოკლული ძმის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, განთქმული სახალხო მოლექსის მიხა ხელაშვილის ნეშტი, რომელიც დუშეთის საპატიმროს მიდამოებში იყო ჩაფლული.

ალ. სულხანიშვილს თავის მოგონებებში მოხსენიებული აქვს ერთი, ხევსურეთში ნაკლებად ცნობილი ფაქტი. სოფელ აკუშოში, რუსების შესვლის პირველ დღესვე, ყველა მამაკაცი რადგან ბრძოლის ველზე იყო გასული, ერთი ქალი – მზექალა თოფით ჩაუსაფრდა მტერს და 5-6 რუსი მოკლა. ბოლოს თვითონაც აქვე დაიღუპაო[77]-ო. გულდასმით კვლევის შედეგად დადგინდა, რომ

---

[77] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. ცისკარი, 3, 1990, გვ. 139.

აკუშოში ასეთი ამბავი არ მომხდარა. ვერ მოხდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ როცა მტერი შევიდა აკუშოში, სოფელი უკვე გადამწვარი იყო; მეორეც, ამ ომში დალუპულთაგან აკუშელი ქალი არავინ ყოფილა. მთელ ომში მოკლული იქნა მხოლოდ 1 ქალი, სოფ. ბაქჩვილოში, მზექალა ლიქოკელი. მისი მოქმედების შესახებ ნაკლები ინფორმაცია და გაუხმაურებლობა კი გასაგებია. კაცის კვლა – ხევსურული ეთიკის მიხედვით, არ არის დიაცის საქმე. ეს მას სახელად კი არა, ცოდვად ჩაეთვლებოდა. მეორე მხრივ, ამით ჩრდილი და სირცხვილი ეყრებათ იქაურ ვაჟკაცებს, რად გაიხადეს თავი დიაცთა საპატრონოდ. ასე უნდა აიხსნას ფაქტი ამ საგანზე სიჩუმისა; თუმცა კი მაინც გვეუბნება ძველი ხევსურული ლექსი –

„შინ არ ას ხახმატელები,
მარტო ომობდა ქალია"-ო.

მტერმა დაიჭირა მთელი პირაქეთა ხევსურეთი; დაერივნენ დაცარიელებულ სახლ-კარს, მიჰქონდათ, ანადგურებდნენ, რაც ხელთ მოხვდებოდათ, პირველ რიგში სურსათ-სანოვაგე, იარაღი, ვერცხლის ნივთები, ტანისამოსი, ქვეშსაგებ-ზედსახური და ა. შ. საქონელს კლავდნენ და ადგილზევე ჭამდნენ. მაგალითად, სოფ. ქვაბულოში მიწიდან ამოიღეს და შეჭამეს მთელი კარტოფილი; გახარჯეს, თან წაიღეს; რასაც ვერ მოერივნენ ადგილზე მოსპეს ერბო, ყველი (დახეთქეს ერბოთი სავსე კასრები) და ა. შ. მთელი მხარე მოაოხრეს, მოწინააღმდეგე კი – მოლაშქრენი არსად ჩანდნენ. ისინი ბრძოლაში არ დაუმარცხებიათ, მით უმეტეს, არ გაუნადგურებიათ და თავს დამარცხებულად არც თვლიდნენ. მებრძოლი ცოცხალი ძალა კვლავ სახეზე იყო და შეეძლო ბრძოლის განახლება; აკავებდათ მხოლოდ ის, რომ კომუნისტები საარსებო პირობებს ანადგურებდნენ და თვით სიცოცხლის შემდგომი გაგრძელების საშიშროებას ქმნიდნენ ამ მიწაზე. ამით აიძულებდნენ ხევსურებს ხელი აეღოთ შემდგომ ბრძოლაზე. თავის მხრივ თავდამცველები, როგორც ბრძოლაში დაუმარცხებელნი, დაზავებას, ბრძოლის შეწყვეტას თანასწორ საწყისებზე ვარაუდობდნენ. ომში მიყენებული ზარალის არანაირი გამოანგარიშება-შეწონას-

ნორება არ მოხერხდებოდა. ხევსურთა მატერიალური ზარალი ალურიცხავ-აუნაზღაურებელი იყო. მთელი ხალხი დატოვებული იყო ულუკმაპუროდ. მოსავალი ფაქტობრივად აუღებელი დარჩა. არ იქნა დამზადებული საქონლის საკვები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ხევსურეთისთვის მიყენებული ზიანის ისეთ სახეზე, როგორიცაა ადამიანთა საცხოვრისის გადაწვა (აბსოლუტური განადგურება). ეს არის საერთოდ ხალხის დასჯის (ბავშვების, ქალების, მოხუცების და ა. შ.) უსასტიკესი ფორმა. ამ ომში მთლიანად დაწვეს ხევსურეთის 5 სოფელი: ბუჩუკურთა, უკანახო, აკუშო, ბისო და ხადუ. ეს გაკეთდა ფაქტობრივად დაცარიელებული (მოსახლეობა უკვე გარიდებული იყო) სოფლების მიმართ. ბუჩუკურთაში, როცა სახლში დარჩენილი დავრდომილი ადამიანი ცოცხლად დაწვეს, აქცია წინასწარ მოფიქრებული, სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. ამას ადასტურებს დასაწვავ ობიექტთა შერჩევის გეოგრაფია. ხევსურეთის თითქმის ყველა თემში (ცალკეულ რაიონში) დაიწვა თითო სოფელი. ჩირდ-ილ-ბუჩუკურთის თემში – ბუჩუკურთა, ლიქოკის – აკუშო, ბისო-ხახმატის – ბისო, გორშელმის – ხადუ, უკანახო-საბერნის – უკანახო.

ომების ისტორიაში გაუგონარი, ველური მეთოდი ბოლშევიკებმა გამოიგონეს ხევსურეთის სპეციფიკური პირობების შესაბამისად. პარტიზანული წესით, დიდი უპირატესობით მებრძოლ მოლაშქრეთა შესაჩერებლად მათი და საერთოდ ხალხის დასათრგუნავად, შესაშინებლად მიმართეს მათი და მათიანების საარსებო პირობების მოსპობას. უსახლკაროდ, ქონების გარეშე დარჩენილ ადამიანებს წასასვლელი არსაით ჰქონდათ, ადგილზეც ვერავინ დაეხმარებოდათ. ეს იყო ბრძოლაში ფაქტობრივად გამარჯვებულ მოწინააღმდეგეზე დამთრგუნველი ზეგავლენის მოხდენის ყველაზე ნაღდი საშუალება. გამარჯვებულს ძალაუნებურად უნდა დაედო იარაღი.

ამავე დროს, ეს იყო შურისძიების, მარცხით გაბოროტებული ადამიანების მიერ ჯავრის ამოყრის გულდასაჯერებელი ფორმა. ამიტომაც ასე ნებიერად და უყოყმანოდ მიმართეს მას ბოლშევიკებმა.

ცოცხალი დანაკლისი რუსების მხრიდან მრავალი ასეული ჯარისკაცი იყო, თუმცა ისინი ამას არაფრად თვლიდნენ და ზუსტად არც ვინმეს დაუანგარიშებია მათი რაოდენობა. მათგან თვით დამარხვაზეც არავის უზრუნვია. დახოცილებს მარხავდა ადგილობრივი მოსახლეობა ომის დამთავრების შემდეგ. მათთვის მთავარი იყო ქვეყნის, ტერიტორიის დაპყრობა, დამორჩილება და რუსეთთან მიერთება. რუსი მამაკაცის უმთავრეს დანიშნულებად ჯარისკაცობა ითვლებოდა, მოვალეობად – დაპყრობა და სიკვდილი. დაიპყრო, თუმცა მოკვდა, მაშასადამე თავისი დანიშნულება შესრულა, საფიქრალი და სადარდებელიც არაფერია. ქართველი კაცისათვის – ხევსურისათვის კი უპირველესი თვით ადამიანია, მისი სიცოცხლე.

დედამიწის ამ პატარა ტერიტორიაზე, მთა-გორებზე და მდინარეთა ხეობებში თითქმის ორი თვის მანძილზე მძვინვარე ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობდა, მაგრამ ცოცხალი დანაკლისი ხევსურთათვის მინიმალური იყო. მათი დამხმარე ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმიც ისე გავიდა ბრძოლებიდან, რომ კაცი არ დაჰკლებია. სულ ამ ომის დროს ხევსურთაგან დაიღუპა 13 კაცი. ესენი არიან, ლიქოკელები: აპარეკა ადიას ძე, მგელა ბიენას ძე, ბერდია აჭურას ძე, გიორგი გიას ძე, მზექალა გიგოს-ასული (ბაქნვ. ქალი), არაბულები: სამუკა ყულას ძე, ხვთისო გიგიას ძე (დათვ.) ბეჟიტა მიხეილის ძე (უკან ხადუ), ბაბუა გიორგის ძე (ჩირდ.), ჭინჭარაულები: გიგია თოთიას ძე (უკანახო), ბერდია უშიშას ძე (შატილი), გოგოჭური გაგა თარხანას ძე (ბუჩუკ.), ბურდული ძაღლიკა კაგას ძე (ქმოსტი).

ხევსურთა მორალი – მთავარი ღირებულება – ადამიანი! მოქმედებდა ამ უსასტიკეს და მათ მიმართ უკიდურესად უსამართლო ჟამსაც. თუ ვინმე ნებით დანებდებოდა, მაშინვე შეივრდომებდნენ და მალე რაიმე სასყიდლისა და სასჯელის გარეშეც ათავისუფლებდნენ. დათვისელი გოგალი არაბული (ამჟამად ახმეტის რაიონში მცხოვრები) იგონებს ერთი ქართველი კაცის (გვარ-სახელი ველარ გაიხსენა) ნაამბობს: აკუშოს ჭალაში ბრძოლის დროს ჩვენს ირგვლივ მყოფი ყველა რომ ამოხოცეს ხევსურებმა, ჩვენ 6-მა ქართველმა კაცმა ხელები ავწიეთ და ხევსურებთან მივედით.

მათ რომ გაიგეს ჩვენი ქართველობა, გაოცებულები დარჩნენ. არ ეგონათ თუ რუსების გარდა სხვაც ვინმე ეომებოდათ. რამდენიმე დღის შემდეგ გვითხრეს, „თქვე კაი ხალხო, რაღა ჩვენ დასახოცად მოდიოდით აქო ან რაზე გვეხოცინებოდით, არ გერჩივნათ სამკალში საშველად წამოსულიყავითო? წაგვიყვანეს სოფ. მაწმაოში (იქაურები ყოფილიყვნენ) – ორი კვირა გვიშველიეს მკაში, ყანები ჩაუდიოდათ[78] და ძალიან სწუხდნენ; კარგადაც გვასმევ-გვაჭმევდნენ, არცა გვყარაულობდნენ, სტუმრებივით ვყავდით, ორი კვირის შემდეგ კი თავთავიანთ სახლებში გაგვიშვესო".

სხვათაშორის, ხევსურებისთვის წესად არ იყო ძლეულის ტყვედ წამოყვანა. ისინი ბრძოლაში მტერს კლავდნენ, ცოცხლად გადარჩენილებს კი იქვე ათავისუფლებდნენ. სხვის რჯულისას (არაქრისტიანს) სახლში როგორ მიიყვანდნენ?! ასევე იყო მოკლული მტრისთვის მკლავის მოჭრის შემთხვევაში; ამას ხევსური არ აკეთებდა, არ კადრულობდა. ეს მიაჩნდათ იმათ მიერ დანესებულად, ვისაც თავისი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად ნივთმტკიცება უნდა ეჩვენებინა თანამემამულეთათვის. ნამდვილ სახელოვან ვაჟს (კაი ყმას) ეს არ სჭირდებოდა. მისთვის მთავარი იყო მტრის ძლევა და არა ამ ფაქტის გახმოვანება. ამას ადასტურებს ფართოდ ცნობილი ძველი ხევსურული მაღალმხატვრული კაფიაც ნასკვაურისძეზე:

„... ჩაუგმობს, ჩაეუბნების ნასკვაურისძე სალარსა,
რა ფეხთ უხირებ ტიალო, გულს მე ჩაგიდებ მაგარსა,
ჩაგკიდებ ბექ-ბუქიანსა, ჩაგატანიებ ნალარსა..."

ურჟულოში კი იგი

„მტერს მახკლავს, ხელს კი არას სჭრის –
ხევსურის წესი არ არსა!"

ფრიად დასანანია, როცა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკნი ზოგჯერ საქმის ნამდვილ არსში ვერ ერკვევიან და ნებით თუ უნებლიედ ამახინჯებენ პრინციპული მნიშვნელობის დეტალებს; მცოდნეთა კონსულტაციებს კი არ დაგიდევენ, ამით

---

[78] ყანის ჩასვლა (ჩახდომა) – გადამწიფების გამო თავთავის ჩაშლა.

თავიანთ ნამოღვაწარს ნამდვილ ღირსებასა და დანიშნულებასაც უმცირებენ.

რუს-ბოლშევიკ-ჩეკისტთა ლაშქარმა რისი განადგურებაც შეიძლებოდა გაანადგურა, რისი გაძარცვაც შეიძლებოდა გაძარცვა, ხალხი კი, ჯავრი რომ ეყარა, ვერ იგდო ხელთ, ეს საქმე შემდგომისთვის გადადო და დაიწყო სოფლებისა და თემების წარმომადგენელთა დაბარება შერიგებაზე მოსალაპარაკებლად. ხევსურთა მხრივ შერიგების მთავარი პირობა და არსი იყო სისხლისღვრის შეწყვეტა და ხალხისთვის საშუალების მიცემა გადარჩენილი მოსავლის აღება-დაბინავებაზე. არმიის სარდლობა მოითხოვდა ყოველგვარი იარაღის ჩაბარებას. წინ მითითებული ლექსის სათანადო ტაეპი ამბობდა: „... განრისხებულ მთავრობამა გამაგზავნა ლაშქარიო, ჩამაართვით ხევსურებსა თოფი, ხმალი, ხანჯარიო" და ჰპირდებოდა „პატიებას". ეს იყო წმინდა ბოლშევიკური ლოგიკა: მოვალ, გაგანადგურებ, დაგიმორჩილებ და თუ ხელის შემობრუნება მაინც გაბედე, მე დიდსულოვანი ვარ, გაპატიებ.

ხევსურეთის მოსახლეობამ მტკიცედ შეკრა პირი – მორჩილებაზე არავითარი თანხმობა; არ უნდა იყოს: არავითარი გადასახადები, კერძო საკუთრების გაუქმება, კოოპერატივ-კოლექტივის დაარსება, განკულაკება და ა. შ. ხალხმა უნდა იცხოვრობს ძველებური, ტრადიციული წესებით. ხალხი გრძნობდა, თუ მტკიცედ დადგებოდნენ მოძალადე ვერაფერს გახდებოდა, ჯარს მუდმივად ხომ არ ჩააყენებდნენ ამ გადაკარგულ მხარეში, მით უმეტეს ზამთარში, როცა ადგილობრივებსაც კი უჭირთ უახლოეს მეზობელთან მისვლა და ყოფაცხოვრებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

შერიგების ცერემონიალი ჩატარდა სოფ. ბარისახოში, ე. წ. „კანცელარიის" შენობაში. ხევსურთა მხრიდან მთავარი შუაკაცი (პარლამენტარი) იყო მამუკა ხთისიას ძე არაბული (ს. ჩირდილიდან). თითო სოფლიდან ჩავიდა 2-3 წარმომადგენელი, რომლებმაც ჩაიტანეს ბოლშევიკების მიერ მოთხოვნილი „იარაღი". ჩვენი სოფლიდან, როშკიდან – იგონებს ბერდიხა წიკლაური, – მამაჩემი ვეშაგური და ბერდიულთ ივანე გააგზავნეს. იარაღიც სოფელმა იმათ გაატანა. „აი, ძველ-უმადლო თოფეებ რაიმ ნაიღეს, გამასადეგს აბა ვინ მისცემდა". შერიგებისას მათთვის შეეთავაზებინათ საო-

ჯახო ნივთებიც: გუდანურები (ცხვრის ტყავის დასახურავი – საბანი), ტანისამოსი და სხვ. ყველაფერი ეს ხევსურეთის სოფლებიდან ნაძარცვი იყო და ხელი არავინ მოჰკიდა.

შერიგების პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ გამოცდილი და უნარიანი ხალხი, ჯარში ნამსახურები, წერა-კითხვის მცოდნეები გამოევლინათ და თავიანთ სამსახურში – ადგილობრივ საბჭოში, მილიციაში და ა. შ. ჩაებათ. ვარაუდობდნენ ამ გზით ბრძოლის მოთავეებსაც მიაგნებდნენ, მაგრამ ხალხი არ გაბრიყვდა, ახლოსაც არ გაიკარეს რაიმე საბჭოური სამსახური.

ხევსურებმა თავისი გაიტანეს. აქ მრავალი წლის მანძილზე ფაქტობრივად ხალხი ხელისუფლების გარეშე ცხოვრობდა. არავის აძლევდა თავის შინაურ საქმეებში ჩარევის ნებას. დაწესებული იქნა მხოლოდ ადგილობრივი საბჭო ერთი-ორი მუშაკით: თავმჯდომარე და მწერალი (მდივანი). თემებიდან ჰყავდათ ე. წ. საბჭოს წევრები. ამასთან ყველაფერი ფორმალურად, ქაღალდზე. სულ მალე ხელისუფლების ეს ორგანოც მოსპეს. საბჭოს შენობა გადაწვეს, ხოლო მუშაკები გაყარეს იქიდან. იყო მხოლოდ მილიციის პოსტი, რომელსაც ხალხი სათოფეზე არ ეკარებოდა და არც თავის საქმეებს აკარებდა. აქ ძველებური, პატრიარქალური „რჯული" განაგებდა ყველაფერს. მხოლოდ 50-იანი წლებიდან დაიწყეს ხევსურეთში საბჭოთა სტრუქტურების ამოქმედება. ამას ორგანიზებული მიგრაცია მოაყოლეს და ხევსურეთსაც თანდათან მოუღეს ბოლო. ხოლო მანამდე, 1922 წლის ომის მომდევნო წლებში ბოლშევიკურმა ჩეკამ თანდათანობით დაადგინა, ეტყობა, ძირითადად აგენტურის მეშვეობით, ამ ომის აქტივისტები და რუსიფიკაციის მოწინააღმდეგენი და თანდათანობით აკრიფა ისინი. 1936-1937 წლებში კი ძველი ანგარიშების გახსენებით ახალი წმენდა, ჩეკისტური პროვოკაციებით ისეთი მასშტაბის რეპრესიები განახორციელეს ხევსურეთში, რომ თითქმის არ დატოვეს არავინ აქტიური ასაკისა და საქმის გაკეთების უნარის მქონე დატუსაღების გარეშე, საიდანაც აღარავინ მოსულა. მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია და აქ არ შევჩერდებით მასზე.

დამთავრდა ხევსურეთის კამპანია. სექტემბრის ბოლოსათვის

რუსები და მათი ქართველი მარიონეტები ამ გადაბუგული და ნაგვემი მიწიდან გაიკრიფნენ.

ხევსურეთის 1922 წლის ომი დამთავრდა. დამთავრდა იგი ხევსურებისთვის წარუმატებლად, თუმცა ისინი თავს დამარცხებულად არ სთვლიდნენ. ამ ომში მარცხის, შედეგების და საერთოდ მისი მნიშვნელობის შესახებ ცალკე, მარტო ხევსურეთის მასშტაბით მსჯელობა სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ მოგვცემს, ამიტომ არ მიგვაჩნია იგი მიზანშეწონილად. ეს ომი მარტო ხევსურეთის მოვლენა არ იყო თავისი მიზეზებით, მიზნებით, არსით, მიმდინარეობის ფორმებით და შედეგებითაც. იგი საერთო ეროვნულის, მთლიანად ქართული პრობლემის შემადგენელი ნაწილი იყო და ამიტომ ქვეყნის საერთო სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა, იმ პერიოდში აქ მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

ჩვენი გამოკვლევის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ 1922 წლის გაზაფხულზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად თბილისში შეიქმნა ხელმძღვანელი პოლიტიკური (დამკომი) და სამხედრო (სამხედრო ცენტრი, შემდეგ კომისია) ხელმძღვანელი ორგანოები. ამ ორგანოებმა დაგეგმეს და შემდეგ შეუდგნენ ბოლშევიკური რუსეთის ქვეშევრდომობისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი, საწყისი პუნქტი იყო 1922 წლის ზაფხულში ეროვნული აჯანყების დაწყება ხევსურეთის გამოსვლით, ქვეყანაში მოქმედი ყველაზე რეალური სამხედრო-პოლიტიკური ძალის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელობით. როგორც უკვე ვიცით, მთელი ეს ნაშრომი ამ ჩანაფიქრის განხორციელებისთვის წარმოებული მოქმედების აღწერა-გაანალიზების ცდაა.

ამბავთა სიღრმეში ჩახედვამ გვიჩვენა, რომ 1922 წელს ვერ განხორციელდა საერთო ეროვნული აჯანყება. იგი მხოლოდ დაიწყო, მოხდა ხევსურეთის ომი, მას შემდგომი გაგრძელება, წარმატებით დაწყებული საქმის კეთილად დაგვირგვინება არ მოჰყოლია. რადგან ასეთი განწირული აქციის საბოლოო შედეგი

თავიდანვე მისახვედრი იყო, მასზე პასუხისმგებელმა ცენტრალურმა ძალებმა და პირებმა ოპერაციის შუა პერიოდში იწყეს მათთვის ჩვეული მანევრირება, ბრალეულობიდან „გამოძრომა" და მისი სხვებისთვის გადაბრალება. ამ მოვლენებისა და მოქმედებათა რკვევამ ნათელი გახადა საერთო აჯანყების ვერგანხორციელების, ხევსურეთის მარცხის და მართალ-მტყუანის მიზეზები და რეალური ვითარება.

აღნიშნული სამხედრო-პოლიტიკური აქციების მონაწილენი და მომსწრენი: ალ. სულხანიშვილი, ს. ზალდასტანიშვილი, შ. ამირეჯიბი, ალ. ასათიანი და სხვანი აღიარებენ, რომ მიუხედავად საქართველოში მოქმედი იმ პერიოდის ყველა პატრიოტული პოლიტიკური ძალის სურვილისა ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, არ იყო ერთიანობა ამ მოღვაწეობაში. ვერ იქნა მიღწეული ერთსულოვნება მებრძოლ ძალთა და ბრძოლის კონკრეტული გზების არჩევა-დაფასებაში. ამ ურთულეს ვითარებაშიც იჩინა თავი ქართველების მთავარმა სენმა – პარტიულ-ჯგუფობრივმა დაპირისპირებამ, კარიერიზმმა, კუთხურობამ და პირადმა ეგოიზმმა.

მიუხედავად იმისა, რომ დამკომი შექმნილი იყო 5 პარტიის წარმომადგენლებისაგან, მასში, ისევე, როგორც საერთოდ ერის ცხოვრებაში, წამყვან როლს ასრულებდნენ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები. თავმჯდომარის მოვალეობას ყოველთვის მენშევიკები ასრულებდნენ. მასთან ჩამოყალიბებული სამხედრო ცენტრი კი ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიული ორიენტაციისა იყო. პოლიტიკური კრიზისის კულმინაციის მომენტში, 1922 წლის ზაფხულში, როცა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი წითელი არმიის ნაწილების შტაბის უფროსად სამხედრო ცენტრის წევრი პოლკ. რ. მუსხელიშვილი დანიშნეს, სამხედრო ცენტრმა მოითხოვა სამხედრო ოპერაციებისადმი ხელმძღვანელობა დამკომს გადასცემოდა, რაც არ მიიღო მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ. ასეთი ვითარება, გაუპიროვნება, ორჭოფობა მეტად საშური დროის და მასთან ერთად ინიციატივის დაკარგვასაც იწვევდა. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ეს იქცა აჯანყების მთელი საქართველოს მასშტაბით

მონყობის დაბრკოლებად და დაწყებული ბრძოლის უშედეგოდ დამთავრების მიზეზად. ეს ერთნაირად ეხება 1922-1924 წლების ორივე აჯანყებას.

დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული პუბლიკაციების მიხედვით და სხვა დოკუმენტური მასალებითაც, კომუნისტური ოკუპაციის შემდეგ საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ინიციატივა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელში იყო. „... ამ დიდს დარაზმულობას ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ჩაუყარა საფუძველი და ის ბოლომდე მისი ფაქტიური ხელმძღვანელობით სწარმოებდა..."[79], სწერდა ალ. ასათიანი ამ პოლიტიკური მოძრაობის შესახებ. ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმი ამ პარტიის მებრძოლ რაზმად ითვლებოდა. კონტაქტებს და რეკომენდაციებს რაზმთან ძირითადად მისი წარმომადგენლები ახორციელებდნენ. ეს კი, ჩანს ყველაფრიდან, არ მოსწონდათ მენშევიკებს და ხშირად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდნენ საერთოდ რაზმის და მისი ცალკეული მოქმედებების მიმართ.

ახასიათებდა რა ბოლშევიკების პოზიციას პარტიზანული რაზმის კონტრრევოლუციურ-მემამულურ ძალად გამოცხადებას, იგივე ალ. ასათიანი მიუთითებდა – „სამწუხაროდ, ასეთ ანკესს ზოგიერთი მენშევიკური წრეებიც წამოეგნენ და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ დაწყებულს ბრძოლას პირველ ხანებში მათაც ასეთი დაფასება მისცეს"[80]. ამ აღიარების განსჯისას ანგარიშგასაწევია ის, რომ ამას ამბობს და აქვეყნებს კაცი პარიზში 1930 წელს, მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის – არსებითად, მენშევიკური მთავრობის იქ ყოფნის პირობებში.

იმ პერიოდის პოლიტიკური ვითარების ამავე ნიშნებზე მიუთითებდა პოლკ. ს. ზალდასტანიშვილიც აგრეთვე 30-იან წლებში, როდესაც აანალიზებდა დუშეთ-ხევსურეთის აჯანყებას: „... როცა რუსის ძალები საქართველოში სუსტი იყო, სოც.-დემოკ. პარტიამ გადასწყვიტა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიეღო, იმ დროს, როცა „დამკომიც" და „სამხედრო ცენტრიც" უკვე ჩართული იყო

---

[79] ალექსანდრე ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[80] იქვე, გვ. 34.

ამ მოძრაობაში, ეროვნ. დემოკ. პარტია კი ძალას ატანდა „დამკომსაც" და „სამხედრო ცენტრსაც", რომ მათ აჯანყებაში მონაწილეობა მიეღოთ"[81].

ბევრ საგულისხმო არგუმენტს შეიცავს ამ საკითხეზე პარიტეტული კომიტეტის საქმეების საგამოძიებო მასალები. მათში, დაპატიმრებული პატრიოტების აღიარებათა საფუძველზე, პირდაპირ მითითებულია, რომ მენშევიკებს არ უნდოდათ ეროვნული მოძრაობის გამარჯვება ეროვნული დემოკრატების პარტიის ჰეგემონიით, რადგან პირველნი დაკარგავდნენ მთავრობის შექმნის პერსპექტივას.

ამ მასალების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, ვიგებთ, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას მენშევიკური პარტიის უთაურობითა და შეცდომებით ხსნიდნენ. მეორე ის არის, რომ დაპატიმრებული პატრიოტები აღიარებენ: შეიარაღებული გამოსვლების იდეა დაიბადა აქ, საქართველოში და არა საზღვარგარეთულ ემიგრაციაში (რისი დამტკიცებაც სურდა გამოძიებას). შემდგომი და, ყველაზე მნიშვნელოვანი, არის ინფორმაცია 1922 წლის მარტში გამართული სამხედრო სპეციალისტების თათბირის შესახებ, რომელიც მოიწვია მენშევიკური პარტიის წარმომადგენელმა გოგიტა ფაღავამ (პარიტეტ. კომიტეტის – იგივე დამკომის თავმჯდომარე) და რომელმაც შეიმუშავა 3 პუნქტიანი აჯანყების პირობები. „... ყველა ეს ცხადათ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პარიტეტული კომიტეტის მიზანი იყო არა მარტო „ურთიერთ ინფორმაცია, როგორც ამას ამტკიცებს ქარცივაძე, არამედ შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

აქვე ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ნათქვამია: „ეს უკანასკნელი ეროვნული-დემოკრატების ცეკას ხელმძღვანელობით მთელი ძალღონით აგროვებდა საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ოფიცრობას და ადგენდა აჯანყებულებთა კადრებს"[82]-ო.

---

[81] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

[82] საქმე, გვ. 14.

დაკითხვაზე მენშევიკური პარტიის წარმომადგენელმა ქარცივაძემ განაცხადა, რომ ხევსურეთის ამბების გართულებასთან დაკავშირებით სექტემბრის პირველ რიცხვებში მოვიწვიეთ თათბირი, სადაც ჩოლოყაშვილის მოქმედება ჩავთვალეთ ავანტიურადო[83].

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, გამოძიების მასალებში ნათქვამია: „უკვე პირველ თათბირზე გამოირკვა, რომ პარტიები, მიუხედავად იმისა, რომ ისწრაფვოდნენ შეერთებული მოქმედებისაკენ, ერთმანეთს არ ენდობოდნენ და არა ჩქარობდნენ მოეწოდებინათ ცნობები მათ განკარგულებაში არსებული ძალების შესახებ. ამ გარემოებამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ მიუხედავად სამხედრო ცენტრის შექმნისა, მენშევიკების და ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციები განაგრძობდნენ მუშაობას ცალ-ცალკე თავთავიანთი ცეკას დირექტივების მიხედვით"[84].

პოლკოვნიკ რ. მუსხელიშვილის ჩვენების ირგვლივ კი ნათქვამია, რომ ისინი ამტკიცებენ ხევსურეთის ამბებსა და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ქართული პარტიების სამხედრო მუშაობას შორის უეჭველ კავშირს. მაგალითად, 1922 წლის მაისიდან სამხედრო ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო „ჩოლოყაშვილის მოძრაობის მომზადება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრმა დავით ვაჩნაძემ გაუგზავნა ჩოლოყაშვილს 1) სადირექტივო წერილი და 2) „ბრძანება № 1". როგორც ამ მასალებშია აღნიშნული, ამ ბრძანებას საფუძვლად დაედო რ. მუსხელიშვილის მიერ შედგენილი ოპერატიული გეგმა[85].

მენშევიკების ხელმძღვანელობამ, როგორც ნათქვამი იყო, თავიდან ნება არ დართო დუშეთის მიდამოებში დისლოცირებულ რაზმებს მ. ლაშქარაშვილის და ს. ბაგრატიონ-მუხრანელის მეთაურობით დახმარებოდნენ ხევსურებსა და ჩოლოყაშვილის მებრძოლებს,

---

[83] იქვე, გვ. 15-16.
[84] იქვე, გვ. 16.
[85] იქვე, გვ. 17.

ხოლო, როცა მათმა წარმომადგენელმა ნ. ზანდუკელმა დუშეთში ცეკას წევრის ი. ცინცაძის დავალებით განუცხადა რ. მუსხელიშვილს 2 რაზმი მზადყოფნაშია და თქვენს განკარგულებას ელისო, ამ უკანასკნელმა თავშეკავება ურჩია, რადგან უკვე დაგვიანებულია და მათი გაგზავნა დამღუპველი იქნებაო. რ. მუსხელიშვილმა დროულად ვერ გაატარა ყველა ზომა, შემდეგ კი ველარ გარისკა დამატებითი ძალების ჩაბმა აჯანყებულთა მხარეზე ან ველარ მოახერხა ეს ფიზიკურად, ერთდროულად ორი საპირისპირო მისიის ალების გამო და სამხედრო ცენტრმაც გადაწყვიტა შეეჩერებინათ ჩოლოყაშვილის გამოსვლა და შემდეგ ავანტიურადაც ჩაეთვალა იგი. და ეს მაშინ, როცა ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა და მარცხით მთავრდებოდა.

საგამოძიებო კომისიის დასკვნით: „... სამხედრო ცენტრის მეორე სხდომამ გამოააშკარავა, რომ პარტიებმა ვერ შეძლეს დროზე მოეხდინათ ძალების მობილიზაცია ჩოლოყაშვილის დასახმარებლად..."[86].

გამოძიების მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში 1921-1924 წლებში მოლვაწე ეროვნული პარტიები, ძირითადად კი ორი წამყვანი – სოციალ-დემოკრატიული, როგორც თვითონ უწოდებდნენ თავს მენშევიკები და ეროვნულ-დემოკრატიული თავიანთ საკუთარ, ჯგუფურ ინტერესებს საერთო ეროვნულ-გლობალურ ამოცანებზე მაღლა აყენებდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ თვითონ ყოფილიყვნენ ეროვნული მოძრაობის ჰეგემონი, რათა, გამარჯვების შემთხვევაში, პოლიტიკური ძალაუფლება არ გაეშვათ ხელიდან. მენშევიკური პარტიის ერთ-ერთმა დაპატიმრებულმა წევრმა – მიხეილ გძელიევმა დაკითხვაზე განაცხადა: სექტემბრის თვეში გოგიტა ფალავამ და იოსებ ცინცაძემ (მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელები) გამგზავნეს ხევსურეთში დავალებით – წამერთმია ინიციატივა ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის, მე ჩავდგომოდი იქ მოძრაობას სათავეში და უნდა დამეარსებინა „ხევსურეთის განთავისუფლების კომიტეტიო"[87]. ეს ალიარება

---

[86] იქვე, გვ. 19.

[87] იქვე, გვ. 53.

გვიჩვენებს, თუ რამდენად შორს იდგნენ იმ დროს მენშევიკები საქმის რეალური მდგომარეობისა და სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობისაგან. დავალების შესრულების ხარისხიც შესაფერი ყოფილა: გძელიევი ავიდა ს. გომბორში (ხევსურეთში გაგზავნილი კაცი!) და მრავალ დღეს უცდიდა ქაქუცასთან შეხვედრას.

ეროვნული დემოკრატებისაგან (დ. ვაჩნაძე) ქ. ჩოლოყაშვილისათვის მოხსენიებული სადირექტივო წერილის ხევსურეთში მიწერის ერთ-ერთ მოტივად გამოძიების მიერ მიჩნეულია „... ნაციონალ-დემოკრატების სურვილი ეთამაშნათ გამოსვლის საქმეში მთავარი როლი და არ მიეცათ მენშევიკებისათვის საშუალება ხელში ჩაეგდოთ საქართველოში ძალაუფლება"[88].

რაც უნდა ტენდენციური და გამიზნულის ანარეკლის მატარებელი იყოს კომუნისტ ფუნქციონერთა თვალსაზრისი, მათი საყრდენი მასალა დაპატიმრებულთა აღიარების ფაქტებია და ამდენად, მათი საშუალებით, შეიძლება ჭეშმარიტების დადგენა.

მაშ ასე, ახლა წარმოდგენილი დოკუმენტური მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ხევსურეთის 1922 წლის ზაფხულის ომის წარუმატებლობის მიზეზების შესახებ.

მარცხის პირველი და უმთავრესი მიზეზი იყო ეროვნული პოლიტიკური პარტიების შეუთანხმებლობა, მათი ჯგუფური, კერძო-პარტიული ინტერესების საერთო ეროვნულზე, გლობალურ მიზნებზე წინ დაყენება. მათ, მართალია, ადრევე ჩამოაყალიბეს ეროვნული ინტერესების გამაერთიანებელი პოლიტიკური და სამხედრო ორგანოები – დამკომი და სამხედრო ცენტრი, მაგრამ ისეთი სტრუქტურით, რომელიც მათი ნამდვილი დანიშნულების შესრულების შესაძლებლობას არ იძლეოდა, იქ სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა მუდმივი ქიშპობისა და დაპირისპირების გამო. ქვეყანაში არ აღმოჩნდა ფაქტობრივი ძალა, რომელიც გააერთიანებდა ყველა ბრძოლისუნარიან ელემენტს ეროვნულ-განმათავისუფლებელი

[88] საქმე, გვ. 52.

ბრძოლის პირველ ეტაპზე მაინც, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. მაშინდელი საქართველო მოუმწიფებელი აღმოჩნდა დემოკრატიული თანასწორობის, მრავალფენიანობის, ოპოზიციურობის, მთავრისა და საერთოსადმი ლოკალურის დაქვემდებარების განხორციელებისათვის. მათმა ქიშპობამ რეალურად მებრძოლი ძალებიც გათიშა და დაასუსტა. სრულად მზად მყოფი რაზმებიც კი არ გაუშვეს მტერთან საბრძოლველად.

აღნიშნულ პარტიათა ხელისუფლებისაკენ სეპარატიულ-კარიერისტულ მისწრაფებათა გარდა გამოვლინდა ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სხვა მანკიერებანიც: კუთხურობა, ავანტიურიზმი, პოლიტიკური სიბეცე და სხვ.

ამ დროისათვის ხალხის თვალში საკმაოდ სახელგატეხილმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დაბრკოლებები შეექმნათ ეროვნული დემოკრატებისათვის, რომლებიც სინამდვილეში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ინიციატორები იყვნენ ამ ეტაპზე.

მოძრაობას არ ჰყავდა ერთი, მტკიცედ ორგანიზებული ცენტრი, ძლიერი ლიდერით სათავეში, რომელიც სწორ, ოპერატიულ და თანამიმდევრულ ხელმძღვანელობას გაუწევდა მთელი ერის საერთო ბრძოლას ძლიერი და ცბიერი მტრის წინააღმდეგ, რომლის დირექტივები ერთნაირად სავალდებულო იქნებოდა ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის, ჯგუფის, საბრძოლო რაზმისათვის და ა. შ. ს. ზალდასტანიშვილის სიტყვით „... მეთაურთა შორის არავინ გამოჩნდა ისეთი ძლიერი პიროვნება, რომელიც შესძლებდა მოქმედების ინიციატივა გამოეჩინა და მოძრაობისათვის გაბედულად ეხელმძღვანელა"[89]. ასევე არ იყო მოქმედების თავისუფლებით აღჭურვილი კომპეტენტური სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელიც უშეცდომოდ და დაუბრკოლებლად გამოიყენებდა ქვეყანაში არსებულ მთელ საბრძოლო პოტენციალს.

შეიძლება ითქვას, რომ აჯანყება არათუ სათანადოდ, არამედ საერთოდ არ იყო იდეოლოგიურად მომზადებული. ამ მხრივ საქმე მიშვებული იყო თვითდინებაზე; მიაჩნდათ, რომ დამოუკიდებლობა

---

[89] საქმე, გვ. 42.

ყველა ქართველის ოცნება და მიზანი იყო და მთელი ერი მისთვის ერთხმად აღსდგებოდა. ხევსურეთის ომმა კი აჩვენა, რომ კომუნისტებს საკმაოდ ბევრი ქართველი მომხრე გაეჩინათ. ხევსურებს ეომებოდნენ დუშეთის, თიანეთის რაიონებისა და სხვა ქართული მოსახლეობის წარმომადგენლებიც – კომუნისტები, კომკავშირლები, სამხედრო სკოლის კურსანტები და სხვ. არავინ მუშაობდა მთელი ქართველი ხალხის, ყველა მაზრისა და რაიონის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, მთისა და ბარის დასარაზმავად საერთო მტერთან შეერთებული ძალებით ერთდროული, გადამწყვეტი და ძლევამოსილი ბრძოლის უზრუნველსაყოფად.

მეტად რთული, გაურკვეველი და შეიძლება ითქვას ორჭოფული იყო ხევსურეთის ომის დროს პოლკ. რ. მუსხელიშვილის ფუნქციები, როლი და ფაქტობრივი მოქმედება. იგი, თავისი ხალხის პატრიოტი, კარგი სამხედრო სპეციალისტი, სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი აქტიური წევრი თავიდანვე განმათავისუფლებელი რაზმების შტაბის უფროსი, ბოლო ეტაპზე გახდა საოკუპაციო ჯარების – კავკასიის სპეცდანიშნულების ნაწილის შტაბის უფროსიც. წითელი არმიის ხელმძღვანელობამ ის თავის სამსახურში დანიშნა ისე, რომ არ იცოდა მისი კავშირი განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ეს ბედნიერი და გაუთვალისწინებელი შემთხვევა სათანადოდ არ იქნა გამოყენებული არც პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან და არც თვითონ მისგან. მას ხელსაყრელ პირობებში – და ასეთს კი თვითონ ქმნიან გამბედავი, გადამწყვეტ ვითარებაში ინიციატივიანი პიროვნებანი, შეეძლო წარმატებით გამოეყენებინა დუშეთის მიდამოებში საბრძოლველად მზად მყოფი ს. ბაგრატიონ-მუხრანელის და მ. ლაშქარაშვილის რაზმები. ასევე საქმის სასარგებლოდ შეიძლებოდა ნ. ზანდუკელის მიერ შეთავაზებული რაზმების ჩაბმა ბრძოლაში, თუნდაც ხევსურეთის ომის დამამთავრებელ ეტაპზე. ამას მდგომარეობის მთლიანი შემობრუნება თუ არა, ხევსურთა მდგომარეობის შემსუბუქება, პოლიტიკური ხასიათის ზეგავლენა მაინც მოჰყვებოდა. ეს კი სერიოზული მნიშვნელობის მოვლენად იქცეოდა ძალთა შეწონასწორების, რწმენის განმტკიცების, მომავალი ბრძოლებისთვის მზადებისთვის საერთო ეროვნულ საქმეში.

მართალია, რ. მუსხელიშვილმა გარკვეული დახმარება და შეღავათი გაუწია პატრიოტებს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა ამას, რაზედაც სიცოცხლით აზღვევინეს დამპყრობლებმა, მაგრამ მაინც, ვფიქრობთ, მას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ხევსურ-ჩოლოყაშვილელთა წარუმატებლობის საერთო მიზეზია ამ ომის ლოკალურობა; დროის ფაქტორის თვალსაზრისით საერთო ეროვნული აჯანყებიდან განცალკევებულობა. მათ მარტოს, დანარჩენ ქართველთაგან მხარდაჭერის გარეშე მოუხდათ ბრძოლა ძლიერ მტერთან, რომელმაც მისთვის ხელსაყრელი ვითარების წყალობით მთელი ძალები დარაზმა და წარმართა ხევსურეთში. ეს ომი და ორი წლის შემდეგ მოწყობილი საქართველოს საერთო ეროვნული აჯანყება (რომელიც აგრეთვე მარცხით დამთავრდა), რომ დამთხვეოდა ერთიმეორეს როგორი შედეგი იქნებოდა ლოგიკურად მოსალოდნელი? სწორედ ლოგიკის კანონების მიხედვით – უფრო გამარჯვება, ვიდრე დამარცხება, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ მათი შეერთება განხორციელდებოდა 1922 წელს. მტერი მაშინ ხომ ბევრად უფრო სუსტი იყო.

ხევსურეთის ომის სასურველ დროზე ადრე დაწყება კი მთლიანად მტრის „ბრალია“. აქ პატრიოტებს ვერაფერში დავადანაშაულებთ. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი შევიდა ხევსურეთში და მტერიც მიჰყვა, ამით მან ძალაუნებურად განსაზღვრა ომის დაწყების ვადა, ამასთან, თავისთვის სასარგებლოდ. აი, ეროვნულმა ძალებმა კი ვერ გამოიყენეს ხევსურეთის პირველ ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება. ეროვნული ფრონტი ტყუის, რომ მას ასეთი შესაძლებლობა – ბრძოლის ნაადრევი დაწყება, ნავარაუდევი არ ჰქონდა.

სათანადო და დროული მუშაობა არ იქნა ჩატარებული სხვა მოკავშირე ძალების, მაგალითად, მეზობელი ქისტების მოსაზიდავად, მაშინ, როდესაც ეს, როგორც დავინახეთ, სრულიად შესაძლებელი აღმოჩნდა.

ასეთია მოკლედ, ჩვენი აზრით, ხევსურთა და ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის 1922 წლის ზაფხულის საერთო თავდაცვითი ომის მარცხით დამთავრების ძირითადი მიზეზები.

## ომის შედეგები და მნიშვნელობა

ხევსურეთის 1922 წლის ზაფხულის თავდაცვით ომს, მიუხედავად მარცხიანი ფინალისა, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ძლიერი, მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის პირველი სერიოზული, ხანგრძლივი, ნამდვილი ბრძოლა, რომელსაც ჰქონდა ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და სამხედრო შედეგები.

მისი უპირველესი შედეგი ის იყო, რომ ქართველმა ერმა ხევსურების და ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის სახით საქვეყნოდ განაცხადა, რომ მიუხედავად მენშევიკური მთავრობისა და მისი სამხედრო ძალების კაპიტულაციისა, ხალხს ფარ-ხმალი არ დაუყრია, იგი დამპყრობელს მორჩილებაზე უარს ეუბნება და ძალამოსილია გააგრძელოს ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად და დასაცავად. ეს იყო მებრძოლი ერის – მისი განუყოფელი ნაწილის – გაბედული განაცხადი, რომ იგი კვლავ აგრძელებს XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებულ განუწყვეტელ წინააღმდეგობას და ბრძოლას რუსი კოლონიზატორების განდევნისათვის; განაცხადი, რომელმაც უჩვენა ქვეყანას, რომ ამ ძლიერ და ვერაგ მტერთან გაბედულ ბრძოლაში, ომის პირველი (ორწლის) ბრძოლის შედეგის მიხედვით წარმატების მიღწევაც შეიძლება.

ამ ომის განსაკუთრებული, სპეციფიკური შედეგი ისაა, რომ მთელმა ხალხმა დაინახა რუსი კომუნისტების ნამდვილი სახე. ისინი სიტყვით თავს მშრომელი, ჩაგრული ხალხის ქომაგად და დამცველებად აცხადებდნენ, საქმით კი, ხევსურეთში ყველაზე ჩაგრული და გაჭირვებული ხალხის სახლ-კარს, საცხოვრისს, მთელ სოფლებს შეუბრალებლად და დაუფიქრებლად ანადგურებდნენ და ეს მაშინაც, როდესაც ქ. ჩოლოყაშვილი უკვე იქ აღარ იმყოფებოდა. მათი თავდაპირველი განცხადებით, ხომ მხოლოდ მის

შესაპყრობად იყვნენ მისულნი. ამ ომმა ხალხს თითო-ოროლა მოღალატის, ბოლშევიკებს მიმხრობილი ქართველი კომუნისტებისა და მათი დამქაშების სამარცხვინო სახე, საქმენი და სავალალოდ დამთავრებული სიცოცხლეც დაანახვა.

ხევსურებმა შეფიცულებთან ერთად გამოაღვიძეს ქართველი ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ კარგად ვერ მოსულიყო გონს მოპოვებული თავისუფლების ასე იოლად, თითქმის უბრძოლველად კვლავ რუსებისთვის ჩაბარების შემდეგ, გამოაღვიძა სოციალ-დემოკრატების – მმართველი მენშევიკური პარტიის უსუსური კლასობრივი და ინტერნაციონალური პროპაგანდისტული ბურუსისაგან, რისი რეალური არსი ერის თავისუფლების გაყიდვა იყო.

ომმა ქართველ ხალხს დაანახვა, რომ ერისთვის გადამწყვეტ ჟამს, სოციალურ-პოლიტიკური ლოზუნგების უპირატესობის და დათმობების ძიება კი არა, იარაღისთვის ხელისმოკიდება, ქუდზე კაცის გამოსვლა და მომხდურის განდევნა იყო საჭირო.

ამ ომმა საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს ნათლად დაანახვა თავიანთი სახე და ვაგლახი საქმენი: სოციალ-დემოკრატებს – ეროვნული პოლიტიკის სიბეცე, უთაურობა და პოლიტიკური კარიერიზმი, ეროვნულ-დემოკრატებს – პოლიტიკური მიზნის არასრულყოფილება, მერყეობა, მოქმედებაში უინიციატივობა, ერის წინამძღოლის მისიის ვერგამოყენება; სხვა პარტიებს – ვიწრო, ჯგუფური, ერისთვის უმნიშვნელო ინტერესების ირგვლივ წრიალი და საერთო-სამომავლო მოღვაწეობაში თავიანთი ადგილის მოუნახავობა, მთავარ და მეორეხარისხოვან პრობლემათა ვერგარჩევა.

ამ ბრძოლებით ხევსურებმა და შეფიცულებმა უთხრეს დანარჩენ ქართველ ხალხს: გაბედეთ, მოგვყევით, ქედის მოხრა და ულლისთვის მიგებება არას გვარგებს! ეს ომი იყო საქართველოს 20-იანი წლების დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ხანგრძლივი და რთული ბრძოლის, შემდგომი პოლიტიკურ-ეროვნული მოძრაობის პირველი მძლავრი აკორდი, 1924 წლის აჯანყების გენერალური რეპეტიცია, მისთვის მრავალწახნაგოვანი გაკვეთილი. ჩვენი აზრით, ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის მიხ. იმხნელის მაშინ ნათქვამი ფრა-

ზა: „საქართველოსათვის დამარცხებული აჯანყებაც გამარჯვება იქნებაო"[90].

ხევსურეთის ბრძოლებში ადგილობრივი მოსახლეობისა და ქ. ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ერთობლივმა მოქმედებამ დაამტკიცა ერთი მიზნისთვის მებრძოლი სხვადასხვა სახისა და შემადგენლობის ძალების შეკავშირების უპირატესობა, უმთავრესში სრული თანხმობისა და ერთიანობის მიღწევის შესაძლებლობა ჯგუფური, კერძო ინტერესების მისადმი დაქვემდებარების პირობებში.

მანვე გამოავლინა პარტიზანული ბრძოლის ხელსაყრელობა და უპირატესობა, განსაკუთრებით ისეთი სპეციფიკური – მთაგორიანი რეგიონის პირობებში, როგორიც ხევსურეთია. აჩვენა მოქნილობის, მანევრულობის, სალაშქრო წესების – ხერხებისა და სამხედრო-ტაქტიკური თეორიის შერწყმის, კომბინირებული ძალებისადმი გაძლოლის ხელოვნება. ამ საქმეში მოსალოდნელ დაბრკოლებათა არსი, მიზეზები და მათი დაძლევის შესაძლებლობა.

ეროვნული პოლიტიკური პარტიების, საერთოდ პოლიტიკური ძალების სისუსტის, არაორგანიზებულობის, სხვა მანკიერებათა გარდა გამოვლინდა საერთოდ ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლოვანი მხარე, ძირითადად მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ათასი ჯურის მტერთან დაპირისპირების, განსაკუთრებით კი რუსეთის საუკუნეზე მეტი ხნის ბატონობის პირდაპირი შედეგი, მიზნობრივად ჩამოთესილი და საგანგებოდ ნაკვები რეციდივები უფრო იყო, ვიდრე ქართველი ერის გენეტიკური თავისებურებანი. ესენია – ინერტულობა, გულგრილობა, შური და ქიშპობა; ხევსურეთის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვაში განსაკუთრებულობაზე პრეტენზიულობისა და კუთხური სიამაყის დანახვა და ამ საფუძველზე ზოგიერთი მეზობლისა და თანამემამულის დაპირისპირებაც, რაც დიდი შეცდომა და უსამართლობა იყო. ამაში ომის შემდეგ მაინც უნდა გარკვეულიყო ყოველი ქართველი.

და ბოლოს, 1922 წელი ხევსურეთის ისტორიაში, ხევსურთა ცნობიერებასა და შეგნებაში, მისი როლი და მნიშვნელობა მის

---

[90] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

შემდგომ არსებობაში. ჩვენი თაობის ყოველ ხევსურს ღრმად ჩარჩა გონებაში ბავშვობაში მოსმენილი, უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვის მქონე ფრაზა – „ჯაროა წელი!“ ეს წელი იქცა ჟამთა ათვლის თავისებურ ზღურბლად. „ჯაროა წლიდან“ ანგარიშობდნენ ბავშვთა დაბადებას, ადამიანთა გარდაცვალებას, სტიქიურ მოვლენებს, უმნიშვნელოვანეს საყოფაცხოვრებო ამბებს და საერთოდ ყველა მნიშვნელოვან ფაქტს.

მეტად ღრმა კვალი გაავლო ხევსურის სულიერ ხნულში რუსულმა კომუნისტურმა ჯარობამ. ეს იყო მის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც მოვიდა უთვალავი მტერი, გაიღო უდიდესი მსხვერპლი, არად ჩააგდო ეს, შემოერტყა გარს და დაიკავა მთელი ხევსურეთი. მებრძოლ ცოცხალ ძალასთან რომ ვერაფერს გახდა, მისდგა მათს საცხოვრისს და ერთიანად გადაბუგა, მოთხარა ძირიანად.

უზენაესი დონისაა ხევსურის ნარატიული კულტურა. ალბათ, ძნელად მოეძებნება მის ანდრეზს მსოფლიო შემეცნებაში ბადალი. რაღა არ მოიტანეს ჩვენამდე ამ ანდრეზებმა: „არაბეთის ხალიფა რო მდგარას გუდელას (იგივე ბარისახოა) იმ წლიდგეს, შვიდს წელს ალარ ამაჩენილან მინან-ი, იმათ ცხენის მჩორეში!“ შემდეგ, რამდენი თათარი, ლეკი და სხვა ურჯულო მოსულა აქ დავლის მაძიებელი. არის ხევსურეთის მთებში „თამარის საჯარე“ „დედუფლის წყალნი“, გუდელას ზურაბიც დაჯდა „... დათვალნა თავის ყმანია“; მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოიკიდა აქ ფეხი, ვერც უცხომ და ვერც შინაურმა. „ჯაროა (1922) წელმა“ კი აგრძნობინა ხევსურეთს, რომ ეს სულ სხვა სახის მტერი და სხვა, არა ადამიანური, არამედ ულმერთო, ბოროტი, უწმინდური სულის ძალა იყო და მასთან ჩვეულებრივი, ხევსურეთისათვის ცნობილი და შესაძლებელი წესით შული შეუძლებელი გახლდათ. ხევსურეთმა ბრძოლა შეწყვიტა, თუმცა თავი დამარცხებულად არ უცნია. ასეც ბევრჯელ გაგვიგონია ლიქოკში: „... მეტ რახლა-ღა იქნებოდ, კაციშვილო! ისეებიც ღმერთის გაჩენილებ იყვნეს, ისრაც დიდ ცოდვაი გვაქვ ჩადენილ-ი, ჯერ ნადირის ხოცისას დადგების კაც-ი“. ლიქოკელებმა სროლა შეწყვიტეს, როცა აკუშოს ღვთისმშობლის ხატში მარტო ერთ დღეს კომუნისტებმა 12 კაცი დამარხეს.

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ხევსურეთს ლაშქარი აღარ დასცემია. ხალხის ცოცხალ მახსოვრობაში ერეკლე მეფის ეპოქაც თითქმის მივიწყებული იყო. ალექსანდრე ბატონიშვილს რომ დაუჭირეს მხარი, ეს დიდ ამბად არ მოიხსენიებოდა, შატილამდე მოვიდა რუსი გენერალი ჩრდილოეთიდან, მაგრამ კუდამოძუებულს მოუხდა უკან გაბრუნება. ფაქტობრივად ვერც გუდამაყრის ხეობით შევიდნენ რუსები მაშინ ხევსურეთში. თვითონაც ალარსად გაულაშქრიათ; ამდენად, 1922 წლის „ჯაროა" ხევსურთა საბრძოლო ძალთა გამოცდის, მათში მებრძოლი სულის გამოღვიძების, ახალი გმირების მოვლენის ეპოქა იყო და შესაფერი გამოხმაურება მოიყოლა თან. მათ ომში თავი არ შეურცხვენიათ. მტერი გაანადგურეს (ასე თვლიდნენ თვითონ). ზავის შედეგი: ნეიტრალური ურთიერთობა მხარეთა შორის, რუსმა ხევსურეთი ვერ „დაიპყრო", ფეხიც ვერ მოიკიდა, მორჩილებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშასადამე, ხევსურეთისათვის 1922 წლის ომი გამარჯვების ტოლფასი იყო და მას კანონიერი სიამაყის შეგნებით აღიქვამდა ყოველი ხევსური. მთავარი, საბრძოლო სულისკვეთება, მტერთან კვლავ შებმის მზადყოფნა არ დაცემულა მათში. ამის შემდეგაც მათ ერთი რამ ვერ შეძლეს მხოლოდ, ვერ შეძლეს, რომ მტერი არ შემოეშვათ. აი, ეს იყო, რომ ჩრდილავდა მათს ოპტიმისტურ განწყობილებას. მტრის შემოსვლა, მისგან ხევსურეთის დაკავება და რაც მთავარია, სოფლების გადაწვა ამძიმებდა ხევსურის სულიერ განწყობას, უსპობდა გამარჯვების ზეიმის უფლებას. მაგრამ ამაშიც იყო ოპტიმიზმის ელემენტი. ეს მდგომარეობა რევანშისაკენ და, რაც მთავარია, იმ მიზნის მიღწევისაკენ განაწყობდა მას, რაც 1922-1924 წლებში ვერ განხორციელდა, ე. ი. „ტყუილად ჩამაიხარჯნეს ჩვენის ხევსურის ისარნი!"

ხევსურეთს არც ერთი დღით არ დაუყრია ფარ-ხმალი. იგი კვლავ ემზადებოდა ახალი შეჯახებისათვის; ელოდა, როცა საქართველო ძალას მოიკრებდა, მიხვდებოდა თავის შეცდომებს, რომლებიც 1922-1924 წლების ბრძოლებში დაუშვა და ისევ აღმართავდა განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშას. 1922 წლიდან თითქმის ერთი ათეული წლის შემდეგ მან კვლავ საბრძოლო მზადყოფნა გამოავლინა და ახალი აჯანყებისთვის მზადებაში

უყოყმანოდ ჩაება... თუმცა, მისდა საუბედუროდ, იმჯერად ეს მხოლოდ კომუნისტურ-ჩეკისტური, ბერიასეული პროვოკაცია აღმოჩნდა და უდანაშაულო ხალხმა ტყუილუბრალოდ გაიღო სისხლი... მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა და მასზე სხვა დროს. აქ კი იმით დავკმაყოფილდებით, რომ ვიტყვით – ხალხს ამის მოლოდინი უნდა ჰქონოდა.

კომუნისტებმა 1922 წლის კამპანია ასე თუ ისე დაასრულეს, დაამთავრეს გამარჯვების გარეშე: ხევსურეთი ვერ მოდრიკეს, ვერ დაიმორჩილეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს ფრჩხილიც ვერ დააკლეს, ასეულობით ადამიანი კი დაკარგეს. ხევსურეთიდან წასაღები არაფერი იყო, დამნაშავე კი ვერავინ იპოვეს, ერთეულების გარდა, რომლებიც შემთხვევით მოხვდათ ხელში. აგენტურა ჯერ არ ჰყავდათ, ხალხი კი მტკიცედ იცავდა თავს და ერთიმეორესაც. ბოლშევიკებმა გულში ჩაითქვეს ანგარიშის გასწორება შემდგომ, თანდათანობით და ეს კიდევაც გააკეთეს. 20-იანი წლების აჯანყებათა მარცხით დამთავრების, ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ისინი მოსდგნენ მტყუან-მართალს და სასტიკი რეპრესიები განახორციელეს მთელი საქართველოს მასშტაბით. ამაში მოჰყვნენ ხევსურეთის ომისა და ქ. ჩოლოყაშვილის სხვა ბრძოლების მონაწილე ხევსურებიც.

## კონტაქტები ომის შემდეგ

ხევსურთა კავშირი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ხევსურეთის ომის დამთავრებით არ განყვეტილა. იგი ვერ განყდებოდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხევსურების დახმარების გარეშე შეფიცულთა რაზმის სამშვიდობოს გაყვანა გაძნელდებოდა და, რაც მთავარია, მთელი მომდევნო ორი (1923-1924) წლის განმავლობაში რაზმი მოქმედებდა ძირითადად თელავის, საგარეჯოსა და სიღნაღის მაზრებში, სადაც ხევსური მოსახლეობა რაზმის ძლიერი სოციალური საყრდენი – საკმაოდ მომრავლებულიყო და, როგორც ვიცით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიზანულ ბრძოლაში.

ხევსურეთის ომის ბოლო ეტაპზე და მისი დამთავრების შემდეგ შეფიცულთა რაზმი, მისი ცალკეული ნევრები კახეთში დაბრუნდნენ. ეს დაბრუნება არ იყო იოლი და გზაგაუხსნელი. ხევსურეთის კახეთთან დამაკავშირებელი გზები ჩვეულებრივ გადიოდა თიანეთის რაიონზე გადავლით – ფშავის არაგვზე სოფ. თვალივიდან – ჯიჯეთ-თიანეთ-ახმეტის მარშრუტით, რითაც სარგებლობდნენ ძირითადად ხევსურები და ფშავლები და მეორე, სახელმნიფო მნიშვნელობის მარშრუტით თბილისზე გავლით გარე და შიდა კახეთით, მათ შორის გომბორის ქედის გადავლით თელავის მაზრისკენ.

იმ დროს ეს ორივე ძირითადი მაგისტრალი საბჭოთა ჯარებს ჰქონდათ გადაკეტილი და ამ რისკზე ნასვლა გაუმართლებელი იქნებოდა. რჩებოდა მთიელებისა (თუშ-ფშავ-ხევსურთა) და მნყემსთა საზაფხულო საცალფეხო ბილიკები ფშავ-ხევსურეთის მთებზე. მათზე მგზავრობაც იმ დროს მეტად ძნელი იყო. მთავარი გასავლელები – ღელეები, მთათა ხეობიდან ხეობაში გადასასვლელები აგრეთვე შეკრული იყო ჯარის სპეციალური პოსტებით.

როგორც ალ. სულხანიშვილი გვამცნობს და ხევსურებისა და ფშავლების გადმოცემებით ვრნმუნდებით, შეფიცულთა რაზმი

ძალაუნებურად რამდენიმე ნაწილად გაიყო და სხვადასხვა დროს გააღწია აქედან მშვიდობიანად. არ დასტურდება ორიოდე პუბლიკაციაში მოცემული ცნობა, რაზმმა ბრძოლით გაარღვია ალყა და ასე გადავიდა კახეთშიო. არასწორია, მით უფრო, ვერსია, თითქოს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხევსურეთიდან ქისტეთში გადასულიყოს. პირველად წავიდა რაზმის ძირითადი (რიცხვობრივად) შემადგენლობა უკანაფშავის მთებზე (მათურა, საყორნის თავი) გადავლით ახმეტა-თუშეთის მთებამდე გასვლით. აქ აუცილებელი იყო მთების კარგად მცოდნე ადგილობრივი გამცილებლები, რათა არიდებოდნენ გადასასვლელებზე მდგომი ჯარის სადარაჯოებს, ღამით უგზო ადგილებზე გავლით. ასეთი გამცილებლები იყვნენ ხევსურები და ფშაველები, აგრეთვე ის რამდენიმე თუში და პანკისელი ქისტი, რომლებიც მუდმივ წევრებად ირიცხებოდნენ რაზმში და კარგად იცნობდნენ ამ მთებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ რაზმის წევრი მთიელების გარდა ისინი გააცილეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც, რომლებიც ჯვარდღეობებსა და მეცხვარე-მწყემსობის პროცესში მიმოსვლით ზედმიწევნით იცნობდნენ ადგილმდებარეობას.

ვინ მეთაურობდა ამ უძნელეს გზაზე რაზმს? ვფიქრობთ, ქ. ჩოლოყაშვილმა ეს მისია მიანდო თავის მოადგილეს, მამაც და ულალატო კახელ თავადიშვილს, ოფიცერ ელიზბარ ვაჩნაძეს, რომელიც გულწრფელი სიყვარულით უყვარდა ყველა რაზმელს.

შემდეგ წავიდა თვითონ ქაქუცა ჩოლოყაშვილი 6 რაზმელის თანხლებით. ამის შესახებ გვქონდა უკვე საუბარი და აქ აღარ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი სოფ. ჩარგლამდე გააცილეს ყველაზე სანდო და ერთგულმა ხევსურებმა ბაბუტა და აპარეკა არაბულებმა, გაგა და გიგია ჭინჭარაულებმა, ხოლო ჩარგლიდან მისი მთავარი მეგზური იყო მიხა ხელაშვილი.

ამათ გარდა, ცალ-ცალკე მოუხდათ უკან დაბრუნება რაზმის წევრებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განცალკევდნენ რაზმისაგან. მათ შორის იყვნენ ალექსანდრე სულხანიშვილი და აბიკა გიგაური, რომლებიც ქაქუცას საგანგებო დავალებით ქისტეთში იყვნენ მივლინებულნი და როგორც დაწერილებით წერს ამ მისიის ირგვლივ ალ. სულხანიშვილი, მათ ველარ ჩამოუსწრეს

თავიანთ რაზმს ხევსურეთში. შატილში დახვდათ ქაქუცას საორიენტაციო წერილი და მის შესაბამისად ა. სულხანიშვილი მარტოკა დაბრუნდა შატილი-ქისტეთი-პანკისის მარშრუტით კახეთში სექტემბრის ბოლოს. აქ შევჩერდებით მხოლოდ ერთ დეტალზე. ალ. სულხანიშვილი გულთბილად იგონებს შატილისა და ქისტეთის რაიონში ყოფნისას თავის ერთგულ მასპინძელსა და მეგზურს „ძაღლიკას“ სახელით. ამ შემთხვევაშიც ამ კაცის სახელი პირობითია, ცხადია, კონსპირაციის მიზნით, თორემ მან ისეთი სამსახური გაუწია ჩვენს მებრძოლ ემისარს (თვით სიკვდილის საფრთხესაც ააცილა), რომ მისი ვინაობა არ შეიძლებოდა დავიწყებოდა მას. სამაგიეროდ დღევანდელი შატილელები აღარ ფარავენ მის სახელს. როგორც გადმოგვცემს ცნობილი მკვლევარი ალექსი ჭინჭარაული (შატილის მკვიდრი), ეს იყო გიგია ჭინჭარაული (თათურთ გიგია). კაცი, რომელიც ყოველი პატრიოტული, კაცური და სიახლის მქონე წამოწყების ინიციატორი და მეგზური იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ალ. სულხანიშვილმა ამჯერად თან აღარ წაიყოლა თავისი ერთგული მეგობარი და თარჯიმანი ქისტებთან აბიკა გიგაური. ობიექტურ და სუბიექტურ ვითარებათა გამო, ჩანს, ამჯობინეს იგი ჯერ კიდევ ხევსურეთში დარჩენილიყო; მიეღო მონაწილეობა ომის ფინალში; გასცნობოდა შედეგებს და ამ ინფორმაციით დაბრუნებულიყო რაზმში. ყველაფერი ეს ზუსტად იქნა შესრულებული. იგი ნოემბერში დაბრუნდა რაზმში. მისთვის და საერთოდ ხევსურებისათვის მარტოხელა მიმოსვლა მთიდან ბარში ან პირუკუ დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან ეს იყო მთიელთა საცხოვრებლად ბარში ინტენსიური ჩამოსახლების, და მაშასადამე, ხშირი მისვლა-მოსვლის პერიოდი.

მთაში კიდევ იყვნენ დარჩენილნი შეფიცულთა რაზმის წევრები შ. კანდელაკი და ალ. ბადურაშვილი. შ. კანდელაკი დაიჭირა მალაროსკარის ბრძოლაში; იქედანვე, დათვია ლიქოკელის წინადადებით, სამკურნალოდ წაიყვანეს ხევსურეთში და ჩააბარეს სწორედ დათვიას მამას მგელიკა ლიქოკელს, რომელსაც ცნობილმა მედიკოსებმა და მედიცინის ისტორიკოსებმა ტყუილად არ შეარქვეს დიდი დოსტაქარი და „ნატყვიარის სპეციალური მკურნალი“. პაპა

მგელიკამ უმოკლეს დროში განკურნა თავისი პაციენტი, კარგადაც უვლიდა თავისსავე სახლში, რის შედეგადაც ორიოდე თვეში მან შეძლო ხევსურ გამცილებლებთან ერთად დაბრუნებულიყო კახეთში და შეერთებოდა თავის რაზმს. ცოტა მოგვიანებით მთიელმა მეკავშირეებმა კახეთში ჩამოიყვანეს რაზმის ახალგაზრდა წევრი ალ. ბადურაშვილი, რომელიც ხევსურეთის ამბოხის დროს ფშავში ჩარჩა. ყველა ამ „დაქსაქსულებმა" ალ. სულხანიშვილთან მოიყარეს თავი და დეკემბრის ბოლოს შეუერთდნენ ძირითად რაზმს, რომელიც ამჯერად ბინადრობდა ქაქუცას მშობლიური სოფლის, მატანის მიდამოებში, მთანმინდის ტყეში.

1922 წელი დასრულდა. რაზმი კვლავ შეიკრიბა და შეიკრა მტკიცე საბრძოლო ერთეულად. მან ამ დროისათვის უკვე მოიშუშა ხევსურეთის ფიზიკური და მორალური ჭრილობები და უფრო განმტკიცებული (მას შეემატა კიდევ რამდენიმე ხევსური და ფშაველი მებრძოლი, ხოლო მთელი ხევსურეთის კამპანიის დროს არ დაჰკლებია არც ერთი კაცი). რაზმი შეუდგა გაცხოველებულ მზადებას ახალი ბრძოლებისათვის, სადაც გათვალისწინებული და აცილებული უნდა ყოფილიყო ყველა ის ნაკლოვანება და შეცდომა, რაც აქამდე ახლდა განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ქ. ჩოლოყაშვილმა ხევსურეთიდან დაბრუნებისთანავე, 1922 წლის სექტემბერ-ნოემბრის თვეებში, ჩვეული ენერგიულობითა და მტკიცე გადაწყვეტილებით გააგრძელა სამზადისი ახალი ბრძოლებისათვის. დოკუმენტებით დასტურდება, რომ მან სასწრაფოდ ალადგინა კავშირი ქ. თბილისში მოქმედ პოლიტიკურ ცენტრებთან და ადგილობრივ აქტივისტებზე დაყრდნობით შეუდგა ახალი, საერთო-ეროვნული აჯანყებისათვის მზადებას. ამ აქტივისტებს შორის კვლავ თვალსაჩინო ადგილი ეკავათ ხევსურებს.

1922 წლის ამბებთან დაკავშირებით დაპატიმრებული მენშევიკური პარტიის „ერთ-ერთი მეტად აქტიური წევრი" (როგორც საგამოძიებო მასალებში მოიხსენიებენ მას) მიხეილ გძელიევი დაკითხვისას აჩვენებდა, რომ თავისი პარტიის ცეკას დავალებით იგი სოფ. გომბორში (საგარეჯოს რაიონი) შეხვდა ქაქუცას, რომელიც აქ ჩამოვიდა ახალი რაზმების შედგენის მიზნით და რომ მას ცხოველი საქმიანობა-შეხვედრები და მოლაპარაკება ჰქონდა

სხვადასხვა ადგილებიდან მოსული ხალხის წარმომადგენლებთან, მათ შორის თვით არტილერისტებთანაც. „მასთან მოვიდა რამდენიმე ხევსური, რომლებსაც ის ცალკე ელაპარაკა"-ო განაცხადა გძელიევმა. ეს უკანასკნელი რამდენიმე დღეს დარჩენილა გომბორში. მას მეტად რთული და საჭოჭმანო მისია ჰქონდა მინდობილი თავისი მარწმუნებლისაგან: მონაწილეობა მიეღო საბრძოლო სამზადისში, თანაც ისეთი მიმართულებით, რომ ინიციატივა თანდათანობით ქ. ჩოლოყაშვილისაგან მენშევიკების ხელში გადასულიყო. მან, რა თქმა უნდა, ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო, თუმცა ცდა ეტყობა არ დაუკლია. დაკითხვისას აღინიშნა აგრეთვე, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ქ. ჩოლოყაშვილმა მას გაუგზავნა ხევსური დიმიტრი (ცისკარაული) თხოვნით, დარჩენილიყო ს. გომბორში, დალოდებოდა საგარეჯოში ჩამოსულ მენშევიკების მეორე ემისარს კილასონიას და თავისი ავტორიტეტით მონაწილეობა მიეღო საერთო მუშაობაში[91]. ამ ცნობაში ქ. ჩოლოყაშვილის საქმით საგულდაგულო დაინტერესებასთან ერთად ირონიის ელფერიც ხომ არ გამოკრთის. მწვავე ბრძოლათა ქარცეცხლში გამობრძმედილი ეს პირდაპირი და გულღია ვაჟკაცი ხომ კარგად ხვდებოდა ამ უთაურ პოლიტიკანთა ფაფხურსა და ამბიციებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ჭეშმარიტ პატრიოტებს 1922 წლის მარცხიანი ბრძოლების შემდეგაც არ დაუყრიათ იარაღი, დაუყოვნებლივ ჩაებნენ ახალი შეტევისათვის სამზადისში და ხევსურები კვლავ პირველთა რიგებში აღმოჩნდნენ.

აქ ერთი გარემოებაა კიდევ ყურადსაღები. ამ წლებში სოფ. გომბორიც მთიელების – ხევსურებისა და ფშავლების მასობრივი ჩამოსახლების ადგილია, თანაც თელავის რაიონის მთიელთა დასახლების – თეთრწყლების უშუალო მეზობელი და მუდმივ კონტაქტში მყოფი. გომბორში მცხოვრები ხევსურები ძმები ბაძია და ხვთისო ჭინჭარაულები, თოთია ჭინჭარაული და სხვები დამოუკიდებლობისათვის თავგამოჩენილი მებრძოლები იყვნენ როგორც კახეთში და მთაში, ისე სამშობლოს მიწა-წყლის დაცვის სხვა ფრონტებზე. ბაძია ჭინჭარაული 1918 წელს სომეხი ექსპანსიო-

---

[91] საქმე ... გ. 53, 54.

ნისტების მოგერიების – შულავრის ალების ერთ-ერთი ცნობილი მონაწილე იყო. მან მარჯვენა ხელის მტევანიც შესწირა ამ ომს და მტაცებელს კი არ დაანება არც ერთი გოჯი მიწა. საფიქრებელია, რომ საგარეჯოს რაიონში საბრძოლო რაზმის დაკომპლექტების ცენტრად სოფ. გომბორი ამ მოტივის გამოც იქცა. გომბორში მცხოვრები ჭინჭარაულები ახლო ბიძაშვილები იყვნენ ბარისახოელი გაგა, მგელიკა, მამესწვერა და სხვა ჭინჭარაულებისა, რომლებმაც ბოლომდე ერთგულეს ქაქუცას და ხევსურეთიდან საბოლოო გზაზეც გააცილეს.

1923 წელი შეფიცულთა რაზმმა კახეთში, ძირითადად თელავის მაზრაში გაატარა. აქ მშობლიური მიდამოები და საერთოდ გარემო მათი მოღვაწეობისა და ახალი აჯანყებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა და რაზმის ხელმძღვანელობაც მაქსიმალურად იყენებდა მათ.

ამ პერიოდში რაზმის მოღვაწეობაში, ხევსურეთის პრობლემებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ქისტებთან ურთიერთობის გაგრძელება და განმტკიცება. 1922 წლის საბრძოლო შედეგებმა ყველას დაანახვა საერთო-ეროვნული ინტერესების მქონე კავკასიელი ხალხების ურთიერთკავშირის მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ქართველ და ჩრდ. კავკასიელ მთიელთა ურთიერთობას, რომელიც ისტორიულად არცთუ მაინცდამაინც სახარბიელო იყო. მათი სარწმუნოებრივი სხვაობა გადადიოდა ეროვნულ შუღლსა და სისხლის ალების საგვარტომო ადათებში. ამას კი დიდი მსხვერპლი მოსდევდა ორივე მხრივ. ქ. ჩოლოყაშვილმა ხევსურეთის კამპანიის დროს თავისი წარმომადგენლების ქისტეთში გაგზავნით საფუძველი ჩაუყარა ქისტებისა და ხევსურების დაზავებას და ქართველი და ქისტური მოდგმის ხალხის საბრძოლო კავშირს საერთო მტრის, რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ კავშირის განმტკიცებას შეუდგა ქ. ჩოლოყაშვილი 1923 წლის დასაწყისიდანვე.

ადრე გაზაფხულზე ქისტეთში გაიგზავნა ამ საქმეში გამოცდილი ალ. სულხანიშვილი, რომელსაც თან ახლდა თუში როსტომ ელანიძე. მათ იქ წინასწარ, სათანადო მუშაობის შედეგად, მოამზადეს პირობები ამ ორი მებრძოლი ხალხის – ქართველებისა და

ქისტების მესვეურთა შეხვედრისათვის. აპრილში ქისტეთს ეწვია ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რამდენიმე რაზმელით. აქ რამდენიმე კვირის გაცხოველებული მუშაობის, გროზნოში ყოფნის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ქისტების წარჩინებულ პირებთან (ათაბეი უმაევი, ალი მიტაევი და სხვანი) მომავალ ბრძოლებში ურთიერთდახმარების შესახებ, ქისტების შეიარაღებული რაზმების საქართველოში გამოგზავნის, მათი ქართველი ოფიცრების მიერ სათანადო სამხედრო მომზადების და სხვათა შესახებ. ქ. გროზნოში გადაწყდა, რომ საბოლოო შეთანხმებისა და ხელშეკრულების გაფორმების მიზნით იქ ჩავიდოდა საქართველოს დამკომის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ამ მისიის შემსრულებლად გათვალისწინებული იყო გიორგი წინამძღვრიშვილის კანდიდატურა.

უკან გამობრუნებულ შეფიცულებს საცდელ-საწვრთნელ გზაზე თან გამოჰყვა რჩეული ქისტი ახალგაზრდების 25 კაციანი რაზმი, რომელიც 2-3 კვირა ეცნობოდა კახეთის, შეფიცულთა რაზმის სამოქმედო ასპარეზის პირობებს. რაზმის სამშობლოში გაბრუნების შემდეგ ერთი მათგანი თავისი სურვილით სამუდამოდ დარჩა ქაქუცას რაზმში.

სხვათაშორის, ამ მოგზაურობის დროს შეფიცულებმა ქისტეთში აღმოაჩინეს იქ ამანათად[92] მყოფი თუში შამილ იქაიძე, რომელიც ჩაირიცხა რაზმში და სამშობლოში დაბრუნდა.

ალ. სულხანიშვილის მონათხრობში არაფერია ნათქვამი ამჯერად ქისტეთში მუშაობაში ხევსურების მონაწილეობის თაობაზე. ვფიქრობთ, აქაც მემუარისტი ხევსურეთის მიერ 1922 წელს გაღებული მსხვერპლის თავისებური კომპენსაციის მიზნით განგებ იკავებს თავს მათი სახელების ხსენებისაგან, ისევე, როგორც 1923-1924 წლების სხვა ამბების მოგონებისასაც. რადგან იცის, რომ ხევსურმა მოსახლეობამ დიდი დარტყმა მიიღო ბოლშევიკური რეპრესიების დროს. თუ არა ეს მოტივი, სხვა მხრივ დაუჯერებელია ქისტებთან ქართული ურთიერთობის რაიმეგვარი შენება ხევსურთა ჩართვის გარეშე. თვითონ ქისტები არაფრით არ

---

[92] ამანათი – განდევნილი, გადახვეწილი, სოციალური ბედუკუღმართობით სხვა მხარეში მყოფი კაცი.

დაუშვებდნენ ამას. საქართველოსკენ ქისტების გზა ხომ ძირითადად ხევსურეთზე იდო. ამას გარდა მათ კარგად იცოდნენ, რომ ყოველგვარი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური, სამხედრო მოძრაობა ხევსურთა გარეშე წარმოუდგენელი იყო და თუ არ იქნებოდა ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობა მოგვარებული, ქისტი ფეხს არ შემოდგამდა საქართველოში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქ. ჩოლოყაშვილისა და ალ. სულხანიშვილის ქისტურ მისიაში (1923 წელს) აუცილებლად მონაწილე იქნებოდნენ ხევსურები, მით უმეტეს ქისტების მოსაზღვრე ხევსურული თემების არხოტისა და შატილის ისეთი შვილები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, მტკიცე რაზმელები თომა ბალიაური, აბიკა გიგაური და სხვანი. აბიკას ძმისწულის, ბადა გიგაურის თქმით, ბიძამისი იყო შეფიცულთა რაზმის ქისტებთან კავშირის ძირითადი რგოლი.

ამ ვითარების დასტურად მიგვაჩნია თვით ალ. სულხანიშვილის კომენტარი (თანაც არაერთგზის თქმული), რომ შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთ დამსახურებად მიაჩნია ხევსურებისა (ქართველი მთიელების) და ჩეჩნების (ქისტების) ისტორიული მტრობის ნაცვლად „მათ შორის მშვიდობის ჩამოგდება!"[93]

თელავის მაზრაში რაზმის მოქმედების ძირითადი რაიონი, როგორც აღვნიშნავდით, იყო გომბორის ქედის კალთებზე შეფენილი მთიელთა სოფლების მიდამოები. გაზაფხულზე ისინი ტრიალებენ აშრომან-ბაკანას სანახებში, ხოლო ზაფხული-შემოდგომა მათ ძირითადად გაატარეს „ვარცლას" ბანაკში, რომელშიც ყველაზე რელიეფურად გამოვლინდა მათი სამხედრო-ბანაკური ცხოვრება-მოქმედების წირი და თავისებურებანი. ალ. სულხანიშვილი თავის მოგონებებში ზოგადად აღწერს რაზმის ბანაკური ცხოვრების, პარტიზანული წყობა-მოქმედების, შინაგანი დისციპლინის, სუბორდინაციული და ამხანაგური ურთიერთდამოკიდებულების და მრავალ სხვა, კერძოდ, ადამიანური ყოფა-ცხოვრების დეტალებს. ეს ყოველივე მეტად ძვირფასი მასალაა პარტიზანული რაზმის, როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ერთეულის რაო-

---

[93] ალექსანდრე სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., ჟურნ. „ცისკარი", 5, 1990, გვ. 133.

ბის, მისი სულიერ-მორალური პრინციპებისა და მიზნების, ასევე მოქმედების წესის შესწავლისა და განზოგადების საქმეში. რაზმის ისტორიის გამოწვლილვით მკვლევარები, ალბათ, პირველ რიგში ამ მასალებს მიაკითხავენ. ამჟამად კი გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ბანაკური ცხოვრების რეალიები ძირითადად ვარცლას ბანაკის მაგალითზეა აღებული. ყველაზე სრულყოფას და ხანგრძლივ პერიოდში მოქმედებასაც სწორედ ამ ადგილზე მიაღწია რაზმმა. აქედან მას ყოველდღიური კავშირი ჰქონდა თელავისა და ახმეტის რაიონების ერთგულ-მონათესავე მოსახლეობასთან. რაზმს ინახავდა, შეიძლება ითქვას, მატერიალურად და პოლიტიკურად თეთრწყლების სოფლების მთიელი მოსახლეობა. აქ მცხოვრებ ხევსურთა და ფშაველების დიდი უმრავლესობა უშუალოდ იყო დაკავშირებული მასთან. უფროსი თაობის წარმომადგენლები: მამუკა, და დავით ხვთისოს ძე გოგოჭურები, შურა წიკლაური და სხვანი დღესაც იგონებენ, თუ როგორ მიჰქონდათ რაზმელებისთვის მორიგეობით სეროდანიდან და პანტიანიდან გორისძირამდე ცხენებით სურსათ-სანოვაგე ყმაწვილებს, უფროსების დავალებით, ვითომც მთაში მყოფი მწყემსებისათვის, იქ ორტოტა ქორაფთან ხვდებოდა ერთი „მწყემსი", რომელიც ღებულობდა სურსათს და მიჰქონდა ბანაკში. ზოგჯერ ჩვენც აგვიყოლიებდნენ, ფეხით სადგომამდე. ძალიან გვინდოდა ქაქუცას ნახვა, მაგრამ არ გვეუბნებოდნენ, რომელი იყო, იცინოდნენ და ხან რომლისკენ იშვერდნენ ხელს „ეს არისო" და ხან რომლისკენ, თუმცა ჩვენ მას მაინც ვიცნობდით, სოფელშიც ხომ მოგვეკრა მისთვის თვალი, მართალია, იქ სხვანაირად იყო ხოლმე ჩაცმული. ძილა გოგოჭური (ლევან გოგოჭურის ქალიშვილი) კი იმას იგონებს, თუ როგორ მოვიდნენ მათ საზაფხულო ქოხში „ხორხაში" რამდენჯერმე პურისა და ყველ-ერბოს წასაღებად. „აძიაის ნათქვამი გვქონდის, რო ვარცლშიით მასულებს გამაკითხვა არა დაუწყათავ, რაიც გქონდასთავ ჯერ-კვალივ გაატანიდითავ. წინ-წინ კი ძალია დავშინდი, მარტუა ვიყავ, ფურთ წველას რო მავშჩ-ი, წაბინდებულჩი გადამამიჩინდეს ორნი, – არ შაშინდავ, აიქით ორთავ-ვარცლაისკე გაიქნიეს თავი. ერთ ხევსურულადაოდ ამბობდ, არა მიკითხავა ქვე ვინ რა იყვ. ორნ სატნის კუსნ ჩაუსხენ, ერთ საკალტე პარკა

გაუვს-ი ერბოთ, პურისკვერ ვითა ჩაუდევ ქვე არა მახსონს. არა გვეკლიყვის მაში, საქონიც ბერვაი გვყვანდის. მემრაც ბევრჯელ მადიოდიან. მთელ წელს იდგეს ამანდ". თვით ალ. სულხანიშვილი იხსენებს ამ საზაფხულო სადგომს, მასთან კავშირს და თვით იქ მტერთან შეტაკების ეპიზოდსაც.

ვარცლას ბანაკზე მსჯელობისას ერთი გარემოება იქცევს ყურდღებას. ასეთი ბუნებრივად და სპეციალურად მონყობილი სიმაგრე და იქ გატარებული პერიოდი მხოლოდ გაკვრით, ზერელედ აქვს მოხსენიებული ალ. სულხანიშვილს. სახელწოდებასაც არ ახსენებს. აღნიშნავს სოფელ „მულაურიდან" ავედითო. ამ სახელწოდების სოფელი თელავის რაიონში საერთოდ არ არის, არის „შალაური". ყოვლად შეუძლებელია მისი მშობლიური სოფლიდან 9-10 კმ-ით დაშორებული სოფლების სახელები რომ შეეშალოს. მაშასადამე, იგი კვლავ სიფრთხილეს იჩენს და დაწვრილებით არ აღწერს დეტალებს, სახელებს, მოქმედ პირებს და ა. შ. არც გაემტყუნება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი ვარცლაში ბინადრობდნენ ბევრი მათი თანამგრძნობი იმსხვერპლა ჩეკამ თეთრწყლებიდან. ამჯერად მხოლოდ ერთ ფაქტს დავჯერდებით. აი, რა მოგვითხრო მწერალმა სულხან ქეთელაურმა.

ბიძაჩემი მამუკა გიგიას ძე ქეთელაური ძალიან მტკიცე და ამაყი კაცი ყოფილა. იგი ქაქუცას რაზმთან განუყრელ კავშირში იყო და სისტემატურად მიდიოდა მათთან ვარცლაში და სხვაგანაც. 1923 წლის ზაფხულში, ერთ დღეს თელავის ბაზარში რამდენიმე კაცი გადაჰყრია, რომლებსაც ჩუმად უთქვიათ ქაქუცას დავეძებთ, მის რაზმში შესვლა გვინდა, კახელები ვართო, ვიცით, რომ იცი მისი ადგილსამყოფელი და წაგვიყვანეო. მამუკაც ხევსურული მიმნდობლობით გამოჰყოლია, ეტლით წამოსულან. თეთრწყლებში რომ ამოსულან უცნობებს თოფებში ვაზნები ჩაუწყვიათ. მამუკა მიხვედრილა მათ ვინაობას, კობაძის ღრმა ხევში ეტლიდან გადახტომია და გაქცევია ჩაკისტებს. მათ ტყვიები დაუშენიათ. დაუჭრიათ, დასწევიან და თელავში გაუბრუნებიათ. მეორე დღეს, იქ ასეთსავე საქმეზე დაპატიმრებული თანასოფლელებისთვის მგელიკა არაბულისა და ჯოყოლა გოგოჭურისათვის თავისი ჩოხა გამოუტანებია სახლში, იქნება თქვენ გახვიდეთო,

მიხვედრილა, რომ დასახვრეტად გაჰყავდათ გიგოს გორაზე (ჩეკისტური სასაკლაო თელავში). გამოსვლისას კარებში მდგომი ყარაულისთვის შაშხანა აუგლეჯია ხელიდან, იქვე მყოფი თბილისელი უფროსი ფუნქციონერი ჩეკისტისთვის დაუცია კონდახით თავში და სულიც გაუფრთხობინებია. ამასობაში გარეთაც გამოვარდნილან და ჩეკისტების ხროვას გზაშივე (გიგოს გორამდე) მოუკლავთ იგი.

ეს და ბევრი მსგავსი საქმე, ცხადია, ცნობილი იყო შეფიცულთათვის და მრავალი წლის შემდეგაც ვერ რისკავენ ისინი მომხრე სოფლების, ოჯახების, პიროვნებათა ზუსტ მითითებას მათს მომავალ ბედზე ზრუნვის გამო.

1923 წლის შემოდგომაზე, ნოემბრის ბოლოს რაზმმა კახეთიდან დუშეთისა და ქართლის რაიონებისაკენ გადაინაცვლა. ერთ-ერთი მთავარი მოტივი წასვლისა ამ შედარებით საიმედო ადგილიდან იყო სწორედ მათი მიზეზით ადგილობრივი მოსახლეობის რბევა-აწიოკება. რამდენჯერ იგონებდნენ თეთრწყლელები, უფროსი ასაკის ადამიანები ქაქუცას ნათქვამს: „ჩვენი აქ გაჩერება აღარ შეიძლება, ხალხს მთლიანად ამოგწყვეტავენო". მართლაც, შეფიცულთა რაზმს რომ ვერას აკლებდნენ, ვარცლაში ერთხელაც ვერ გაბედა ჩეკამ მათზე თავდასხმა, მათ მომხრე მოსახლეობაზე იყრიდნენ ჯავრს და კმაყოფილებით მიითვლიდნენ ამას საერთო მტერზე გამარჯვების ანგარიშში.

1924 წლის ბრძოლებში, განსაკუთრებით კი აგვისტოს საერთო-ეროვნულ აჯანყებაში ხევსურებს და საერთოდ მთიელებს მასობრივ გაერთიანებულ რაზმებად არ მიუღიათ მონაწილეობა. ცხადია, 1922 წლის მძიმე შედეგების გათვალისწინებით ცენტრმა მთას აღარ მოუწოდა გამოსვლისაკენ. ქ. ჩოლოყაშვილის რაიმე სიგნალი არ მისულა ხევსურეთამდე, მაგრამ დუშეთის, თიანეთის (სიმონიანთხევი, ხევგრძელა და სხვ.) მიდამოებში გამართულ ბრძოლებში ყოველთვის მონაწილეობდნენ ამ მიდამოების სიახლოვეს მცხოვრები მთიელები. თუ ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ბრძოლაში, ყოველმხრივ დახმარებასა და მფარველობას მაინც უწევდნენ პატრიოტებს. ხოლო, რაც შეეხება შეფიცულთა რაზმის წევრ ხევსურებს და მთიელებს საერთოდ, ისინი მუდამ

თავის რაზმში იყვნენ უკანასკნელ დღეებამდე და მთლიანად იზიარებდნენ მის ჭირ-ვარამს.

ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის ბრძოლა-მოღვაწეობამ აპოგეას მიაღწია 1924 წელს, განსაკუთრებით აგვისტოს აჯანყებაში. ეს ბრძოლები დეტალურად და საკმაო დამაჯერებლობით აქვს აღწერილი თავის წიგნში ალ. სულხანიშვილს. ცალკეული, მნიშვნელოვანი ბრძოლების შესახებ მოგვეპოვება ზოგიერთი სხვა ავტორის პუბლიკაციებიც, მაგ., შალვა ამირეჯიბის „ქაქუცა ხევგრძელაზედ" და სხვ.

როგორც ცნობილია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება წინასწარ საკმაოდ კარგად იყო დაგეგმილ-მომზადებული ცენტრალური პარტიული და სამხედრო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მებრძოლი ჯგუფების ერთობლიობით მთელი საქართველოს მასშტაბით. დაწყების დღედ დანიშნული იყო 17 აგვისტო. მაგრამ გეგმის განხორციელება კვლავ დაბრკოლდა, იმავე პარტიული გათიშულობისა და სხვა მიზეზების გამოც: 6 აგვისტოს თბილისში დააპატიმრეს ვ. ჯუღელი, 24 საათით ადრე დაიწყეს ამბოხი ჭიათურაში (თავს დაესხნენ სარენის სალაროს), დამკომში გადაწყვიტეს დაწყების ჯერ 3, შემდეგ 11 დღით გადაწევა და სხვ.

თუ 17 აგვისტოსთვის თბილისზე შეტევისათვის მის სიახლოვეს დაბანაკებულ ქ. ჩოლოყაშვილს მზად ჰყავდა ორგანიზებულ რაზმებად დაყოფილი 600 კაციანი შენაერთი, 20-თვის 140 კაცის შეგროვებაღა მოხერხდა. ამდენად, თბილისზე თავდასხმა უაზრობა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ იქ მტრის მთელი ძალები უკვე მობილიზებული იყო. აგვისტოს ბოლო დღეებში აჯანყებულებმა გაილაშქრეს მანგლისზე, აიღეს იგი, ხელთ იგდეს სამხედრო კურსანტთა ბანაკი; აქედან გაემართნენ დუშეთისკენ, რომელიც აიღეს 3 სექტემბერს, გაათავისუფლეს პატიმრები, რომელთა ყველაზე აქტიური ნაწილი ქ. ჩოლოყაშვილის რაზმს შეუერთდა. დუშეთიდან რაზმი გაემართა თიანეთისკენ. გზაზე სოფ. სიმონიანთხევში (თიანეთის რაიონი) მას გზა მოუჭრა დიდმა სამხედრო შენაერთმა (ცხენოსანი პოლკის მთელი ესკადრონი, ორასამდე სამაზრო მილიციონერი, მრავალრიცხოვანი კომუნისტი აქტივისტი), რომელიც ელვისებურად იქნა განადგურებული და დატყვევებულ-განიარაღებუ-

ლი; ყველა ტყვე, როგორც წესად ჰქონდათ, გაუშვეს, ცხენები და იარაღი დაიტოვეს; შემდეგ მნიშვნელოვანი ბრძოლა ჰქონდათ თიანეთიდან კახეთისკენ მიმავალ გზაზე ხევ-გრძელის ტყეებში, სადაც რაზმს გზა გადაუჭრა ტექნიკურად და ტაქტიკურად კარგად მომზადებულმა არმიის ნაწილებმა, თვით არტილერიის გამოყენებით. მაგრამ ქ. ჩოლოყაშვილის სამხედრო-ტაქტიკური ტალანტის წყალობით ეს ბრძოლაც არმიის სამარცხვინო მარცხით დამთავრდა. მათ თავიანთი ზარბაზნებით ყუმბარები დაუშინეს თავისსავე ფეხოსანი ნაწილის უკანდახეულ ჯარისკაცებს. ყველა ამ ბრძოლაში შეფიცულთა რაზმთან იმყოფებოდნენ მთავარსარდლის – დამკომის წარმომადგენლები – გენ. სპ. ჭავჭავაძე, შ. ამირეჯიბი და სხვანი.

დევნილი და უიმედოდ განწირული რაზმი იძულებული იყო კახეთზე გადავლით, სამხრეთიდან გვერდი აექცია თბილისისათვის და უცხოეთში წასასვლელად გასულიყო საქართველოს სამხრეთ საზღვართან. სექტემბრის ბოლოს მისმა ძირითადმა შემადგენლობამ სამშობლოს ფარგლები დატოვა და თურქეთის საზღვარზე გადავიდა.

ერთ გარემოებაზე შევჩერდები; აღებულ პუნქტებში ქ. ჩოლოყაშვილი დიდხანს არ ჩერდებოდა, მათ გადასცემდა ხოლმე ადგილობრივ მოსახლეობას, რომ თვითონ დაპატრონებოდნენ ხელისუფლებას. მას ხომ არ შეეძლო ყველგან თავისი ძალებით განეხორციელებინა მართვა-გამგეობა. რადგან აჯანყება, არა მისი მიზეზით, ვერ იქცა მძლავრ ერთდროულ დარტყმად, იგი იძულებული იყო სხვადასხვა პუნქტში ემოქმედნა თანამიმდევრობით. ეროვნულმა პოლიტიკურმა ძალებმა თავიანთი დაქსაქსულობისა და კონფრონტაციის გამო, არა მარტო ასეთი აჯანყების მომზადება ვერ შეძლეს, არამედ რაიონებშიც არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობის აქტივისტები, რომ მზამზარეულ ძალაუფლებას გაძღოლოდნენ. არადა, რუსის ჯარის გაზრდილ კონტინგენტთან ერთად პროკომუნისტური ადგილობრივი ელემენტები მძლავრობდნენ და ქარტეხას წასვლის შემდეგ მყის იბრუნებდნენ დაკარგულ პოზიციებს.

ამ ბრძოლებში დიდი იყო ადგილობრივ მცხოვრებთა, მათ შორის მთიელთა წვლილი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დასაწყისში

თბილისის მიდამოებში მდგომი ბელადის მთავარბანაკისაკენ მიემართებოდა გაბო ოზიაშვილის 250 კაციანი არაგველთა რაზმი[94]. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა დუშეთის აღებასა და ადგილობრივ პატიმართა განთავისუფლებაში, რომელთა შორის ბევრი იყო ხევსურეთის 1922 წლის ამბოხების მონაწილე. რაზმის გამარჯვებებში აღსანიშნავია ადგილმდებარეობის კარგად მცოდნე, თუნდაც ცალკეული პიროვნებების როლი. ამის ერთ მაგალითად დავასახელებთ უშიშარ, დაუხარელ რაზმელს მიხა ხელაშვილს, რომელმაც თავის სასახელო საბრძოლო ეპიზოდებთან ერთად მაღალმხატვრული ქართული შაირით აამეტყველა და ასე შემოგვინახა შეფიცულთა გმირული შემართების თითქმის მთელი ისტორია. საბრძოლო ეპიზოდებთან ერთად მის ლექსებში ვპოულობთ პატრიოტთა მიზნების, გეგმის, მოქმედების არეალს, თვით თანამებრძოლთა, განსაკუთრებით ბელადისა და სხვა მეთაურთა მართალ პორტრეტებს, ზოგჯერ ფშაური იუმორის ვარაყით შეფერადებულსაც.

ერთი მათგანი აქ მოგვაქვს:

### რაზმი შევყარეთ

ყველამ გავიგეთ ამბავი
– სამშობლოს გასაჭირია,
რაზმი შევყარეთ, ქაქუცა
უძლევის ჩოლოყაშვილია.
აღმოსავლეთის მთა-კლდენი
აქვს სრულად შემოვლილია.
თანაშემწედ ჰყავ ელიზბარ[95]
ეგ ჩვენი რაზმის გმირია.
ვორონცოვის ძეგლს ტან უგავ,
არაბეთელებს პირია.
ნეტავი თვალით მენახა,
როგორ დედ-მამის შვილია.

---

[94] სოლომონ ზალდასტანიშვილი, მთავარი მიზეზები აგვისტოს აჯანყების მარცხისა, კრებ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, 1989, გვ. 53.

[95] ელიზბარ ვაჩნაძე.

ორ უნდა დაჰბადებიყო,
ერთად ჰყავს გაჩენილია.
კი თუნდა სამიც გამოვა,
არი იმოდნად მსხვილია.
გაზრდითაც საუცხოოა,
უცხოდვე შემოსილია,
კინტოურ ჩექმის ყელები,
მაუზერ შავერცხლილია.
თავისი ზომის შინელი,
ფრიად გრძელი და თბილია.
ეს ლექსი ყველას ეკუთვნის,
საუყველას უძე წილია.
არც მიშა დამავიწყდება,
ჩვენ მიშა ნაცვლიშვილია.
ჩვენ ათეულის უფროსი,
საომრად გამოცდილია.
შეუკვრელი აქვს საყელო
არ ებადების ღილია.
წინ გაგვიძღვება ათეულს,
რო ძველი დროის გზირია.
მეორე ათეულშიაც
ხო დამიწვდება პირია,
იქ გიორგია[96] უფროსი
მკალიასავით წვრილია.
საუმუდამ გაცინებული,
ხმა უძე, როგორც სტვირია.
ყბაზე რო წვერი არ ესხას,
იტყვი წელს გაჩენილია.
ამ ათეულის უფროსებს
თანაშემწენიც სჭირია,
მაგრამ ეს იყოს ისევა,
ხვარ მიძე ლექსის მილია.

---

[96] გიორგი გვერდწითელი.

იქნება კიდეც იწყინონ,
გამხადონ განდევნილია.
ამ ლექსს წურავინ ნუ იწყენს,
მე მქონდეს თქვენი ჭირია.
მდარე ვარ სუყველაზედა,
ყველაზე დავარდნილია.
მარტო მზადა მაქვს, რო გითხრათ,
საჭმელისათვის პირია.
მათქომი ემაგ ლექსისა
გახლავართ ფშავლის შვილია,
დიაკვნადა ვარ ნამყოფი,
ტაბლაზე გაგეშილია.
...

*1923 წ. სოფ. ალავერდი.*

საკვლევი საკითხის ირგვლივ მისი ლექსები მრავალ ფრიად საყურადღებო ცნობას გვაწვდიან. 1923 წელს მიუთითებდა რა კომუნისტების ავკაცობაზე რაზმის სამოქმედო კრედოსაც აღნიშნავდა იგი:

„... მაგათ ნაძარცვი სოფლები, ძველ დროსავ დავაფეროთა, ღარიბსაც მივცეთ ცხოვრება, მდიდარი გავაბევროთა“[97].

ჩეკისტების მარშრუტებსა და გზაკვალშიც კარგად ერკვეოდნენ:

„... თურმე ამაზე მგზავრობენ ჩეკისტი კომისრებია, ახუნზე გადადენილან, ბინა ახადსა სდებია“, წერდა 1923 წელს პანკისში (ხევის ჭალაში); „... სახელი ქაქუცაისა კიდით კიდესა სწვდებაო, დადის სამშობლოს საშველად თან რაზმელებიც ჰყვებაო, ფშავხევსურეთის კლდეები რუსის სისხლითა ლებაო, მხარს სჭერენ ფშაველ-ხევსურნი, სროლა არ ესწავლებაო“.

1922 წლის შემოდგომაზე ხევსურეთიდან კახეთში ახლად ჩასული მიმართავდა კომუნისტებს: „... გვიწოდეთ ქურდი, ყაჩაღი, ბევრი რამ დაგვაბრალეთა, ოდესმე ჩვენი სახელი მოეფინება მთაველთა, სისხლს აიღებენ შვილები ხევსურთა, თუშთა, ფშაველთა“.

[97] მიხა ხელაშვილის ლექსები, ხელთნაწერი კრებული, 1991 წ. გვ. 32.

თანამოძმეებს კი ასე მიმართავდა 1923 წელს: „... მთაო, ვინძლო მტერს აღუდგე და ბარიც აახმიანო, შენ რომ ხმას მისცემ, ესენიც საომრად ადგებიანო, მთაო შენს გაზრდილ შვილებსა კაი ყმათ გვეძახიანო, ძლიერი ქართული დროშა კვლავ უნდა ააფრიალო, დაგვიცავ ქაქუცას რაზმი შენ განგებაო ღვთიანო". 1924 წელს ს. უჯარმაში ყოფნისას წერდა: „... გვერდსა მყავს ჩოლოყაშვილი... ხვალ საარაგვოს გადავალთ, გავცდებით პარტიელებსა, მოუვალთ ხევსურეთშია მასპინძლებს ლიქოკელებსა..." ე. ი. 1924 წელს (ჩანს პირველ ნახევარში) ხევსურეთისკენ კიდევ ჰქონდათ ორიენტაცია.

ჩვენამდე მოაღწია (ადრესატმა შემოინახა) მ. ხელაშვილის წერილმა, რომელსაც სწერს ბოლშევიკების მიერ მოკლული მეგობრისა და თანამებრძოლის ჩარგალელი ივანე მთიბელიშვილის დას, პარასკოს. ეს წერილი ავტორის სულიერი კრედოს და პატრიოტული განწყობილების თვალსაჩინო ნიმუშია. მოგვყავს მისი შედარებით ვრცელი ამონაწერი.

„დაო პარასკო... ნუ იფიქრებ, რო შენი ძმა მოკვდა და აღარ არის, მოკლეს და დაიკარგა. არა, ის არც მკვდარია და არც დაკარგული. ერთი კი არა, მრავალი ვაჟკაცი შაეწირა თავის სამშობლო საქართველოს მსხვერპლად. ზოგი თვეობით ყელამდი წყალში ჰყავდა ჩეკის „პოდვლებში", ზოგი გზაზე დახვრიტეს, ზოგი შინ მოკლეს, ზოგი ბრძოლაში მოკლეს, ჩვენი სისხლითა და ცრემლით მორწყეს მთელი საქართველო.

მრავალ ვაჟკაცთ გადადვეს თავი თავის ნებით, თავის სამშობლოსთვის სიცოცხლე მწარე სიკვდილს მისცეს პირში. განა ეს ამოდენა სამშობლოსთვის დახოცილი და დასჯილი ხალხი დაკარგულია? არა, იმათი სახელი მქუხარებს და საამაყოა სამშობლოსთვის. იმათი საფლავი მთელ საქართველოს ეძახის: – მოდით უშიშრად, მტრებმა და დასჯამ არ შეგაშინოსთ, დღევანდელ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო.

ქართველი ერიც იმათი საფლავის წინ მუხლს იყრის, როგორც ვაჟა ამბობდა „გმირთა სავანეს როგორც ხატს სამთხვევად დავეღირები... აცხონოს რომ არ წაილეს ლაფით მოსვრილი პირები". ამ ვაჟკაცთა ღირსება და სახელი ბევრი ცოცხლის ღირსე-

ბასა და სახელს სჯობია. ისინი უკვდავნი არიან, საქართველოს არსებობამდის დაუვიწყარნი. შენი ძმა კი ამ ვაჟკაცებში ითვლება, რომლებიც ცოცხლებს მკვდრები სჯობიან. ამისთვის არ უნდა იდარდო. ბევრ ცოცხალს შენი მკვდარი ძმის სახელი სჯობია. კაცი ადრე თუ გვიან სიკვდილს ვერ დაემალება. მაშასადამე სჯობია, სახელით მოკვდეს ძროხასავით უსახელოდ სიკვდილს. ნეტავი იმის სიკვდილს, ვინც სამშობლოს შეენირება, ამით უკვდავყოფს თავის სახელს... გუშინ შენი ძმა მოკლეს, ხვალ ჩემსაც იმასვე გაიგებ. ჩვენი გზა ერთია, ხოლო იმედი მაქვს, რომ ჩვენი დები არ დაგვივიწყებენ და არც დაგვალონებენ თავისი დალონებით და მეტის ამბით..."[98].

ამ სიტყვებს და აზრებს მართლა არ სჭირდება კომენტარი. აქ შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ რამდენიმე თვის თუ კვირის შემდეგ (წერილი დაწერილია 1924 წლის ბოლოს) ავტორის წინათგრძნობა აღსრულდა; ამის შესახებ შემდეგ.

ასე და ამგვარად, ხევსურებს და საერთოდ მთის მოსახლეობას არსად და არასოდეს უღალატია ეროვნული საქმისთვის. ისინი სიცოცხლის დაუშურველად დგებოდნენ სამშობლოს სამსახურად ყველაზე ცხელ წერტილებში და სრულიად ბუნებრივია, რომ უყოყმანოდ გაჰყვნენ ქ. ჩოლოყაშვილს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მონოდებისას და გვერდში ედგნენ 20-იანი წლების გამათავისუფლებელი ბრძოლის ყველა ეტაპზე, საქართველოს მიწაზე გატარებულ უკანასკნელ დღემდე.

ახლა სიმბოლურად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ მას და მის შეფიცულ თანამებრძოლებს, სამშობლოსთან განშორების უმძიმესი განცდით გულშეძრულებს, სწორედ ისევ მთიელი, ფშაველი ვაჟკაცი მეცხვარე მიაცილებს, თვითონაც ამ სევეგამწარებული ლტოლვილების და სამშობლოს უბედობაში უმწეობით თვალცრემლიანი. მიაცილებს და მიასწავლის გზას, თუ როგორ უნდა დატოეონ სამუდამოდ სანუკვარი სამშობლო ადამიანებმა, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არიან ღირსნი აქ დარჩენისა და ბედნიერი ცხოვრებისა. მწყემსი კი ნამდვილად ფშაველი იქნებოდა – ბა-

---

[98] მიხა ხელაშვილის ლექსები, ხელთნაწერი კრებული, 1991 წ. გვ. 47.

ტონ ალექსანდრე სულხანიშვილს (რომელიც სწუხს მისი გვარსახელი აღარ მახსოვსო) – აქ აზრს, შევაშველებთ, – რადგან თრიალეთში ფშაველი ხარანაულების, გუგუდაშვილების, ბეწუკელთა და სხვათა ცხვარი ზამთრობდა ხოლმე, აი, ამათ შორისაა საძებნი იმ მთიელის გვარი.

## სისხლიანი ანგარიშსწორება

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების გმირული ეპოპეის ცალკე, სევდა-მწუხარებით აღსავსე თავია დამარცხებულთა დასჯა-განადგურების და გამარჯვებულთა ტრიუმფალური ზეიმის, სისხლიანი ანგარიშსწორების ამაზრზენი ფურცლები. ამ საერთო მოვლენის შხამიანი ფიალის გამოცლამ უწია ხევსურთა შვილებსაც მთასა და ბარში.

თუ უშუალოდ შეჯახებათა პროცესში, ბრძოლის ველზე ხევსურების და საერთოდ პატრიოტების დანაკლისი უმნიშვნელო იყო, სამაგიეროდ ეს რიცხვი კოლოსალურად იზრდებოდა რუსების გამარჯვების შემდეგ. მათ წესად ჰქონდათ ბრძოლის დროს ვისაც ხელთ იგდებდნენ, იქვე დაეხოცათ განუკითხავად. არ არსებობდა დატყვევება, გასამართლება, კანონიერი სასჯელის მისადაგება. ხოლო როცა დამთავრდა 1922-1924 წლების აჯანყებანი და შეწყდა საომარი ოპერაციები, კომუნისტებმა, ჩეკამ, როგორც მათი წესი იყო, დაიწყეს ხანგრძლივი სისხლიანი ანგარიშსწორება. ამისთვის სპეციალურად რუსული სპეციფიკის საფუძველზე შექმნილი ჩეკა ოდნავ ექვმიტანილთაც კი ციხეში ყრიდა და მათ უმრავლესობას გაუსამართლებლად ხვრეტდა ან ხოცავდა უბრალოდ შეპყრობის დროს ან დაკითხვეზე. ამისთვის ყველა რაიონის ცენტრში გამოყოფილი ჰქონდათ სპეციალური ადგილები „სასაკლაოები", როგორც მაგალითად ქ. თელავში „გიგოს გორა".

ჩეკა თავის შავბნელ საქმეს აკეთებდა აჯანყების მსვლელობისა და დამთავრებისთანავე ცენტრსა და ადგილებზე. იგი აპატიმრებდა და სიკვდილით სჯიდა განურჩევლად ყველა მონაწილეს, თანამგრძნობსა და ექვმიტანილს. უმოკლეს დროში აჯანყებასა და ქ. ჩოლოყაშვილის რაზმთან კავშირისათვის დახვრიტეს ს. ანდრონიკაშვილი (როტმისტ.), ძმები სუმბათაშვილები, ა. ვაჩნაძე

(ლეიტ.), ვ. აბაშიძე (აგრონ.), ს. გელაშვილი (სიღნაღის სდპ წარმომად.)[99] და სხვანი.

ცოტა უფრო მოგვიანებით, 1923 წლის გაზაფხულზე ჩეკამ უმძიმესი დარტყმა მიაყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც მიუთითებს ს. ზალდასტანიშვილი, გამცემის (სტუდენტ კ. მისაბიშვილის) დასმენის საფუძველზე დაპატიმრებული იქნა სამხედრო-პოლიტიკური ცენტრის თითქმის მთელი შემადგენლობა. დაპატიმრებიდან სულ ორიოდე თვეში, 1923 წლის 19 მაისს ს. ორჯონიკიძის ბრძანებით დახვრიტეს ყველა მათგანი – 15 სახელოვანი მამულიშვილი: 1. გენ. კ. აფხაზი (ეროვნ. დემოკ. პ. თავრე), 2. გენ. ანდრონიკაშვილი (გენერ. შტაბის წევრი), 3. გენ. ვ. წულუკიძე, 4. პოლკ. რ. მუსხელიშვილი (აჯანყებულთა შტაბის უფრ.), 5. პოლკ. გ. ხიმშიაშვილი, 6. პოლკ. ელ. გულისაშვილი, 7. პოლკ. ალ. მაჭავარიანი, 8. პოლკ. დიმ. ჩრდილელი, 9. როტმ. სიმ. მუხრან-ბატონიშვილი, 10. როტმ. ფ. ყარალაშვილი, 11. ლეიტ. ლ. კლიმიაშვილი, 12. მ. ზანდუკელი (სამხ. მოხ.), 13. ი. კერესელიძე, 14. ს. ჭიაბრიშვილი და 15. ივ. ქუთათელაძე[100].

ხევსურეთის ომის ხანგრძლივ პერიოდში პატრიოტებიდან სულ დაიღუპა 13 კაცი. აქედან უშუალოდ ბრძოლაში მოკლული იქნა მხოლოდ 3. დანარჩენები კი თითქმის ყველა უიარაღო დახოცეს მხოლოდ იმისთვის, რომ თვალსა და ხელში მოხვდნენ ოპერაციათა მიდამოებში. ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმიდან ხევსურეთში არავინ დაღუპულა და არც დასჯილა. ბევრი ვინმეს მოხელთება და დაჭერა ვერ შეძლეს ვერც ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ, შერიგების პროცესში. ტყვეები საერთოდ არა ჰყავდათ. ჯერ არც აგენტურა ჰყავდათ აქ, მოსახლეობა კი ერთიმეორეს არ აბეზღებდა, ისე ყველა მამაკაცი უცხადებდათ: „მე მაგისა ვერა ვიცი, სამკალზე ვიყავ"-ო. ისევ თავის შავ ურემს უნდა დალოდებოდნენ ბოლშევიკი ჩეკისტები, მეტი რა ჩარა ჰქონდათ.

ამის მიუხედავად, ცხადი იყო, დაპატიმრებათა ცალკეული შემთხვევები. ბესო ქეთელაური იგონებს: „ჩვენ სოფლელთ, ბისოელ

---

[99] სოლომონ ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14, 17; დავით ვაჩნაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 94-95.

[100] დავით ვაჩნაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 94.

კინნათ შვილებს (5 ძმა ქეთელაურები: მამუკა, ტუჩა, გიორგი, ადუა, ბაბო, ხევსურეთის თავდაცვის აქტიური მებრძოლები – ი. ლ.) ფხიტუს დაეჭირა ერთა რუსა-ი, ტყვედ წამეეყვან შინ, აბა აქ იმას რას გააკეთებიებდეს უენოს, ჩეევლივ აი ჭალაში-ა თოფით „გაემთხვ“[101], ვითამ გაგვექცავ". ტყვეობიდან „გაქცეულმა" რუსმა მიირბინა ბარისახოში და მეორე დღეს ს. ბისოს ჯარი დაეცა. დააპატიმრეს „დამნაშავე" ძმათა დედ-მამა, მაგრამ ვაჟკაცები მშობლებს ვის გაატანდნენ, სოფლის პირდაპირ ტყიდან დასაშინებლად დათოფეს ჯარისკაცთა რაზმი და გააშვებინეს ჩალხი და სანდუა. მოკვლით არავინ მოუკლავთ, რადგან აქ დაუშვებელი იყო ეს. ამის შემდგომ დღეს სოფელს დაეცა რუსის ჯარის დიდი ნაწილი. მთელი სოფელი ცეცხლს მისცეს. ვინც მოიხელთეს დააპატიმრეს. ესენი იყვნენ: ბესკო, მგელა, ბაბუა, თაძია და გიგია (ჩოდარი) ქეთელაურები. პირველი ორი ბარისახომდე გზიდან გაექცათ – კლდეზე გადაუხტნენ – სამნი კი მრავალი წელი ტანჯეს ციხეში, ცხადია, რაიმე ბრალდების გარეშე. მათგან გიგია ქეთელაური იქვე მოკვდა. მაშინ დაიჭირეს და დახვრიტეს გუდანელი აბიკა ხაზიას ძე ჯინჭარაული და ბარისახოელი ძაღლიკა ჯინჭარაული. ამ დროსვე იყო დაჭერილი, თუმცა თავისი მოხერხებულობით ცოცხალი გადარჩა და მალევე დაბრუნდა შინ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი გოგოთურ ჯინჭარაული.

იყო დაპატიმრების სხვა შემთხვევებიც. რაც შეეხება იმ პიროვნებებს, რომლებიც საერთოდ ცნობილი იყვნენ ანტირუსული და ანტისაბჭოური განწყობილებით, ხევსურეთის ომში წამყვან როლს ასრულებდნენ, როგორც, მაგალითად დათვია ლიქოკელი, ისინი არც შერიგებაზე გამოცხადნენ და საერთოდ გავიდნენ ტყეში, ხელისუფლების წინააღმდეგ ინდივიდუალური წესით იარაღით ბრძოლისთვის. რამდენიმე სიტყვა გვსურს ვთქვათ უშუალოდ ამ კაცზე და მის დიდ ოჯახზე.

დათვია იყო სოფ. ქვაბულოში (ლიქოკის თემი) მცხოვრები მგელიკა ბაძიურას ძე ლიქოკელის შვილი. ეს ის მგელიკაა, რომელ-

---

[101] გამთხობა-დაფრთხობა; ამ შემთხვევაში: სროლა არა მოსაკლავად, არამედ შესაშინებლად, გაქცევის შესაძლებლობის მიცემა.

საც ცნობილმა ქართველმა ექიმმა გიორგი თედორაძემ, და არა მარტო მან, მრავალი საქები სიტყვა და თვით ფოტოსურათიც უძღვნა ჯერ კიდევ 1930 წელს გამოცემულ ცნობილ წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში" (იხ. გვ. 97-101), როგორც უნიკალურ ფენომენს, თვითნასწავლ დასტაქარს, თავის ქალის ტრეპანაციისა და ნატყვიარის სპეციალურ მკურნალს, რომელსაც 97 წლის ასაკში უკვე გაკეთებული ჰქონდა 440 ოპერაცია, მათი 98 პროცენტი წარმატებით დამთავრებულიყო. მგელიკა პაპა, ამასთან, ყოფილა თავისებური ბრძენკაცი, ძველი გადმოცემების — ანდრეზების შეუდარებელი მცოდნე და მთხრობელი. იგი ითვლებოდა ახალგაზრდა თაობის აღიარებულ აღმზრდელად და დამრიგებლად. სხვათა შორის, ბავშვობაში მოგვისმენია მის მიერ ზეპირად შეთხზული რამდენიმე ზღაპარი — იუმორესკა, უდიდესი გონებამახვილობისა და მჭევრმეტყველების ნიმუში. მგელიკას ჰყავდა ორი ძმა, ჭრელა და ბაბო. ჭრელა სიმკაცრითა და ომახიანობით გვცემდა შიშის ზარს ყმაწვილობაში. წარმოდგენილი მაქვს რა ფეთებას მოჰგვრიდა მისი მგრგვინავი და ფოლადივით მოძგრიალე ხმა მტერს ბრძოლის ველზე. ხოლო ბაბო კი ჩვენს წიგნში უკვე რამდენჯერმე ნახსენები კოჭლა პაპაა, რომელიც თავისი ვაჟკაცობით ისეთ გმირებსაც კი ანცვიფრებდა, როგორიც ჩოლოყაშვილის ვეფხვები იყვნენ.

ამ მამა-ბიძათა ოჯახში და გარემოში აღზრდილი დათვია ლიქოკელი ადრეული ასაკიდანვე გამოირჩეოდა თურმე თავისი სიჩაუქით, სიფიცხითა და შეუდრეკელობით. ყოფილა ელვასავით სწრაფი, შეუდარებელი მხედარი — მოჯირითე, ხევსურეთში პირველი მსროლელი (მიზანში) და განთქმული მოფარიკავე; ერთდროულად სამ თავდამსხმელს იგერიებდა, უფარებდა ფარს და საპასუხო დარტყმებსაც აყენებდა. იყო სიტყვის უბადლო ოსტატი და შეუდარებელი პოლიტიკური დეკლამატორი, ამასთან ერთად, გონებამახვილობისა და იუმორის აღიარებული ოსტატი. „იმის მაუგონებ ეშმა-ქაჯობა აღარა იყვავ!" — იგონებდნენ ხოლმე ჩვენი დედები.

იგი აღიზარდა უსამართლობასთან შეურიგებელი ბრძოლის და სამშობლოს თავდავიწყებული სიყვარულის უზენაესი პრინციპებით და მთელი ხანმოკლე სიცოცხლე შესწირა სამშობლოსა და პიროვ-

ნების თავისუფლებისათვის ბრძოლას. ხევსურეთის ომის დროს ხევსურები მას აღიარებდნენ ქაქუცას შემდეგ მეორე კაცად, ხევსურთა დამსახურებულ წინამძღოლად.

ხევსურეთში ბრძოლების დამთავრების შემდეგ იგი დარჩა ადგილზე და ეწეოდა ველად გასული კაცის (ე. წ. „ყაჩაღის") ძნელ ცხოვრებას და ბრძოლას უსამართლო რეჟიმთან. სხვათაშორის, ადგილობრივი მებრძოლები ძირითადად დარჩნენ ადგილზე, რადგან ისინი სისტემატურად ელოდნენ ბოლშევიკების ახალ შემოტევებს, რამდენადაც ახორციელებდნენ ფაქტობრივი დაუმორჩილებლობის პოლიტიკას და მუდამ მზად უნდა ყოფილიყვნენ ახალი თავდასხმისათვის. მაგრამ მოტყუვდნენ. მათ ვერ გაითვალისწინეს ლენინური ბოლშევიკური მოქნილი პოლიტიკის ნიუანსები და მათ მიერ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების რადიკალური და მარჯვე ცვლის შესაძლებლობანი.

ემზადებოდა რა 37-იანი წლების შავბნელი რეაქციისათვის „ა/კ ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ბერიამ" ჯერ თავი გამოაცხადებინა ხევსურეთის მოამაგედ, შემდეგ კი მოიფიქრა და მოაწყო საგულდაგულოდ დამუშავებული პროვოკაცია, ვითომ ხევსურების მიერ ახალი პოლიტიკური ავანტიურის მზადების შესახებ და რომ არ გასხლტომოდნენ ხელიდან 20-იანი წლების მთავარი აქტივისტები, რომელთა შესახებ უკვე მოეპოვებოდათ აგენტურული და სხვა წყაროებით მიღებული სათანადო ინფორმაცია, ერთი წლით ადრე, 1936 წელს მასობრივად ჩაყარეს ციხეში მათთვის საშიში ხალხი. დაპატიმრების პირველი კანდიდატი იყო დათვია ლიქოკელი[102]. მაშინ მარტო ლიქოკის პატარა თემიდან დაიჭირეს 13 კაცი: ესენი იყვნენ: დათვია მგელიკას ძე, ზვიადა ბაბუას ძე, ადადა ბაბუას ძე, აპარეკა ბაჭუას ძე, მინდია ხლუმას ძე, ხახ-

---

[102] წლების განმავლობაში მას დაუახლოვდა დუშეთის მილიციის უფროსი ნიკო ბუჩაშვილი ცრუ დაპირებებით – მთავრობასთან შეგარიგებო. ამით მოადუნა მისი სიფხიზლე და 1936 წლის შემოდგომაზე შეიტყუა სახლში, ვახშამზე; შეაპარა ნარკოზი და დაძინებული განაიარაღეს ჩეკისტებმა; 1937 წელს კი დახვრიტეს. სხვათა შორის, მან ციხიდან გამოგზავნა (გამოაპარა) ფრიად მაღალმხატვრული ლექსი – ავტოგრაფი, რომელიც უმალ იქცა მთაში და ბარში სასიმღერო კაფია-ლექსად.

ონი თაძიას ძე, ღერენა ბიენას ძე, გიგუა გაგას ძე, გიგუა აბიკას ძე, გიორგი ახალას ძე, ხვთისო კიკოლეს ძე, ბაძია მგელას ძე, მამუკა უშიშას ძე ლიქოკელები. ამათგან მხოლოდ სამ უკანასკნელს ეღირსა ცოცხლად დაბრუნება. დანარჩენი 10 კაცის ძვლები ჩარჩა რუსეთის ყინულიანი მიწის ვინ იცის რომელ მხარეში და ადგილზე. ასევე დააპატიმრეს და დახოცეს ხევსურეთის სხვა თემებიდან განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილე თავკაცები: აპარეკა გიორგის ძე (ალ. სულხანიშვილის მიერ მრავალგზის მოხსენიებული შეუდარებელი ვაჟკაცი და პატრიოტი), კუკუმაურ ბალათერას ძე და ბერდია ბენინტურის ძე არაბულები, მამუკა გაგას ძე და ხთისო ჯინჭარაულები, მამა-შვილი გამიხარდი და მამუკა ქისტაურები და ბევრი სხვა სახელოვანი ვაჟკაცი.

რუსეთის, ბოლშევიკების და ადგილობრივი ჩეკისტების მსახვრალ ხელს ვერ გადაურჩნენ ფშავის ხევის გამოჩენილი შვილები, რომლებიც უშუალო მონაწილენი იყვნენ ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის არაგვის ხეობაში ჩატარებული პოლიტიკურ-პატრიოტული აქციებისა ან უბრალოდ თავიანთი პოზიციით მხარს უჭერდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას, გმობდნენ ქართველ კომუნისტთა გამყიდველურ კურსს. უშუალოდ ჩეკისტური ტყვიებით ან მოსყიდული იუდების მზაკვრული ხელით 1923-1924 წლებშივე დაიღუპნენ ჯანგირ ხირჩლაშვილი, ივანე მთიბელაშვილი, გიორგი თანდილაშვილი, გიორგი ხუცურაული, ნიკო ხორნაული, გრიგოლ რაზიკაშვილი, ბენინტურ ლოსეურაშვილი, მოგვიანებით იქნენ რეპრესირებულნი ძმები შიო და იოსებ თურმანაულები, ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი და ბევრი სხვა. ამ ვაჟკაცებს ცრემლიანი სიტყვებით დასტიროდა ჯერ კიდევ ცოცხალი მიხა ხელაშვილი. ასევე ლექსით დაიტირა მან სულწანწყმედილი თანამემამულეების მიერ მოკლული მოხუცი და უძლური დედა, რომლის ხსოვნაც უკვდავყო ხალხური ლირიკის შედევრით „ჩემო ნათქვამო სიტყვაო“. აი, ერთ-ერთი ამ ლექსთაგანი:

„ვუძღვნი ჩემი ძმებისა და თანამებრძოლების ხსოვნას

* * *

მის დღეში აუტირები
ცრემლსა ვღვრი თვალებისასა!
აღარ ვახსენებ სიკვდილსა
შინშისას გიორგისასა[103],
აღარც რაზიკაშვილისას
ლუკაანთ ლევანისასა,
უდროოდ თოფით მოკლულსა,
ნაპირას ქალაქისასა.
არც ლოსეურათ ბეწინტურს,
ყმასა მა კოპალისასა.
არც გულმაგარათ ჯანგირას,
რაინდსა ფშავის წყლისასა.

* * *

მშვიდობით მეგულებოდეთ,
ეზოსა სამოთხისასა,
საცა რო ბრწყინვალებაა,
ნათელსა მეტობს დღისასა,
ძმებო ნიკო[104] და ივანე[105]
ვფიცულობ თქვენის მზისასა.
ამაყად ვივლი, არ გიგლოვთ,
სახელს მეტყვიან მიხასა,
მსახურად გამოგიგზავნით
უფროსებს მაზრებისასა[106].
თან დავაბარებ სამსახურს
თქვენთვის ზიდვასა წყლისასა".
საყორნისთავი, 1923 წ.

---

[103] გიორგი თანდილაშვილი.

[104] ნიკო ხორნაული.

[105] ივანე მთიბელაშვილი.

[106] თამარ ხელაშვილის, ვანო ხორნაულის და იოსებ ზერაბაშვილის გადმოცემით თიანეთის მაზრის უფროსმა ი. სურგულაძემ 1923 წლის ბოლოს

ცალკე უნდა აღინიშნოს იმ მამულიშვილთა სახელები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ახალი ხელისუფლების სამსახურში იყვნენ ჩაყენებულნი (მთის რეგიონში ადგილობრივი საბჭოების მუშაკები), მაგრამ სულით და გულით სამშობლოს თავისუფლებას ემსახურებოდნენ, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ქ. ჩოლოყაშვილს ამ მისიის შესრულებაში, რაც ბოლშევიკებისთვის არ დარჩა დაფარული და მათაც სხვა პატრიოტების ბედი გაიზიარეს. მხედველობაში გვყავს ლევან რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი) და ალექსი მისრიაშვილი. მათ ორივეს მახვილით და კალმით მებრძოლმა მეგობარმა მიხა ხელაშვილმა უძღვნა მგრძნობიარე სტრიქონები, რასაც ნაწილობრივ გავეცანით კიდეც.

გული არ გვითმენს, ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ჩარგალელთა საყვარელ ვაჟზე, მგზნებარე პატრიოტზე, დიდი ვაჟას საამაყო შვილზე, ლევან რაზიკაშვილზე. მართალია, ახლა საქვეყნოდ ცნობილია საქართველოს მეორე, საუბედუროდ სამარცხვინო შვილის, გრ. ორჯონიკიძის მიერ მისთვის გამოტანილი განაჩენი – „მას კი არა, ცოცხალი რომ იყოს ახლა თვით ვაჟა-ფშაველასაც დავხვრეტდითო!", მაგრამ ნაკლებ ცნობილია ის, თუ რისთვის გამოასალმეს სიცოცხლეს ეს ვაჟკაცი. როგორც ლევანის ბიძაშვილი გიგლა ბაჩანას ძე რაზიკაშვილი გადმოგვცემს... ლევანი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყოფილან კლასის ამხანაგები თბილისის გიმნაზიაში. მათი მეგობრობა გრძელდებოდა შემდეგაც. ლევან რაზიკაშვილი 1921 წლიდან მუშაობდა მაღაროსკარის საბჭოს

---

„შეამოწმა" და მაზრაში დაიბარა მაღაროსკარის კომისარი, ფშაველი პატრიოტი ალექსი მისრიაშვილი (მას საკუთარი საფლავი გაათხრევინეს და მხეცურად დახვრიტეს ჩეკისტებმა). მიხა ხელაშვილმა ამ ნიადაგზე მაღაროსკარის მისადგომ ხიდზე მოკლა ვერაგი სურგულაძე. მოკლე დროშივე მაღაროსკარში მოვიდა ჩეკისტთა რაზმი, დააპატიმრეს მ. ხელაშვილისა და ა. მისრიაშვილის ძმადნაფიცები. მაღაროსკარის ცნობილი ბრძოლის მონაწილეები ივანე მთიბელაშვილი და ნიკო ხორნაული თოკით ხელფეხშეკრულები წაიყვანეს და ჩეკისტთა უფროსმა სალაყაიამ ორივენი საკუთარი ხელით დახოცა იმავე ხიდზე. ამათ და სხვა თანამებრძოლებს დასტირის მიხა ხელაშვილი თავის ლექსში.

თავმჯდომარედ (კომისრად). 1922 წლის ზაფხულში მან მიიღო თავისი მეგობრის ქაქუცას შემონათვალი დუშეთის რაიონიდან – ხევსურეთისკენ მივდივარ ჩემი რაზმით და უნდა გამატაროო. ლევანმა არა მარტო გაატარა მეგობარი, არამედ არაგვის წალკოტში ქართული ნადიმიც მოუწყო. გიგლას მონათხრობს აქ ავსებს გიორგი ლიქოკელის მოგონება: მამაჩემი მგელასაგან გამიგონია – მალაროსკარის ბრძოლის შემდეგ ხევსურეთისკენ რომ მოვდიოდით ქაქუცას რაზმი, ხომის ძირს, პეტრეს დუქანთან შევისვენეთ, ამ დროს ცხენების დრგიალით მოგვადგა მილიციელთა რაზმი, ის იყო ერცხვას უნდა ვსცემიყვენით, რომ ქაქუცამ ხელის აწევით შეგვაჩერა, სდექ!-ო, წავიდა მოწინააღმდეგისკენ, იქიდან იმათი მეთაური გამოემართა და სახეგანათებულები გადაეხვივნენ ერთიმეორესო. მაშინ ვნახეთ პირველად ვაჟას შვილი ლევანი, ისიც მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილიყო. შემდეგ ორივე რაზმი დამჯდარა მწვანე მოლზე და მადლიანი ფშაურით აუხმიანებია არაგვის ჭალა. ფრიად საყურადღებო დეტალი მოგვაწოდა ვანო ხორნაულმაც: ხევსურეთის ბრძოლის წინ ლევან რაზიკაშვილმა და პავლე შანიძემ (თვალივის მედუქნე ბესოს შვილმა) დიდძალი იარაღი მოიტანეს ქალაქიდან და დუქნის სხვენში ჰქონდათ დამალული. იქიდან ურიგებდნენ სანდო პატრიოტებს. ერთი კარაბინი მეც შემხვდა და სწორედ იმითი შეიარაღებული ვიყავი, ქაქუცა რომ მოვიდა თავისი 20 კაციანი რაზმით კანალხევში, ღამე ჩემთან გაათიეს და მეორე დღეს მიგრიაულთის მთით, ნარიმანთ ღელით გავემართეთ არაგვზე რუსების გასანადგურებლად. თუმცა ღამე მაღაროს მიდამოებში დანთებული კოცონების რაოდენობით გაიანგარიშა ბელადმა ძალთა თანაფარდობა და მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია ამჯერად მრავალრიცხოვან მტერზე თავდასხმა ... ბევრი ფშაველი დაიჭირეს მაღაროსკარის ბრძოლიდან მოკლე დროში – აგრძელებს გიგლა თავის მოგონებას. ლევანის სანახავად ჩარგალში მოსულიყო ვიღაც დიდი თანამდებობის პირი ქართველი თბილისიდან, თურმე შემორიგება სდომებოდა მისი. საუბედუროდ, ლევანი მთაში ყოფილა სათიბზე წასული და ვერ უნახავს, თორემ, ალბათ, გადარჩებოდა. შემდეგ დაუბარებიათ თიანეთში (სამაზრო ცენტრში), დაუჭერიათ, წაუყვანიათ თელავის ციხეში, იქიდან

თბილისში, მეტეხის ციხეში. ზედაც დაერთო ხევსურეთის ამბები და მალევე ლევანი დასახვრეტად გაუყვანიათ. მასთან ერთ საკანში ნამყოფი კაცი მიყვებოდა შემდეგ, ლევანი რომ გაიყვანეს, წინასწარ დათქმული ნიშნის მიხედვით, ქხოში ქუდი მოიხადა და ასე მამცნო ფანჯარასთან მდგომს თავისი აღსასრულიო, – ამთავრებს გიგლა ცრემლიანი თვალებით ძვირფასი ბიძაშვილის ამბავს.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს აგრეთვე პატრიოტებისადმი საერთოდ საბჭოური აპარატის ზოგი წარმომადგენელის, თვით კომუნისტებისაც კი, რომლებიც კაცურ კაცებად და ერის ღირსეულ შვილებად რჩებოდნენ – დახმარების, მხარდაჭერის ფაქტები. ასეთ ფაქტებს კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობით იგონებს თავის წიგნში ალ. სულხანიშვილიც: ასე მაგალითად, 1922 წლის გაზაფხულზე, როდესაც იგი ქართულ წითელ არმიაში პარტიზანული რაზმისთვის კონსპირაციულად ამზადებდა პატრიოტ ჯარისკაცებს, ერთ-ერთმა კომუნისტმა ჯარისკაცმა საიდუმლოდ გააფრთხილა, რომ უფროსებისთვის ცნობილი გახდა მისი საქმიანობა და თავს უშველეო. სწორედ ეს ქართველი კომუნისტია იმათგან ერთ-ერთი, რომელთა ვინაობასაც, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ასახელებს მემუარისტი მათივე სიცოცხლეზე ზრუნვის გამო, „ეშმაკის სიფხიზლის" გათვალისწინებით. ანალოგიურ ფაქტთანაა დაკავშირებული შეფიცულთა რაზმის თვით „დაბადების დღე". ქაქუცა ჩოლოყაშვილი ანტირუსული საქმიანობისათვის 1922 წლის თებერვალში დააპატიმრა სიღნაღის რევკომმა. სანამ ჩეკას შეატყობინებდნენ და ეს „ყველგან მყოფნი" მოვარდებოდნენ მის წასაყვანად, ამავე რევკომის მდივანმა დ. გომელაურმა ფიცხლად შეატყობინა ადგილობრივ პატრიოტებს ეს ამბავი. 6 ქიზიყელი ვაჟკაცი მყის გაჩნდა ადგილზე, სატუსაღოდან გაიყვანა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თვითონაც თან გაჰყვნენ სამუდამოდ და ამ შეიდეულმა დაუდო სათავე შეფიცულთა მრისხანე რაზმს (მათი ვინაობა გამოკვლევის დასაწყისშია მოხსენიებული).

და ბოლოს, თვითონ მიხა ხელაშვილზე. იგი 1922 წლის ივლისიდან, როდესაც ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი, ხევსურეთისკენ მიმავალი ფშავის არაგვზე გამოჩნდა და აქ ბრძოლები გადახდა,

იგი ამ რაზმის მუდმივი წევრია და მას აღარ განშორებია ბოლო დღემდე. მანამდე კი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მილიციის უფროსთან, ჯაგნელიძესთან წაჩხუბების გამო, რომელმაც იარაღი წაართვა, იგი ფაქტობრივად ხელისუფლების მტერი და თავარიდებული იყო.

1924 წლის სექტემბერში, აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც ქ. ჩოლოყაშვილის რაზმმა სამშობლოდან წასვლა გადაწყვიტა, მიხამ არ ისურვა მშობელი ქვეყნის მიტოვება. მიხვდა, რომ ეს მის ძალებს აღემატებოდა. იგი დარჩა საქართველოში. მისი ლექსებით (საბედნიეროდ, თითქმის ყველა ლექსს აწერს წელს და დაწერის ადგილს) შეიძლება დადგინდეს რაზმის და პირადად ავტორის ადგილსამყოფელი, ვითარება, განწყობილება და სხვ. ერთ-ერთ ბოლო ლექსში გული მიუწევს ხევსურეთისკენ, ძმადნაფიცი მასპინძლებისკენ. „მიუვალთ ხევსურეთშია მასპინძლებს ლიქოკელებსა". ცხადია, იცის რომ იქ არიან მასავით ველად გასული ვაჟკაცები. იგი მანამდეც წლების მანძილზე მუშაობდა ხევსურეთში. სწორედ აქ აიდგა ფეხი, როგორც მოლექსემ და მგზნებარე პატრიოტმა.

1925 წლით დათარიღებული ლექსი კი აღარ გვხვდება. მისი ქალიშვილის, თამარ ხელაშვილის გადმოცემით, იგი დაიღუპა 1925 წლის იანვარში, ახალი წლის დღეებში სოფ. ჩარგალში. იგი თოფით მოკლეს ჩეკისტების მიერ მოსყიდულმა იუდებმა. ადამიანებმა, რომლებსაც თავისი მიმნდობი და ალალი გულის გამო მეგობრებად თვლიდა. მათზე ადრე ლექსიც კი აქვს დაწერილი. ჯერ იქეიფეს ერთად, დაათვრეს, თვითონ გადაინაცვლეს სხვა ოჯახში (აქაური ჩვეულების შესაბამისად), იქიდან გამოგზავნეს მზვერავი (საუბედუროდ, ქალი), დაადგინეს, რომ ღრმა ძილით ეძინა, დაბრუნდნენ და დაახალეს თოფი თავში. მერე გააქციეს მილიციაში მათივე მსგავსი გარეწრები და სცადეს სპექტაკლის გათამაშება, ვითომც მილიციამ თვითონ მიაგნო და მოკლა. მაგრამ, როგორი ადამიანებიც იყვნენ, არტისტობაც საიმისო გამოუვიდათ. ჩარგალელმა ხალხმა მილიციის მოსვლამდევე იცოდა უკვე ყველაფერი. მით უმეტეს, რომ იქვე, ორ ნაბიჯზე ცხოვრობდა მიხას და-სიძის – თევდორე ყამიაშვილის ოჯახი, ხალხის სიყვარულითა და პა-

ტივისცემით ისევე გარემოსილი, როგორც თვითონ მიხა ხელაშვილი.

ასე ვერაგულად ჩაქრა ნაძირალა გამყიდველის ხელით, 30 ვერცხლის საფასურად სამშობლოს თავისუფლებისათვის გულანთებული სპეტაკი და ნიჭით სავსე ოციოდე წლის ჭაბუკის სიცოცხლე, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი ქვეყნისათვის, აღსრულება რომ სწერებოდა მისი საყვარელი ბელადის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩანაფიქრს – მისი დამოუკიდებელი საქართველოს უნივერსიტეტში გაგზავნის შესახებ.

30 ვერცხლად! რამდენი ბრწყინვალე ვაჟკაცის, ერისთვის ყველაზე გამოსადეგი ტალანტის სიცოცხლე გასწირა მოსყიდული მკვლელის ბინძურმა ხელმა მთაში თუ ბარში იმ წლებში და განა მარტო მაშინ, სვემნარე საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში საერთოდ და მარტო საქართველოსი?

ღირს ყველა კაცის დაფიქრებად ადამიანთა მოდგმის ეს უმძიმესი და უმდაბლესი ცოდვა! დაფიქრებად ღირს თუნდაც იმიტომ, რომ იგი მოსალოდნელია დღესაც და ხვალაც. რად ულირს ადამიანს, ვინც უნდა იყოს ის, უდანაშაულო მოყვასის, საერთოდ კაცის მოკვლისთვის მიღებული საფასური, რაც უნდა დიდი იყოს იგი. განა რა მიიღო ჩეკასაგან იმ ორმა უბადრუკმა იმ კაცის მოკვლისათვის, რომელიც მათ მეგობრებად სთვლიდა და თვითონაც ძმობას ეფიცებოდნენ ორიოდე საათის წინ? – თოფები?! ისევ ასეთივე საქმის საკეთებლად? ან რა მიიღო ყველა მოსყიდულმა მკვლელმა კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე? „30 ვერცხლი“ იმიტომ იქცა ადამიანთა შეგნებაში ამ საფასურის სიმბოლოდ, რომ მასზე მეტი არავის მიუღია. რატომ არ დაფიქრდება ადამიანი ამაზე იმ საბედისწერო წუთებში!? ან იმაზე რატომ არ დაფიქრდება, რომ ისტორიამ არ იცის დაფარული მოსყიდული მკვლელობის მაგალითი. ასეთი ფაქტი აუცილებლად ცნობილი ხდება მაშინვე, ამას თავისი კანონზომიერებანი გააჩნია, და მთელი შემდგომი სიცოცხლის მანძილზე ეს ცოდვილი სრული შეგნებით განუშორებლად თან ატარებს კაენის ტვირთს და მისი საბოლოო ხვედრიც იგივეა. თვითონ დამქირავებელია პირველ რიგში მისი მოსპობით დაინტერესებული,

რადგან ამით სურს საკუთარი თავის დაფარვა. განა ამისი ნათელი დასტური არ არის მთელი საბჭოთა ჩეკას ისტორია. ახლა ზღვა ხალხის სიძულვილი?! ადამიანო, დაფიქრდი იმ საბედისწერო წუთში! მოგაგონდეს, რომ დგეხარ ღია ეკრანზე მთელი კაცობრიობის წინაშე!

აქ განგებ არ ვასახელებ იმ მკვლელებს, რათა თვით ჰეროსტრატეს „პატივიც" კი არ ვაღირსო მათ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთი მათგანი იმავე წლებში გაისტუმრეს მისას დებმა სანამლავით იმ ქვეყნად, რაზედაც გესლიანი ღიმილით იტყოდნენ ხოლმე „ხინკლის ჭამას გადაჰყვაო". ხოლო მეორე, მეორე მსოფლიო ომის დროს დახვრიტა ცნობილმა ფშაველმა შურისმგებელმა გოგია ჭიჩოშვილმა შირაქის ველზე მწყემსებში თავშეფარებული.

ათეული წლების მანძილზე ანიოკებას, ძარცვა-რბევას, დაპატიმრებას და ყოველგვარ ფიზიკურ შეურაცხყოფას განიცდიდნენ განმათავისუფლებელი ბრძოლების მონაწილეთა ოჯახები, მათი ახლობელ-მეგობრები. მათი შთამომავალნი კი, ვისაც ასეთი დარჩა, განიცდიდნენ – ბოლომდე უნდობლობასა და მორალურ დამცირებას.

არ ვიქნები მართალი, თუ აქ სათანადო კომენტარს არ გავაკეთებ მიხა ხელაშვილის ლექსში ნახსენები ლიქოკელი მასპინძლების შესახებ, რადგან საქმე ეხება ჩემს ოჯახს და უშუალოდ ამ ამბებთან დაკავშირებულ ტრაგედიას.

ქართველ პატრიოტთა თავგანწირული ბრძოლის ყველა ეტაპზე, დაწყებული 1921 წლის თებერვალში მე-11 არმიასთან ბრძოლით კოჯორის მიდამოებში, დამთავრებული ხევსურეთის ომით, სხვა ხევსურებთან ერთად მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე იდგა სამი ქვაბულოელი ძმა – თოთია, თათარ და ჩაჩაურ ლიქოკელები (ჩემი მამა-ბიძანი). აი, ამ ოჯახების ახლო მეგობარი იყო მიხა ხელაშვილი (მათი შვილების ნათლიაც). მას და განსაკუთრებით ბელადს – ქაქუცას ფანატიკური სიყვარულით უტრიალებდა გარშემო თოთიას 17 წლის ბიჭი გიგია, რომელიც მენშევიკური მთავრობის მიერ ნაჩუქარი თავისი საყვარელი შაშხანით მონაწილეობდა ლიქოკში გამართულ ცხარე ბრძოლებში.

ომში ხევსურეთის მარცხის მომდევნო წელს ხატში (ლიქოკის

მთავარ სალოცავ „კარატის ჯვარში") გიგია მაგანძურად იყო დაყენებული. დღეობაზე ომისა და ქაქუცას ამბებთან დაკავშირებულ თემებზე ცხარე კამათისას (რაც ხშირი იყო იმ ხანებში მთელ ხევსურეთში), უფროსებმა დატუქსეს იგი ჩოლოყაშვილელთა თავგამოდებული დაცვისა და ქება-გალმერთებისათვის, რაც ვერ აიტანა წმინდა გრძნობისა და ფიცხი ხასიათის ჭაბუკმა და იქვე, ხალხის თვალწინ იკრა ტყვია გულში.

დღის ბოლოს, მოვიდა რა შემზარავი ამბავი ქვაბულოში, მამამ – თოთიამ თავის ჭერხოში დაიკრა თოფი და რამდენიმე წუთში გათავდა. ორი-სამი წლის შემდეგ დარდს გადაჰყვა უბედური დედაც და დარჩა მარტო მცირეწლოვანი ქალიშვილი, სამძიმარი. ასე ერთი დარტყმით მოისპო გამართული ოჯახი.

ადრეული ბავშვობიდან დღემდე ღრმა კვალი დატოვა ჩემს მეხსიერებაში ჩვენი სახლის წინ, 9-10 მეტრში დარჩენილი სახლის ნანგრევებმა – ბანჩაქცეულ ყორეთა ნაშალმა სვეტებმა – ბიძათ ნასახლარმა ხოლმა.

ეს იყო მრავალთაგან ერთი ხევსურული ოჯახის იმ წყევლაკრულვიანი წლების შედეგი.

კიდევ უფრო მძიმე იყო კახეთში მცხოვრები და მოქმედი შეფიცულთა რაზმის წევრებისა და მათი ახლობლების ხვედრი. მოქმედების ფართო ასპარეზის, დროის ხანგრძლივობის, საერთო ინფორმაციის დიდი მასშტაბების გამო ამ რეგიონში დაფარული არაფერი იყო. რაზმის ირგვლივ ყველაფერი საყოველთაოდ იყო ცნობილი, ამიტომ რეპრესიები მონაწილეთა და თანამგრძნობთა მიმართ ხორციელდებოდა რაზმის არსებობის პირველი დღიდანვე, ვიდრე ჩვენს დღეებამდე, საქართველოს განმათავისუფლებელი ტალღების ახლანდელ აზობოქრებამდე.

ფართო ინფორმირებულობის მიუხედავად ჩეკამ, რა თქმა უნდა, თავის საყვარელ მეთოდებს არც აქ უღალატა და რაზმში რამდენჯერმე შეძლო თავისი აგენტურის შეგზავნა. მათ იხსენებს ალ. სულხანიშვილიც თავის მოგონებებში. ასეთ გამცემებად იქ დასახელებული არიან რ. ყანჩაველი, ვ. კანდელაკი, ჭავჭანიძე, შაშვიაშვილი, ქერიმა (ქისტი) და სხვანი, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს რაზმს.

1923 წლის მარტის პირველ რიცხვებში თელავის მილიციამ (ჩეკამ) რაზმში შეაპარა ვინმე სევერიან ჩხეტიანი, რომელიც ლეჩხუმიდან იყო. რამდენიმე თვის უსაქმოდ ხეტიალის შემდეგ, თელავის მილიციის დავალებით, მოაწყვეს რუისპირის, შემდეგ ალავერდის მეწისქვილეებთან დამხმარედ. აქედან იგი დაუკავშირდა შეფიცულებს, ორიოდე თვე დაჰყო მათთან და მისის დასაწყისში აღმოჩნდა თელავის მილიციის საპყრობილეში, როგორც ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი. მან მილიციას მიაწოდა უმნიშვნელოვანესი ცნობები რაზმის შემადგენლობის, დისლოკაციის, დამხმარეთა და ქომაგთა შესახებ და სხვ.

მისი განცხადებით, „ქაქუცას რაზმში იმჟამად ირიცხებოდა 35 კაცი:

1) ქ. ჩოლოყაშვილი, 2. გვერდწითელი გიორგი, 3. კახაშვილი იოსები, 4) ნაცვლიშვილი მიშა, 5) სულხანიშვილი საშა, 6) მაისურაძე სერგო, 7) მაისურაძე მალაქია, 8) ჭიაშვილი გაბო, 9) ციხისთავი ლონგო, 10) ხელაშვილი მიხეილი, 11) კანდელაკი შალიკო, 12) ბადურაშვილი საშა, 13) ყანჩაველი რომანა, 14) ერისთავი რაფიელი, 15) ჩიქოვანი ლევანი, 16) დუშელი გიორგი „კურდღელა", გვარი არ ვიცი, 15) რაზმაძე კოლა, 16) სოსო, გვარი არ ვიცი, 17) ხუთნი არიან ქიზიყელები, რომლების გვარი და სახელები არ ვიცი, 19) ცხრა ქისტები, 1) დათიკო, 2) ქოსა, 3) ჩირა, 4) მახმადა, 5) ზაქარა, 6) ლევანა, 7) უქო, 8) კუნა არც ერთის გვარი არ ვიცი, დანარჩენი ორის არც სახელი არც გვარი ვიცი"-ო[107].

მან ჩამოთვალა აგრეთვე რაზმის თანამგრძნობი ოჯახები და პირები კახეთის სხვადასხვა სოფლებიდან: ბიძო მაყაშვილი (იყალთო), იორდანე მამადაშვილი (სვიმონიანნი), ბაბულია ივანეს ას. სულხანიშვილი – მასწავლებელი (აწყური), შაქრო გიგოს-ძე მელვინეთუხუცესი (აწყური), ანდრო კიმოთეს ძე ყურაშვილი (იყალთო), არჩილ ზაქარიას ძე მაყაშვილი (რუისპირელი), დათიკო ვასოს ძე ჩოლოყაშვილი (ლალისყური), ევგენი ვასოს ძე დალაქიშვილი

---

[107] საქართველოს რესპ-კის უახლ. ისტორიის არქივი, ფ. 600, აღწ. 2, საქ. 21, საქმ. ფურც. 29.

– მასწავლებელი (ს. ფშაველი), საბა ევნატეს ძე სალირაშვილი (ქვ. ალვანი), ბაგრატა სანდროს-ძე ჯაჭვაძე (ფშაველი), დავით საბას ძე მარხვაიძე (ფშაველი), კოტე დიმიტრის ძე ციხისთავი (ფშაველი), აბრამ კიმოთეს ძე ჯინჭარაშვილი (ფშაველი), შაქრო მოსეს ძე ჯინჭარაშვილი (ფშაველი")[108]. მანვე თავის აღიარებაში დაასახელა ზოგიერთი ოჯახი, სადაც თვითონაც ყოფილა რაზმელებთან ერთად და მათთვის პატივი უციათ, მაგალითად, აწყურში ბაბულია სულხანიშვილის, ქისტაურში შაქრო ერისთავის, მატანში ალექსის (გვარი არ ვიციო) და სხვა ოჯახებიო. ჩვენთვის გასაგებია, რა ბედი ეწეოდათ მის მიერ ჩამოთვლილ ოჯახებს და კეთილშობილ პიროვნებებს, რომლებმაც დიდი მსხვერპლი გაიღეს საქართველოს თავისუფლებისათვის[109]. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჩხეტიანის საქმე ეკუთვნის იმ შემთხვევათა რიცხვს, როცა რაზმში მასზე ეჭვი არავის შეჰპარვია და არც სიფრთხილის ზომები მიუღიათ. იგი რაზმელებისთვის გაუხსნელი დარჩა ბოლომდე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, კიდევ ერთ საარქივო დოკუმენტს მოვიხსენიებთ, რომლის მიხედვით 1923 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ტალახაძის (ეს ის ცნობილი ჯალათი ტალახაძეა, რომელსაც ბევრი პატრიოტის ცოდვა ადევს კისრად) ბრძანებით თელავის რაიონში მოქმედი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად დამატებით დაარსებულ იქნა მილიციის განსაკუთრებული რაზმი 42 ცხენოსანი და 40 ფეხოსანი მილიციელის შემადგენლობით, თავისი უფროსებით, გადიდებული ხელფასებით[110]. ეს დოკუმენტი იმის

---

[108] იქვე, საქმ. ფურც. 30, 31.

[109] მათი რიცხვიდან შეგვიძლია დავასახელოთ დავით ჩოლოყაშვილის და ვახტანგ მელვინეთუხუცესის ოჯახები, რომელთა დევნა-განადგურებისა და ნაშთების კახეთიდან გაძევების შემდეგ, მხოლოდ ქართული გენის უკვდავებას უნდა ვუმადლოდეთ მათი ისეთი სახელოვანი შვილების აღზრდას, როგორებიც არიან დღეს პროფესორი კოტე ჩოლოყაშვილი და სახალხო არტისტი ოთარ მელვინეთუხუცესი... ჩვენდა სავალალოდ, რამდენი მსგავსი შესაძლებლობა დაკარგა საქართველომ იმ გაუგონარი უსამართლობის გამოისობით.

[110] იქვე, საქმ. ფურც. 124.

დასტურია, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის იმ უმძიმეს პირობებშიც არ იშურებდა, არც სულიერ რესურსებს და არც მატერიალურს ოღონდ დამოუკიდებლობისათვის ხალხის ბრძოლა მთლიანად ამოეძირკვა და იმასაც, რომ ქართველი რენეგატები განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სისასტიკით აკეთებდნენ რუსის საქმეს საკუთარ სახლში. ტალახაძე წინა წელს ერთ-ერთი პირველი მიუძღოდა ობოლაძესა და სხვა გამყიდველებთან ერთად რუს და ქართველ ჩეკისტებს არაგვის ხეობით, ხევსურეთის გასანადგურებლად და კახეთის დარბევაში როგორ დაუთმობდა პირველობას სხვა ვინმეს.

ბოლშევიკებს შემუშავებული და დანერგილი ჰქონდათ თავისუფლებისა და დამოუკიდებელობისათვის მებრძოლი სულის დათრგუნვის საგანგებო სტრუქტურა და აპარატი. რეალური მებრძოლი ძალის გასანადგურებლად რუსული წითელი არმია იყო განკუთვნილი. მისი მრავალრიცხოვანი კონტინგენტი იდგა და დღესაც დგას საქართველოს და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ყოველ რაიონში, მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტსა და სტრატეგიული მნიშვნელობის გეოგრაფიულ წერტილში. ეს ნაწილები მზად არიან აგრეთვე ცალკეული ჯგუფებისა და თვით ერთეული მოწინაალმდეგე პიროვნებების სადევნელად, თუმცა ამისათვის ძირითადად დაწესებულია ჩეკას სპეციალური საჯარისო შენაერთები (შინსახკომის ნაწილები). მათი მთავარი დანიშნულებაა სახელმწიფო (პოლიტიკური) ოპოზიციონერების განადგურება. ცალკეულ ადამიანთა დამოუკიდებელობისკენ ლტოლვის, სხვა მოქალაქეობრივ ნორმათა დარღვევის აღსაკვეთად ე. წ. სამოქალაქო ადმინისტრაციული სისტემა — მილიციაა დაწესებული. ყველაფერ ამას პლუს აგენტთა — სინდისგაყიდულ ადამიანთა, ფართო ქსელი, რომლის გასაიდუმლოება-შენიღბვისთვისაც კი არ იტკიებდნენ თავს. ყველგან, ადამიანთა ყველა საცხოვრებელ პუნქტსა და კოლექტივში ყველამ იცის ვინ არიან ეს არაკაცნი, ხოლო არც მათთვისაა საიდუმლო, რომ ხალხი იცნობს მათ და მაინც არსებობენ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელისუფლება იცავთ, ამ იმედით ისინი ხშირად თავაწეულნიც გამოდიან საზოგადოებაში. ვაი, ამ საზოგადოების ბრალი და მომავალი!

აი, ამ მასშტაბისა და წყობის ზემძლავრი რეაქცია ებრძოდა საქართველოს 20-იანი წლების განმათავისუფლებელ მოძრაობას და დროებით გატეხა კიდეც ეს „ქვა მაგარი“.

კახელ თანამოძმეებთან ერთად სასტიკი რეპრესიები დაატყდა თავს აქ მცხოვრებ ხევსურთა ოჯახებს, რომ აღარაფერი ვთქვათ შეფიცულთა რაზმის წევრებსა და ქომაგებზე. შეიძლება ითქვას, რომ დარბევას ვერ გადაურჩა ვერც ერთი ოჯახი. მათ ერთნაირად ედებოდათ ბრალი მთისა და ბარის „ექსცესებში“. 1923-1924 წლებშივე დაიჭირეს ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის წევრები: დიმიტრი ცისკარაული, აბიკა გიგაური, გიგია ადიას ძე არაბული, მამუკა ქეთელაური, მიხა ჯინჭარაული, ბაია ნაროზაული, გიგია ბიძურას ძე არაბული, ჯოყოლა გოგოჭური და მრავალი სხვა, რომლებიც შეფიცულთა რაზმის მეკავშირეები, ბრძოლებში თანამონაწილენი და თანამგრძნობნი იყვნენ. წლების მანძილზე მათი და მათი ახლობლების ოჯახებს სისტემატურად ჩხრეკდნენ, აპატიმრებდნენ, აწიოკებდნენ. ამის შედეგად ბევრი ოჯახი საერთოდ ამოწყდა, ბევრმა კვლავ ხევსურეთს შეაფარა თავი.

დაპატიმრებულთაგან დიმიტრი ცისკარაული და აბიკა გიგაური მალევე, 1924 წელს დახვრიტეს თბილისში. საერთოდ ამ კატეგორიის ხალხს სხვადასხვა ოპერატიულ მოსაზრებათა გამო სასწრაფოდ იშორებდნენ თავიდან. მამუკა ქეთელაური თელავში დახვრიტეს, გიგია ადიას ძე არაბული და მიხა ჭინჭარაული სოფ. უჯარმასთან დახოცეს. მათ ისინი ბიძურა ჯინჭარაულთან და მიხა არაბულთან ერთად დაპატიმრებული მიჰყავდათ ქ. თბილისში და ბადრაგს გაექცნენ, რის დროსაც პირველი ორი სროლაში დაიღუპა, ორი უკანასკნელი კი გაექცათ, ამასთან ბიძურა ჯინჭარაული ფეხში დაიჭრა.

დაიღუპა სამშობლოს ერთგული ბრწყინვალე ახალგაზრდობა. მათი უმრავლესობა გადაშენდა უშვილძიროდ. აბიკა გიგაურის ძმისწული ბადა გიგაური იგონებს: ბიძაჩემის საქმეზე ჩემი დედ-მამაც დაუჭერიათ. ბიძაჩემს განზრახული ჰქონია ქისტეთში (რადგან იქ ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა) გადასვლა, მაგრამ ოჯახის — ცოლშვილის, ძმა-რძლის გამო ჩაჰბარებია მტერს. ისეთი მტკიცე ხასიათის ვაჟკაცი ყოფილა, დახვრეტამდე კენჭებით თამაშობდა

თურმე. პაპაჩემს შვილების უბედურება ვერ აუტანია და თოფით მოუკლავს თავი. ბიძაჩემის – აბიკას ორი მცირეწლოვანი ბავშვიც მომკვდარა, ცოლი გათხოვილა. ასე განადგურდა დიდი ოჯახი.

სიკვდილს რამდენიმეგზის სასწაულით გადაურჩა გიგია ბიძურას ძე არაბული. იგი დღეგრძელი აღმოჩნდა და მრავალგზის მოგვისმენია მისი უდიდესი ენთუზიაზმითა და აზარტით მონაყოლი იმ დღეთა გმირული ქრონიკა „... რას გამამტეხდეს ისეებ-ი, რო გითხრ, იცი, – გვიყვებოდა ძია გიგია, – ცალია ძვალიდ რკინა ვიყვიდ-ი. ი წერილ მამიხელეს ქუდის საპირეში, თორე არც, კი დავეჭერეიბოდი. ხელმაწერა არ ხქონდის იმას, იმან გვიშველ მიაცად იმის დამწერსაც, თორე გიგოს გორაისკე რაით გვიქმოდეს პირს ჩვენაც! რო გითხრ, იცი..."

მამაჩემი იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე – იგონებს ირაკლი (ადადა) გიგიას ძე არაბული. ჯერ კიდევ ჯარში წაყვანამდე დამეგობრებია შალვა ქარუმიძეს და სხვა ეროვნულ მოღვაწეებს. ომში გაუცვნია და დაკავშირებია ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც. რევოლუციის შემდეგ მსახურობდა ქართულ ლაშქარში. იყო საქართველოს რესპუბლიკის ყველა თავდაცვითი ბრძოლის მონაწილე. მენშევიკების დროს, საქართველოს თავდაცვის ორგანიზაციის პროცესში შალვა ქარუმიძესა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს გაჰყვა ხევსურეთში და მონაწილეობა მიიღო ასობით ხევსურის ჩამოყვანა-შეიარაღებაში და შემდეგ მათთან ერთად იცავდა თბილისს და ქვეყნის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტებს.

მახსოვს ასეთი დეტალი: რუსის ჯარი რომ შემოვიდა თბილისში (მე-11 არმია) ხევსურების ერთი 50 კაციანი რაზმი შალვა ქარუმიძის მეთაურობით უკან დახევისას დიღმის მინდორთან დახვედრია დამპყრობლებს ტაბახმელა-კოჯრის ფრონტიდან გადმოსული. იმდენი ჯარი მოსულა – ცხენოსანთა მთელი ლეგიონი, რომ საერთოდ არ შეიძლებოდა ბრძოლაში ჩაბმა. შებრუნებულან და მუხათგვერდის ქედით გადავლილები შეერთებიან მცხეთაში უკან დახეულ ქართულ ლაშქარს.

ქართველთა შეუჩერებელი, თითქმის ბრძოლის გარეშე უკუსვლის გამო გული გასტეხიათ და როცა თითქმის მთელი ლაშქარი დაშლილა შ. ქარუმიძეს უჩუქნია თავისი ცხენი, იარაღი, მათ

შორის 1 ტყვიამფრქვევიც თან გამოუტანებია და გამოუსტუმრებია სახლში, კახეთში.

ამავე დროს დაიწყო კახეთში პარტიზანული ბრძოლა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, რაშიც იგი თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ქაქუცასთან ნაცნობობა პირად მეგობრობაში გადაიზარდა. იგი ოჯახში მოდიოდა თურმე ხშირად მამაჩემთან და მაშინ მოუნათლივარ მეც ქაქუცას.

იგი ხევსურეთის გამოსვლის მზადების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ბრძოლის მონაწილე იყო. მან წაიღო კახეთიდან ლევან გოგოჭურის წერილი ხევსურეთში შეფიცულთა რაზმისადმი სრული ნდობისა და მხარდაჭერის რეკომენდაციით. ეს წერილი, რომელსაც კვლავ თან ატარებდა მნიშვნელოვანი „სიგელ-გუჯრისადმი" ხევსურთა ფანატიკური დამოკიდებულების ტრადიციის ძალით, გახდა ძირითადად ჩეკას მიერ მისი დაპატიმრების საბაბი.

მისი პატიმრობის დროს, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა, ჩვენი ოჯახი მუდმივი რბევის საგანი ყოფილა. ჩეკა – ათობით ადამიანი – პირდაპირ სახლში ჩასახლებულან. წაურთმევიათ და წაუღიათ ყველაფერი, მათ შორის შ. ქარუმიძის ნაჩუქარი ცხენიც, მთელი საქონელი, დაუტოვებიათ მხოლოდ ერთი ძროხა, ისიც მთელი სოფლის მოთხოვნით, რადგან მე ვიყავი 3 წლის და რჩენის სხვა სახსარი არაფერი ებადა ოჯახს. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, ერთი ძროხა მოსვლის პირველ დღესვე დაკლეს და შეჭამესო. ასე გრძელდებოდა თვეობით.

ახლა მოვუსმინოთ ალ. სულხანიშვილს: „... 24 წ. ერთ დღეს ხმა გავარდა მეტეხში, რომ ქალების კორპუსიდან გამოჰყავთ ქალები, მაგრამ სად მიჰყავთ არავინ არაფერი იცოდა. ტუსაღი ქალები უნდა გაეტარებინათ მამაკაცთა კორპუსის ეზოზე... დაიწყეს გამოსვლა: პირველ რიგში ნინო ჩოლოყაშვილისა თავისი დედით, ჩემი და ბაბალე, ვანო სულხანიშვილის მეუღლე უმცროსი ქალიშვილით, ელო სულხანიშვილი, ნ. დადიანი და ბევრი სხვანი, რომლების სახელები და გვარები არ მახსოვს... იმ დღისით მომხდარა ნამდვილი ისტორიული განცდა. მესამე სართულის მოაჯირს თურმე მოაწყდა მთელი ტუსაღობა, მეგრელები ლამაზად

ყაბალახით თავწაკრულები და სხვანი. გაისმა აღფრთოვანებული ყიჟინა და ძახილი, გაუმარჯოს ჩვენს დედოფალს (რასაკვირველია, ეს ყოფილა ქაქუცას მეუღლის მიმართ), გაუმარჯოს ქართველ დედებს, გაუმარჯოს ქართველ ქალებს და სხვ. გადმოუგდიათ რამდენიმე ყაბალახი მეგრელებს და ხალიჩასავით გაფენილა ქალთა ფეხქვეშ. იმერლებმა თურმე დასძახეს ჩვენი ჰიმნი (დიდება). აუწერელი სურათი ყოფილა. მუხლებზე დაცემულა გოგია ხევსური, ლაშარის ჯვარს და კოპალეს ავედრებდა ხევსურულად". აქვე ასეთ შენიშვნას აკეთებს იგი: „... ამ ჭირ-ვარამის დროს, დალაჩრებული და სამშობლოს გამყიდველი პატარა ნაწილი ქართველებისა, თავიანთ საკეთილდღეოდ რუსების ყურმოჭრილ ყმებად გადაიქცნენ, და თავიანთ მეგობრებს და ნათესავებსაც კი არა ზოგავდნენ, აბეზღებდნენ და ხვრეტდნენ"[111].

ეს ხევსური გიგია, ჩვენი ძია გიგიაა. მან გაუძლო ცეცხლითა და მახვილით გამოცდას და ჩვენამდე მოიტანა თავისი ძმადნაფიცების ნათელი ხსოვნა. გარდაიცვალა ამ რამდენიმე წლის წინ.

მშობელი მიწის სიყვარულის გამო ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის კიდევ ერთი სვეგამწარებული წევრის შესახებ გვინდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ეს არის თომა ბალიაური. მის მიერ დატოვებულ წერილ-ანდერძში, რომელიც ამ ბოლო დროს იქნა ნაპოვნი და ახლა უკვე გამოქვეყნებულიცაა, მოკლედ და ლაკონურად არის გადმოცემული მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ამბები. კერძოდ ის, რომ 21-24 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხევსურეთისა და მთლიანად საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში და მთელი ხევსურეთის შუამდგომლობისა და შერიგებისას, ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, რომ ხევსურთაგან არავის დასჯიდნენ, მას მაინც დაპატიმრება დაუპირეს, რის გამოც იძულებული გახდა მოწყვეტოდა ქვეყნის ცივილიზებულ ცხოვრებას და მრავალი წლის მანძილზე ხევსურეთში ჩაკეტილიყო გამოუსვლელად. აქაც არ მოასვენეს, მიუგზავნეს შენილბული მკვლელი, რომელსაც ხევსურეთში ბოლშე-

---

[111] ალექსანდრე სულხანიშვილი, მეტეხის ციხე – 1923-1924, გაზ. „ლიტ. საქართველო", 8 მარტი, 1991.

ვიკური იდეების გავრცელება ჰქონდა მინდობილი. თომა იძულებული გამხდარა თავიდან მოეშორებინა იგი. ამის შემდეგ ყოველგნიდან გზამოჭრილი ვაჟკაცი მძიმე დეპრესიაში ჩავარდა. „... ჩავრჩი არხოტში, მდევნიდნენ ყოველმხრივ. ვერ ჩამიგდეს ხელად. ბოლო რით დამთავრდება არ ვიცი... თუ მოვკვდი, ვერ ვეღირსე საქართველოს განთავისუფლებას, ამის შემხვედრმა (სახლის ყორეში ჩადებული წერილი – ი. ლ.) მომიგონებდეს, რომ იყო ვინლაც დევნილი და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი. ჩემი სალამი ჩოლოყაშვილს, რომლის, როგორც ბელადის სახელისათვის, არ შემირცხვენია და არ დამიყრია იარაღი. და არც დავყრი იარაღს სიკვდილამდის. იყავ ბედნიერ ქართველო ერო, მომავალი შენია. სამუდამო ხსოვნა ქართველ მებრძოლთ“[112]. სწერს ამ მგრძნობიარე სიტყვებს ბედისაგან განწირული ვაჟკაცი და გრძნობს, რომ ბოლო ახლოა, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის აყვავების – 33 წლის ასაკშია. სწერს 1930 წლის 30 მაისს. უკანასკნელ სიმბოლურ სალამს უგზავნის თავის საყვარელ ბელადს ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ანგარიშსაც აბარებს, რომ ფარ-ხმალი არც დაუყრია და არც დაჰყრის. უგზავნის სალამს უფროს მეგობარს და ის კი არ იცის, რომ ადრესატს მისი მილება ალარ შეუძლია, რომ იგი სიკვდილის სარეცელზე წევს საქართველოდან შორს გადაკარგულ ქვეყანაში – საფრანგეთში და ერთი თვის სიცოცხლეც ალარ დარჩენია. თვითონ თომამ კი საქართველოდან წასვლა ვერ გადაწყვიტა, ვერც ერთმა მთიელმა – ხევსურმა ვერ გადაწყვიტა სალი კლდეების მიტოვება. აქ სიკვდილი ამჯობინეს. წერილის მპოვნელებს – შთამომავლობას კი დაგვიბარა არ დავივიწყოთ და მოვიგონებდეთ თომა ბალიაურს, სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაჟკაცს. წინათგრძნობამ არ უმტყუნა მას. სულ მალე, სამიოდე წელში იგი ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გახდა მშობლიურ არხოტშივე. დიდება და არ დავიწყება თომა ბალიაურისა და მის თანამებრძოლთა სახელებს!

მხოლოდ ერთეულები თუ გადაურჩნენ ცოცხალნი ბოლშევიკურ რეპრესიებს. თითო-ოროლალა დაბრუნდა საპყრობილეებიდან – ბაია

[112] თინათინ ოჩიაური, დასახ. წერილი, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1991წ. 24 მაისი.

ნაროზაული, ჯოყოლა და ალეკა გოგოჭურები, უშიშა წიკლაური და კიდევ რამდენიმე ხევსური. ისინიც იქ გამოვლილი ტანჯვა-წამებით ისე ჯანგატეხილნი იყვნენ, რომ დიდხანს აღარც ერთს აღარ ეწერა სიცოცხლე და საქართველოს განთავისუფლების – მათი მარადიული ოცნების – ხილვა. გამონაკლისის სახით მხოლოდ ერთი შემთხვევის დასახელება შეგვიძლია. თოთია ხვთისოს ძე ბურდული (წარმოშობით საქმოსტოდან) მრავალი წლის დევნის შემდეგ მხოლოდ 1933 წელს დაიჭირეს (საერთოდ 1924 წლის შემდეგ 20-იანი წლების მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაჭერილი სხვაც ბევრი იყო, მაგრამ თითქმის არავინ დაბრუნებულა), მიუსაჯეს დახვრეტა. როგორღაც გადარჩა. ციხეში – გადასახლებაში დაჰყო 22 წელი. ჩამოსული დაცოლშვილდა. ცხოვრობდა ს. გომბორში, გარდაიცვალა 84 წლის.

და იყვნენ სამშობლოსათვის თავგანწირულთა ეს წმინდა სახელები, ათასობით თანამოძმეებთან ერთად, ხსენებისა და ღირსი დაფასების გარეშე მრავალი ათეული წლის მანძილზე; იდგნენ ჩრდილში და უცდიდნენ თავიანთ საათს, საქართველოს სრული დამოუკიდებელობის ჟამს. მხოლოდ ხალხის გულებში, უსიტყვო, მაგრამ მღელვარე განცდებში ჰქონდათ მათ ხსოვნა და არდავიწყება ან სიმბოლური გაელვება მათი საგმირო საქმეებისა ხალხური ლექსის თუ სიმღერის უკვდავ სტრიქონებში. თუმცა ხევსურეთში მარად ითქმოდა საქები სიტყვა მათ მამაცობაზე და კვლავ დგამდნენ ისტორიულ საკარგყმო თასს ჯარზე თავშეყრისას, რაც მათი დაუმორჩილებლობის სიმბოლოა.

და აი, დადგა დიდი ხნის ნანატრი ეს დროც. მათი წმინდა სისხლის საფასურად სამშობლო იშორებს დამპყრობლის უღელს და ღირსეულ პატივს მიაგებს მისთვის თავგანწირულ გმირებს. საქართველოში შეიქმნა ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება, რომელიც მისივე დროშით აღადგენს ქაქუცას ლეგენდარული რაზმის რაინდულ საქმეებს. იგი მოუხმობს ახალ ძალებს წინაპართა უკვდავი საქმის – სამშობლოს თავისუფლების სრული აღდგენისა და აღორძინებისადმი ერთგულ სამსახურად. დაე, ჰფარავდეთ მათ მოლაშქრე ანგელოზის, ლაღი – ლახტიანი – გმირი კოპალას ძალი და მადლი!

## დასკვნები. ომის რაობა. ქაქუცას ფენომენი

გადიგრიალეს ცეცხლოვანმა დღეებმა და თვით წლებმაც. გადავიდა ის ბობოქარი დრო, გავიდნენ ცხოვრების ასპარეზიდან წამებული რაინდები, ხალხს, შთამომავლობას კი მიეცა საშუალება მოვლენათა გარე ორბიტიდან უფრო წყნარ და დაწმენდილ გარემოში გაეკეთებინა დასკვნა ისტორიული მოვლენების მიმართ, უკეთ გაერჩია შუქ-ჩრდილები, კუთვნილი ადგილი მიეჩინა ყველასა და ყველაფრისათვის. პოლიტიკური სისტემის ოფიციალური იდეოლოგიური დოგმატებისა და პრაქტიკული კურსის მიუხედავად ისტორიულ მოვლენებში მონაწილე ხალხს შეუძლია სწორი დასკვნები გააკეთოს ამ მოვლენათა მიმართ. ამას დიდად უწყობს ხელს ჩავლილი ამბების შედეგები, რომლებიც თითქოს უჩინარნი არიან თვით მოქმედების დროს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ახლა უკვე არის შესაძლებლობა პასუხი გაეცეს ხევსურეთის ომთან დაკავშირებულ სერიოზულ და რთულ კითხვებს: თუ ქ. ჩოლოყაშვილი არ მოვიდოდა ხევსურეთში, დაიწყებოდა თუ არა აქ აღწერილი ბრძოლა თავისუფლების დასაცავად? თუ დაიწყებოდა, როდის და რა პირობებში? რა როლი ითამაშა ქ. ჩოლოყაშვილმა ხევსურეთის ომში? იყო თუ არა ეს მისი ავანტიურა?! როგორც მიუთითებდა კომუნისტური პროპაგანდა და არა მარტო ის.

ამასთან დაკავშირებით, ვერ დავეთანხმებით მემუარულურ ლიტერატურაში (ალ. ასათიანის, სოლ. ზალდასტანიშვილის და სხვათა მოგონებები) გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხევსურეთის ნაჩქარევი, სეპარატული გამოსვლა გამოწვეული იყო ხევსურების დაწოლით, მათი მოუთმენლობით, რაც ვითომც გახდა მიზეზი მარცხისა, საერთო სახალხო აჯანყების ვერგანხორციელებისა და ხევსურეთის დაზარალებისა. ეს დაუმსახურებელი ჩრდილის მიყენებაა ერისა და ღმერთის წინაშე ალალ-მართალი და სამშობ-

ლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდილი, დიდი მსხვერპლის გამღები ხალხისა.

ხევსურეთმა კი არ დაიწყო ნაჩქარევად და განკერძოებულად ბრძოლა, არამედ მოძრაობის მაშინდელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა არ აღმოჩნდა მონოდების სიმაღლეზე და ვერ შეძლო თავისივე შემუშავებული გეგმის განხორციელება. ვერ მოამზადა რა აჯანყება ეროვნული მასშტაბით, ვერ გამოიყენა სათანადოდ არაგვის ვიწრო ხეობაში ხევსურებისა და ჩოლოყაშვილის გაერთიანებული ძალებით რუსეთის არმიის პირველი სერიოზული მარცხი. ხევსურეთს მოუწოდეს მტერზე მახვილი აღემართა, რისთვისაც იგი მაშინ და მუდამაც მზად იყო და მან აღმართა იგი.

ხევსურებისათვის არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა ბრძოლა რომელ თვეში და რიცხვში დაიწყებოდა. არ ყოფილა მთიელთა დაჟინებული მოთხოვნა – ჩქარა დაეწყოთ ბრძოლა. მათი ტრადიცია ასეთი იყო: ბრძოლას იწყებდნენ, როცა მტერი შეესეოდა ან სამშობლოს გასაჭირისას საქვეყნო ლაშქრობაში უნდა წასულიყვნენ. შეიძლება ითქვას, ამჯერად, მათ ყველაზე არახელსაყრელ პირობებში მოუხდათ ბრძოლის დაწყება. აგვისტო-სექტემბერში აქ თიბა-მკაა გაჩაღებული და სამეურნეო საქმიანობისაგან მოწყვეტა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. მათი ნება რომ ყოფილიყო, ბრძოლას ამ დროს არ დაიწყებდნენ.

ბრძოლის დაწყება ფაქტობრივად აგვისტოში განსაზღვრა იმან, რომ ქ. ჩოლოყაშვილის რაზმს თან მოჰყვა რუსეთის მთელი ჯარი, კომუნისტური აქტივის შემადგენლობა და მას ალყა შემოარტყეს ხევსურეთში. ქაქუცას თუნდაც არ სდომებოდა მაშინ ბრძოლის დაწყება (ამაზე მიუთითებდა დამკომიც) მეტი გზა აღარ ჰქონდა, მტერი უნდა მოეგერიებინა; ხევსურებმაც, ცხადია, იგი მარტო არ მიატოვეს, მით უმეტეს იცოდნენ, რომ რუსები აქ მარტო ქაქუცასთვის არ იყვნენ მოსულნი. მოძრაობის ხელმძღვანელობას ეს ელემენტარული გარემოება თავიდანვე უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული და ოპერატიულ გეგმაში ასახული. ხევსურეთის ომი ძირითადად საკუთარი მამულის, მიწა-წყლის დამპყრობლისაგან დაცვისათვის წარმოებული ომია. იგი აუცილებლად მოხდებოდა

მაშინაც, რომ ქ. ჩოლოყაშვილი ხევსურეთში არ ყოფილიყო, თუ კომუნისტების ჯარი ხევსურეთში შესვლას დააპირებდა. ეს უკანასკნელი უბრძოლველად მტერს არ დანებდებოდა.

ხოლო ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მისი ძმადნაფიცების საქმენი, როლი ხევსურეთის ომში და საერთოდ საქართველოში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებში, განსაკუთრებით ბელადის პიროვნების რაობა, საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა და აისახა ხევსურთა შემეცნებაში 1922 წლის ომის მომდევნო პერიოდში. ამ ასახვის ზოგადი არსი მდგომარეობდა ქაქუცას პიროვნების მაღალ შეფასებაში, მისი თვით ჰარიზმატულ რანგში აყვანა. ეს განაპირობა მის ღირსებათა საკმაოდ კარგმა შესწავლამ. იგი ამ წლებში ხშირად იყო ბარისა და მთის ხევსურთა ლხინშიც, მათს ოჯახებში, განსაკუთრებით რელიგიურ დღეობებში, სადაც ძალაუნებურად მეტი სისავსით ვლინდება ადამიანის, როგორც ზნეობრივ-პატრიოტული, ისე ოპტიმისტური ნიშან-თვისებები. ეტყობა, აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქაქუცას სწორედ იმ თვისებებმა, რომლებიც ხევსურეთის მორალური კოდექსის უზენაეს პრინციპებს ემთხვეოდა. საფიქრებელია, რომ ხევსურთა წინაშე თვითონაც სწორედ ამ ზნეობრივი მხარის წარმოჩინებას აძლევდა უპირატესობას მათი ნდობის მაძიებელი ეს ჭკვიანი პოლიტიკოსი. ამის თავისებურ დასტურად მიგვაჩნია ალ. ასათიანისეული შეფასებაც: „... ის გახდა ამ დიდი დარაზმულობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოვლენა, მრავალ პირობათა მეოხებით და უწინარეს ყოვლისა პირად თვისებათა შემწეობით". ქაქუცა ჩოლოყაშვილი გაიზარდა, გაუსწრო და ასცილდა პოლიტიკურ წრეთა... მოღვაწეებს. ქართველი ერის თვალში ის გახდა ეროვნულ გმირად"[113].

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგონებდნენ ქაქუცას მნახველები და ნაცნობები ამ დიდგვაროვანი თავადიშვილის სახისა და ალნაგობის ლაზათიანობას, უნაკლო გარეგნობას, მამაცობას და შეუდრეკელობას, ერთი მხრივ ცეცხლივით სიფიცხეს, ხოლო მეორე მხრივ სალკლდესავით სიმტკიცეს და თავშეკავებულობას: „ფოლადის გულ ედვის ცხონებულს – მოიგონებდა თავად ქვასავით

---

[113] ალექსანდრე ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 32, 33.

უძრავი გულის პატრონი 100 წლის ხევსური ... ტყვიის წვიმაში შემკრთალ არვის უნახავ ის-ი, სიკვდილს ქვე არას ჩაგიხედევდ... ცხენზე ჯდომა რახელ-იცოდის – გააგრძელებდა მეორე – ქვე-თას გვერდზეით მაევლის აი უნაგირს უზანგაის უხმარად... ახლა იარაღის ხმარებაი, მოკლე ბარხატ-ი ხქონდის ათ სასროლიან-ი, სისვთ შუქთ უტევდის ი ტიალ-ი. სახმარად კი მაუზერს რჩეობდ, მანძილსაც საიმისოს იჭერდის მტერსთან, ლექსნიც ქვე არ არი-ანა" „აჭახუნა ქაქუცამა სანამ ხქონდა მაუზერი", „... რა თავაზა-ისაი-დ უფროს-უმცროსობის მცოდნე იყვის, უფროსების ნაუბარის ყურობა, გაგონებაი-დ დაჯერებაიც იცოდ. ხმა მაღალ სიტყვა არ გაგონილ იმისა ხევსურეთ..." თავის მხრივ, მანდილოს-ნები აგრძელებდნენ ნაუბარს. „... ქვე რახელ მახათრული -დ სვინდის-ნამუსიან იყვის ისი, თუ ერთ სიტყვა როს დასცდებოდ ჩვენს პურ-წყალზედ ან საგებსახურზედ, ან არკინტობას თუ რას შაატყობდ კაც-ი, რა სახლ-ცხოვრებაშითა-დ ყოფაშიით მასულს... ტაბლაზეით დედროანისაიდ დიასახლისის უდღეგრძელებლად რახლა წამადგებოდ, ან მრუდს თვალზე გადახენება თუ ვის უნახავ იმისაი... ქვე რახე შეშპრობა-თამაშობა იცოდ იმან, აი ფეხთ რო ცეცხლ ეკიდის, ჩოხის კალთან ქვე არ იძროდიან; რა სალაო-თი-დ ლაქარდ გადმადიოდ იმის ბაგეზეით..." და ასე დაუსრულე-ბლად.

ამ საერთო თვალსაზრისის ლოგიკური შედეგი ის იყო, რომ მთელმა ხევსურეთმა აღიარა და ბოლომდე შეინახა ქაქუცა ჩოლო-ყაშვილის, როგორც ნამდვილი სახალხო გმირის უზადო სახელი და ხსოვნა. იგი იქცა არა მარტო ლეგენდების, პოპულარული ლექს-სიმღერების ადრესატად, საერთო პატივსაცემ და საქებ ავტო-რიტეტად, არამედ თავისებურ ეტალონად და ყოველმხრივ მიბა-ძვის საგნად, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საქციელი ხევსურებს ნაკლებად ახასიათებთ. მას ანათვლინებდნენ ვაჟიშვილებს მთაში და ბარში, „ნათლულ ნათლიას ეფერებისავ!", თუმცა შემდეგ, რეპრესიულ პერიოდში ეს ფაქტები გასაიდუმლოებული იქნა. სახ-ელი „ქაქუცა" დაარქვა თავის შვილს მრავალმა ხევსურმა. ზო-გიერთს „ჩოლაყაშვილი" („ჩოლაყა") შეარქვეს (თიკუნად) იუმორ-ისტული გაგებით – სიყოჩაღის პრეტენზიის მქონე იარაღის მოტრ-

ფიალე პატარკაცს. ასე მიიღო ეს ზედწოდება ლიქოკში გიგიათ დავითმა და ა. შ.

ამ აპოლოგიასაც ხელაშვილისეული შესხმით დავამთავრებთ:

ბელადი ჩოლოყაშვილი
შეუდრეკელი გულითა,
ფიქრით მჭევრი და ამაყი,
მაღალი ზნით და სულითა.
რაზმელებს მოგვიალერსებს
მშობლიურ სიყვარულითა.
ჩვენც მასთან სალხინოდა ვთვლით
თუნდაც სიკვდილის წამებსა.
იმისი წინამძღოლობით
ქვეყანას ვარგებთ რამესა.
არ მივსცემთ თავის სამშობლოს
ჩვენის სისხლ-ხორცის მჭამლებსა.
....
სამშობლოს დამხსნელ რაზმებით
კაცი გასული ველადა,
ქვეყნისთვის გამეტებული
სისხლ-ხორცის შემწირველადა.
მზად არი ყოველ წამიერ
მტრის თავზე დასასხმელადა.
....
ჩვენის ბელადის სიკეთეს
ყოველდღე განვიცდიდია.
სრულად ვხედავდი ყოველსა,
მცირე იყო თუ დიდია.
ს. ალავერდი, 1922 წ.

ცნება „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ წლების განმავლობაში დამკვიდრდა ხევსურთა გრძნობადი და ცნობიერი სამყაროს განუყოფელ ნაწილად.

ამ ფონზე ისტორიული უსამართლობა არის ის, რომ ამ ბრძოლების გმირთა, უპირველეს ყოვლისა, ქაქუცას სახელი და

ღვაწლი დღემდე სათანადოდ არაა დაფასებული განთავისუფლებულ სამშობლოში. დღეს კვლავ დავიწყებულია 90-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლების მიერ მათი ხსენების დაშვება (ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების დაარსება, ორიოდე ბროშურის გამოცემა) და მეტი არაფერი. მათი სახელის აღიარება-უკვდავყოფა კვლავ ელის ხელისუფლების სათანადო ნაბიჯებს. ეს მეტად საჭიროა დღევანდელ საქართველოში, წინაპართა მაგალითზე ახალი პატრიოტი-გმირების გამოზრდა-ჩამოყალიბებისთვის, რათა ჩვენ დროშიც თავგანწირვით იცავდეს ყოველი ქართველი საკუთარ მიწა-წყალს და არა დამფრთხალი კურდღელივით გარბოდეს პერიფერიიდან დედაქალაქისკენ საცოდავი, შერცხვენილი სიცოცხლის გადასარჩენად. მხოლოდ წარსულის სახელოვან საქმეთა გაცნობა-შესისხლხორცება შეძლებს უკვდავი ქართული სულის აღორძინებას. ამის სამსახურად უნდა ვიდგეთ მთელი ქართველი ერი და ბერი.

* * *

ამჯერად ამით ვამთავრებთ იმ უმძიმეს დღეთა უდიდესი გმირობის დრამატულ ისტორიაზე თხრობას, იმ განცდით, რომ კიდევ ვერ ითქვა სრულყოფილად ყველაფერი, თუმცა იმედით – რაც ვერ ითქვა დღეს, ითქმევა კიდევ ხვალ და ზეგ, რომ ამ საშურ საქმეში თავის წვლილს შეიტანს ყველა დაინტერესებული და მცოდნე სპეციალისტი და პატრიოტი.

*ბარისახო, თელავი, თბილისი.*
*1985-1991 წწ.*

**ბ.თ.** ქაქუცას ხევსური თანამებრძოლების შთამომავლობა მადლობას უხდის ხელისუფლებას, რომ ამ დღეებში (2005.21.XI) აღსრულდა დევნილი ეროვნული გმირის უკანასკნელი სურვილი-ანდერძი მისი ნეშტის მშობლიურ მიწაში განსვენების შესახებ და მიუჩინა მას სამუდამო სავანე ყველაზე ღირსეულ ერისშვილთა შორის, დიდი ილიას გვერდით, მთაწმინდის ეროვნულ პანთეონში.

*2005. 22. XI.*

Ivane Liqokeli

# THE KHEVSURS AND KAKUTSA CHOLOQASHVILI


## Summary

In February 1921 Communist Russia carried out a new annexation of Georgia. The Menshevik government went into exile. However, the active part of the nation did not cease its fight for liberation and on the initiative of the leading political parties (SD, NDP, GFP) an underground independence committee and its military centre (K.Apkhazi, N. Kartsivadze, K. Andronikashvili, A. Andronikashvili and others) were set up. Preparation for a national uprising began under their leadership. The Khevsur population was involved from the beginning. Way back in 1917 a large number of them – over 400 men were brought from Khevsureti by their military commanders (I. Mazniashvili, K. Choloqashvili, Sh. Karumidze) and armed in an exemplary way to defend the borders of the country, Tbilisi and the ammunition depots in the city from the menace of the hungry and ecstatic Russian soldiers returning from the collapsed Turkish front. After successfully coping with this task, this detachment took an active part in all the battles fought to defend the capital and the homeland from the 11th Red Army.

Throughout its history Khevsureti always managed to repulse external and internal (feudal) enemies and to uphold its freedom. This was conditioned by the constant need to rebuff its northern neighbours of alien faith and origin. Remaining at the time a free territory, so far unoccupied by the enemy, the leadership of the patriotic movement considered Khevsureti the starting point of the struggle for liberation.

According to the plan of the Independence Committee, struggle was to start in summer 1922 by a revolt in Khevsureti, with the participation of Kakutsa Choloqashvili's guerrilla detachment. When the main forces of the Bolsheviks entered the defiles of the Pshav-Khevsureti Aragvi to fight them, the forces acting in Kartli (guerrilla

detachments of M. Lashkarashvili) were to take the enemy in the rear. This would be followed by the fighting forces of the rest of Georgia, and victory would be ensured. The first part of the plan was carried out successfully. The Khevsur troops, with K. Choloqashvili, not only decoyed the main forces of the Red Army into the Aragvi valley but won a brilliant victory in August in the first battle of Ortsqali, forcing the invader to retreat ignominiously. However, the second part of the plan was not carried out. The Centre failed to ensure the involvement of the rest of Georgia in the struggle. Owing to the split between the political parties, mutual rivalry, the démarche of part of the Social-Democratic party, two further battles given by the Khevsurs – on Mount Pkhitu and in the Akusho valley – ended in defeat. The Bolshevik units received reinforcements and no one assisted the mountain from the plains.

Although the enemy paid a heavy human toll in the struggle, it occupied Khevsureti. The principal villages were burnt down, destroying conditions for life. However, life still smouldered and it soon resuscitated like the Phoenix. The Khevsurs did not concede defeat, nor did they accept the Soviet system. They lost only 13 men in the fight, while Choloqashvili's detachment did not lose a single fighter.

Notwithstanding its defeat, the Kevsureti revolt was of major political significance in awakening and strengthening the nation's fighting spirit, irreconcilable with bondage. This struggle gave rise to the movement of national-political resistance, and the spirit of fighting for independence did not become extinguished over decades, and was crowned with victory in the 1990s.

# საძიებელი

## ა. პირთა სახელები


**ა**

აბაშიძე ვ. 192.
ავალიშვილი გ. 43.
ავალიშვილი დ. 43.
ავალიშვილი ნ. 43.
აზაურაშვილი, 3.
ათაბეი უმაევი, 178.
ალექსანდრე ბატონიშვილი 13, 47, 102, 135, 170.
ალექსი მატნიდან, 206.
ალუდაური ხ. 97.
ალი მიტაევი, 178.
ამირეჯიბი შ. 5, 51, 157, 183, 184.
ანდრონიკაშვილი ალ. 9, 30, 67.
ანდრონიკაშვილი ს. 191, 192.
არაბული ა. 19, 73, 84, 88, 89, 113, 114, 116, 128, 173, 196.
არაბული ბ. გ. 173, 196.
არაბული ბ. მ. 152.
არაბული ბ. 73, 88, 114, 126, 128, 129, 130, 173.
არაბული გ. ა. 46, 149.
არაბული გ. ბ. 46, 73, 74, 88, 94, 98, 114, 126, 128-130, 208, 209.
არაბული გ. 46, 80, 84, 208.
არაბული გ. 18, 40, 96, 152.
არაბული დ. 14.
არაბული მ. 46, 122, 129, 154, 208.
არაბული ი. 19, 96, 113, 209.
არაბული კ. 196.
არაბული ს. 19, 116, 119.
არაბული ს. ყ. 152.
არაბული უ. 129.
არაბული ხ. გ. 152.
არაბული ხ. 46, 98.
არაბული ჯ. 73, 88, 95.
ასათიანი ა. 5, 53, 55, 56, 157, 158, 214, 216.
აფხაზი კ. 30, 31, 53, 58, 192.
აძიათ თათარი, 145.

**ბ**

ბაგრატიონი, 29.
ბაგრატიონ-მუხრანელი ს. 99, 100, 160.
ბადურაშვილი ა. 5, 32, 46, 52, 174, 205.
ბადურაშვილი შ. 52.
ბაიდოშვილი ე. 7.
ბალიაური ა. 38.
ბალიაური თ. 14, 36-38, 46, 74, 80, 108, 109, 178, 211, 212.
ბალიაშვილი მ. 36.
ბაქრაძე მ. 43, 61, 62.
ბერია ლ. 195.
ბენუკელი, 190.
ბურდული თ. 116, 213.
ბურდული ი. 154.
ბურდული ძ. 119, 152.
ბუჩაშვილი ნ. 195.

გ

გაბაშვილი, 9.
გამახელათ ქრელა, 146.
გედევანიშვილი, 9.
გელაშვილი ს. 192.
გვერდნითელი გ. 74, 186, 205
გიგაური ა. 14, 29, 38, 40, 46, 73, 80, 96, 105, 107, 173, 174, 178, 208.
გიგაური ბ. 38, 107, 178, 208.
გიგაური გ. 122.
გიგია ხევსური, 210.
გოგნიაშვილი, 43.
გოგოჭური ა. 38, 46, 73, 121, 213.
გოგოჭური გ. 120, 143, 152.
გოგოჭური დ. 42, 116, 120, 121, 213.
გოგოჭური თ. 73, 121.
გოგოჭური ი. 121.
გოგოჭური ლ. 17, 19, 41, 46, 85, 121, 180, 210.
გოგოჭური მ. 19, 121 180.
გოგოჭური ს. 84.
გოგოჭური ძ. 180.
გოგოჭური ხ. 14.
გოგოჭური ჯ. 46, 74, 122, 181, 208, 213.
გოდერძაული, 82.
გომელაური დ. 200.
გუგუდაშვილი, 190.
გულისაშვილი ელ. 192.
გულმაგარაშვილი ჯ. 197.
გძელიევი მ. 161, 162.

დ

დადიანი ნ. 210.
დალაქიშვილი ე. 205.
დიდი თამარი, 48.
დიდი ილია, 219.
დუშელი გიორგი, 205.

ე

ელანიძე რ. 177.
ელიზბარი, 82.
ერეკლე II, 28, 48, 111, 170.
ერისთავი რ. 46, 205.
ერისთავი შ. 206.

ვ

ვაჟა (ფშაველა), 188, 198.
ვარდენი, 68.
ვაჩნაძე ა. 191.
ვაჩნაძე დ. 5, 68, 72, 160, 192.
ვაჩნაძე ე. 31, 46, 50, 87, 88, 173, 185.
ვეშაგური პ. 131.
ვორონცოვი, 185.

ზ

ზალდასტანიშვილი ს. 5, 47, 48, 50, 62-64, 99, 103, 125, 138, 157-159, 163, 168, 185, 192, 214.
ზანდუკელი მ. 192.
ზანდუკელი ნ. 137, 138, 161, 164.
ზურაბაშვილი ი. 78, 197.
ზურაბ ერისთავი, 134.

თ

თამაზაშვილი ვ. 36, 51.
თამარ მეფე, 76.
თანდილაშვილი გ. 79, 196.
თედორაძე გ. 197.
თოთიათ ბორძა, 144.
თორელათ გიგოლა, 113, 116.
თურმანაული ი. 78, 196.
თურმანაული შ. 78, 196.

## ი


იაშვილი ი. 46.
იოანე ათაბაგი, 102.
იმერლიშვილი ს. 43.
იმნაძე, 9.
იქაიძე შ. 46, 178.
იშხნელი მ. 167.


## კ


კანდელაკი ვ. 204.
კანდელაკი შ. 174, 205.
კარგარეთელი ა. 51, 52.
კახაშვილი ი. 205.
კვალიაშვილი მ. 205.
კეინიტაძე გ. 5, 10, 16, 54.
კედელაშვილი მ. 113, 116.
კერესელიძე ი. 192.
კილასონია, 176.
კლიმიაშვილი ლ. 192.
კუდავა ბ. 7.
„კურდღელა", 205.


## ლ


ლაშქარაშვილი მ. 50, 51, 63, 99, 100, 160, 164.
ლიქოკელი ა. 142, 145, 152.
ლიქოკელი ა. 147, 195.
ლიქოკელი ად. 142.
ლიქოკელი აპ. 195.
ლიქოკელი ბ. 18, 147, 148.
ლიქოკელი ბაბ. 18, 93, 146, 152, 194.
ლიქოკელი ბ. 128, 147.
ლიქოკელი ბ. 196, 147.
ლიქოკელი გ. 128, 146, 152.
ლიქოკელი გ.18, 142, 143.
ლიქოკელი გ. 128, 152.
ლიქოკელი გ. 123, 147.
ლიქოკელი გ. ა. 196.
ლიქოკელი გ. ახ. 196.
ლიქოკელი გ. გ. 196.
ლიქოკელი დ. მგ. 54, 73, 80, 88, 92, 96, 98, 114, 119, 174, 193-195.
ლიქოკელი დ. 207.
ლიქოკელი ზ. 195.
ლიქოკელი თ. 29, 39, 118, 142, 147, 203.
ლიქოკელი თ. 203.
ლიქოკელი ი. 120, 147.
ლიქოკელი ლ. 142, 147.
ლიქოკელი მ. 73, 76, 146-148, 152, 199.
ლიქოკელი მგ. 93, 122, 149, 152, 174, 193.
ლიქოკელი მ. 147, 196.
ლიქოკელი მ. 195.
ლიქოკელი ნ. 126, 128.
ლიქოკელი უ. 128.
ლიქოკელი ღ. 18, 143, 196.
ლიქოკელი ჩ. 15, 92, 203.
ლიქოკელი ჭ. 194.
ლიქოკელი ხ. 18, 143, 147.
ლიქოკელი ხ. 147, 196.
ლიქოკელი, 188.
ლიქოკელი, 194.
ლენინი, 195.
ლეონიძე ს. 43.
ლესელიძე კ. 193.
ლოსაბერიძე ს. 36, 43.
ლოსეურაშვილი ბ. 196, 197.
ლუკაანთ ლევანი (რაზიკაშვილი), 197-200.


## მ


მაზნიაშვილი გ. 5, 9, 14, 17, 21, 23-25.
მათიკაშვილი ნ. 16.

მაისურაძე მ. 46, 205.
მაისურაძე ს. 46, 58, 205.
მაკალათია ს. 86.
მამადაშვილი ი. 205.
მარტიაშვილი გ. 131.
მარხვაიძე დ. 205.
მაყაშვილი ა. 205.
მაყაშვილი ბ. 205.
მაყაშვილი ე. 43.
მაძლარაშვილი ქ. 36.
მერებაშვილი მ. 74.
მეფე ერეკლე, 92.
მელვინეთუხუცესი ვ. 206.
მელვინეთუხუცესი ნ. 43.
მელვინეთუხუცესი ო. 206.
მელვინეთუხუცესი შ. 205.
მთიბელაშვილი ი. 78, 188, 196, 197.
მისაბიშვილი კ. 191.
მისრიაშვილი ა. 78, 198.
„მუხა", 68-70.

ნ

ნარიკელაძე, 136.
ნაროზაული ბ. 38, 46, 208, 212.
ნაროზაული გ. 38, 47.
ნასკვაურისძე, 153.
ნაცვლიშვილი მ. 36, 186, 205.
ნიკოლოზ II, 40.
ნიშნიანიძე შ. 8.

ო

ობოლაძე, 207.
ოდიშელიძე, 9.
ოზანელი ლ. 46, 51.
ოზიაშვილი გ. 58, 185, 205.
ორჯონიკიძე გრ. 108, 198.
ოჩიაური თ 37, 109, 212.

პ

პაატაშვილი ვ. 40, 42.

ჟ

ჟამიაშვილი თ. 130, 131, 201.
ჟღობა, 24.
ჟორდანია ნ. 37.
ჟღენტი თ. 22, 24.

რ

რაზიკაშვილი გ. 198-200.
რაზიკაშვილი გრ. 196.
რაზიკაშვილები (ძმები), 19.
რაზმაძე კ. 205.
რცხილაძე გ. 30.

ს

სამფერი, 69, 70.
სანაგი, 76, 148.
სალირაშვილი ს. 206.
საჩხერე-ლეჩხუმელი ვაჟა, 39.
სისაური, 76.
სოკრატე, 97.
სოსო, 205.
სპარსიაშვილი, 43.
სულხანიშვილი ალ. 5, 19, 20, 31-34, 36-38, 40, 42, 46-48, 50-62, 63, 70, 71, 75, 77, 78, 80, 82, 83, 89, 90, 92, 103-106, 108, 116, 117, 124, 125, 128, 149, 157, 172-175, 177-181, 183, 190, 196, 200, 204, 209, 210.
სულხანიშვილი ბ. 205, 206.
სულხანიშვილი ელ. 210.
სუმბათაშვილები (ძმები), 191.
სურგულაძე ი. 197.

ტ

ტალახაძე, 207.
ტლაშაძე ნ. 19, 42.

უ

უთალიშვილი, 43.

ფ

ფაველენიშვილი შ. 31, 71, 108.
ფალავანდიშვილი შ. 31, 99, 100.
ფარეულიძე დ. 46.
ფალავა გ. 30, 67, 159, 161.
ფეიქრიშვილი ა. 46.
ფიცხელაური ა. 110.
ფიცხელაური ბ. 110, 113.
ფიცხელაური ბიძ. 111.
ფიცხელაური დ. 111.
ფიცხელაური კ. 113.

ქ

ქარუმიძე შ. 15, 16, 19, 42, 209, 210.
ქარცივაძე ნ. 30, 159.
ქეთელაური ა. 193.
ქეთელაური ბ. 193.
ქეთელაური ბესო, 193, 194.
ქეთელაური გ. 193.
ქეთელაური თ. 193.
ქეთელაური მ. 193.
ქეთელაური მ. 46, 80, 181, 208.
ქეთელაური ს. 181.
ქეთელაური ს. 193.
ქეთელაური ტ. 149.
ქეთელაური ჩ. 193.
ქერაული შ. 80, 81.
ქერიმა, 46, 204.
ქიაზიმ ბეი, 21.
ქისტაური გ. 196.
ქისტაური მ. 196.
ქუთათელაძე ი. 193.

ყ

ყანჩაველი რ. 204, 205.
ყარალაშვილი ფ. 192.
ყირა ხახმატელი, 111.
ყიფიანი ს. 50, 59.
ყურაშვილი ა. 25.
ყურაშვილი გ. 139.

შ

შანიძე ა. 76.
შანიძე ბ. 76, 79, 199.
შანიძე პ. 76, 78, 79, 199.
შარაძე გ. 39, 64, 126.
შაქარაშვილი ი. 74.
შაშვიაშვილი, 204.
შინში გიორგი (თანდილაშვილი), 197.
შუათ ნადირა, 112.

ჩ

ჩითინაშვილი ს. 36.
ჩიქოვანი ლ. 46, 205.
ჩოლოყაშვილი ბ. 57.
ჩოლოყაშვილი ნ. 210.
ჩოლოყაშვილი (უმცრ. ქალიშვილი), 210.
ჩოლოყაშვილი ი. 205, 206.
ჩოლოყაშვილი ს. 34, 46.
ჩოლოყაშვილი ქაქუცა, 3, 4, 6, 15-21, 24, 31-40, 42-44, 47-61, 63-72, 73-75, 78-88, 90, 91, 94, 96-100, 102-109, 113-115, 117, 119, 120, 122-126, 128, 130-133, 137, 138, 146, 149, 152, 156, 158-162, 165, 166, 158, 171-173, 175-178, 180, 182-185, 187-189, 191, 192, 194-196, 198-200, 202, 203, 205, 208, 209, 211-219.

ჩოლოყაშვილი შ. 57.
ჩხეტიანი ს. 205, 206.

ც

ცინცაძე ი. 137, 161.
ცისკარაული ბ. 107.
ცისკარაული დ. 38, 46-49, 73, 80, 176, 208.
ცისკარაული კ. 14.
ციხისთავი კ. 206.
ციხისთავი ლ. 205.
ცუცუნაშვილი, 43.

ძ

ძია თათარი, 97.
„ძაღლიკა", 174.

ნ

ნიკლაური ბ. 73, 88, 113, 114, 116, 119, 154.
ნიკლაური ვ. 122.
ნიკლაური ი. 133.
ნიკლაური მ. 113.
ნიკლაური უ. 46, 213.
ნიკლაური შ. 47, 180.
ნინამძღვრიშვილი გ. 178.
წულუკიძე ვ. 30, 67, 154, 192.
წურწუმია, 130.

ჭ

ჭავჭავაძე დ. 31, 40.
ჭავჭავაძე ი. 30, 41, 93.
ჭავჭავაძე ს. 58, 184.
ჭავჭანიძე, 204.
ჭეიშვილი რ. 203.
ჭიაბრიშვილი ს. 192.
ჭინჭარაული ა. 80, 193.
ჭინჭარაული ალ. 97, 174.
ჭინჭარაული ბ. 17, 40, 46, 176, 208.
ჭინჭარაული ბ. უ. 152.
ჭინჭარაული გ. თ. 152.
ჭინჭარაული გაგა, 128, 173, 177.
ჭინჭარაული გ. 128, 173, 174.
ჭინჭარაული გოგ. 19, 38, 73, 83, 84, 89, 105, 193.
ჭინჭარაული დ. 80.
ჭინჭარაული თ. 83, 176.
ჭინჭარაული ი. 114.
ჭინჭარაული მ. 46, 73, 122, 196.
ჭინჭარაული მ. 177.
ჭინჭარაული მგ. 85, 114, 116, 146, 177.
ჭინჭარაული ძ. 176, 196.
ჭიჩოშვილი გ. 203.
ჭიჭინაძე პ. 89, 143.
ჭურღულია, 76.

ხ

ხარანაული, 190.
ხანეთ აწურა (ლიქოკელი), 142.
ხევსური ვაჟა, 39.
ხელაშვილი თ. 130.
ხელაშვილი მ. 78, 79, 106, 128-131, 149, 173, 185, 187-189, 196-198, 200, 201, 203, 205, 218.
ხელაშვილი ს. 130, 149.
ხიმშიაშვილი გ. 30, 67.
ხირჩლაშვილი ჯ. 78, 196, 197.
ხორნაული, 196, 197, 199.
ხოჭოლავა მ. 30.
ხუროშვილი დ. 74.
ხუროშვილი ი. 74.
ხუცურაული გ. 196.

ჯ

ჯაბადარი ი. 41.
ჯაგნელიძე, 201.

ჯავახიშვილი, 30, 58.
ჯამასპიშვილი, 46.
ჯაჭვაძე ბ. 206.
ჯინჭარაული მ. 208.
ჯინჭარაშვილი ა. 206.
ჯინჭარაშვილი შ. 206.
ჯულელი ვ. 183.

**ჰ**

ჰეროსტრატე, 203.

**A**

Andronikashvili A. 220
Andronikashvili K.220
Apkhazi K.220

**C**

Choloqashvili Kakutsa 220, 221

**K**

Kartsivadze N.220
Karumidze Sh.220

**L**

Lashkarashvili M. 221

**M**

Mazniashvili I.220

## ბ. გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

**ა**

აზერბაიჯანი 24, 70.
აკუშო 18, 113, 133-135, 140-145, 147-149, 151, 152, 169.
აკუშურა 134, 143.
ალავერდი 187, 205, 218.
ალაზანი 125.
ალვანი 35, 38, 45.
ამერიკა 68.
არაგველთა 185, 188, 207.
300 არაგველი 14.
არაგვი 64, 71, 73, 75, 76, 82-84, 88, 89, 92, 96, 103, 104, 108, 129, 130, 134, 139, 140, 196, 198-200.
არაგვის ხეობა 215.
არდოტი 93.
ართვინი 9.
ართხმო 108.
არტაანი 9.
არტანი 129.
არღუნი 17.
არღუნის ხეობა 30.
არხოტი 107, 178, 212.
არხილოსკალო 114.
აფშო 95.
აფხაზეთი 15.
ალდგომლიანთკარი 65, 74.
აყუდებული 46.
ანყური 32, 34, 37, 38.
აჭარა 9, 15, 17, 21, 23.
აჭე 128, 144-146.
აჭეხა 83.
ახადი 187.

ახალციხე 10.
ახმეტა 19, 31, 38, 39, 45, 46, 106, 152, 172, 173, 179.
ახუნი 187.

ბ

ბაგიანა 145.
ბაზალეთი 65.
ბათუმი 17, 20, 21, 23.
ბაკანა 38, 46, 179.
ბაკურხევი 101, 110-115, 117, 120.
ბარისახო 71, 73, 83, 84, 88, 89, 92, 96, 101, 103, 104, 106, 109, 113, 116, 128, 129, 133, 134, 139, 140, 146, 147, 154, 177, 193, 140, 146, 147, 154, 177, 193, 219.
ბაქო 15.
ბაქჩვილო 143, 144, 147, 149.
ბაშო 141.
ბაჩალი 129.
ბისო 149, 151, 192, 193.
ბოლშევიკები 120, 121.
ბრესტი 9, 21.
ბულაჩაური 41.
ბულალაურთა 134.
ბურსაჭირი 117.
ბუჩუკურთა 84, 88, 101, 116, 120-122, 151.

გ

გაუეკაურა 47.
გველეთი 89, 95, 129, 140.
გიგოს გორა 182, 191, 209.
გომბორი 16, 40, 46, 162, 213.
გომბორის ქედი 40, 45, 46, 172, 175-177, 179.
გორი 17, 34, 63, 99.
გორშელმი 73, 88, 151.
გრძელი ჭალა 90, 91, 95.
გუდამაყარი 27, 101, 104, 110, 112, 114, 116, 129, 139, 136, 170.
გუგას ჯვარი 145.
გუდანი 8, 47, 125, 128.
გუდელა 169.
გროზნო 178.
გურია 64, 64, 76.
გურია-აჭარა 21.
გურჯაანი 31, 34.

დ

დათვისი 83, 98, 124, 129, 140.
დედოფლის წყარო 114.
„დედუფლის წყალნი" 169.
დიდგორის სალოცავი 47.
დიდუბე 16.
დიკლო 126.
დილომი 15.
დილმის მინდორი 209.
დუშეთი 34, 63, 64, 70, 76, 78, 84, 90, 96, 99, 103, 137, 149, 164, 182, 183, 185, 195.

ე

ეკატერინოფელდი (ბორჩალო) 20.
ერნო-თიანეთი 36, 37.

ვ

ვანხევი 82.
ვარცლა 60, 179, 181.
ველკეთილი 145.
ვლადიკავკაზი 108.

ზ

ზენა ახო 83.
ზენა მთა 143.

თ

თათრები 40.
თათუაის საჯდომი 143.
თამარის საჯარე 169.
თბილისი 11, 14, 16, 18, 20, 24, 31, 34, 46, 41, 45, 63, 64, 70, 71, 92, 102, 103, 123, 137, 172, 175, 183, 185, 200, 208, 209, 219.
თეთრი არაგვი 101.
თეთრწყლები 16, 18, 41, 46, 60, 176, 179, 181, 182.
თელავი 18, 19, 31, 40, 41, 43, 45, 60, 63, 89, 172, 179, 181, 191, 199, 205, 208, 219.
თელავივი 75, 172, 199.
თიანეთი 63, 75, 80, 90, 123, 131, 136-139, 147, 164, 172, 183, 197, 199.
თოთიაურები 110.
თურდო 60.
თურქეთი 8, 9, 11, 14, 21, 23, 24, 184.
თუშები 35, 38, 45, 187.
თუშ-ფშავ-ხევსურეთი 172.
თხილიანა 139.

ი

იმერლები 210.
ინგლისი 68.
იორი 123, 126, 139.
ირანი 8.
ირემთკალო 140, 141.
იტალია 68.
იყალთო 205.
იჩიტ-ღომელთანა 140.

კ

კავკასია 9, 10, 44, 137.
კავკასიონი 101.
კალოთანა 107.
კარატე 144, 147.
კარატის წვერი 47.
კარატის ჯვარი 135, 204.
კარნაულთა 11, 80, 124, 128, 144, 147.
კანალხევი 129, 130, 199.
კახეთი 16, 19, 28, 31, 32, 34, 36-39, 43, 44, 46, 50, 60, 63, 69, 74, 75, 79, 80, 103, 106, 124, 125, 128, 172, 174, 175, 181, 182, 184, 187, 204, 207, 208, 209, 210.
კეო 118.
კიმხი 134, 140.
კისისხევი 43, 46.
კიტოხი 110, 112.
კობაძე 46.
კონდოლი 43.
კონჩაბუხი 141.
კონსტანტინოპოლი 68.
კოჭლაის ჭალა 93.
კოჯორი 15.
კრწანისი 15.

ლ

ლაშარი 8.
ლალისყური 205.
ლამიანაის ხიდი 90, 91.
ლეკები 70.
ლეჩხუმი 205.

ლიქოკი 18, 47, 73, 118, 122, 126, 128, 133-135, 139, 140, 143-145, 147, 151, 169, 193, 195, 217.
ლიქოკის ჭალა 92.
ლიქოკის ხეობა 83, 88.
ლიფოდა 121.
ლოგოურთ გორი 113.
ლომისი 8.
ლუთხუმი 129.

**მ**

მათურა 126, 173.
მაისტი 106.
მანგლისი 16, 183.
მაღაროსკარი 76-79, 88-90, 92, 198, 199.
მაღაროულა 140, 146.
მატანი 31, 32, 175.
მანმაო 83, 95, 101, 129, 140, 153.
მახათა 15.
მაჰმადიანური ჩრდილოეთი 148.
მგელთ ბუდე 148.
მეგრელები 210.
მესხეთი 9.
მეტეხის ციხე 200, 210.
მეტისჩრდილი 91, 94.
მზის ყანა 129.
მთა 188, 198.
მთავრობი სასახლე 17.
მთაწმინდა 219.
მთაწმინდის ტყე 175.
მთიანეთი 12, 13, 43, 46, 64, 174, 182.
მთიულეთი 27.
მთიულეთ-გუდამაყარი 101.
მიგრიაულთა 199.
მისაქციელი 65.
მილმახევი16, 71, 102, 108.
„მულაური“ 181.
მუცო 17, 39.
მუხრანი 74, 148.
მუხათგვერდი 209.
მცხეთა 15-17, 63, 74, 103, 209.

**ნ**

ნადიკვარი 46.
ნარიანა 117, 118.
ნარიმანთ ღელე 199.
ნახალე 83.
ნიახურა 135.

**ო**

ოლთისი 9.
ომალო 126.
ორწყალი 82, 88, 89, 91, 94, 97, 98, 103, 110, 114, 134, 135, 139, 166.
ორწყალთ მაღალი 90, 91.
ორწყლის ხიდი 90, 91.
ოსაის ხევი 116.
ოსაურა 84, 117.
ოსები 15, 24, 74, 108.
ოსმალები 15, 20, 21.
ოხერხევი 116.

**პ**

პანკისი 38, 46, 47, 103, 106, 173, 174, 187.
პანტიანი 46, 60, 180.
პარიზი 53, 68, 104, 158, 159.
პეტრეს დუქანი 199.
პირიქით ხევსურეთი 39.

**ჟ**

ჟინვანი 96, 103.

## რ

რომკა 109, 113, 114, 116, 154.
რუსთაველის გამზირი 16.
რუსეთი 4, 8, 11, 13-16, 18, 19, 23, 26, 28, 44, 47, 57, 64, 65, 68, 71, 77, 96, 102, 103, 105, 108, 109, 114, 116, 117, 119, 121, 146, 149, 152, 154, 166, 170, 177, 184, 187, 191, 196, 206.
რუისპირი 205.

## ს

საარაგვო 73, 129, 135, 140.
საახოე გორი 113.
საგარეჯო 19, 172, 175, 177.
საზღვარგარეთ 159.
სათუშეთო გზა 126.
საკევრე 46.
სალებე 46.
სამეგრელო 63, 64.
სამზირთანა 143.
სარაყდრის სერი 131.
საფრანგეთი 68, 212.
საქარე 145.
საშუბი 131.
საქართველო, ქართველები 3, 4, 8, 28, 30, 32, 34, 44, 47, 48, 51, 53, 55, 57, 63, 67-69, 74, 77, 103-105, 108, 115, 123, 124, 133, 137, 156-158, 161, 164, 166-168, 170, 171, 177, 278, 183, 188, 189, 196, 206-209, 211, 212, 219.
საღლუმის გორი 113, 114.
საყევრის ღელე 144, 146.
საყორნის თავი 173, 197.
საჩალე 83, 101.
საჩალის ჭალა 110, 113, 114.
საჩხერე-ლეჩხუმი 39.
საძელე 109.
სახანო 106.
სახილე 129.
სეროდანი 46, 60, 180.
სვანეთი 63, 64.
სვიმონიანნი 205.
სიმონიანთხევი 182, 183.
სიჯანაანი 110, 113, 116.
სომხები15, 24, 111, 146, 176.
სოლანლული 15.

## ტ

ტაბახმელა-კოჯორი 209.
ტაო-კლარჯეთი 9, 21.
ტინთის ძირი 93.

## უ

უკანა ფშავი 95.
უკანახო 84, 88, 101, 114, 121, 151.
უდელო 145, 143.
უბისთავი 139.
უძილაურთა 139.
უჯარმა 208.

## ფ

ფასანაური 101, 102, 111, 135.
ფშავი, ფშაველები 27, 37, 38, 45, 75, 76, 77, 79, 80, 88, 112, 122, 126, 127, 128-132, 134-136, 139, 145, 147, 172, 173, 175, 176, 179, 185, 187, 189, 190, 196, 203, 206.
ფშავ-ხევსურეთი 75, 82, 102, 105, 129, 187.

ფრეზეთი 74.
ფხიტუ 82, 83, 84, 101, 103, 110, 112-115, 117-119, 123, 125, 133, 135, 138, 193.
ფხოვი 75, 76, 102.

ქ

ქართლი 63, 64, 69.
ქვაბულო 135, 140, 143, 144, 147-149, 193, 204.
„ქვაკაცა" 113, 114.
ქვემო ალვანი 206.
ქვემო ხევსურეთი 84.
ქვიშიანა 113, 117, 118.
ქიდაქი 117.
ქიზიყი 35.
ქიზიყელი (5) 205.
ქისტი (ჩეჩენი) 38, 45, 46, 102, 103, 105-107, 125, 165, 173, 177, 178, 208.
ქისტი (9) 205.
ქისტაური 206.
ქმოსტი 116, 119, 213.
ქუდნისლა 135, 143, 145.

ღ

ღავრიანი 145.
ღული 83, 129.

ყ

ყაზბეგი 107, 108.
ყარაიაზი 61.
ყვარელი 31.

შ

შავი არაგვი 101, 103.
შალაური 46, 181.
შატილი 97, 106, 114, 125, 141, 145, 170, 174, 178.
„შოთხნი" 128.
შუაფხო 139.
შუაცხვირი 101.
შულავერი 15, 177.

ჩ

ჩარგალი 129-131, 198, 201.
ჩირდილი 84, 88, 101, 113, 122, 129, 154.
ჩრდილოეთი 120.
ჩრდილო კავკასია 108, 125, 177.

ც

ცაბაურთა 139.
ცივი გომბორი 60.
ცისკარაანთ ახო 74.

ძ

ძეგვი 74.
ძეძეურთა 83.

წ

წითელი სოფელი 74.
წინანდალი 43, 46.
წინხადუ 94.
წყალსიქითი 73.

ჭ

ჭალისსოფელი 128, 143-145, 147.
ჭაუხი 84.
ჭიათურა 183.
ჭიე 83.
ჭიმლა 109.
ჭორმეშავი 84.

ხ

ხადის მთა 102.
ხახმატი 97, 126, 128, 150.
ხახმატის თავი (ჩხერი) 145.

ხახმატის ჯვარი 85.
ხევგრძელა 182-184.
ხევი 27, 107, 108, 112.
„ხთიშობელი“ (აკუშოს ხატი) 146.
ხევსურეთი, ხევსურები 3, 4, 6, 7, 9, 11-19, 21, 25, 29, 32-34, 36-40, 42, 44-46, 48-50, 51, 60, 62, 63, 65, 66, 68, 70-76, 79-84, 86-89, 90, 91, 95-97, 99, 101, 102-105, 106, 108, 109, 110-114, 116, 118, 119, 122-127, 128, 130-131, 133-139, 143-145, 147, 158-156, 160-162, 164, 165-176, 178-180, 182, 185, 187-189, 191, 192, 194-196, 198-203, 204, 207, 208, 210, 211, 213-217, 219.
ხოდაშენი 43.
ხომი 78, 131, 199.
„ხორხა“ 61, 180.

**ჯ**

ჯუთა 108.
ჯიჯეთ-თიანეთი 172.

**A**

Akusho 221
Aragvi 221

**G**

Georgia 220, 221

**K**

Kartli 220
Khevsureti 220, 221
Khevsurs 220, 221

**O**

Ortsqali 221

**P**

Pkhitu 221

**R**

Russia 220

**T**

Tbilisi 220

# შინაარსი

შესავალი ........ 3

განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში ........ 8

ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმი და ხევსურები ........ 34

შეფიცულთა რაზმი ხევსურეთში ........ 63

ხევსურეთის ომი ........ 73

ბრძოლა ორწყალში ........ 82

ბრძოლა მთა ფხიტუზე ........ 101

შეფიცულთა წასვლა ხევსურეთიდან ........ 123

აკუშოს ბრძოლა ........ 133

ომის დასასრული, წარუმატებლობის მიზეზები ........ 149

ომის შედეგები და მნიშვნელობა ........ 166

კონტაქტები ომის შემდეგ ........ 172

სისხლიანი ანგარიშსწორება ........ 191

დასკვნები. ომის რაობა. ქაქუცას ფენომენი ........ 214

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) ........ 220

საძიებელი ........ 221

**Ivane Liqokeli**

# THE KHEVSURS AND KAKUTSA

Khevsureti rebellion in summer
1922 with the participation of
Kakutsa Choloqashvili's detachment

**ARTANUJI Publishers**
**Tbilisi 2006**

**საგამომცემლო ჯგუფი**

ეთერ ბაიდოშვილი
ნათელა თუხარელი
ბუბა კუდავა
გიორგი მასხარაშვილი
დარეჯან მზარელუა

**გარეკანის დიზაინი**

ილია ხელაიასი

გამომცემლობა **არტანუჯი**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17 ბ. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.
www.artanuji.ge
artanuji@telenet.ge